საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

ჯემალ სტეფნაძე

ეგრისის (ლაზეთის) მეფე

გუბაზ II

თბილისი
2003

უაკ (УДК) 947.922
ს.837

ნაშრომში შესწავლილია VI ს-ის ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის გუბაზ II-ის (დაახლ. VI ს-ის 30-იანი წლების მიწურული – 554 წ.) ცხოვრება და მოღვაწეობა. დაწერილებით არის გაანალიზებული მის შესახებ არსებული წყაროები და ლიტერატურა. განხილულია მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხები. მოთხრობილია იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც გუბაზ II დასავლეთ საქართველოს დამპყრობთა უღლისაგან გასათავისუფლებლად აწარმოებდა. ამასთან ერთად, დახასიათებულია გუბაზის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვალებადობის მიზეზები.

ჯ. სტეფნაძის ეს ნაშრომი გუბაზ II-ის ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თამაზ ბერაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ანრი ბოგვერაძე**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი კარლო ტაბატაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მურმან პაპაშვილი

წიგნი გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე".

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ანა რუაძე
მარიამ ბუტიკაშვილი

ს 102
2003

წინასიტყვაობა

მეფე გუბაზ II VI საუკუნის 30-50-იან წლებში მოღვაწეობდა. ეს ხანა საქართველოს ისტორიის ურთულეს მონაკვეთად ითვლება და, ცხადია, მან გაუბაზის საქმიანობასაც თავისებური დაღი დაასვა. ამის დასამტკიცებლად მარტო იმის გახსენებაც კმარა, რომ 541 წლიდან გარდაცვალებამდე (554 წ.) იგი განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდა და ამ საქმეს შეენირა კიდეც.

გუბაზ მეფე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ კუთხეს, ეგრისს, განაგებდა და, ძირითადად, თავისი სამფლობელოს წინაშე მდგომი ურთულესი საკითხების გადაჭრით იყო დაკავებული. მაგრამ ამ თავისებური პიროვნების მხოლოდ ეგრისის მასშტაბის მოღვაწედ მიჩნევა შეცდომა იქნება. მისმა საქმიანობამ არა მარტო დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველოც მოიცვა და ჩვენს ისტორიას წარუშლელი კვალი დაამჩნია. მან, თავისი მიზნების შესაბამისად, ერთმანეთს იმდროინდელი მსოფლიოს ორი ყველაზე დიდი იმპერია – ბიზანტია და ირანი დააჯახა. მართალია, კონკრეტული პირობების გამო, ამ უაღრესად საყურადღებო პოლიტიკურ ნაბიჯს ეგრისისათვის თვალში საცემი შეღავათი არ მოუტანია, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი საგრძნობლად დაასუსტეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში ბიზანტიაცა და ირანიც ჩვენი სამშობლოს მტრები იყვნენ: ირანი ქართლს დაპატრონებოდა და ახლა ეგრისის დაპყრობასაც ცდილობდა, ხოლო ბიზანტია ეგრისს უკვე თავის მინა-წყლად თვლიდა და ლიხს აქეთ გადმოსვლას აპირებდა.

თავისუფლების მოყვარე გუბაზ მეფე ვერც ერთ დამპყრობელს ვერ ეგუებოდა და ამიტომაც რიგ-რიგობით ორივეს ებრძოდა. სამწუხაროდ, მის ხასიათს ეგრისის სამხედრო შესაძლებლობა მხარს ვერ უბამდა, რაც გუბაზს ტრაგიკულ

პიროვნებად აქცევდა. დიდი ვახტანგ გორგასლისა არ იყოს, მთელი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გალია და იმავე საქმეს ემსხვერპლა კიდეც.

ეგრისის (ანუ ლაზეთის) სამეფო ახ. წ. I საუკუნეში წარმოიქმნა. თავდაპირველად მხოლოდ მდ. რიონის ორივე ნაპირი (დაახლ. ქობულეთიდან მდ. ეგრისწყალამდე) ეკავა, მაგრამ IV საუკუნის ბოლოს უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა.

გუბაზ II-ის სამოღვაწეო ასპარეზზე ყოფნისას ეგრისისა და ქართლის სამეფოებს ერთმანეთისაგან ლიხის მთაგრეხილი ჰყოფდა, მაგრამ ეს საზღვარი მყარი არ იყო. იგი იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ რომელი სამეფო ან მისი მფარველი სახელმწიფო ძლიერდებოდა. 528 წელს ქართლის მპყრობელმა ირანმა ეგრისის კუთვნილი ციხე-ქალაქები შორაპანი და სკანდა დაიკავა, მაგრამ „საუკუნო ზავის" (532 წ.) თანახმად კვლავ თავის „პატრონ" ბიზანტიის იმპერიის და მის ხელდებულ ეგრისს დაუბრუნა.

მკითხველს შეიძლება დაებადოს სამართლიანი კითხვა: V-VI საუკუნეების ისეთი გამოჩენლი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, გურგენი, გუბაზ I, წათე I და გუბაზ II რატომ არ ცდილობდნენ ქვეყნის გაერთიანებას ე. ი. რატომ არ ჰკრავდნენ ერთ სამეფოდ ქართლსა და ეგრისს, განა დამპყრობლებს უფრო ადვილად არ მოიგერიებდნენ? ცდილობდნენ და თვალსაჩინო შედეგებსაც აღწევდნენ. მოვიგონოთ ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ ლიხსიქითა საქართველოს დიდი ნაწილის შემოერთება. მაგრამ როგორც უკვე ითქვა, თითოეულ მხარეს თავისი „პატრონი" ჰყავდა და ქართლის ეს დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა სულ მალე აღიკვეთა. ჩვენი სამშობლოს გაერთიანების სანატრელი დღე გაცილებით გვიან დადგა, კერძოდ X-XI საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც დავით კურაპალატისა და იოანე მარუშისძის მიერ მოხაზული ქვეყნის გაერთიანების გეგმა განხორციელებუ-

ლი იქნა.

მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საქმეს, საგარეო ფაქტორის გარდა, სხვა მიზეზებიც აჭიანურებდა. პირველ რიგში დავასახელებ საკუთარი სახელმწიფოებრიობის ღრმა ტრადიციას. როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო წარმონაქმნები ადრე ჩამოყალიბდნენ. ჩვენთვის საინტერესო საუკუნეში (VI ს.) მათი საზღვრები, სამეფო დინასტიები და პოლიტიკური ორიენტაციები აშკარად გამოკვეთილია. მშვიდობიანი გზით არცერთი მხარის სამეფო ხელისუფლება თვითლიკვიდაციას არ ურიგდება. რაც მთავარია ამას არც მათი „პატრონები" ე. ი. ირანი და ბიზანტია არ დაუშვებდნენ. ამ ქვეყნებს ასე ცალ-ცალკე არსებული, ოღონდ ერთმანეთში განაწილებული საქართველო უფრო აძლევდათ ხელს.

ქვეყნის გაერთიანებას ჩვენი გეოგრაფიული გარემოცვნებდა. იმდროინდელ სამიმოსვლო საშუალებების პირობებში ლიხის ქედი ძნელად გადასალახი ზღუდე იყო და საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს საკუთარ საზღვრებში ჰკეტავდა. ორ უმთავრეს პოლიტიკურ ერთეულად გახლეჩილი ქართული მოდგმის შესაერთებლად საჭირო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობები იყო საჭირო, რაც გუბაზ II-ის ხანაში ჯერ კიდევ არ ჩანდა.

ჩვენი ნაშრომის მთავარ გმირს, გუბაზს, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა არ უწარმოებია. იგი მთელ ძალღონეს ეგრისის განთავისუფლებას ახმარდა. საკმარისი იყო მიზნისთვის მიეღწია, რომ აღმოსავლეთ საქართველოსთვისაც მოიცლიდა. სამწუხაროდ, ისე დაიღუპა, რომ მტრის კლანჭებიდან ეგრისიც ვერ გამოგლიჯა.

აღნიშნულის მიუხედავად გუბაზ II, საერთოდ, ქართული საქმისათვის მებრძოლი გმირია. მისი მრავალწლიანი ბრძოლა ირანელების წინააღმდეგ ამ უკანასკნელთა მორჩილებაში

მყოფ აღმოსავლეთ საქართველოსაც ადგებოდა. ირანისათვის მიყენებული ყოველი დარტყმა მტერს იმ ძალას ართმევდა, რომელიც აღმოსავლეთის ქართველთა წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინა. ამით იგი ვახტანგ გორგასლის ანტიირანული ბრძოლის ღირსეული გამგრძელებელი იყო და ჩვენს დიდ ინტერესს სწორედ ამით იწვევს.

გუბაზის ცხოვრება-მოღვაწეობის ხანას თოთხმეტ საუკუნეზე მეტი დრო გვაშორებს. ცხადია, ახლა, მისი ბიოგრაფიის მრავალი წვრილმანი ისტორიის ფერფლითაა დაფარული. ყველაფერზე პასუხს, ალბათ, ვერასოდეს ვიპოვით. ცხადია, ვერც მის ბიოგრაფიას აღვადგენთ მთელი სისრულით, მაგრამ ამისათვის არაფერი არ უნდა დავიშუროთ.

ისტორიული პირები – მეფეები, სარდლები, ისტორიკოსები, პოეტები, ყველა ვინც რაღაც შექმნა და სახელი დატოვა, ტუსაღებს ჰგვანან. ოღესღაც თავის სამშობლოზე მოფიქრალნი და მისი გაძლიერებისათვის ბრძოლასა თუ შრომაში დამაშვრალნი, საკუთარი საქმის შემფასებელს ელიან. წლები და საუკუნეები გადიან, ისინი კი ელოდებიან სინათლეს, მისი შრომის შეფასებას. გუბაზიც ჩვენ შემოგვცქერის, მისი სახელის სისრულით აღიარებას მოელის. ჩვენ უნდა გავაღოთ მისი აკლდამის მძიმე ჭიშკარი, წამოვაყენოთ ფეხზე და ხალხს ვაჩვენოთ ისეთი, როგორიც იყო. გუბაზმა სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადა თავისი ვალი, ახლა კი ჩვენი ჯერია. ჩვენც უნდა აღვადგინოთ მისი დრო-ჟამისაგან განაცრისფერებული სახე. ეს საჭიროა, რადგან ისეთი ვაჟკაცების საქმეები, როგორც გუბაზი იყო, ჩლუნგსაც და კისკასსაც ერთნაირად უღვივებს გულში ბრძოლის ცეცხლს.

მეფე გუბაზის მოღვაწეობა დიდი ხანია ისტორიკოსთა თვალსაწიერში მოხვდა, მაგრამ ის, რაც დღემდე მასზეა დაწერილი, საკმარისი არ არის. გუბაზის ცხოვრება-მოღვაწეობა მონოგრაფიულად უნდა იქნეს შესწავლილი. ეს საკმაოდ რთული მიზანია, მაგრამ მისი მიღწევა შეიძლება. წინამდებარე

ნაშრომი ამის მოკრძალებული ცდაა. ვფიქრობთ გუბაზის ცხოვრება-მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები, თუ მთლიანად არა, აღდგენილ იქნება და ისტორიის ნისლში ჩვენი დიდი წინაპრის სახეც კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთება.

ავტორი

პირველი თავი
გუბაზ მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

§ 1. წყაროები

მართალია, გუბაზ მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ მრავალრიცხოვანი წყაროები არ გაგვაჩნია, მაგრამ რაც გვაქვს, სანდო და ღრმა შინაარსიანია.

პირველ რიგში გვინდა დავასახელოთ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულება „პოლემიკა". ეს ნაწარმოები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უმისოდ, გუბაზ მეფის ისტორიის წერა, სრულიად წარმოუდგენელია. რა თქმუ უნდა, ამ ნაკლს ვერ შეავსებდა ვერც მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი, რომლის თხზულება „იუსტინიანეს მეფობის შესახებ", გუბაზის ცხოვრების ბოლო წლების (553-554) შეუცვლელ წყაროდ ითვლება.

ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი დაიბადა 490 წელს პალესტინის კესარიაში. მან თავისი დროისათვის ძალიან კარგი (იურიდიული) განათლება მიიღო და სამოღვაწეოდ კონსტანტინეპოლში გაემგზავრა. 527 წელს იგი ცნობილი ბიზანტიელი სარდლის ველიზარის იურიდიულ მრჩევლად დაინიშნა, რომელიც ამ დროს სპარსეთის ფრონტზე აწარმოებდა საომარ ოპერაციებს. 533 წელს, როდესაც ველიზარი სამოღვაწეოდ აფრიკაში გააგზავნეს, პროკოპი კესარიელიც თან გააყოლეს. იგი სარდალს კვლავ იურიდიულ საქმეებში ეხმარებოდა. პროკოპი ველიზარს თან ახლდა გუთებთან (535 წლიდან) და სპარსელებთან (541 წლიდან) ბრძოლებშიც.

პროკოპი კესარიელი თვითონაც ხშირად ღებულობდა სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას. სამართლიანად აღნიშნავს აკად. ს. ყაუხჩიშვილი, რომ იგი მარტოოდენ მრჩევე-

ლი იურისტი კი არა, გამჭრიახი სამხედრო პირიც იყო (1.12).

პროკოპი კესარიელის კალამს ეკუთვნის სამი ნაშრომი. ესენია: 1. „პოლემიკა", 2. „პერი კტიზამონ" – შენობათა შესახებ" და 3. „საიდუმლო ისტორია".

ჩამოთვლილ ნაშრომთაგან, უპირველეს ყოვლისა, პირველი თხზულება იქცევს ყურადღებას. იგი რვა წიგნისაგან შესდგება და აგვიწერს საომარ ოპერაციებს სამ ფრონტზე:

ა) ომს სპარსელებთან: De bello persico (I და II წიგნი);

ბ) ომს ვანდალებთან: De bello Vandalico (III და IV წიგნი);

გ) ომს გუთებთან: De bello gothico (V-VII წიგნი).

მერვე წიგნში თავმოყრილია ყველა ფრონტის შესახებ არაბული ცნობები (2. 38-42).

პროკოპი კესარიელის ეს თხზულება VI საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის საუკეთესო წყაროა. მართალია მისი ავტორი ეგრისში პირადად ნამყოფი არ ჩანს (1. 13), მაგრამ მის თხზულებას ამით არაფერი აკლდება. პროკოპი კესარიელი უხვად იყენებდა იმ მრავალრიცხოვან ოფიციალურ მოხსენებებს, რომლებიც ბიზანტიის იმპერიის სამხედრო შტაბს სხვადასხვა ადგილებიდან მოსდიოდა. ამის გარდა მას, როგორც სამეფო კარის ისტორიკოსს, ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო არქივებში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებზეც (1. 13).

აღნიშნული გარემოება პროკოპი კესარიელის თხზულებას მეფე გუბაზისა და, საერთოდ, VI საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს შესახებ უბრწყინვალეს წყაროს ხასიათს აძლევს (2. 42).

პროკოპი კესარიელის თხზულებაში ამბების თხრობა 552 წელზე წყდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, მეფე გუბაზი ამის შემდეგაც ცოცხლობდა და, ცხადია, მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდი პროკოპის თხზულებაში ვერ აისახებოდა. არა და ეს ხანა გუბაზის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია.

პროკოპი კესარიელის ამ თხზულების მონაცემებით უხვად ისარგებლა ივ. ჯავახიშვილმა თავის ქართველი ერის ისტორიის პირველ ტომში. აღსანიშნავია, რომ ისეთი საკითხების გაშუქებისას, როგორც არის იბერიის აჯანყება გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელების წინააღმდეგ და ამისი შედეგები, „საუკუნო ზავი" სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, ბიზანტიელების პოლიტიკა და მოღვაწეობა ლაზეთში, ლაზეთის აჯანყება გუბაზ მეფის მეთაურობით ბიზანტიელების წინააღმდეგ და სხვ. ივ. ჯავახიშვილი პროკოპი კესარიელის თხზულების მიხედვით მსჯელობდა (3. 283-295).

მაგრამ პროკოპი კესარიელის ამ თხზულების სიკეთე ქართველმა ისტორიკოსებმა განსაკუთრებით მას შემდეგ უფრო იგრძნეს, რაც 1934 წელს, მისი შერჩევითი ქართული თარგმანი გამოიცა. მთარგმნელმა, პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა, ტექსტს თან (1) ბევრი მნიშვნელოვანი განმარტებაც დაურთო.

1965 წელს ხელახლა გამოვიდა „გეორგიკის" II ტომი (2). ცხადია, პროკოპი კესარიელის თხზულების ქართული თარგმანიც შიგ შევიდა. ეს გამოცემა პირველისაგან აშკარად განსხვავდება, კერძოდ კი თავისი მრავალრიცხოვანი კომენტარებით.

პროკოპი კესარიელის თხზულებანი დიდ ყურადღებას იმსახურებენ მთელ მსოფლიოში. 1950 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მისი „De bello gothico"-ს რუსული თარგმანი, შესრულებული ს. კონდრატიევის მიერ (4). თარგმანს წინ უძღვის ზ. უდალცევის შესავალი წერილი „Прокопий Кесарийский и его „История войн с готами".

საერთოდ, პროკოპი კესარიელის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა შეიქმნა. ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების პროკოპიანას შესახებ საყურადღებო მიმოხილვა დაიბეჭდა საბ-

ჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „Византийский временник"-ის №48-ში 1987 წელს. მიმოხილული ლიტერატურიდან კარგად ჩანს, თუ რა სერიოზულად ეკიდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარები პროკოპი კესარიელის ყოველ ცნობას (5. 193-198).

ცხადია, როდესაც ამ ღირებულების ისტორიულ წყაროსთან გვაქვს საქმე, ეს იმას ნიშნავს, რომ პროკოპის თხზულებებში აშკარა და დიდ ცდიმილებასთან ადგილი არ უნდა გვქონდეს. ეს იმედს გვისახავს, რომ გუბაზ მეფის ცხოვრებამოღვაწეობის ამსახველი მისი ცნობებიც სანდო იქნება და ხელს შეგვიწყობს ამ ჩვენი დიდი წინაპრის პორტრეტის სისრულით აღდგენაში.

პროკოპი კესარიელის „პოლემიკის" პირველი ორი წიგნის გარდა, ჩვენთვის მის „საიდუმლო ისტორიას"-აც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს თხზულება იმით არის საინტერესო, რომ მასში, ავტორისათვის დამახასიათებელი უარყოფითი შეფასებებით, გადმოცემულია სპარსელ-ბიზანტიელთა მიერ ლაზიკაში წარმოებული ომების ეპიზოდები, სხვანაირად არის გაგებული ბიზანტიელების მიერ ეგრისში დამყარებული ვაჭრობის მონოპოლია და სხვ. რაც მთავარია დამატებითი მონაცემებია მოტანილი იმპერატორ უსტინიანეს შინაგანი ბუნების დასახასიათებლად. პროკოპის მონაცემების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ავხსნათ იმის საიდუმლო, თუ რატომ გასწირა იუსტინიანე იმპერატორმა სასიკვდილოდ თავისი მოკავშირე კოლხეთის მეფე გუბაზი, ხოლო შემდეგ, როდესაც კოლხეთში მის ხელისუფლებას საძირკველი შეერყა, უდრტვინველად დაახოცვინა მასთან შეკრული და სათანადოდ ნაქეზებული გუბაზის მკვლელები.

პროკოპი კესარიელის „საიდუმლო ისტორია" პირველად აღმოაჩინა და გამოსცა ვატიკანის ბიბლიოთეკის მცველმა ნიკოლოზ ალემანიმ 1623 წელს (6). ამ თხზულების ავტორისეული დასათაურება ცნობილი არ არის. რაც შეეხება ლექსიკოგ-

რაფ სვიდას, თავის ლექსიკონში იგი ამ ნაშრომს „ეგრეთწოდებულ გამოუქვეყნებელს" უწოდებს და „ომების" მეცხრე წიგნად თვლის (7. 442).

პროკოპი კესარიელის ეს თხზულება საგანგებო მიზნით არის დაწერილი. ავტორი წიგნის დასაწყისშივე განმარტავს ნაშრომის მიზანს. „ტომით რომაელებს რაც აქამდე ბრძოლებში თავს გადახდათ, - წერს იგი, - მე ისე აღვწერე, როგორც ძალა შემწევდა, საქმეთა მსვლელობას მოხერხებულად ვუკავშირებდი დროსა და ადგილს, მაგრამ ამიერიდან ჩემს თხრობას სხვა გზით წარვმართავ. ახლა უკვე დაწვრილებით აღვწერ ყველაფერს, რაც რომაელთა მმართველობის დროს ხდებოდა" (8. 21).

იგი გულწრფელად აღიარებს, რომ აქამდე ე. ი. სხვა თხზულებებში სიმართლეს მალავდა და ახლა სურს სხვანაირად წარმართოს თხრობა. „ჩემს მიერ სიმართლის დამალვის მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმის ჩამდენი ადამიანები ისევ ცოცხლები იყვნენ და გარემოება მოითხოვდა, ასე მეწერა. ვერ დავემალებოდი გარშემო მყოფ მრავალ მეთვალყურეს და ვერც საზარელ სიკვდილს დავაღწევდი თავს, რადგან ჩემს დასაცავად არც ახლობლებს და არც ნათესავებს არ აღმოაჩნდებოდათ სიმამაცე. სწორედ ამის გამო იძულებული ვიყავი, ჩემს წინა თხზულებებში მრავალი რამ დამეფარა. ამ მოთხრობაში კი უნდა ავხსნა იმის მიზეზები, რაზეც აქამდე ვდუმდი, რაც უწინ არ გავამჟღავნე", – წერს იგი (8. 21).

ამის შემდეგ ისტორიკოსი იძლევა თავისი თანამედროვე რომის იმპერიის მრავალი ცნობილი პირის იმდენად მკაცრ და მუქ დახასიათებას, რომ მკვლევრები ამას ზედმეტ კრიტიკულ დამოკიდებულებადაც კი უთვლიან და ცდილობენ ასეთი ქცევის საფუძვლები სხვადასხვანაირად ახსნან.

ამრიგად, პროკოპი კესარიელის „საიდუმლო ისტორიის" სახით ხელთ გვაქვს წყარო, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს ახსნას ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების მიერ

VI საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოში გატარებული ზოგიერთი პოლიტიკური ნაბიჯის ჭეშმარიტი საფუძველი*

გუბაზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლების (552 წლიდან 554 წლამდე) წარმოსადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს VI საუკუნის მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის ისტორიული ხასიათის თხზულებას „იუსტინიანეს მეფობა"-ს.

„იუსტინიანეს მეფობა" პროკოპი კესარიელის 552 წელზე შენყვეტილი თხზულების გაგრძელებაა და 552-558 წლებს მოიცავს. მასში აგათია სქოლასტიკოსი გუბაზ მეფის დარჩენილი წლების ამსახველ ისტორიასაც მოგვითხრობს და განუზომელ სამსახურს უწევს კოლხეთის მეფის ბიოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევრებს.

აგათია მემნონის ძე დაიბადა 536 წელს მცირე აზიის ეოლიის ქალაქ მირინაში. პროკოპის მსგავსად მანაც იურიდიული განათლება მიიღო და ვექილად დაიწყო მუშაობა. იგი პოეტიც იყო. გარდაიცვალა 582 წელს.

საერთოდ, ცნობილია, რომ საკუთარ ბიოგრაფიულ ცნობებს აგათია თავის „ისტორიაში" იძლევა.

თხზულების წერას აგათია იუსტინიანე კეისრის გარდაცვალების (565 წ.) შემდეგ შეუდგა. მას პროკოპი კესარიელის თხზულების გაგრძელება ჰქონდა მიზნად დასახული. მაგრამ, სამწუხაროდ, მიზანი მიუღწეველი დარჩა და თხზულება მხოლოდ 558 წლამდე მიიყვანა.

აგათიას თხზულება „იუსტინიანეს მეფობის შესახებ" ხუთი წიგნისაგან შედგება და 552-558 წლებს მოიცავს. პირველი წიგნი და მეორე წიგნის ნახევარი დასავლეთის ფრონტზე

---

* პროკოპი კესარიელის „საიდუმლო ისტორიის" უფრო სრული დახასიათება იხ. წიგნში „პროკოპი კესარიელი, საიდუმლო ისტორია. ძველი ბერძნული თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ. თბ., 1989 წ., გვ. 3-18.

მიმდინარე მოვლენებს ეხება, დანარჩენებში კი აღმოსავლეთში წარმოებული ბრძოლებია აღწერილი.

სანდოობის თვალსაზრისით აგათია პროკოპი კესარიელს არ ჩამოუვარდება, თუმცა ერუდიციითა და სამწერლო ნიჭით მას ვერ შეედრება.

სხვა წყაროთა გვერდით აგათიას სპარსული ქრონიკებიც გამოუყენებია, რის შესახებაც თვითონვე მოგვითხრობს. მას დასახელებული ჰყავს მისთვის საჭირო სპარსული წყაროების ბერძნულ ენაზე მთარგმნელის სახელი სერგი. როგორც აკად. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს მისი თხზულება „552-558 წლების პერიოდისათვის ჩვენთვის ძირითად წყაროს წარმოადგენს"*

აგათია სქოლასტიკოსის თხზულების შერჩევით ქართული თარგმანი შეასრულა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა. ეს თარგმანი 1936 წელს დაიბეჭდა „გეორგიკის" მესამე ტომში (9, 23-187).

§ 2. ლიტერატურა

გუბაზ მეფის შინაარსიანი ცხოვრების მიუხედავად მის შესახებ არსებული ლიტერატურა დღემდე ძალიან ღარიბია. არ დაწერილა საგანგებო მონოგრაფია,არ შესწავლილა მისი ბიოგრაფიული მონაცემები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიის შესწავლა მთლად უყურადღებოდ იყოს დარჩენილი. ქართულ სამეცნიერო წრეებში მის შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყეს, როდესაც ჟურნალ „ცისკრის" 1864

---

* აგათია სქოლასტიკოსის ბიოგრაფიული მონაცემები აღებული გვაქვს 1936 წელს გამოცემული „გეორგიკის" III ტომიდან, სადაც ამ ისტორიკოსის თხზულების შერჩევითი თარგმანიც დაიბეჭდა.

ნლის ივნისის, ივლისის და აგვისტოს ნორმებში დაიბეჭდა შვეიცარიელი მეცნიერის დიუბა დე მონპერეს საყურადღებო წერილი „კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამდინ საქართველოში ყეენის ქასრესი". სტატია ქართულად თარგმნილი და კომენტირებული იყო ი. მოსიძის მიერ (10).

სტატიის დასაწყისში მთარგმნელი სამართლიანად უსვამს ხაზს დიუბუას გამოკვლევის დიდ მნიშვნელობას. მისი განცხადებით „ეს სტატია დიდად შესანიშნავია, ამისათვის რომ ამაში არიან აღწერილნი ბევრნი პოლიტიკური მოქმედებანი მომხდარნი საქართუჰლოსა და კოლხიდაში, როგორც ქრისტეს წინ, აგრეთვე შემდგომადაც ნამეტნავად მეხუთესა და მეექვსეს საუკუნეებში. რომაელთა ჰქონდათ დიდი გავლენა ამ ქუჰყნებზე, მაგრამ ჩუჰნი ისტორია კი სრულიად არაფერს მოგვითხრობს მათზე".

დიბუა დე მონპერე (Dubois de Montpereux) ფრედერიკ შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი იყო. მას ნევშატელის აკადემიაში პროფესორის ადგილი ეკავა. 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ყირიმსა და ამიერკავკასიაში. თავისი მოგზაურობის შედეგები 1839-1845 წლებში ექვს ტომიან ნაშრომად გამოაქვეყნა (ნაშრომს თან ახლავს დიდი ატლასი) (11).

დიბუას ამ მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიიპყრო და სულ მალე სხვაადსხვა ენებზე ითარგმნა (12. 13. 14).

კოლხეთის ისტორიის წერისას დიბუა დე მონპერე თავის თხრობას რომის სარდალ პომპეუსის კოლხეთში შეჭრითა და დაბყრობით იწყებს. მეტ-ნაკლები სიზუსტითა და სისრულით გადმოგვცემს კოლხეთ-რომის შემდგომ ურთიერთობას, სპერსეთის ცდას გაეძევებინა კოლხეთიდან რომის იმპერია და თვითონ დამკვიდრებულიყო ამ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქვეყანაში.

ჩვენ, მთელი ნაშრომის ანალიზს თავს ავარიდებთ და

მხოლოდ იმ მონაკვეთის მიმოხილვით შემოვიფარგლებით, რომელიც უშუალოდ მეფე გუბაზსა და მის ეპოქას ეხება.

იმთავითვე ცხადი ხდება, რომ დიბუა დე მონპერე ზედმიწევნით კარგად იცნობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსების პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებს. არც არის გასაკვირი, რადგან ეს მნიშვნელოვანი წყაროები ევროპაში, საქართველოდან განსხვავებით, კარგახნით ადრე შევიდნენ მეცნიერულ ბრუნვაში. მთელი ის თხრობა გუბაზის მეფობას რომ შეეხება, ემყარება დასახელებულ ისტორიკოსთა მონაცემებს. ყურადღებას იმსახურებს დიბუას მიერ დასავლეთ საქართველოს ადგილ-მდებარეობის კარგი ცოდნა. როგორც უკვე ითქვა, ამ პიროვნებამ, 1831-1834 წლებში, თვითონ იმოგზაურა საქართველოში და მისთვის ესოდენ საინტერესო დასავლეთ საქართველოც საკუთარი თვალით ნახა.

საინტერესოა მისი მსჯელობა პეტრას ციხის მდებარეობაზე*, ანაკოპიაზე (10.VII. 233-234) და სხვ. საერთოდ დიბუას წერილის ის მონაკვეთი, რომელიც გუბაზსა და მისი მოღვაწეობის ხანას ეხება, დაწერილია საინტერესოდ და იმ ეპოქის შესწავლის უბრალო მსურველს თუ სპეციალისტს დიდ დახმარებას უწევს. დიბუას სტატიის მნიშვნელობა, ალბათ, იმითაც განისაზღვრებოდა, რომ გუბაზ მეფის შესახებ არსებული წყაროები (პროკოპი კესარიელისა და აგათიას თხზულებათა სახით) ქართულ ენაზე მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ითარგმნენ და დაიბეჭდნენ.

გუბაზ მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მან თავის „ქართველი ერის ისტორიის" I ტომში, რომლის პირველი

---

* დიბუას აზრით პეტრას ციხე „იყო იმ მხარეზე, რომელსა ახლა ჰქვია გურია, მაღალს კლდიან ადგილზე, სკორდებსა და ნატანებს შორის, სადაც დღესაც ჰსჩანს ნაციხოვანები, რომლის მცხოვრებნი უწოდებენ უჯენარს (10. VII, 220-221).

ვარიანტი 1908 წელს, ხოლო გადამუშავებული ვარიანტები 1913 და 1928 წლებში გამოქვეყნდა, მის საქმიანობასაც სათანადო ადგილი დაუთმო (3. 286-299; 15. 247-258).

ივ. ჯავახიშვილმა პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობებზე დაყრდნობით მოკლედ მიმოიხილა ა) ბიზანტიელების წინააღმდეგ ლაზიკის აჯანყება მეფე გუბაზის მეთაურობით, ბ) სპარსეთის მეფე ხოსროს ვერაგული გეგმა გუბაზისა და მისი ხალხის წინააღმდეგ, გ) გუბაზ მეფის განდგომა სპარსთა მოკავშირეობისაგან და მათი ლაზიკიდან განდევნა, დ) ბიზანტიელების მიერ მეფის ვერაგული მოკვლა და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შესრულებული სამუშაო, თავის დროზე, ჩვენს ისტორიოგრაფიაში შეტანილი დიდი წვლილი იყო. ივ. ჯავახიშვილი საქვეყნოდ აღიარებული ისტორიკოსი იყო და გუბაზის საქმიანობის მის „ქართველი ერის ისტორიაში" დაფიქსირება ამ დიდი მოღვაწის სხვა ქართველ პოლიტიკოსების გვერდით დაყენებას ნიშნავდა. ამრიგად, VI საუკუნის 30-50-იანი წლების მოღვაწე გუბაზი, რომლის შესახებ ქართულ წყაროებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ, ამაყად დამკვიდრდა ქართული ისტორიის ფურცლებზე.

მაგრამ მეფე გუბაზის საქართველოს ისტორიისათვის დაბრუნების საქმეში ყველაზე დიდი წვლილი აკად. ს. ყაუხჩიშვილმა შეიტანა. 1934 წელს მან დაბეჭდა „გეორგიკის" II ტომი, რომელშიც სხვა ავტორების ცნობების გვერდით, პროკოპი კესარიელის ცნობებიც იყო შეტანილი. აქ მოთავსდა VI საუკუნის ამ გამოჩენილი ისტორიკოსის ყველა მონაცემი არამარტო გუბაზზე, არამედ მთელ საქართველოსა და ქართველებზე (1. 11-195).

თარგმანს თან ახლავს ს. ყაუხჩიშვილის მრავალრიცხოვანი და უაღრესად საჭირო კომენტარი, რომელთა წყალობითაც პროკოპი კესარიელის თხზულების არაერთი, ჩვეულებრივი მკითხველისათვის გაუგებარი ადგილი, გასაგები გახდა.

სამაგალითოდ გამოდგება მისი კომენტარი ფარსმან კოლხის (1. 17-18) ანდა ციხე-სიმაგრე პეტრას შესახებ (1. 58-60) და სხვ.

პროკოპი კესარიელის ცნობების ქართულმა თარგმანმა და შინაარსიანმა შენიშვნებმა VI საუკუნის საქართველოს ისტორიისა და კერძოდ, გუბაზ მეფის საქმიანობის შესწავლის საქმე, მნიშვნელოვნად წასწია წინ. მაგრამ საქმე ამაზე არ შეჩერებულა. სულ მალე, 1936 წელს, ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა „გეორგიკის" III ტომი, სადაც სხვა ცხრა ბიზანტიელ ავტორთა ცნობების გვერდით, დასტამბულია VI საუკუნის მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის თხზულებიდან ამოკრებილი ცნობები გუბაზისა და, საერთოდ, საქართველოზე (9. 23-187).

ს. ყაუხჩიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „გეორგიკის" ეს ტომიც მაღალმეცნიერულ დონეზეა გამოცემული. აგათია სქოლასტიკოსის ცნობებს თან ახლავს ძვირფასი განმარტებები და სხვა წყაროებიდან მოტანილი პარალელური ცნობები. ამ ცნობათა უმრავლესობას ქართველი მკითხველი პირველად ს. ყაუხჩიშვილის თარგმანში გაეცნო. უნდა აღინიშნოს, რომ აკად. ს. ყაუხჩიშვილს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია გუბაზ მეფის შესახებ არსებული წყაროების თარგმნაზე მუშაობა. იგი მათ ხვეწდა და არქეოლოგიური თუ სხვა ხასიათის მონაცემების საფუძველზე ახლებურად იაზრებდა. ყოველივე ამან თავისი ასახვა ჰპოვა „გეოგრიკის" II და III ტომების ხელახალ გამოცემაში.

რაკი ასეთი შესანიშნავი წყაროები გაჩნდა, მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი ისტორიკოსები არ დააყოვნებდნენ და გუბაზ მეფის მოღვაწეობას ფართოდ გააშუქებდნენ. ეს ვარაუდი, სხვადასხვა მიზეზების გამო, მთლად არ გამართლდა. ეტყობა შემაფერხებლად მოქმედებდა XX საუკუნის 30-40-იანი წლების საბჭოთა კავშირში გაბატონებული სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც მეფეებზე, საერთოდ კი, გაბატონებულ

ნრეებზე თუ ინსტიტუტებზე წერას მეცნიერს მუშათა კლასის ინტერესების ღალატად უთვლიდა. არადა, გუბაზი იმდენად თვალწარმტაცი პიროვნებაა, რომ მისი მოღვაწეობის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელი იყო.

1941 წელს დაიბეჭდა პროფ. ს. მაკალათიას სქელტანიანი ნაშრომი - „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია" (16).

ავტორის განცხადებით სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა მას 1923 წლიდან დაუწყია. სხვადასხვა დროს მასალები შეუგროვებია აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და სხვ. რაიონებში. შეგროვილი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა მისი მონოგრაფიის ნაწილად იქცა (16. 180-373).

წიგნის ისტორიულ ნაწილში, კერძოდ მეორე განყოფილებაში, რომელიც „ლაზიკა-ეგრისი"-თ არის დასათაურებული, სხვადასხვა საკითხების განხილვის შემდეგ, ს. მაკალათია ირანისა და ბიზანტიის სახელმწიფოებს შორის ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის წარმოებულ ბრძოლებზეც მსჯელობს. აქ ავტორი ეხება მეტოქე ქვეყნებს შორის 532 წელს დადებულ ე. წ. „საუკუნო ზავის" დარღვევის მიზეზებს და, ცხადია, გუბაზ მეფეზეც უხდება ლაპარაკი. პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობებზე დაყრდნობით ავტორი მოკლედ გადმოგვცემს გუბაზის ბრძოლას ჯერ ბიზანტიელების, შემდეგ კი – სპარსელების წინააღმდეგ, ეხება მის დაღუპვას და მისი მკვლელების გასამართლებას (16. 47-59).

1944 წელს გამოქვეყნდა პროფ. გ. გოზალიშვილის საყურადღებო სტატია „ბიზანტია-ირანს შორის ბრძოლა იბერიალაზიკისათვის VI საუკუნეში" (17).

პროკოპი კესარიელის და აგათია სქოლასტიკოსის ცნობებზე დაყრდნობით ავტორი მოგვითხრობს გუბაზ II-ის ინიციატივით ეგრისის ტერიტორიაზე დაწყებულ ბიზანტია-ირანის ახალ ომზე და მის მნიშვნელოვან შემთხვევებზე. სტატია-

ში ლაპარაკია იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზეზებზე, რომლებმაც იმდროინდელი მსოფლიოს ეს ყველაზე დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს დააჯახა. შემჩნეულია გუბაზ მეფის ორიენტაციათა ცვლის საფუძვლებიც.

გუბაზ მეფის საქმიანობა, კერძოდ მისი ინიციატივით ბიზანტიელების წინააღმდეგ ირანელების ეგრისში მოწვევა, საერთაშორისო დონის პოლიტიკური ღონისძიება იყო. 542 წელი – ეგრის-ირანის კავშირის მიერ დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიის განდევნისათვის ბრძოლის დაწყება, აქამდე უკვე დარღვეულ ე. წ. „საუკუნო ზავს" მთლიანად აქარწყლებდა.

როგორც ცნობილია ირანის მესვეურთა ხარბი პოლიტიკის წყალობით ჩქარა მოკავშირეებს შორის უნდობლობა ჩამოვარდა და ამ კავშირის ინიციატორმა, ლაზეთის მეფე გუბაზმა, ცოტა ხნის წინ მტრად მიჩნეული ბიზანტიის მხარე დაიკავა.

გუბაზის პოლიტიკური ორიენტაციისა და, ამასთან დაკავშირებით, ეგრისის მრავალწლიანი თავდაცვითი ომის საკითხებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს აკად. ს. ჯანაშიას ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო ნაშრომში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში" (18. 1-127).

ს. ჯანაშია სამართლიანად მიუთითებს ეგრისის მიწაწყალზე წარმოებული ომის სიმძიმეებზე. მისი სიტყვით „ხშირად იცვლებიან სარდლები, უშუალო სამხედრო მოქმედებას თან სდევს სხვა ხერხებიცა და მოვლენებიც: მოსყიდვა, ღალატი, ვერაგობა, შური და ჯიბრი" (18. 56). გამარჯვების სასწორი ხან ერთ მხარეს იხრება, ხან მეორეს"

ეხება რა გუბაზ მეფის ვერაგულ მკვლელობას ბიზანტიელების მიერ ს. ჯანაშია წერს, რომ ამ მკვლელობამ „უაღრესად არია საქმეები. ლაზები გაუდგნენ რომაელებს" (18. 58).

ავტორი იმასაც ხაზს უსვამს, რომ გუბაზის სიკვდილით გამოწვეული საერთო აღშფოთებით მაშინვე ირანოფილურმა

ჯგუფმა ისარგებლა და ეგრისისაგან ბიზანტიელებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა მოითხოვა. თუმცა გუბაზის უმცროსი ძმის წათეს გამეფებით ქვეყანაში კვლავ ბიზანტიის ორიენტაციის პოლიტიკამ გაიმარჯვა (18. 58).

მეფე გუბაზის მოღვაწეობა სათანადოდ აისახა პროფ. ვ. გუჩუას პოპულარულ საკითხავ წიგნში „გადავხედოთ წარსულს".

ეს წიგნი 1967 წელს დაისტამბა. წიგნში „მოთხრობილია ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი თავდაცვითი ბრძოლების ამბები ძველი ისტორიის უკანასკნელ და შუა საუკუნეების ისტორიის პირველ პერიოდში" რაც ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეათე საუკუნემდე არსებულ ხანას გულისხმობს.

ეხება რა ქართველი ხალხის ბრძოლას ირანელი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ვ. გუჩუა საკმაოდ ვრცლად ჩერდება მეფე გუბაზის მოღვაწეობაზეც (19. 45-80). იგი პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობებს ყველასათვის ადვილად გასაგები ენით გადმოგვცემს და საისიამოვნო ეფექტსაც აღწევს. ამ ნაშრომმა თავის დროზე საკმაოდ დიდი აღიარება ჰპოვა.

1973 წელს გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II ტომი. ტომის ავტორები არიან შ. მესხია, ლ. ჯანაშია, ა. ბოგვერაძე, თ. გამსახურდია, ნ. ლომოური, გ. ლომთათიძე, თ. პაპუაშვილი, მ. ლორთქიფანიძე და ხელოვნებათმცოდნე ვ. ბერიძე. ამ ვეებერთელა ტომში (669 გვერდს მოიცავს) ეგრისის ბრძოლამ ირანელი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ სათანადო ადგილი დაიკავა. წიგნის მეოთხე თავის მეორე პარაგრაფი, რომლის ავტორია ა. ბოგვერაძე, მთლიანად ამ საკითხს ეთმობა (20. 249-268).

მოკლედ მიმოიხილავს რა ირანელების ზრახვებს დასავლეთ საქართველოს მიმართ, პროფ. ა. ბოგვერაძე საგანგებოდ ეხება ე. წ. „საუკუნო ზავის" შემდეგ ლაზეთში შექმნილ ვითა-

რებას. კერძოდ: ბიზანტიელთა მიერ სამხედრო ძალაუფლებისა და ეკონომიკური სადავეების ხელში აღების შედეგად ლაზეთის მდგომარეობის დამძიმებას. იგი ლაზეთის მეფე გუბაზს სამართლიანად მიიჩნევს ბიზანტიელთა წინააღმდეგ მოძრაობის დაწყების მეთაურად. შემდეგ იგი გადმოგვცემს გუბაზის მიერ შაჰ ხოსროსთან ელჩების გაგზავნისა და 542 წელს „საუკუნო ზავის" დარღვევის ამბავს.

ავტორი მოკლედ და სხარტად გადმოგვცემს მთელ იმ დაძაბულ ბრძოლებს, რომლებიც ლაზეთმა და მისმა მეფე გუბაზმა ჯერ ბიზანტიელების, შემდეგ კი – სპარსელების წინააღმდეგ ჩაატარა. გუბაზის მთელი თავგადასავალი, მისი ასპარეზზე გამოჩენიდან გარდაცვალებამდე, მოთხრობილია პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობათა საფუძველზე.

გუბაზ მეფემ სათანადო ადგილი დაიკავა პროფ. ლ. სანიკიძის ნაშრომებში. უპირველეს ყოფლისა დავასახელებთ მის სამტომეულ „უქარქაშო ხმლებს" (21). ავტორის სიტყვით მისი „უქარქაშო ხმლები" მხატვრულად დაწერილი ისტორიაა" (21. 8).

ავტორისავე განმარტებით ასეთი ხასიათის თხზულებას „დოკუმენტურ პროზასაც" უწოდებენ, რაც ისტორიული სინამდვილის მხატვრულად გადმოცემას გულისხმობს და არა არარსებული ისტორიის გამოგონებას.

გუბაზ მეფე თავისი დაუდეგარი ბუნებით, სამშობლო ქვეყნის დიდი სიყვარულითა და სამხედრო მოღვაწის საუცხო მონაცემებით მხატვრული აზროვნებისათვის ნამდვილი მარგალიტია. ლ. სანიკიძეს, რომელმაც არაერთხელ დაგვიმტკიცა თავისი მხატვრული ჭვრეტის დიდი უნარი, მისი სახება მხედველობიდან არ გამორჩენია. სხვა ავტორებისაგან განსხვავებით ლ. სანიკიძის „უქარქაშო ხმლებში" გუბაზ მეფე უფრო „ცოცხალია", „გაადამიანებულია". ავტორი ხშირად ახდენს გუბაზისდროინდელი ამბების მაღალმხატვრული ენით

თხრობას. სამაგალითოდ ერთ ადგილს მოვიტანთ.

„უცებ გუბაზმა პეტრას უმაღლეს ქონგურის მიღმა წამიერად იოანე ციბეს სქელ კისერს მოჰკრა თვალი, წამიერადვე გაისროლა.

იოანე ციბე გაქრა თვალსაწიერიდან. გუბაზს კრინტიც არ დასცდენია, რადგან არ იცოდა მოარტყა თუ არა საძულველი კაცის ქონიან კისერს. თურმე მოარტყა" (21. 166).

მაგრამ ისტორიულ წყაროებში გუბაზ მეფის მიერ იოანე ციბეს მოკვლის შესახებ ლაპარაკი არ არის. პროკოპი წერს, რომ ირანის შაჰის ხოსროს მიერ ქ. პეტრას იერიშისას „რაღაც შემთხვევით იოანეს კისერში ხვდება ისარი და კვდება და ამის გამო, დანარჩენი რომაელები სრულიად მოდუნდებიან" (1. 56).

მაგრამ მაინცდამაინც გუბაზის ისარმა მოჰკლა? საიდან ჩანს ეს? „უქარქაშო ხმლებში" ისეთი გააზრებები სხვაც ბევრია. მიუხედავად ამისა ლ. სანიკიძესთან კამათს არ ვაპირებთ, რადგან ის ჟანრი, რომელიც საქართველოს ისტორიის გადმოსაცემად აირჩია, მას ასეთ მხატვრული ჭვრეტის უფლებას აძლევს. ლ. სანიკიძის „უქარქაშო ხმლებმა" თავის დროზე უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ეროვნული გმირების, კერძოდ, გუბაზის ხალხისთვის გაცნობაში, რაც ავტორის დიდი დამსახურებაა.

პროფ. ლ. სანიკიძე გუბაზს თავის „დედა ისტორიის" პირველ ნაკვეთშიც შეეხო. მართალია აქ გაცილებით მცირე მოცულობა დაუთმო, მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ მკითხველს საკმაო ინფორმაცია მიანოდა (22. 47-54). გუბაზ II-ის შესახებ სათანადო საუბარია გუბაზ და ლევან სანიკიძეების ერთობლივ ნაშრომში „უბის ისტორია", 1".

წიგნის ავტორების აზრით გუბაზ II ნათე პირველის ძე იყო. მათი განცხადებით „იგი ჯერ განაგრძობს მამისგან დაწყებულ შეურიგებელ ბრძოლას სპარსელებთან. მერე როცა ბიზანტიისა და სპარსეთს შორის ე. წ. „მარადიული ზავი" დაიდო (532 წ.) და ეგრისი სპარსელთაგან გათავისუფლდა, ბი-

ზანტიის კეისარმა იუსტინიანემ ჯარები შეიყვანა ეგრისში" (23. 28-29).

ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამით გაღიზიანებულმა გუბაზმა შაჰინ-შაჰ ხოსრო ანუშირვანთან გააბა კავშირი (23. 28-29).

როგორც ქვემოთ გამოჩნდება აღნიშნულ საკითხებზე ჩვენს ნაშრომში განსხვავებული შეხედულებები გვაქვს გამოთქმული. მიუხედავად ამისა ავტორების აზრი გასათვალისწინებელია და ანგარიში უნდა გაეწიოს.

1994 წელს დაიბეჭდა პროფესორ შ. ბადრიძის წიგნი „საქართველოს ისტორია" (მოკლე სალექციო კურსი) წ. I.

XI ლექციაში, რომლის სათაურია „ეგრისის დიდი ომიანობა" ავტორი მოკლედ გადმოგვცემს იმ პოლიტიკურ ამბებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ეგრისში VI ს-ის 20-იანი წლებიდან 575 წლამდე – ირანის საბოლოო დამარცხებამდე. იგი ეხება წათე I-ის გამეფებას (523 წ.), ე. წ. „საუკუნო ზავს", ბიზანტიელთა ეკონომიკურ პოლიტიკას ეგრისში, ეგრისელების აჯანყებას ჯერ ირანელების, შემდეგ კი ბიზანტიელების წინააღმდეგ, მის დაღუპვას და სხვ. მართალია ამ წიგნს მეცნიერული დანიშნულება არ აქვს და იგი სტუდენტთა დასახმარებლად არის დაწერილი, მაგრამ ავტორი წიგნის იმ მცირე მონაკვეთზეც, რაც „ეგრისის დიდ ომიანობას" ეთმობა, მშვენივრად ახერხებს ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის უმთავრესი ამბების წარმოჩენას (24. 64-68).

გუბაზის საქმიანობა სათანადოდ აისახა 1958 წელს დასტამბულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში. აქ ცალკე პარაგრაფი (§8) აქვს მიძღვნილი VI საუკუნის ეგრისის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და, ცხადია, გუბაზის ხელმძღვანელობით ბიზანტიელებისა და სპარსელების წინააღმდეგ ომებსაც თავისი ადგილი უკავია. განსაკუთრებით დიდი ყურადღებით არის წარმოდგენილი სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყება. გუბაზის მთელ საქმიანობას წიგნის ერ-

თი ფურცელი ეთმობა, მაგრამ მასში მოხსენიებულია ყველა უმნიშვნელოვანესი ფაქტი (25. 101-102).

იგივე შეიძლება ითქვას ამ სახელმძღვანელოს რუსულ თარგმანზეც, რომელიც 1962 წელს გამოქვეყნდა (26. 104-106).

გუბაზ მეფისა და მისი თანამედროვე ეგრისის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სათანადოდ აისახა ნ. ასათიანის რედაქტორობით გამოსულ VIII-IX კლასების სახელმძღვანელოსა (27. 75-78) და გ. მელიქიშვილის რედაქტორობით დაბეჭდილ საქართველოს ისტორიის საკითხავ წიგნში (28. 65-74).

1977 წელს ჟურნალ „აის" მეორე ნომერში დაიბეჭდა მ. ზაქარაიას საყურადღებო სტატია „ეგრისის დიდი ომი"-ს პირველი ნაწილი. იმავე ჟურნალის 1998 წლის მეორე ნომერში ნაშრომის ბოლო ნაწილიც გამოქვეყნდა.

ავტორის აზრით იმპერატორმა იუსტინიანემ სრულად შეცვალა რომაელთა ხუთსაუკუნოვანი პოლიტიკა ამიერკავკასიაში, კერძოდ კი კოლხეთთან მიმართებაში. ამ პოლიტიკის არსი თავისუფალი ხალხების „სრულ დამორჩილებაში" მდგომარეობდა. იუსტინიანე იმპერატორი მიზნად ისახავდა ლაზეთში მეფობის მოსპობას (23. 76-77).

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბიზანტიელებისაგან შევიწროვებულმა ხალხებმა ძლიერ მფარველს დაუწყეს ძებნა და ამ მიზნით სპარსეთს სთხოვეს დახმარება. მისივე განცხადებით მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ახალი „მფარველი" მათ წინაშე „უფრო ნაკლებად იყო პასუხისმგებელი, ვიდრე ძველი".

ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს გუბაზ მეფის ელჩების მიერ წარმოთქმული სიტყვა ხოსრო შაჰის კარზე. აანალიზებს რა ამ ელჩობის მნიშვნელობას მ. ზაქარაია აღნიშნავს: „ლაზთა ელჩობა სპარსეთის კარზე არაა სპონტანური ბიზანტიელთა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად კოლხთა სოციალური

მდგომარეობის გაუარესებიდან გამომდინარე, არამედ ესაა სახელმწიფო დონეზე მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური, ეკონომიკური, საგარეო და საერთაშორისო ურთიერთობათა გადაწყვეტილებით".

მაგრამ ავტორისვე შენიშვნით ამ ელჩობას შედეგად კოლხთა სამეფოს დამხობა მოჰყვა (29. 77-79).

ძნელია მ. ზაქარაიას იმ აზრის გაზიარება, თითქოს ამ ელჩობას კოლხთა სამეფოს დამხობა მოჰყოლოდეს შედეგად. მართალია, ამ ელჩობის შედეგად კოლხთა საერთო მდგომარეობა მართლაც გართულდა, რადგან იგი ორი ძლიერი იმპერიის (ბიზანტიის და სპარსეთის) ბრძოლის ასპარეზად იქცა, მაგრამ სამეფოს დამხობა არ მოჰყოლია. კოლხეთის სამეფო მაშინაც არ დაცემულა, როდესაც ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა მეფე გუბაზი ვერაგულად მოჰკლეს. ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი ლაზეთის სამეფოს დაცემად არც გუბაზის თანამედროვეებს უღიარებიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ბიზანტიელების მოძულე პოლიტიკოსს. იმპერიის სამხედრო პირთა მიერ გუბაზის მოკვლა უსამართლო აქტად ჩაითვალა, ხოლო დაღუპულის ადგილზე მისი უმცროსი ძმა გაამეფეს. ლაზეთის სამეფოს არსებობა გაგრძელდა.

როგორც აღვნიშნეთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II ტომში სათანადო ადგილი დაეთმო მეფე გუბაზის ბიზანტიელებისა და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლას. მ. ზაქარაია არ იზიარებს წიგნის მეოთხე თავის მეორე პარაგრაფის ავტორის პროფ. ა. ბოგვერაძის მიერ გამოთქმულ აზრს მეფე გუბაზის ხოსროსთან წარგზავნილი ელჩობის საქმიანობის შეფასების შესახებ. მ. ზაქარაიას მიაჩნია, რომ ავტორი საგანგებოდ ამცრობს ამ მისიის მნიშვნელობას (29. 80).

მაგრამ პირადად ჩვენ მ. ზაქარაიას ამ აზრს ვერ გავიზიარებთ. მითითებულ ადგილზე ა. ბოგვერაძის მსჯელობაში რაიმე ტენდენციურობა არ ჩანს.

მ. ზაქარაიას ნაშრომის გაგრძელებაში, რომელიც ჟურნალ „აია"-ს 1998 წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა, გაანალიზებულია ბიზანტიისა და ირანის სახელმწიფო-პოლიტიკური ვითარება და მათ შორის მიმდინარე ომის მიზეზები. მითითებულია, რომ „იდეოლოგია სარჩული იყო ბიზანტიისა და ირანს შორის გაჩაღებული ომისა, თუმცა ომის დაწყების მიზეზად (ნანილობრივ მაინც) რელიგიური შეუთავსებლობა შეიძლება ჩაითვალოს". ხაზგასმულია, რომ ომის ერთ-ერთი მიზეზი ამ ორი ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ სწრაფვა და ძალაუფლების უზურპაცია იყო, რაც სათანადო გამოხატულებას პოულობდა მათ საგარეო პოლიტიკაში.

მ. ზაქარაიას სწორედ აქვს შენიშნული, რომ გუბაზ მეფემ და მისმა გარემოცვამ სასანური სპარსეთის სახელმწიფოს ბუნება ვერ განსაზღვრა. გუბაზ მეფე მტრის ხელით მტრის დამარცხების ტაქტიკას დაადგა. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ VI ს-ის ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესები ამ ქვეყანას ირანზე არანეკლებ აგრესიულს და დაუნდობელს ხდიდა. იმპერატორი იუსტინიანე „ცდილობდა რომის იმპერიის ძველი დიდების აღდგენას, რა თქმა უნდა, ახალ ხარისხში".

ჩვენ სამართლიანად გვეჩვენება ირან-ბიზანტიას შორის მიმდინარე ომის ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნაც: „ეგრისის დიდი ომის ნაყოფი უფრო არაბებმა მოიმკეს, ვიდრე ირანმა თუ ბიზანტიამ"-ო. მართლაც, ცნობილია, რომ ერთმანეთთან მრავალწლიანი ომებით დასუსტებული ირანი არაბეთმა დაიპყრო, ხოლო ბიზანტია კი ძალიან შეავიწროვა.

ამრიგად, მ. ზაქარაიას ნაშრომს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეგრისის დიდი ომის შესწავლის საქმეში.

მ. ზაქარაიას კრიტიკული დამოკიდებულება აქვს საქართველოს ისტორიის ნარკვევების რუსული თარგმანის იმ ადგილის მიმართაც, სადაც ეგრისის დიდ ომზეა ლაპარაკი (19. 30).

გუბაზ მეფემ ქართველ მკვლევართა ყურადღება მიიპყრო არა მარტო როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ, არამედ როგორც მჭერმეტყველმაც.

550 წელს ბიზანტიისა და ლაზეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა, მოხირისთან, სასტიკად დაამარცხა სპარსეთის ლაშქარი. მოკავშირეთა მხედრობას ბიზანტიელი სარდალი დაგისთე და ლაზეთის მეფე გუბაზი ხელმძღვანელობდნენ.

ბრძოლის წინ გუბაზმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც თავისი მებრძოლები სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლისკენ წააქეზა. გუბაზ მეფის ეს სიტყვა ქართული სამხედრო მჭერმეტყველების ყველაზე ადრინდელ ძეგლად ითვლება და სათანადო ადგილი დაიკავა ნ. კანდელაკის მიერ 1958 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული მჭერმეტყველება" (30. 104). ამ წიგნის ხელახალ ვარიანტებში მოცემულია გუბაზ მეფის სიტყვის, როგორც მჭერმეტყველების ნიმუშის, შეფასება და მოკლე ცნობები თვით გუბაზზე (31. 15-17).

დასახელებულ ნაშრომში ნ. კანდელაკს განხილული აქვს გუბაზ მეფის თანამედროვე ლაზი მოღვაწეების მჭერმეტყველების ნიმუშებიც. კერძოდ ხოსრო შაჰთან სტუმრად მყოფი ლაზი ელჩის სიტყვა, აიეტისა და ფარტაძის უაღრესად გონივრული მსჯელობანი გუბაზ მეფის დაღუპვის შემდეგ ლაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, გუბაზის მკვლელების სასამართლოზე კოლხი ბრალმდებლის გამოსვლა.

გუბაზ მეფის დიპლომატიურმა საქმიანობამ სათანადო ასახვა ჰპოვა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ მომზადებულ და გამოცემულ წიგნებში „ქართული დიპლომატია. წელიწდეული" ერთ-ერთი სტატიის ავტორი დ. ლეთოდიანი სხვა საკითხების გვერდით, ლაპარაკობს ე. წ. „უვადო ზავის" შემდეგ დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ლაზთა მეფე გუბაზის მიერ ბიზანტიელე-

ბის წინააღმდეგ საბრძოლველად ირანის შაჰთან პოლიტიკური კავშირის დამყარებაზე. ამასთან დაკავშირებით იგი მოკლედ მიმოიხილავს ხოსრო ანუშირვანისადმი მიმართულ ლაზი ელჩების სიტყვის დიპლომატიურ მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ სტატია შაჰ ხოსროს მიერ ლაზი ელჩებისათვის დახმარების აღთქმით შემოიფარგლება (32. 80-94), მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გუბაზ II-ის მოღვაწეობის კვლევის საქმეში. სტატია იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ავტორი, სხვა მკვლევარებისაგან განსხვავებით, ძალიან საყურადღებო ახსნას უძებნის ბიზანტიელი ისტორიკოსების იოანე მალალასა და თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობებს 535 წელს ბიზანტიაში ქართლის მეფე ძამანარძეს ჩასვლის შესახებ (32. 82-89).

დ. ლეთოდიანის ეს სტატია შემდეგ გადაიბეჭდა 1998 წელს გამოსულ „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების" I ნაწილში (33. 106-119).

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ისტორიის სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ სხვა მნიშვნელოვანი პროდუქციაც გამოსცა. კერძოდ, 1997 წელს – ქართული დიპლომატიური ლექსიკონის" 1 ტომი (34), ხოლო მომდევნო წელს – ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების ორტომეული (35).

„ქართული დიპლომატიის ლექსიკონში" გუბაზ II-მ სათანადო ადგილი დაიკავა, ხოლო „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებში", გარდა ზემოთ ნახსენები დ. ლეთოდიანის სტატიისა, შევიდა აგრეთვე პროფ. ნ. ლომოურის სტატია „დიდი ომიანობა" ეგრისში VI ს-ში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები", აგერთვე დ. ლეთოდიანის საყურადღებო წერილი „აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (VI-VIII საუკუნეები)".

ნ. ლომოური, დასახელებულ სტატიაში სამართლიანად აღნიშნავს, რომ ე. წ. „უვადო ზავის" იმედი არც ბიზანტიას

ჰქონდა და არც ირანს. მათ ეს ზავი საკუთარი ინტერესების მისაღწევად სჭირდებოდათ და შემდგომი შეტაკებისათვის მონდომებით ემზადებოდნენ. ომის დაწყების საბაბად იქცა გუბაზ მეფის მიერ ხოსრო შეჰისათვის დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიელების განდევნაში შემწეობის თხოვნა (36. 120).

შემდეგ ავტორი მოკლედ გადმოგვცემს ომის მსვლელობას, მოქიშპეებს შორის დადებულ დროებით ზავებს, გუბაზ მეფის მოკვლას, ეგრისის მოსახლეობის მიერ ახალი პოლიტიკური ორიენტაციის ძიებას და, ბოლოს, ეგრისის მეფედ წათეს დამტკიცებას (36. 120-124).

ავტორი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ბიზანტიელების ახალ პოლიტიკაზე, რაც დასავლეთ საქართველოს ცალკეული ოლქების უშუალოდ დაპატრონებასა და აქ თავისი ადმინისტრაციული მმართველობის დამყარებაში მდგომარეობდა. იგი ხსნის ამ პოლიტიკის საფუძვლებს (36. 122).

„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები"-ის I ნაწილში, კერძოდ IV თავში შესული დ. ლეთოდიანის გამოკვლევა (§3) მიზნად ისახავს აფხაზეთის (აბაზგია) საკითხის გარკვევას ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობაში (VI-VIII საუკუნეებში). მისი დასკვნით კლისურიდან მდ. აქენტამდე არსებული ტერიტორია უძველესი დროიდან კოლხიდის (ეგრისის), II-IV საუკუნეებში სანიგეთის, ხოლო IV-VI საუკუნეებში ეგრისის (ლაზიკის) სამეფო სახელს ატარებდა, VIII ს-ის დასაწყისიდან ინოდა აფხაზეთად. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, – წერს ავტორი, რომ აფხაზეთის სახელის გავრცელება უშუალოდ ბიზანტიის პოლიტიკის შედეგია. ბიზანტიის უშუალო მმართველობა აფხაზეთად წოდებულ გაერთიანებაში VIII ს-ის 30-40-იან წლებამდე გრძელდებოდა (37. 141). სხვა საკითხთა გვერდით ლ. ლეთოდიანი ეხება თვით მეფე გუბაზს და მის მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკასაც. იგი მიუთითებს გუბაზის

პოლიტიკური ორიენტაციის ცვალებადობაზე და მის საფუძველზე (37. 123, 140).

გუბაზ მეფის ბრძოლამ ეგრისის დამოუკიდებლობისათვის შესაბამისი ადგილი დაიკავა ი. ანთელავას რედაქციით გამოსული საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლების დამხმარე კურსსა (37ᵃ. 55-57) და სამეგრელოს, კოლხეთის, ოდიშის არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრების და ეთნოლოგიის ნარკვევებში (37ᵇ. 107-115).

წიგნის ის ნაწილი, რომელშიც გუბაზ II-ის ეპოქაა აღწერილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ თ. ბერაძეს ეკუთვნის. ავტორი ეგრისის ირანთან დაახლოების მიზეზების ძიებისას ყურადღებას სამართლიანად ამახვილებს ბიზანტიის იმპერიის იმ არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც ე. წ. „მონოპოლის" შემოღებაში გამოიხატებოდა. თ. ბერაძე სამართლიანად მიუთითებს გუბაზ II-ის მიერ ირანელების მოწვევის ნაკლზე და აღნიშნავს იმ განსხვავებას, რაც გუბაზ I-ის და გუბაზ II-ის ეპოქებს შორის არსებობდა.

„როდესაც ეგრისი პირველად გადავიდა ირანელთა მხარეზე, - აღნიშნავს მკვლევარი, - ვითარება ძალზე შეცვლილი იყო. მაშინ ქართლში მეფობა ჯერ კიდევ გაუქმებული არ იყო, ამიტომ ირანი ეგრისის მორჩილების გარეგნულ აღიარებაზეც თანახმა იყო. ახლა ასეთი მორჩილება მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა და ეგრისის შინაურ საქმეებში ჩარევა დაიწყო, მით უფრო რომ ეგრისში მისი ჯარის ნაწილები იდგა" (37ᵃ. 110).

ავტორს შენიშნული აქვს აგრეთვე ეგრისელებსა და ირანელებს შორის არსებული რელიგიური თუ სხვა ცხოვრებისეული განსხვავებათა არსებობაც (37ᵇ. 114), რაც თავის დროზე პროკოპი კესარიელმა წარმოაჩინა. საერთოდ, ამ მოკლე ნარკვევში, 541-554 წლების უმთავრესი მოვლენები სწორედ არიან წარმოდგენილნი.

ბოლო ხანს გუბაზოლოგიურ ლიტერატურას რამდენიმე საჭირო ნაშრომი შეეძინა, რამაც საქართველოს ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწეზე წარმოდგენა შესამჩნევად გაგვიფართოვა. ესენია: ჩემი მონოგრაფია „ეგრისის (ლაზეთის) მეფე გუბაზ II-ის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი" (38) და ორი განმაზოგადებელი წერილი: ჩემივე – მეფე გუბაზ II ორი ცივილიზაციის ჭიდილში (39. 165-168) და ჯაბა სამუშიას „გუბაზ II" (40. 43-47).

ასეთია ის ლიტერატურა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო პირი, მეფე გუბაზი, ასე თუ ისე მოხსენიებულია. ამ ლიტერატურის* ერთი თვალის გადავლებითაც კი აშკარა ხდება, რომ მიმოხილულ ნაშრომთა ავტორები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლით არიან დაინტერესებულნი და გუბაზსაც მხოლოდ ამის გამო ეხებიან. თავიანთი მიზნებისაგან გამომდინარე, ისინი უნებლიედ, თავს არიდებენ ისეთ საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა გუბაზის გვარი, მშობლების ვინაობა, გამეფების თარიღი, პირადი ხასიათი და სხვ.

ისტორიული პირის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა, კერძოდ ბიოგრაფიული მონაცემების გამომზეურება, უპირველეს ყოვლისა, საგანგებო მუშაობის ჩატარებას მოთხოვს. კვლევა ისე უნდა იქნეს წარმართული, რომ მკითხველმა აშკარად დაინახოს გუბაზ მეფის როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები, შეიგრძნოს მისი, როგორც გმირის, სიდიადე და იმ საქმიანობის მნიშვნელობა, რომელსაც იგი ეწეოდა.

---

* წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა დიდი ხნის დამთავრებული მქონდა და წიგნი უკვე გამომცემლობასაც ჩავაბარე, როდესაც გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის საინტერესო ნაშრომი „საქართველო IV-VIII საუკუნეებში".

სამწუხაროდ, აღნიშნული გამოკვლევის სათანადო ადგილების გათვალისწინება მხოლოდ მეორე კორექტურის პროცესში შევძელით.

ამა თუ იმ პირის, კერძოდ, ისტორიულის, მოღვაწეობა, მეტწილად, მისი პირადი ხასიათით არის განპირობებული. გუბაზი თავისებური ხასიათის კაცი ჩანს და მისი საქმიანობაც მეტწილად, ამ ხასიათის ანარეკლი უნდა იყოს. სად, რა გარემოში ჩამოყალიბდა იგი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, რამ შეუწყო ხელი მის სწორედ ასეთი და არა სხვა ხასიათის ჩამოყალიბებას, რა ხასიათის ადამიანებში უხდებოდა საქმიანობა, როგორ მოქმედებდნენ ისინი მასზე და პირიქით – როგორ პასუხობდა იგი მათ ქცევებს და სურვილებს? ეს ისეთი კითხვებია, რომლებიც ყველა პოლიტიკური მოღვაწის მიმართ შეიძლება აღიძრას.

მეფე, მით უმეტეს ქართველი, აზიისა და ევროპის შესაყარზე მცხოვრები ერთმმართველი, თავისი პოლიტიკური მენტალიტეტით და, ცხადია, საქმიანობით წარუშლელ კვალს ამჩნევს სახელმწიფოს ცხოვრებას. ამიტომ, სასურველია, რომ ისიც განისაზღვროს თუ როგორი უშუალო წინაპრები ჰყავდა, როგორი სხეულის სიჯანმრთელე გააჩნდა, რომელიმე მძიმე ავადმყოფობის გადატანა ხომ არ მოუხდა, რამაც, შესაძლებელია, ცუდი ზნე დაუტოვა. ანდა, როგორ აღზარდეს იგი, ცხოვრებისთვის როგორ მოამზადეს?

საკითხისადმი სწორედ ასეთი მიდგომა ვცადეთ 1999 წელს გამოცემულ წიგნში „ეგრისის (ლაზეთის) მეფე გუბაზ II-ის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი" (38). ნაშრომში განხილული საკითხები – გუბაზ მეფის ადგილი ლაზ მეფეთა სიაში, ძიებანი გუბაზ მეფის გვარის შესახებ, გუბაზ მეფის მახლობლები, გუბაზ მეფის დაღუპვა, ნათქვამს აშკარად ადასტურებენ. წინამდებარე მონოგრაფიაშიც კვლევის სწორედ ამ თვალსაზრისით წარმართვას ვაპირებთ.

მეორე თავი
გუბაზ მეფის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

§ 1. გუბაზ მეფის ადგილი ეგრისის (ლაზეთის) მეფეთა სიაში

წყაროებში მეფე გუბაზი ე. წ. „უვადო ზავის" დარღვევის წინა – 541 წელს ჩნდება. პროკოპი კესარიელის თხზულებაში, რომელიც გუბაზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, აღნიშნულია, რომ დასახელებულ წელს ლაზეთის მეფის ელჩები ირანის შაჰ ხოსრო I ანუშირვანს (531-579 წწ.) ესტუმრნენ და ლაზეთის მეფის სურვილი გადასცეს.

„ახლა კი ჩვენ და ლაზეთის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ", - განაცხადეს მათ (1. 49).

ლაზეთის ელჩები ხოსროსადმი მიმართვაში სხვა შემთხვევაშიც ახსენებენ თავიანთ მეფეს. კერძოდ, უხატავენ რა შაჰს ბიზანტიელების მიერ ლაზეთში დამყარებულ ძალადობას, აღნიშნავენ: ბიზანტიელებმა „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეში თვითონ მიითვისეს. მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინიან"-ო (1. 50).

პროკოპი კესარიელს ლაზეთის ელჩების ხოსროსადმი მიმართვის მთელი ტექსტი სიტყვასიტყვით აქვს მოტანილი, საიადანაც ჩანს, რომ მათ და ლაზთა მეფეს ირანთან სამხედრო კავშირის დამყარებისა და საერთო ძალით ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების სურვილი აქვთ. მარათალია ისტორიკოსი ლაზთა მეფის სახელს არ ახსენებს, მაგრამ აშკარაა, რომ გუბაზ მეფეს გულისხმობს. ეს იქიდან ჩანს, რომ როდესაც ლაზეთის ელჩებმა ირანის შაჰი ბიზანტიელებთან

ომზე დაითანხმეს და ლაშქრით შუა კოლხეთს ჩაიყვანეს, მასთან „მოვიდა გუბაზი, ლაზთა მეფე, ეთაყვანა ხოსრო კავადის ძეს, ვითარცა ბატონს, და თავისი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა" (1. 54).

ამის შემდეგ პროკოპი კესარიელის თხზულებაში გუბაზი ხშირად იხსენიება. მისი და ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსის შემწეობით გუბაზის მიერ ჩატარებული ბრძოლების, მისი დაღუპვისა და ამასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ბევრი რამ ვიცით. მაგრამ პროკოპი კესარიელის მიერ ლაზეთის ელჩობასთან დაკავშირებით მის მოხსენებამდე, ამ დიდი მოღვაწის შესახებ არაფერი არ არის ცნობილი. პროფ. ნ. ლომოურის განცხადებითაც „ეგრისის სამეფოს ისტორიის შესახებ გუბაზ I დროიდან, ვიდრე VI საუკუნის 20-იან წლებამდე არავითარი ცნობები არ მოიპოვება (40ᵃ. 83; 40ᵇ, 169).

ნ. ლომოურის მიერ შემოსაზღვრული ხანა 456-523 წლებს მოიცავს. გუბაზ I ეგრისის ტახტზე სწორედ 456-465 წლებში ჩანს. 465 წელს კი იგი მისმა ვაჟმა შესცვალა. ამის შემდეგ, 523 წლამდე, ლაზეთის შესახებ არსებული წყაროები დუმან. დასახელებულ 523 წელს კი ლაზეთის მეფეები კვლავ მოექცნენ ისტორიკოსთა თვალსაწიერში.

VI ს. 20-იან წლებში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე I-ის დროს, ლაზეთის მეფე წათე I-მა ქრისტიანობა უარყო და ირანის მხარეზე გადავიდა. ირანის შაჰმა კავად პირველმა (488-531 წწ.) მას დახმარება ვერ აღმოუჩინა და წათე იძულებული გახდა კვლავ ბიზანტიელებს შერიგებოდა. 523 წელს კონსტანტინოპოლში ჩავიდა, ხელახლა გაქრისტიანდა, ერთ-ერთი ბიზანტიელი დიდმოხელის ასული ცოლად შეირთო და ლაზეთში დაბრუნდა (9. 263-265).

ეს წათე 528 წელსაც მეფედ არის. VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე მალალა აღნიშნავს, რომ წათეს ბიზანტიელების მხარეზე გადასვლამ „რომაელებსა და სპარსელებს შო-

რის" მტრობა ჩამოაგდო (9. 266-267) და იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565 წწ.), ირანელები წათეს დასასჯელად ლაზეთში შეიჭრნენო (9. 267).

მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი (დაიბადა 760 წელს, გარდაიცვალა 818 წელს) ირანელების ლაზეთში შეჭრას 528 წლით ათარიღებს (41. 79), რაც ერთხმად არის გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (20. 251; 42. 285).

სამწუხაროდ, როდემდე გრძელდებოდა ამ წათეს მეფობა უცნობია. წყაროებში ამის შესახებ არავითარი მინიშნება არ არის. არა და, ამ თარიღის ცოდნა ხელს შეგვიწყობდა გუბაზის გამეფების თარიღის დადგენაშიც.

როგორც აღვნიშნეთ, წყაროებში გუბაზი 541 წლიდან ჩნდება, ხოლო მეფე წათე 528 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია და ირანელების თავდასხმებს იგერიებს. ამრიგად, გუბაზის გამეფების ქვედა თარიღს 528 წელს ქვემოთ ვეღარ წავიღებთ, ხოლო ზედას 541 წელს ვერ გადავაცილებთ. თავისთავად ცხადია, რომ წათეს გარდაცვალების ან გადადგომის თარიღიც ასევე მიახლოებით – 528-541 წლებით უნდა განისაზღვროს.

მაგრამ საქმეს ართულებს ის, რომ წათესა და გუბაზს შორის წყაროები ასახელებენ კიდევ ერთ მეფეს – ოფსიტეს. ამ მეფის შესახებ ცნობა მხოლოდ პროკოპი კესარიელს შემოუნახავს. იგი წერს: „მაშინ ნაბედმა აბშილებში ჰპოვა და ხელთ იგდო თეოდორა, თანამეცხედრე ოფსიტესი (რომელიც გუბაზის ბიძა იყო, ლაზთა მეფე) (1. 125-126).

პროკოპი კესარიელის მიერ ნახსენები ნაბედი სპარსელი სარდალია. იგი შაჰ ხოსროს ბრძანებით, 550 წელს, აფშილეთში ლაშქრობდა და სწორედ აქ იგდო ხელთ ოფსიტეს მეუღლე დედოფალი თეოდორა.

თეოდორა ამ დროს, ალბათ, უკვე ქვრივია. ეს იქიდან ჩანს, რომ მეფედ მისი მეუღლე კი არ არის, არამედ გუბაზ II, ოფსიტეს ძმის შვილი. რაკი ცნობილია, რომ გუბაზ II წათე I-

ისა და ვალერიანეს შვილი იყო, ოფსიტე წათეს ძმა გამოდის. ამრიგად, ნათე I-ისა და გუბაზ II-ის მეფობათა შორის კიდევ ერთი პირი – ოფსიტე მჯდარა ტახტზე. სამწუხაროდ, მისი არც გამეფების და არც გარდაცვალების თუ ტახტიდან გადადგომის თარიღები ვიცით. ამიტომ მთავარია კიდევთ ერთხელ დავაზუსტოთ, რომ იგი მამა-შვილ წათე I-სა და გუბაზ II-ს შორის მეფობდა. უხეშად რომ შემოვფარგლოთ მისი ზეობა 528-541 წლებში ექცევა.

ჩვენი აზრით, საჭიროა ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც შევეხოთ, რის გარკვევის გარეშე, გუბაზის ბიოგრაფიის კვლევის საქმეში, წინ ვერ წავალთ. ეს არის წათე დამნაზეს ძის საკითხი. წათე გუბაზ II-ის მამაა და ცხადია, მის ცხოვრებაში დიდი როლი უნდა ეთამაშა.

წათე I საკმაოდ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო და გუბაზს, ალბათ, ბევრ რამეში სამაგალითოდ მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში მის მიერ წარმოებული ანტიირანული პოლიტიკა ძალიან ჰგავს ნათე I-ის პოლიტიკას.

იმისათვის, რომ გუბაზ II-ის ბიოგრაფია კიდევ უფრო კარგად გამოვკვეთოთ, საჭიროა ვრცლად შევეხოთ წათე I-ის საქმიანობას.

V საუკუნის მეორე ნახევრისა და VI საუკუნის პირველი ნახევრის ლაზეთის მეფეთა სია დადგენილად ითვლება. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ლაზიკის მეფე წათე I-ის შემდგომ, რომელიც იუსტინე კეისრის დროს ცხოვრობდა, ტახტზე ავიდა მისი შვილი გუბაზი კი არა, არამედ მისი ძმა ოფსიტე. ოფსიტეს მემკვიდრედ კიდევ სამეფო ტახტზე წათეს პირველი შვილი გუბაზი იყო, ხოლო მისი მოკვლის შემდგომ გამეფდა წათე პირველის მეორე შვილი და გუბაზის უმცროსი ძმა წათე II (15. 273).

ცხადია, წათე პირველად ავტორი გულისხმობს იმ წათეს, რომელმაც 523 წელს, იმპერატორ იუსტინეს (518-527

წწ.) დროს ქრიატიანობა მიიღო (41. 77-78). ის ნათე˙, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს, მართლაც იმპერატორ იუსტინე კეისრის (518-527 წწ.) დროს არის ტახტზე. ამის შესახებ ცნობები დაცული აქვთ ბიზანტიელ ისტორიკოსებს. აი, რას წერს VI ს. ისტორიკოსი იოანე მალალა: „იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს. მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა ვაითუ სპარსელთა მეფემ კუადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა (9. 264).

წათეს დროს მომხდარ ამბებზე საუბრობენ აგრეთვე VIII-IX საუკუნეების მიჯნის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი (41. 77-78), აგრეთვე VII საუკუნის უცნობი ავტორი, რომლის თხზულებას „პასქალური ქრონიკის" სახელით იცნობენ (10. 5). ამ ორივე ავტორს, მცირეოდენი განსხვავებით, განმეორებული აქვთ იოანე მალალას ცნობები. აშკარაა, რომ 523 წელს ტახტზე ასული წათე არის წათე I,

---

1999 წელს გამოცემულ ნაშრომში „ეგრისის (ლაზეთის) მეფე გუბაზ II-ის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი" გაგვეპარა უნებლიე შეცდომა. გუბაზ I-ის ვაჟი, რომლის სახელი უცნობია ჩვენ წათე I-ად მივიჩნიეთ და ეს რამდენჯერმე გავიმეორეთ. წინამდებარე წიგნში ეს შეცდომა გასწორებულია.

რომლის მამას დამნაზე ჰქვია (9. 264)* რაკი დანამდვილებით ვიცით, რომ ნათე I 523 წლიდან** მეფობდა, ძნელი არ არის იმ ნათეს რიგითი ნომრის განსაზღვრა ლაზთა მეფეებში, რომლებიც გუბაზ მეფის მოკვლის (554 წ.) შემდეგ გამეფდა. ამრიგად, 456 წლიდან 554 წლამდე ე. ი. მთელი ერთი საუკუნის მანძილზე, ლაზეთის ტახტზე ნათეს სახელის მატარებელი ორი მეფე ჩანს.

აღნიშნულის მიუხედავად ეგრისის მეფეების სიის საბოლოო დაზუსტების შესახებ ლაპარაკი ჯერ კიდევ შორს არის. წყაროებში რამდენიმე ისეთი მეფე ჩანს, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაშიც კი არ არიან ნახსენები. ჩვენ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ ლაზთა მეფე დამნაზეს.

ამ მეფის შესახებ რამდენიმე საინტერესო ცნობა არსებობს. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე მალალა. იოანე მალალას ეს ცნობა ჩვენ სხვა საკითხთან დაკავშირებით უკვე მოვიტანეთ, მაგრამ იძულებული ვარც კვლავ მოვახდინოთ მისი ციტირება.

„იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე ნათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს, სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით ნათის, ლაზთა მეფის მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (ნათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა ვაი თუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრუ-

---

* „პასქალური ქრონიკის" ავტორის მიხედვით მას ზამნაქსე ერქვა (10. 11).

** შეიძლება გუბაზ I-ის ვაჟს მართლაც ნათე ერქვა, როგორც ეს გუბაზ და ლევან სანიკიძეებს მიაჩნიათ (23. 27), მაგრამ წყაროებში ამის შესახებ ლაპარაკი არ არის.

ლებდა. ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა (9. 263-264).

ლაზთა მეფე წათე, რომელსაც იოანე მალალა ასახელებს, წათე I-ია.

წათეს ბიზანტიონში ჩასვლა და იმპერატორ იუსტინესთან გამოცხადება 523 წელს მომხდარა. ეს თარიღი მოცემული აქვს თეოფანე ჟამთააღმწერელს. მისი სიტყვით წათე იუსტინეს ესტუმრა დასაბამითგან ქვეყნისა 615 წელს, განკაცებითაგან 515 წელს და იუსტინეს მეფობის მეხუთე წელს, რაც 523 წელს უდრის (41. 77). პასქალური ქრონიკის ავტორი წათეს კონსტანტინოპოლში ჩასვლას ოლიმპიადის წელთაღრიცხვით 325 წელს მომხდარად თვლის (41. 12), რაც 521-524 წელს უდრის (41. 12). ერთი სიტყვით 523 წელს წათე I-ის ბიზანტიის დედაქალაქში ჩასვლა ეჭვს არ იწვევს.

იოანე მალალას ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ წათე იუსტინეს თავისი მამის – მეფე დამნაზეს გარდაცვალების შემდეგ ესტუმრა. სტუმრობის მთავარი მიზანი იყო ლაზეთის ტახტის დაკავება. მან მიზანს მიაღწია და გაქრისტიანებული, ბიზანტიელი დიდკაცის, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილზე დაქორწინებული და სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი სამშობლოში დაბრუნდა (9. 263-264; 41. 11-13; 41. 77).

მაშასადამე, ლაზეთის მეფე დამნაზე 523 გარდაცვლილა და იმავე წელს ტახტი მის ვაჟს წათეს დაუკავებია. ასე რომ, 523 წელი ლაზეთის ერთი მეფის – დამნაზეს გარდაცვალებისა და მეორის – წათეს ტახტზე ასვლის თარიღია.

ცხადია, რომ მეფე დამნაზეს 523 წლამდე უნდა ემეფა. სამწუხაროდ, მისი გამეფების თარიღის დადგენა წყაროების უქონლობის გამო, არ ხერხდება. იმავე მიზეზით ვერაფერს ვიტყვით მისი მამის ვინაობაზეც.

წათე დამნაზეს ძის ანუ წათე I-ის შესახებ ჩვენ ზემოთ

იოანე მალალას ცნობის ნაწილი უკვე მოვიტანეთ, ახლა რაკი საგანგებოდ მასზე ვლაპარაკობთ დანარჩენსაც მოვიტანთ. იოანე მალალა აგრძელებს: „გაქრისტიანებულმა წათიმ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი სახელად ვალერიანე. მან თან წაიყვანა ის და წავიდა საკუთარ ქვეყანაში, დაგვირგვინებული რომაელთა მეფის იუსტინეს მიერ. მას ემოსა რომაული სამეფო გვირგვინი და თეთრი წმინდა აბრეშუმის ქლამიდი, რომელსაც ძონეული ზოლის ნაცვლად ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი, სადაც შუაში სურათი იყო თვით იუსტინე მეფის გამოხატულებით, აგრეთვე თეთრი სტიქარი – პარაგავადი, ამასაც ჰქონდა სამეფო ოქროდმკედები, იმნაირადვე თვით მეფის გამოხატულებით; წაღები, რომელთაც ატარებდა, თავისი საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით იყო შემკული სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი სარტყელიც მარგალიტებით იყო შემკული. ბევრი სხვა საჩუქარიც მიიღო იუსტინე მეფისაგან თვით წათიმაც და ვალერიანემაც, მისმა მეუღლემ (9. 263-264).

იმპერატორ იუსტინეს მიერ წათე I-ის დაგვირგვინებაზე სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსებიც საუბრობენ. მაგალითად, პასქალური ქრონიკის ავტორი (41. 11-13) და თეოფანე ჟამთააღმწერელი (41. 77-78).

ამრიიგად, ლაზეთის მეფე წათე I-ს ცოლად ჰყოლია ბიზანტიელი დიდებულის ასული ვალერიანე.

სამწუხაროდ უცნობია თუ როდემდე გრძელდებოდა წათე I-ის მეფობა. თუმცა, ის კი ვიცით, რომ 528 წელს იგი ჯერ კიდევ ტახტზე იჯდა.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ იოანე მალალას (9. 267), „პასქალური ქრონიკის" ავტორისა (41. 15) და თეოფანე ჟამთააღმწერელის (41. 79) ცნობით სპარსეთის შაჰმა, ბიზანტიელების მხარეზე გადასვლის გამო, წათეს ომი დაუწყო. ამ ომის დასაწყისად 528 წელი ითვლება. ეს თარიღი თეოფანე ჟამთააღმწერელს აქვს მოცემული (41. 79) და ქართულ ისტო-

რიოგრაფიაში გაზიარებულია. ასე რომ, 523-528 წლებში მაინც წათე I უცილობლად მეფეა. ალბათ, წათე პირველის შემდეგ მეფობდა ოფსიტე, რომლის მეუღლე, რომაელი ქალი თეოდორა, დაახლოებით 550 წელს აფშილეთში ლაშქრობისას, ხელთ იგდო სპარსელთა სარდალმა ნაბედემ (1. 125-126).

მეფე ოფსიტეს შესახებ, პროკოპი კესარიელის გარდა, ცნობები სხვა ისტორიკოსებს არ შემოუნახავთ. პროკოპი კესარიელი კი აღნიშნავს: „მაშინ ნაბედმა აფშილეთში ჰპოვა და ხელთ იგდო თეოდორა, თანამეცხედრე ოფსიტესი (რომელიც გუბაზის ბიძა იყო, ლაზთა მეფე)"-ო (1. 125-126).

მაშასადამე, ოფსიტე გუბაზ II-ის ბიძაა. ე. ი. წათე I-ის ძმა და დამნაზეს ვაჟია. სამწუხაროდ ოფსიტეს მეფობის წლების ზუსტად განსაზღვრა არ ხერხდება, მაგრამ ის კი ცხადია, რომ 528 წელზე ადრე და 541 წელზე გვიან ვერ იმეფებდა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ 528 წელს ჯერ კიდევ წათე I ზის ტახტზე, ხოლო 541 წელს უკვე გუბაზ II მართავს ქვეყანას. ამრიგად, ოფსიტეს მეფობა დაახლოებით 528-541 წლებშია სავარაუდებელი. მკითხველმა აქვე ისიც ანდა გაითვალისწინოს, რომ ადვილი მოსალოდნელია წათეს 528 წლის შემდეგაც სჭეროდა ტახტი, ხოლო გუბაზს კი ისტორიულ წყაროებში მისი სახელის გამოჩენამდე (დაახლ. 541 წ.) მიეღო მეფობა.

თვითონ გუბაზ II, ჩვენი ნაშრომის მთავარი გმირი, წყაროებში 541 წლიდან ჩნდება. ამ ვარაუდის საფუძველზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ.

ე. წ. „უვადო ზავი" 542 წელს უკვე დარღვეული იყო და ირანსა და ბიზანტიას შორის ომიც მიმდინარეობდა. მაგრამ, დასახელებულ წელს, გუბაზ II-მ, თავის საძულველ ბიზანტიელებთან დასაპირისპირებლად ირანელების დასავლეთ საქართველოს მინა-წყალზე მოყვანა მოახერხა. ეგრისს თვით შაჰი ხოსრო I ანუშირვანი ესტურმა დიდი ლაშქრით და ბიზანტიელებს შეუტია. მაგრამ გუბაზს ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის

მისამართავად სათანადო ღონისძიებების გატარება დასჭირდა. ცნობილია, რომ მან შაჰს საგანგებო ელჩობა გაუგზავნა, რომელმაც ირანის ხელისუფლება ბიზანტიის ხელიდან დასავლეთ საქართველოს გამოგლეჯის სარგებლიანობაში დაარწმუნა. ბოლოს, როგორც ითქვა, ხოსრო I ანუშირვანი, თავისი ლაშქრით, ეგრისს მოვიდა. ეს 542 წელს მოხდა.

მაგრამ ანტიბიზანტიური ხასიათის ირან-ეგრისის სამხედრო კავშირის ჩამოყალიბებას ხომ სათანადო დრო დასჭირდებოდა. ეს, ალბათ, 541 წელს უნდა გულისხმობდეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დასახელებულ წელს გუბაზი უკვე მეფეა და ირანთან ანტიბიზანტიურ კავშირს ჰკრავს. უფრო ადრინდელ წლებში მისი მეფობის დამადასტურებული ცნობები არ გაგვაჩნია. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მას 541 წლამდეც სჭეროდა ეგრისის (ლაზეთის) ტახტი.

გუბაზ II-ის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით კი საეჭვო და საკამათო არაფერია. ეს თარიღი – 554 წელი, სანდო წყაროშია მითითებული და მას საგანგებოდ შევეხებით გუბაზ II-ის დაღუპვის პირობებზე ლაპარაკისას, წინამდებარე ნაშრომის ბოლო მონაკვეთში.

ამრიგად, გუბაზ II ეგრისის მეფის წათე I-ისა და ბიზანტიელი დიდებულის ასულის ვალერიანეს შვილი იყო. მისი მშობლები 523 წელს შეუღლდნენ, და ცხადია, ისიც ამის შემდეგ დაიბადებოდა. გუბაზი თავისი ბიძის ოფსიტეს შემდეგ გამეფდა, მაგრამ იმის თქმა, თუ როდის მოხდა ეს, ძნელია. ყოველ შემთხვევაში 541 წლიდან მაინც იგი უკვე ეგრისის მეფეა.

გუბაზ II-ის დაღუპვის შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ, ანგარიში გაუწია რა ეგრისის მოსახლეობის სურვილს, 554 წელსვე, ამ ქვეყნის მეფედ, გარდაცვლილის უმცროსი ძმა წათე დაამტკიცა (9. 84).

გუბაზის გარდაცვალებისას წათე ქ. ბიზანტიონში ცხო-

ვრობდა (9. 82) და სამშობლოში იქიდან ჩამოვიდა. მისი დაბრუნება აღწერილი აქვს ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსს (9. 85).

ამრიგად, ჩვენ ვილაპარაკეთ V საუკუნის II ნახევრისა და VI საუკუნის პირველი ნახევრის ეგრისის მეფეებზე. მიმოხილვიდან აშკარად გაომიკვეთა დასახელებულ მეფეთა ურთიერთნათესაობის ხარისხი და თანმიმდევრობა. ისე რომ, ახლა, ამ საკითხზე გაცილებით ცხადი წარმოდგენა გვაქვს, ვიდრე კვლევის დასაწყისში გვქონდა. ჩვენი აზრით V ს-ის II ნახევარსა და VI საუკუნის I ნახევრის ეგრისის მეფეთა სია ასე გაომიყურება:

1. გუბაზ I – მეფედ ჩანს 556 წელს. 565 წელს ტახტიდან გადადგა.
2. გუბაზ I-ის ვაჟი. გამეფდა 565 წელს მამის ტახტიდან გადადგომის შემდეგ.
3. დამნაზე I - მისი მამის სახელი არ დგინდება. გარდაიცვალა 523 წელს.
4. წათე I – დამნაზეს ვაჟი. გამეფდა 523 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ.
5. ოფსიტე I – დამნაზეს ვაჟი. წათე I-ის ძმა და გუბაზ II-ის ბიძა. გამეფების და გარდაცვალების ზუსტი თარიღები არ დგინდება. დაახ. 529-541 წლებში უნდა ემეფა.
6. გუბაზ II - წათე I-ისა და ბიზანტიელი ქალის ვალერიანეს ვაჟი. ოფსიტეს ძმის შვილი. მეფობდა დაახ. 541 წლიდან. გარდაიცვალა 554 წელს.
7. წათე II – წათე I-ის ვაჟი. გამეფდა უფროსი ძმის, გუბაზ II-ის დაღუპვის შემდეგ, 554 წელს.

ცხადია, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ეგრისის მეფეთა სია სრულად არ შეიძლება ჩაითვალოს. მასში მხოლოდ ის მეფეებია შეტანილი, რომელთა შესახებ წყაროები შემორჩენილან, მაგრამ ხომ შეიძლება ისეთი მეფეებიც ყოფილიყვნენ, რომელთა სახელი და მოღვაწეობა ძველმა ისტორიკოსებმა

თავიანთ თხზულებებში ვერ ასახეს? მიუხედავად აღნიშნულისა, ეს სია V ს-ის II ნახევრისა და VI საუკუნის I ნახევრის ეგრისის მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობით დაინტერესებულ პირებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს.

§ 2. ძიებანი გუბაზის გვარის შესახებ

ამა თუ იმ მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლისას, ცხადია, მისი გვარის შესახებ საუბარს გვერდს ვერ ავუვლით. პირიქით, ეს დასაშვები არ არის. სამეფო გვარი არა მარტო მეფის ბიოგრაფიის ნაწილია, ის კოლექტივიცაა, სადაც მეფე ადამიანად და სახელმწიფო მოღვაწედ ყალიბდება.

რა გვარის შვილი იყო გუბაზი? საერთოდ, რა გვარს ეკუთვნოდნენ ეგრისის მეფეები? ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მონარქები ერთი გვარის შვილები იყვნენ თუ სხვადასხვა დინასტიებს ეკუთვნოდნენ?

ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა ძნელია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ასე რომ, გუბაზის და მისი ახლობელი მეფეების გვარი ჯერ დადგენილი არ არის. ეს, ალბათ, წყაროთა ბრალია, რადგან მათში ეგრისის მეფეთა გვარის ან გვარების შესახებ ცნობები დაცული არ არის. მიუხედავად ამისა ამ საკითხის დასმა და მის ირგვლივ შესაძლებლობების ფარგლებში მსჯელობა ჩვენ გამართლებულად გვეჩვენება.

ჩვენი დაკვირვებით ეგრისის (ლაზეთის) სამეფო გვარის მოუხსენებლობას თავისი მიზეზები აქვს. უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ საკითხის შესახებ არსებულ წყაროთა ავტორები ბიზანტიელი ისტორიკოსები არიან. სამწუხაროდ, ამ ქვეყნის ისტორიკოსთა შორის არსებული

ტრადიციის თანახმად ეს ავტორები ამა თუ იმ პირს გვარით არ მოიხსენიებენ. თვითონაც კი გვარს არ ატარებენ. მაგალითად, ცნობილ ისტორიკოსს პროკოპის კესარიელი იმიტომ ჰქვია, რომ იგი პალესტინის კესარიაში დაიბადა (43. 12-31; 1. 11-17; 8. 4-5). მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კი სქოლასტიკოსად იმიტომ იწოდება, რომ მას იურიდიული განათლება ჰქონდა – ვექილად მუშაობდა (9. 24).

ხელოვნურია აგრეთვე ისტორიკოს იოანე მალალას მეტსახელი. როგორც აკად. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს „მალალა" სირიულად (malal) მიგვითითებს იმაზე, რომ იგი ვექილი უნდა ყოფილიყო (9. 260). ბიზანტიელ ისტორიკოსებში მსგავსი შემთხვევები სხვაც ბევრია. მაგ. იოანე ლიდე (დაიბადა 490 წ. ცოცხალი იყო იუსტინიანეს მეფობის დროსაც – 527-565 წწ. ლიდედ იმიტომ იწოდება, რომ ლიდიის ქ. ფილადელფიაში დაიბადა), ზაქარია რეტორი (V-VI სს. მოღვაწე), მენანდრე პროტიქტორი (VI ს. II ნახევარის მოღვაწე), სტეფანე ბიზანტიელი (VI-VII სს. მოღვაწე), ევაგრე სქოლასტიკოსი (536-600 წწ.), იოანე ანტიოქელი (VII ს. მოღვაწე), თეფილაქტე სიმოკატტა (მოღვაწეობდა VII ს.), თეოდოსი განგრელი (VII ს. მოღვაწე) და სხვ.

ჩვენთვის ყველაზე საჭირო ისტორიკოსებს პროკოპი კესარიელს და აგათია სქოლასტიკოსს თავიანთ თხზულებებში მრავალი მოღვაწე ჰყავთ დასახელებული, ოღონდ გვარების გარეშე. მაგალითად, პროკოპი ასახელებს ფარსმან კოლხს (1. 18), ქართლის მეფე გურგენს (1. 23), პერანს (1. 61-62, 63), ფარსანსს (1. 70) და სხვ. ყველა ამ ქართველ მოღვაწეებს რა თქმა უნდა თავიანთი გვარებიც ექნებოდათ, მაგრამ ისტორიკოსს იგი დასახელებული არ აქვს. ეტყობა მასზე ბიზანტიური ტრადიცია - ამა თუ იმ პირის სახელითა და მეტსახელით მოხსენიება, ახდენდა გავლენას. იგი არა მარტო ქართველებს

(იბერიელებს, ლაზებს), სხვებსაც ასე ექცევა*.

ვფიქრობთ, ბიზანტიელ ისტორიკოსთა სხვადასხვა მოღვაწეებისადმი ასეთი დამოკიდებულება გუბაზის გვარის მიუთითებლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იქცა. სინამდვილეში მეფე გუბაზ II-ცა და მისი წინაპრებიც ეგრისის (ლაზეთის) რომელიმე დიდი და ცნობილი გვარის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. იმდროინდელი საქართველოს ორივე ნაწილი - როგორც აღმოსავლეთი ისე დასავლეთი, ასეთი დიდი საგვარეულოებით იყო მოფენილი. ისინი ჩვენში ოდითგანვე არსებობდნენ (44. 26-31)**, ისევე, როგორც გვარსახელები (45. 34).

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ გუბაზ II-ის კონკრეტული გვარის მოუხსენებლობა ამ პიროვნების შესახებ არსებული წყაროს ნაკლია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ზოგადად გუბაზის გვარს არაერთხელ ახსენებს. მაგალითად, გვაცნობს რა გუბაზის დაღუპვის შემდეგ კოლხთა წარმომადგენლობის იმპერატორ იუსტინიანესთან გამოცხადებას და საუბარს, აღნიშნავს: „სხვა არაფერი გვინდაო, - უთხრეს მათ (იუსტინიანე იმპერატორს – ჯ. ს.) – მხოლოდ დაუსჯელს ნუ დატოვებ იმ ბოროტმოქმედებას და მეფედ ვინმე უცხოელს, არათვისტომს კი ნუ დაგვიყენებ, არამედ წათე გამოგვიგზავე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიონში ცხოვრობს, რათა დაცული იქნეს მამაპაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურეველი დარჩესო" (9. 82).

---

* ერთ შემთხვევაში იგი არღვევს ამ წესს და ხაზგასმით ლაპარაკობს ასპეტიანების სომხურ გვარზე (1. 37).

** პროფ. დ. გოგოლაძის ნაშრომში „ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.)", (თბ., 1992 წ., გვ. 26-31), ეს საკითხი საკმაოდ ვრცლად არის განხილული, რის გამოც მასზე მსჯელობას თავს ვარიდებთ.

მეორედ გუბაზის გვარს აგათია სქოლასტიკოსი მაშინ ასხენებს, როდესაც მის მკვლელთა სასამართლოზე კოლხი ბრალმდებლების განცხადებას გვაუწყებს. მისი სიტყვით, კოლხებმა ათანასე მსაჯულს ასე მიმართეს: „მოკლული ხომ მეფე იყო მსაჯული, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული და რომაელთა საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლელებზე უფრო ერთგული"-ო (9. 130). მაგრამ, როგორც ითქვა, ამ ცნობებში მხოლოდ გუბაზ II-ის ზოგად გვარზეა ლაპარკი.

საკითხის სისრულისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ სახელი გუბაზი მთელ საქართველოშია გავრცელებული. არანაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ ეს სახელი გვარადაც კი იქცა. მაგალითად, თანამედროვე აფხაზურ გვარებში გუბაზიც გვხვდება. ეს, ცხადია, სახელის გვარად ქცევის ერთ-ერთი საინტერესო შემთხვევაა.

ალბათ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გურიაში დღემდე შემორჩენილია მდინარის სახელი გუბაზეული, ანუ გუბაზოული. მდ. გუბაზოული მდ. სუფსის მარცხენა შენაკადია. მას 47 კილომეტრი სიგრძე და 371 კმ^2 აუზის ფართობი აქვს (46. 287).

გუბაზ II-ისა და, საერთოდ, მთელი V ს-ის II ნახევრისა და VI ს-ის პირველი ნახევრის ეგრისის (ლაზეთის) მეფეები ლაზეთიდან გამოსული სამეფო გვარის შვილები იყვნენ. ლაზიკა, თავდაპირველად მდ. რიონის ქვემო დინებასა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის მდებარეობდა, რაც გვიანდელ გურიას საჯავახო-საჩინოს ჩათვლით და შავი ზღვის აჭარის სანაპიროს უდრის (47. 106; 48. 26). ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შეიძლება მდ. გუბაზოულის აუზი, ოდესღაც, გუბაზ II-ის საგვარეულო მამულს წარმოადგენდა. აშკარაა, რომ მდინარის სახელი გუბაზის სახელს უკავშირდება. ეტყობა ეს მდინარე, ისევე როგორც მთელი მისი ხეობა, ოდესღაც გუბაზის კუთვნილება იყო. შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ ეს მხარე გუბაზის მამულს წარმოადგენდა. თუ

ასეა აქ უნდა ვივარაუდოთ გუბაზის საგვარეულო სასახლე, საგვარეულო სასაფლაო, სალოცავი და სხვ.

მაგრამ, გადაჭრით იმის თქმა, რომ მდინარის სახელწოდება გუბაზეული აუცილებლად გუბაზ II-სთან არის დაკავშირებული, სწორი არ იქნება. წყაროებში გუბაზის სახელის მატარებელი სხვა მეფეც არის დადასტურებული. ამას გარდა გამორიცხული არ არის, რომ ამ სახელს სხვა ისეთი მეფეები თუ დიდაზნაურები ატარებდნენ, რომელთა სახელმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. რა თქმა უნდა, მდინარესათვის სახელი მათაც შეეძლოთ მიეცათ. აღნიშნულის მიუხედავად ჩვენ გვგონია, რომ გუბაზ II თავისი ტრაგიკული ბედითა და სახელმწიფო მოღვაწის გამორჩეული სახელით ყველაზე მეტად შეეფერება მდინარისათვის სახელის მიმცემის კანდიდატურას.

ქართული გვარების შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს (49. 50. 51. 52. 45). ზოგიერთი მათგანი უშუალოდ მეგრულ გვარებს ეხება (მაგ. 51).

ცხადია, ისტორიულ მასალას რომ ხელი შეეწყო ამ ნაშრომთა ავტორებს გუბაზ მეფის გვარზეც უნდა ელაპარაკათ. საერთოდ კი ეგრისის (ლაზეთის) მეფეთა საერთო გვარიც უნდა დაედგინათ. მაგრამ, როგორც ითქვა, ასეთი მასალა არ არსებობს. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ მეფე გუბაზის გვარი არ ვიცით და საეჭვოა, რომ იგი ოდესმე დადგინდეს*.

ასეთ ვითარებაში არანაკლები მნიშვნელობა ექნება იმის განსაზღვრას, თუ როდიდან განაგებენ გუბაზის წინაპრები ეგრისს.

ძვ. წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთის სამეფოში პოლიტკიური კრიზისი დაიწყო. მეფე იმდენად დასუსტდა, რომ საკუთარ სკეპტუქოსებსაც კი ვერ იმორჩილებდა. ამი-

---

* დიუბუა დე მონპერეს ნაშრომის ქართულ თარგმანში (იხ. ჟურნ. „ცისკარი", 1864 წ., V, VII, VIII ნომრები) გუბაზი ყველგან თარგმნილია გუბაძედ ე. ი. გვარად (10). ასევე იქცევა მარი ბროსეს ნაშრომის „საქართველოს ისტორიის" ქართულად მთარგმნელიც (53).

ტომაც იყო, რომ პონტოს მეფე მითრიდატმა მთელი ქვეყანა ასე ადვილად დაიმორჩილა.

65 წელს (ძვ. წ. აღრიცხვით) კოლხეთი რომის რესპუბლიკის სარდალმა პომპეუსმა დაიპყრო და ქვეყნის მეფედ ვინმე არისტარქი დასვა.

დასავლეთ საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეგრისის სამეფოს წარმოქმნას. კოლხებმა რომაელების შემოსევის შემდეგ დაჰკარგეს პოლიტიკური ჰეგემონია და, როგორც სამართლიანდ მიუთითებს პროფ. მაკალათია, „სამეფოს ხელისუფლება გადავიდა მონათესავე ტომზე – ლაზებზე (16. 21).

ეს ღირშესანიშნავი მოვლენა დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მოხდა. რაკი კოლხეთის პოლიტიკური ლიდერობა ლაზმა ტომმა აიღო ხელში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ქვეყნის სამეფო დინასტიაც ლაზური წარმომავლობისა იყო. დინასტიის ლაზური წარმოშობის გამო ქვეყანას ლაზიკა ან ლაზიკე დაერქვა. ასე ეძახიან მას ბიზანტიური წყაროები. ქართულად მისი სახელი ლაზეთი იქნება და ასეც ვხმარობთ მთელს ჩვენს ნაშრომში.

თავდაპირველად ლაზეთის სამეფო პატარა ქვეყანა იყო. მას მდ. რიონის ორივე ნაპირი (დაახლოებით ქობულეთიდან მდ. ერისწყლამდე) ეკავა. მის გაძლიერების ხანად კი IV საუკუნე ითვლება, როდესაც ლაზეთის ბატონობა მთელ დასავლეთ საქართველოზე გავრცელდა (39. 71-71).

ლაზეთის სამეფომ VIII საუკუნემდე იარსება. მისი ბოლო მთავრები (და არა მეფეები) იყვნენ იოანე და ჯუანშერი. ამ დროიდან დასავლეთ საქართველოს ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეული გახდა აფხაზთა სამთავრო (48. 25-26).

არსებული წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ გუბაზი თავისი გვარის წარსულით დიდად ამაყობს. ამ გვარს პატივით ექცევიან გუბაზის დაღუპვის შემდეგ ეგრისის ბედზე დამწუხრბული კოლხი დიდებულები აიეტი და ფარტაძი, აგრეთვე გუ-

ბაზის მკვლელთა გასამართლებისას კოლხეთის მხრიდან ბრალმდებლად გამოსული პირი.

როგორც ითქვა, ეგრისის (ლაზეთის) სამეფო დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში წარმოიშვა. ადრინდელი ეგრისის მეფეთაგან ცნობილი არიან მალასა (დაახლ. 117-138 წწ.) (54. 43) და ბაკური (დაახლ. 138-161 წწ.) (55. 552). მაგრამ ისინიც და მათ წინ მცხოვრები ეგრისის მეფეები დაუძლურებული „ბასილევსები" არიან (25. 98) და მათი სახელებით ძნელად თუ ვინმე იამაყებდა. იქნებ იმასაც ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ გუბაზის მოსახელე მეფეები ამ ხანაში არ ჩანან? არც მალასასა და არც ბაკურის სახელები მკვიდრობენ ეგრისის ჩვენთვის ცნობილ მეფეთა სიაში. ყოველ შემთხვევაში, V საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც ისტორიაში გუბაზ I ჩნდება, არც ერთი მალასა ან ბაკური აღარ მეფობს. ამ მდგომარეობას კარგად ედევნება თვალი გუბაზ II-ის ე. ი. ჩვენთვის საინტერესო პირის, გარდაცვალების შემდეგაც. მართალია, ამით გუბაზის დაკავშირება მალასასთან (დაახლ. 117-138 წწ.) და ბაკურთან (დაახლ. 138-161 წწ.) საბოლოოდ არ გამოირიცხება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ უცილობლად მათი შთამომავალიაო.

სახელებს შორის განსხვავებას ვერც იმას დავაბრალებთ, რომ მალასა და ბაკური წარმართები არიან, ხოლო გუბაზი ქრისტიანული ეპოქის მოღვაწეა. ჩანს, რომ ქრისტიანობის მატარებელი ეგრისელი მეფეები, ისევე, როგორც არაქრისტიანი მბრძანებელები, ადგილობრივ, კოლხურ მოსახლეობაში გავრცელებულ სახელებს ატარებენ და მათი სახელთა დაუმთხვევლობა მხოლოდ რელიგიური კუთვნილებით არ უნდა იყოს განპირობებული.

დღეს აღიარებულად ითვლება, რომ ლაზეთი IV საუკუნის ბოლოსათვის მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა (2. 72). მართალია ლაზეთის მეფე ამ დროსაც ბიზანტიის იმპერიის ვასალად ითვლება, მაგრამ ეს დამოკიდებულება

ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მის ტერიტორიაზე არც ბიზანტიის ჯარი იდგა და მათ არც რაიმე ხარკს უხდიდა. ეგრისს (ლაზეთს) მხოლოდ ჩრდილოეთის საზღვრის მომთაბარეთა თავდამსხმებისაგან დაცვა ევალებოდა (39. 77).

IV საუკუნეში ლაზეთის მეფეს საკუთარი ვასალები ჰყავდა. ესენი იყვნენ აბაზგიის, სკვიმიის (ლეჩხუმის) და სვანეთის მთავრები (1. 27. 197). როდესაც რომელიმე დასახელებული მხარის მთავარი გარდაიცვლებოდა, ახალ მთავარს ლაზთა მეფე ნიშნავდა (39. 77-78).

ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ლაზები ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ და სხვა ძლიერ ტომებზეც მბრძანებლობდნენ. ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ. შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ (9. 50).

მაგრამ VI საუკუნეში ლაზები ძველებურად ძლიერები ვეღარ არიან. აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით, გუბაზ მეფის დაღუპვის შემდეგ, ერთ-ერთი კოლხი დიდებული მწუხარებით აცხადებდა, რომ „გაჰქრა კოლხთა ძველი ღირსება" და ლაზები სხვებზე ვეღარ ბატონობენო" (9. 65).

მართლაც, V საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაზეთის სახელმწიფოს საზღვრები შესამჩნევად შემცირდა. 457-474 წლებში მას სვანეთი მოწყდა (39. 79). ამას გარდა, ზოგიერთი წყაროს ცნობით, ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა შეიერთა ეგრისი, სვანეთი, თაკვერი (56. 157)* ამიტომ ადვილი საფიქრელია, რომ ლაზები მაინცდამაინც იმ ეპოქით ამაყობდნენ, როდესაც მთელი დასავლეთ საქართველო მათ ხელში იყო. ეს კი IV საუკუნის მიწურულიდან 457-474 წლებამდე ე. ი. სვანეთის და სხვა მხარეების დაკარგვამდე არსებული ხანაა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლაზეთის სამეფოს გაძლიერება

---

* პროფ. ნ. ლომოური ვახტანგის მიერ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი მხარის შეერთებას უარყოფს (იხ. მისი ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 82-84).

გუბაზ II-ის გვარის შვილებმა მოახერხეს და თავიანთ შთამომავალთ სიამაყის საშუალებაც მისცეს. ადვილად შეიძლება დავუშვათ, რომ გუბაზ მეფის უშუალო ნინაპრები ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს IV საუკუნის მიწურულიდან ჩაუდგნენ სათავეში.

სამწუხაროდ, მეფე გუბაზ II-ის საგვარეულოს შესახებ ხელჩასაჭიდი მასალის უქონლობა რაიმე კონკრეტული განცხადების საშუალებას არ იძლევა. ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუბაზ I-დან მოყოლებული, ლაზეთის ყველა მეფე, გუბაზ II-ის წინაპრები და თანამოგვარეები არიან.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორ ხდებოდა ლაზეთის სამეფო ტახტზე ახალი მეფის ასვლა, საყურადღებო ცნობას იძლევა ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე მალალა. მისი სიტყვით, სპარსელთა ბატონობის დროს, ლაზეთში ყოველ ახალ მეფეს სპარსელები ნიშნავდნენ და აგვირგვინებდნენ. „როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, - წერს იგი, - სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან" (9. 263).

უფრო საინტერესოა ის, რომ მეფის კანდიდატურის წამოყენების უფლება ლაზეთში სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტი მის ვაჟს კი არ გადაეცემოდა, არამედ მას, ვინც საგვარეულოში განსვენებული მეფის მომდევნო და წლოვანებით უფროსი იყო (57. 174 –183; 15. 267). ეს წესი ადრე ქართლშიც იყო გავრცელებული (57. 174 –183; 15. 267). მართალია ამ წესს მუდამ არ იცავდნენ და ხშირად, მამის სიკვდილის შემდეგ, უშუალოდ მისი ვაჟი ადიოდა ხოლმე ტახტზე (მაგ. ნათე I), მაგრამ აშკარაა, რომ მთავარი წესი მაიც საგვარელო მფლობელობა იყო.

ახალი მეფის ტახტზე ასვლა ასე ხდებოდა: გარდაიცვლებოდა თუ არა მეფე, მისი სრულწლოვანი გვარისშვილი კაცები შეიკრიბებოდნენ და გამართავდნენ მსჯელობას იმის შე-

სახებ, თუ ვინ აერჩიათ მის ადგილზე. ახალ მეფეს უნდა დაეკმაყოფილებინა ზოგიერთი აუცილებელი პირობა: ა) უნდა ყოფილიყო ლაზი (ეგრისელი), ბ) მეფის მოგვარე (მამის მხრივ), გ) ჯანმრთელი, დ) ომი უნდა შეძლებოდა (ე. ი. არ უნდა ყოფილიყო უწლოვანი, ანდა ძალიან მოხუცი).

მომვალი მეფის შერჩევის შესახებ ლაზეთის სამეფო კარი, მოციქულების პირით, იმ სახელმწიფოს აცნობებდა ხოლმე, რომლის ხელდებულიც მაშინ იგი იყო. ე.ი. ხან ირანი იყო და ხან ბიზანტია. ირანის შაჰი ან ბიზანტიის იმპერატორი, იმის მიხედვით თუ რომელს ემორჩილებოდა ლაზეთი იმ კონკრეტულ ხანაში, ახალ მეფეს სამეფო ნიშნებს უგზავნიდა.

ხანდახან, მომავალი მეფე, სიუზერენს თვითონ ეახლებოდა ხოლმე და სამეფო ნიშნებს უშუალოდ მისი ხელიდან ღებულობდა. ამის მაგალითად გამოდგება წათე I, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩავიდა, იმპერატორ იუსტინეს ქვეშევრდომი გახდა და ლაზთა მეფედაც ეკურთხა.

ისტორიკოსი იოანე მალალა, აგრეთვე „პასქალური ქრონიკის" ავტორი დაწვრილებით აღწერენ იმ ტანსაცმელს, რომელიც წათეს მეფედ კურთხევის შემდეგ ემოსა: ა) რომაული სამეფო გვირაგვინი; ბ) „თეთრი წმინდა აბრეშუმის ქლამიდი, რომელსაც ძოწეული ზოლის ნაცვლად ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი, სადაც შუაში სურათი იყო თვით იუსტინე მეფის გამოხატულებით"; გ) თეთრი სტიქარი – პარგავდი, რასაც აგრეთვე ჰქონდა სამეფო ოქრომკედები, იმნაირადვე თვით მეფის გამოხატულებით"; დ) წაღები; ე) სარტყელი (9. 264-265; 41. 12-14; 41. 77-78).

ოდნავ განსხვავებული სამოსი აქვს აღწერილი აგათია სქოლასტიკოსს. მისი სიტყვით, როდესაც გუბაზ II-ის დაღუპვის შემდეგ იმპერატორმა იუსტინიანემ ლაზეთის მეფედ მისი უმცროსი ძმა წათე დაამტკიცა, მან ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო: ა) ოქროს გვირგვინი, თვალ-მარგალიტით შემკული; ბ) კოჭებამდე დაშვებული ქიტონი, ოქრომკედით მო-

ქარგული; გ) მიტრა, აგრეთვე ოქროთი და თვლებით შემკული; დ) წითელი წაღები; ე) თეთრი ქლამიდა (ძოწეული ქლამიდის ტარების უფლება ლაზთა მეფეებს არ ჰქონდათ), შუაში ორივე მხრით ოქროს ქსოვილით ალაპლაპებული; ვ) მეფური ქლამიდის აბზინდა, თავისი აკინძული თვლებითა და სხვა მორთულობით (9. 84-85). ცხადია, მსგავსი ჩაცმულობა ექნებოდა გუბაზ II-საც, როდესაც იგი ბიზანტიელებთან კავშირში იყო.

სამწუხაროდ, წყაროები არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ რა სამეფო ნიშნებს ღებულობდნენ ხოლმე ლაზთა მეფეები ირანის შაჰებისაგან. ისე კი ცნობილია, რომ ლაზ მეფეთა ნაწილი შაჰის ყმადნაფიცი იყო და, ცხადია, სამეფო ნიშნებსაც ამ ქვეყნის მესვეურისაგან მიიღებდა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გუბაზ II-ის საგვარეულოს კონკრეტული სახელი წყაროებს არ შემოუნახავთ. რაც შეეხება გუბაზის საგვარეულოს ქვეყნის სათავეში მოსვლას, ეს შეიძლება ამ სამეფოს ძლიერების ხანას (IV ს-ის მიწურულიდან) დავუკავშიროთ. ეტყობა სწორედ გუბაზის გვარის წარმომადგენლებმა შესძლეს ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს პოლიტიკური გაძლიერება და ქვეყანაში დიდი პოპულარობაც ამით მოიპოვეს.

§ 3. გუბაზ II-ის მახლობლების წრე

ყველა მეფეს ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა. მას უნდა ეზრუნა სახელმწიფოს საზღვრების დაცვასა და გაფართოებაზე; უცხოეთის მოციქულების მიღებასა და ამ ქვეყნებში საკუთარი მოციქულების გაგზავნაზე; ქვეყნის შიგნით შეთქმულებაამბოხის აღკვეთაზე და სხვ. (58; 59 212-235; 34. 25-31).

მეფე სახელმწიფოს ყველაზე დიდი ფეოდალიც იყო. მას

ჰქონდა საკუთარი ქალაქები, სოფლები, ჰყავდა მრავალრიცხოვანი ყმები. იგი ჩართული იყო სავაჭრო ოპერაციებში, მისი ზოგიერთი საქონელი საშინაო თუ საგარეო ბაზრებზე იყიდებოდა. ამას გარდა, მას ჰქონდა ოჯახი, ჰყავდა ნათესავები. ყოველივე ჩამოთვლილი პირადად მეფის საზრუნავი იყო და მას დიდ დროს ართმევდა.

ცხადია, ყველა ამ საქმეების გაძღოლა ერთ პიროვნებას არ შეეძლო. გარკვეულ ხანაში, სანამ გვაროვნული მმართველობა ბატონობდა, ყველაფერს ეს კოლექტივი აწესრიგებდა. მაგრამ ეს წესი თანდათან ძალას ჰკარგავდა და სახელმწიფოს მმართველობაში, ერთი გვარის ნაცვლად, სხვა გვარებიც იღებდნენ მონაწილეობას.

მეფის წარმატება თუ წარუმატებლობა დიდად იყო დამოკიდებული მისი საქმიანობის თანამონაწილეებზე. ამიტომ, როდესაც რომელიმე ისტორიულ პირზე ვლაპარაკობთ, ის ნრეც უნდა გავითვალისწინოთ, რომელშიც მას უხდებოდა ტრიალი. თუ ისტორიული წყაროები მეფის ახლობელ პირებსაც გვაცნობენ, ეს დიდი ბედნიერებაა.

გუბაზ II-ის ზოგიერთ ახლობელზე უკვე ვილაპარაკეთ. ვახსენეთ წათე დამნაზეს ძე – გუბაზის მამა; ვალერიანე – გუბაზის დედა; გუბაზის ბიძა – ოფსიტე; გუბაზ II-ის ძმა – წათე, რომელიც შემდეგ თვითონ გამეფდა წათე II-ის სახელით. ჩამოთვლილი პირები გუბაზის ახლო ნათესავები არიან და ლაზეთის სამეფოს ცხოვრებაში ალბათ, ყველამ თავისებური წვლილი შეიტანა. ცხადია, გუბაზზე ლაპარაკისას, მათი საქმიანობის უგულვებელყოფა არ ივარგებს.

ჩამოთვლილი პირების გარდა წყაროებში გუბაზის ბევრი სხვა თანამშრომელი და თანამედროვე მოიხსენიება. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავი არიან ისინი, რომლებიც გუბაზის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის მომავალზე ფიქრში აღამებდნენ და ათენებდნენ. ესენი იყვნენ დიდებულები აიეტი და ფარტაძი.

ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი გვაუწყებს, რომ ბიზანტიელი სტრატეგოსების მიერ გუბაზის მოკვლის შემდეგ „კოლხების მდგომარეობა მეტად უნუგეშოდ იყო შერყეული. ქვეყნის მმართველები ყველანი დამაფიქრებელ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდნენ რა ექნათ, რისთვის მიემართათ. და, აი, კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყოთ, რასაც აქ მოაგვარებდნენ, და დასვეს საკითხი – სპარსელების მხარეზე გადავიდეთ თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო. მაშინვე მრავალმა წარმოთქვა სიტყვა" (9. 63).

ეს „მრავალი" აღშფოთებული ადამიანი არის სწორედ ის ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა გუბაზ მეფე მტრებთან ბრძოლებში. ცხადია, აგათია სქოლასტიკოსის მიერ დასახელებული კრების მომწყობნიცა და წარმმართველებიც ისინი არიან. სწორედ მათი წრიდან იყვნენ დიდებული ორატორები აიეტი და ფარტაძი, რომელთა სახელები სამუდამოდ შემოგვინახა ისტორიამ. აგათია სქოლასტიკოსს სახალხო კრებაზე წარმოთქმული მათი ცეცხლოვანი სიტყვები მთლიანად მოტანილი აქვს (9. 64-81) და ამით უდიდეს სამსახურს გვიწევს. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს თვალი გავადევნოთ მათ ნააზრევს, დავტკბეთ მათი გონივრულობითა და ჭკუამახვილობით.

აიეტი და ფარტაძი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანები არიან. აიეტის აზრით, გუბაზის მოკვლის გამო, ლაზებმა ზურგი უნდა აქციონ ბიზანტიელებს და ირანელებს მიემხრნენ (9. 64-70). ფარტაძი კი პირიქით ფიქრობს. მას მიაჩნია, რომ ირანელების მხარეზე გადასვლა საჭირო არ არის. სჯობს მომხდარი ამბავი ბიზანტიის იმპერატორს ეცნობოს, რათა იგი „სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის. და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან. ...თუკი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნე-

ბა თუ არა მეორე გზას დავადგეთ (12. 70-81).

განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად აიეტიცა და ფარტაძიც თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტები და შესანიშნავი მოაზროვნეები არიან. ასეთი ადამიანები მეფეს მუდამ სჭირდება და, როგორც ერთი, ისე მეორე, ალბათ, გუბაზის ახლობელთა წრის წარმომადგენლები იყვნენ.

როგორც ცნობილია, გუბაზი ერთი, მტკიცე ორიენტაციის მომხრე არ იყო. მდგომარეობის შესაბამისად ხან ირანელების მხარეს გადადიოდა და ბიზანტიელებს ებრძოდა, ხან კი პირიქით – ბიზანტიელებთან ერთად ირანის წინააღმდეგ მოქმედებდა. ამიტომ, ცხადია, აიეტიცა და ფარტაძიც მისი ახლობელი პირები იყვნენ, ოღონდ განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციები გააჩნდათ.

გუბაზის ახლობელი პირები უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე ისინიც, რომლებმაც აიეტისა და ფარტაძის გარდა, ამ კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს. რა თქმა უნდა, ისინიც, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ იმპერატორ იუსტინიანეს გუბაზის დაღუპვის ნამდვილი ამბავი შეეტყო (9. 81).

საინტერესოდ წარმართეს გუბაზის მკვლელთა სასამართლოზე თავიანთი მეფის უდანაშაულობის დამტკიცების საქმე ბრალდებელმა კაოლხმა დარბაისელებმა. სახელმწიფომ მათ თავიანი მეფის ინტერესების დაცვა ანდო და მათაც ღირსეულად შეასრულეს დავალება. სასამართლოზე ისინი ბერძნულად ლაპარაკობდნენ (9. 129-141), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვეს მსმენელზე და გუბაზის საქმესაც დიდად წაადგნენ.

გუბაზის ახლობელი იყო აგრეთვე ის კოლხი დიდებული ფარსანსი, რომელსაც სპარსელი დიპლომატების მიერ შედგენილი გეგმით, თავისი ქვეყნის მეფის მკვლელის როლი უნდა შეესრულებინა. ოდესღაც მას მეფე გუბაზისათვის რაღაც შეურაცხყოფა მიეყენებინა და „მასთან ამის გამო დიდ შუღლში

ჩავარდნილი" „სრულიად ვეღარ ბედავდა მეფეს დანახვებოდა" (1. 70). მიუხედავად ამისა, ფარსანსმა, სპარსელებთან საქმიანობას თავი აარიდა, გუბაზს საფრთხე შეატყობინა და სიკვდილსაც გადაარჩინა.

რა თქმა უნდა, ყველა ახლობელი ან მოხელე გუბაზის ერთგული არ იყო. ისტორიამ ისეთი პირების სახელებიც შემოგვინახა, რომლებმაც მეფესა და სამშობლოს უღალატეს. ასეთები იყვნენ თეოფობი და ტირდეტე. პირველმა ციხე უქიმერიონი (42. 169-170), ხოლო მეორემ, აფშილეთში მყოფმა ლაზმა დიდებულმა, მაგისტროსმა ტირდეტემ – ამ მხარეს ციხე წიბილე (1. 131-132) გადასცა სპარსელებს.

რა თქმა უნდა, გუბაზისათვის ყველაზე ახლობელი მაინც საკუთარი ცოლ-შვილი იყო. ყველა მეფე, ყველა სარდალი და, საერთოდ, ყველა მოღვაწე დიდი და დამღლელი საქმიანობისაგან დასვენებას ოჯახში ეძებს. აქ ეგულება მას შვილების თბილი ღიმილი, მეუღლის მხარდაჭერა. ამ სიყვარულით მოცულ გარემოში იგი ახალ-ახალ სამოქმედო გეგმებს აწყობს, ძალას იკრებს და კვლავ სამოღვაწეოდ ემზადება. ცხადია, გუბაზ II-საც ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა თავის ოჯახთან. რა ვიცით მისი ოჯახის შესახებ?

552 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის მეორე ხუთწლიანი ზავი დაიდო. ბიზანტიელებისათვის ეს ზავი ძალიან წარუმატებელი იყო. გარდა იმისა, რომ მათ ირანელებისათვის დიდძალი ოქრო უნდა გადაეხადათ (1. 166), ამ უკანასკნელთა ხელში აღმოჩნდა ლაზეთის დიდი ნაწილიც (1. 167). შაჰი ხოსრო I (531-579 წწ.) უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს ეგრისში (1. 167-168). მან ზემოთ დასახელებულ ლაზ თეოფობის დახმარებით, დიდმნიშვნელოვანი ციხე უქიმერიონი იგდო ხელთ, რითაც „მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკას. მაგრამ სპარსელებმა მხოლოდ ლაზეთი კი არ დაიპყრეს, მათ ხელში აღმოჩნდა აგრეთვე სკვიმნიაცა და სვანეთიც" ისე რომ, „მოხირისიდან ვიდრე იბერიამდე მთელი მიწაწყალი გამოეცალათ ხელიდან

რომაელებსა და ლაზთა მეფეს" (1. 170-171).

შევიწროვებული გუბაზ მეფე გამოსაზამთრებლად „მთის წვერზე ავიდა და იქ დაიზამთრა თავისი ბავშვებით, ცოლითა და მახლობლებით და, შექმნილი მდგომარეობით გაჭირვებაში ჩავარდნილი, ებრძოდა ზამთრის სუსხს, - მომავალს კი რწმენით უცქერდა ბიზანტიონის იმედით" (1. 172-173).

გუბაზის გარდა „დანარჩენმა ლაზებმაც, გუბაზ მეფის პატივისცემით, ზამთარი აგრეთვე მწვერვალებზე გაატარეს. მაგრამ სპარსელების სარდალმა მრავალი გადაიბირა. რაკი ისინი სურსათის ნაკლებობას განიცდიდნენ მერმეროე ხშირად აწვდიდა მათ და ზრუნავდა მათზე, როგორც თავისიანებზე" (1. 174).

მერმეროემ გუბაზს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მოუწოდებდა, რომ შერიგებოდა შაჰ ხოსროს, რის შემდეგაც იგი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნებოდა და სამეფოც სამუდამოდ დაცული ექნებოდა. მაგრამ გუბაზმა არ უსმინა მას. „ის დარჩა მაღლობებზე" (1. 175-176). რა თქმა უნდა, იგი ცოლ-შვილისა და ერთგული მხლებლების გარემოცვაში იმყოფებოდა. სამწუხაროდ, უცნობია ვინ იყო მისი მეუღლე, რამდენი შვილი ჰყავდა და რომელი მათგანი როდის დაიბადა. წყაროებში ამის შესახებ ლაპარაკი არ არის.

გუბაზის ბიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ პროკოპი კესარიელის ცნობით მას დაც ჰყავდა (1. 178).

აი, რას მოგვითხრობს პროკოპი: 552 წელს „მერმეროემ (სპარსელთა სარდალია – ჯ. ს.) ჯარი წაასხა ერთი ციხის წინააღმდეგ, სადაც გაიგო მან – გუბაზის და არისო, რომ იგი რამენაირად აეღო", მაგრამ სპარსელები ვერაფერს გახდნენ და ხელმოცარულნი უკუ იქცნენ (1. 210-211).

წყაროები გუბაზ მეფის ახლობლების შესახებ უფრო მეტი ლაპარაკის შესაძლებლობას არ იძლევიან, მაგრამ რაც ით-

ქვა, ამან მისი ბიოგრაფია უფრო გაამდიდრა და გაამრავალ-ფეროვნა. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ა) გუბაზი იყო ლაზეთის მეფე წათე II-ისა და ბიზანტიელი ქალის ვალერიანეს შვილი; ბ) წათე და ვალერიანე 523 წელს შეუღლდნენ; გ) გუბაზი 523 წლის შემდეგ დაიბადა. იგი უფროსი ვაჟი და შეიძლება თავისი მშობლების პირველი შვილიც იყო; დ) გუბაზს ჰყავდა უმცროსი ძმა წათე და დაი; ე) ვიცით, რომ გუბაზის პაპას დამნაზე ერქვა. იგი 523 წელს გარდაიცვალა; ვ) დამნაზეს წათე I-ის გარდა მეორე ვაჟიც ჰყავდა. ეს იყო ოფსიტე; ზ) ოფსიტე წათე I-ის შემდეგ გამეფდა და გუბაზ II-ის წინა მეფე იყო; თ) ვიცით გუბაზ II-ის ზოგიერთი დიდებულის (აიეტი, ფარტაძი, ფარსანსი, თეოფობი, ტერდეტე) სახელი; ი) ვიცით აგრეთვე, რომ მას ჰყავდა ცოლ-შვილი.

გუბაზის შესახებ სხვა მრავალი მონაცემებიც გაგვაჩნია, მაგრამ ამ თავში ვერ ვეხებით. მათზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მესამე თავი
ჩვენი სამშობლო VI საუკუნის პირველ მესამედში
(მოკლე პოლიტიკური მიმოხილვა*)

§ 1. ქართლის (იბერიის) სამეფო VI ს-ის პირველ მესამედში

ვახტანგ გორგასლის მიერ ირანის უღლისაგან ქართლის გათავისუფლებისათვის წარმოებულმა მრავალწლიანმა ბრძოლამ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ხასიათში ცვლილება ვერ შეიტანა. ირანის პოლიტიკა მის მიმართ არ შეცვლი-

* ამ თავის დართვა ნაშრომისათვის, ერთი შეხედვით, გაუმართლებელია. სად გუბაზ II - VI საუკუნის 40-50-იანი წლების მოღვაწე და სად VI საუკუნის I მესამედის ლაზეთი და ქართლი. ეს განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე ითქმის. მაგრამ ვითვალისწინეთ, რომ წინამდებარე წიგნი სპეციალისტების გარდა შეიძლება ჩვეულებრივმა მკითხველმაც წაიკითხოს და ჩვენი სამშობლოს ეს საკმაოდ შორეული წარსული (1400 წელზე მეტით ვართ დაშორებული ამ დროს) დამახინჯებით გაიგოს. კერძოდ ვერ გაითვალისწონოს, რომ ა) ქართლისა (იბერიისა) და ლაზეთის (ეგრისის) სამეფოებს, ხშირად, ერთი და იგივე პოლიტიკური პრობლემები უმძიმებდათ ზურგს. ბ) ქართლისა და ლაზეთის სამეფოები, სხვადასხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ ყოფნის მიუხედავად, ურთიერთის იმედითა და დახმარებით ცხოვრობდნენ. გ) ორივე სამეფოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული ქრისტიანობა იყო ის ძირითადი ხერხემალი, რაც ერთი-მეორისკენ უბიძგებდა ჩვენი სამშობლოს ამ ორ მხარეს, აიძულებდა მათ ერთ პოლიტიკურ ორიენტაციაზე ეფიქრათ და მოემზადებინათ ნიადაგი საქართველოს გაერთიანებისათვის.

ამა თუ იმ პრობლემაზე სწორი და ყოველმხრივი ინფორმაციის მიწოდება მეცნიერული ნაშრომის ძირითადი ამოცანაა. ამიტომ, ჩამოთვლილი საკითხების უგულებელყოფით უსათუოდ მკითხველი წააგებდა. III თავში ჩვენი ისტორიის ისეთი საკითხები განიხილება, რომლებიც ამ წიგნის მკითხველს გუბაზის საქმიანობაში კიდევ უფრო ღრმად ჩაახედებს. ყოველ შემთხვევაში იმ ვითარებას გააცნობს, რომელმაც გუბაზი აიძულა გამოსავალი ეძია და, პირველ რიგში, ირანის სახელმწიფოს დაკავშირებოდა.

ლა. შაჰ იეზდიგერდის დროს ჩამოყალიბებული დოქტრინა კვლავ მოქმედებდა. მაგრამ არც ქართლი შერიგებია მას, რადგან ირანელების საქმიანობასთან შერიგება ქართლელების, როგორც ხალხის გაქრობას ნიშნავდა. ამიტომ დამპყრობელ-დაპყრობილის მორიგების გზები არ ჩანდა. აი, ასე შეაბიჯა აღმოსავლეთ საქართველომ ახალ – VI საუკუნეში.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის სამეფოს ტახტზე ასულმა მისმა ვაჟმა დაჩიმ ქვეყანაში დიდი კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო, რასაც ქვეყნის მდგომარეობა კარნახობდა. მემატიანე ჯუანშერის ცნობით, მაშინ „მოოჴრებულ იყვნეს ყოველნი ჴევნი ქართლისანი, თჳნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა (59ᵃ. 205).

იმავე ავტორის ცნობით დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ" (59ᵃ. 205).

დაჩის აღმშენებლობითი და კულტურული საქმიანობა კარგად აისახა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-შიც. დაჩის დროს, - აღნიშნულია აქ, – „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს" (59ᵇ. 94).

ამრიგად, მეფე დაჩი ვახტანგის ძის სწრაფვა ქვეყნის სტაბილურობისაკენ აშკარაა. მაგრამ სწორედ მის მეფობაშივე გამომჟღავნდა ქვეყნის დაშლის უაღრესად მავნე და საშიში ტენდენციაც. დაჩის გამეფების შემდეგ მისმა ნახევარძმებმა ლეონმა და მირდატმა „დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდის წუნდას ქალაქსა. ზაფხულის და ზამთრის იყვის ოძრჴეს".

მართალია ისინი მეფეებად არ იწოდებოდნენ და ერისთავთა-მთავრის ტიტულებით კმაყოფილდებოდნენ, თანაც არც დაჩის მორჩილებაზე ამბობდნენ უარს (59ᵃ. 205), მაგრამ როგორც აკად. დ. მუსხელიშვილიც შენიშნავს, ქვეყნის დაშლის ტენდენცია სახეზეა (59ᵇ. 213-214).

სამწუხაროდ, პოლიტიკური თვალსაზრისით, არც ვახტანგ გორგასლის შემდგომი ხანა აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოსთვის მშვიდობიანი. მაშინდელი მსოფლიო იმპერიები – ირანი და ბიზანტია, ისე როგორც წინა საუკუნეში, კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს ამიერკავკასიასა და სხვა მხარეებში გაბატონებისთვის.

510 წელს ირანმა ხელმეორედ გააუქმა მეზობელ ალბანეთში სამეფო ხელისუფლება. რაკი სომხეთში ეს გაცილებით ადრე მოხდა (428 წ.), ახლა ამიერკავკასიაში მხოლოდ ორი სამეფოღა რჩებოდა – დასავლეთ საქართველოში ლაზეთი (იგივე ეგრისი) და აღმოსავლეთ საქართველოში – ქართლი (იგივე იბერია).

ცხადია, ირანს ერცერთი მათგანი გულზე არ ეხატა, მაგრამ განსაკუთრებით ქართლის სამეფოს არსებობა აღიზიანებდა და მის დასასუსტებლად ყველა ღონეს ხმარობდა.

დაჩის შვილიშვილის, ფარსმან მეფის დროს, სპარსელებმა ქართლი და რანი სასტიკად ააოხრეს. ფარსმან მეფე იძულებული გახდა შაჰისათვის მორჩილება და ყმობის პირობა მიეცა, რის შემდეგაც იგი ქართლს გაეცალა (59ᵃ. 206).

სპარსელების ეს შემოსევა დადასტურებული აქვს „მოქცევაᲘ ქართლისაᲘ"-საც (59ᵇ. 94).

სწორედ სპარსელთა ამ შემოსევის შედეგი იყო, რომ „მიერითგან განიყვანეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ შვილნი დაჩისნი ჰმორჩილებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა" (59ᵃ. 207).

ეს იყო ქართლის სამეფოს დიდი პოლიტიკური მარცხი. ამ ზარალის გასათვალისწინებლად მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ ბიზანტიის მფარველობაში მოქცეული ტერიტორიები გადაჭიმული იყვნენ „ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა" (59ᵃ. 205), რაც მტკვრის ზემო წელს (ჯავახეთს, სამცხეს) და ჭოროხის აუზს ზღვისპირამდე გულისხმობდა (59ᵇ. 216).

VI საუკუნის ირანის სახელმწიფოს ხასიათი შესანიშნავად აქვს დახასიათებული აკად. ს. ჯანაშიას. მისი სიტყვით „VI საუკუნისათვის სასანიანთა ირანმა მიაღწია თავის გარეგნულ ძლიერებისა და ტერიტორიული ექსპანსიის მწვერვალს. ამ ძლიერების გამოხატულება იყო სწორედ მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა და რომის აქედან საბოლოო გაძევება. მაგრამ სასანიან შაჰებს უფრო მეტიც სურდათ: ისინი მთელი სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდებისა და საბოლოო შემომტკიცებისაკენ მიისწრაფოდნენ" (60. 2).

ერთიანი რეჟიმის დამყარება ამ ქვეყნებში, რასაც ირანელი პოლიტიკოსები მიზანშეწინილად მიიჩნევდნენ, შიშველ ოკუპაციასა და უშუალოდ შეერთებას ემყარებოდა. მათ ვასალური ქვეყნები „თანდათან ირანის სახელმწიფოს უბრალო პროვინციების მდგომარეობაში გადაჰყავდათ" (60. 2).

თავისთავად ცხადია, რომ ის საშიშროება, რასაც ირანი პატარა ქვეყნებს უქმნიდა, ქართლის სამეფოსაც ემუქრებოდა.

ირანის შაჰ კავად I-ზე (488-531 წწ.) ლაპარაკი ამ თავის მეორე პარაგრაფშიც მოგვიწევს. მისი შაჰობის ხანა ჩვენი ნაშრომის მესამე თავში განხილულ ეპოქას – VI ს-ის პირველ მესამედსაც მოიცავს და ცხადია, იგი მისი მოღვაწეობის ღრმა კვალს ატარებს. ირანი დასახელებულ წლებშიც უხეშად ერევა ჩვენი სამშობლოს შინაურ ცხოვრებაში და ქართველი ხალხის პოლიტიკურ საქმიანობას მძაფრ ხასიათს აძლევს. სწორედ მისი მოუზომავი ღონისძიებების შედეგი იყო ის დიდი განხეთქილება, რაც 523 წელს ირანისა და ქართლის სამეფოებს შორის მოხდა და გურგენ მეფის აჯანყებით დამთავრდა.

პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს: „კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი (ქართველები) თავისი სარწმუნოების წესებზე და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც საპრსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ მიცვალე-

ბული ფრინველებისა და ძაღლებისთვის გადაეგდო"-ო (1. 48-49).

კავად I-ის სარწმუნოებაზე ლაპარაკისას უნდა გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება V საუკუნის 90-იან წლებში ირანში აღმოცენებულ ახალ რელიგურ დოქტრინასთან – მაზდაკიანობასთან. მაზდაკის მიმდევრების აზრით სამყაროში არსებობენ ერთმანეთის დაპირისპირებული სინათლის (სიკეთის) და სიბნელის (ბოროტების) ძალები. ციური მეუფის (ღმერთის) და სინათლის ძალების ერთობლივი მოქმედებით შეიძლება სინათლის ნაწილაკების ჩამოცილება და გადატრიალების გზით დედამიწაზე მოწესრიგებული და სამართლიანი საზოგადოების შექმნა.

მაზდაკის მიმდევრები მოითხოვდნენ მდიდართა ქონების ღარიბებისათვის დარიგებას და ამ გზით სოციალური თანასწორობის აღდგენას. კავადმა მაზდაკის აზრი გაიზიარა და სახელმწიფო ბეღლებიდან ხორბალი დამშეულ ხალხს დაურიგა. თვით მაზდაკი კი მრჩევლად აიყვანა. მაგრამ 496 წელს კავადი შეთქმულება დაამხეს, ხოლო 498/499 წლიდან, ტახტზე ხელმეორედ დაბრუნების შემდეგ, იგი მაზდაკელებს აღარ მფარველობდა* თუმცა მათ წინააღმდეგ რაიმე აშკარა ღონისძიება არ გაუტარებია. ეს ჩაიდინა მისმა ვაჟმა ხოსრომ 529

---

* მაზდაკური მოძრაობის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს. მაგალითად: Б. Н. Заходер. Иран при Сасанидах. Исторический журнал. №12, 1938 (61); A. Christensen. L'Iran sous les Sasanides. Copehague. 1944 (62); მისივე le roi Kawadh et le Comunisme masdakite, 1925 (63). Н.Б Пигулевская, Маздакидское движение. Известия АН СССР, Отд. истории и философии. №4 (64); მისივე Идея равенства в учении маздакитов. Сб.: Из истории социально-политических идей. К семидесятилетию академика В. И. Волгина, М. 1955 (65); В. В. Бартольд. К истории крестьянских движении в Персии. Сборник в честь Н. И. Лареева. 1923 (66). ვ. გაბაშვილი, მაზდაკელთა აჯანყება. წიგნში: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის სიტროიდან". თბ. 1957 (67. 41-45).

წელს, როდესაც მაზდაკიანთა ბელადები ამოჟლიტა (61. 114-115).

ცხადია, რომ როდესაც პროკოპი კესარიელი კავადის სარწმუნოებრივ წესებზე ლაპარაკობს არა მაზდაკიანობას, არამედ ირანულ ეროვნულ რელიგიას ზოროასტრიზმს ანუ მაზდეანიზმს გულისხმობს.

როგორც უკვე აღინიშნა, V საუკუნის 40-იანი წლებიდან, ირანმა ამიერკავკასიის ხალხების მიმართ ახალი დოქტრინა შეიმუშავა. ამ დოქტრინის ერთ-ერთი მუხლი ქრისტიანული რელიგიის მაზდეანურით* შეცვლა იყო (68, 84). რელიგიის ცვლა ხალხში საუკუნეებით დამკვიდრებული ყოფა-ცხოვრების წესების შეცვლასაც იწვევდა, რადგან ირანული რელიგია ქრისტიანობისაგან განსხვავებული წარმოდგენების გამტარებელი იყო.

შაჰ კავად I-ის გურგენისადმი გაგზავნილი ბრძანება ძალმომრეობის ნამდვილი მაგალითი იყო. მიცვალებულების მინის ზემოთ, ძაღლებისა და ფრინველების საძიძგნად, მიტოვება იმდენად არ შეესაბამებოდა დასაფლავების ქრისტიანულ (ასე განსაჯეთ, ქართულ წარმართულ) წესს, რომ ჩვენში მისი ცხოვრებაში გატარება ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

რა თქმა უნდა, ქართლის სამეფოს მესვეურებიც კავადის ამ ბრძანებას უკიდურესად გაუმართლებლად მიიჩნევდნენ და სათანადო დასკვნებსაც გააკეთებდნენ. ეტყობა სხვა გამოსავალი ვერ ნახა და, 523 წელს, გაღიზიანებული ქართლის მეფე გურგენი სპარსელებს აუჯანყდა. პროკოპი კესარიელი წერს: „გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც (ე.ი. იუსტინემ) მას დიდი სიამოვნებით მისცა ეს დაპირება" (2, 49).

---

* მაზდეანობა ძველი ირანული რელიგიის გავრცელებული ფორმაა.

გურგენმა*, ალბათ, კარგად გაითვალისწინა ქართლის სამეფოს დიდი ფასი ბიზანტიის საამიერკავკასიო სტრატეგიაში და ამიტომაც გაბედა ირანის წინააღმდეგ ამბოხება. მას ეგონა, რომ ბიზანტიის მხარეზე გადასული ქართლის სამეფოს შენარჩუნების მიზნით, იუსტინე იმპერატორი არაფერს დაიშურებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ბიზანტიის მხრიდან აღმოჩენილი დახამრება იმდენად მცირე იყო, რომ მისი იმედით ბრძოლა გურგენს დაღუპვას უქადდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გურგენისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით იუსტინემ ზოგიერთი ღონისძიება მართლაც გაატარა. მან „ბოსპორში გაგზავნა დიდძალი ფულით პრობე, გარდაცვალებული ანასტასეს (491-517 წწ.) ძმისწული, პატრიკიოსი, რათა ჰუნების ჯარი ფულის საშულებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა" (2. 49).

მაგრამ პრობემ დაკისრებული ამოცანა ვერ შეასრულა და ხელცარიელი დაბრუნდა იმპერიაში. მაშინ იუსტინემ ლაზეთში მიავლინა პეტრე სტრატეგოსი რამდენიმე ჰუნითურთ, რათა გურგენს დახმარებოდა (2. 50).

ირანის შაჰმა კავადმა კი გურგენისა და იბერების წინააღმდეგ დიდძალი ჯარი დასძრა სარდალ ვოის მეთაურო-

---

* ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გოილაძე, 1990 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ თავის ნაშრომში, შეეცადა დაემტკიცებინა, რომ გურგენი ქართლის მეფე კი არა "ეგრისის მეზობლად მდებარე ქართლის რაღაც ნაწილის გამგებელი უნდა ყოფილიყო (69. 140. 148). ამასთან ერთად დაასკვნა, რომ „523 წლის ახლო ხანაში ირანელთა წინააღმდეგ საკუთრივ ქართლში აჯანყება არ მომხდარა" (69. 149).

ჩვენ გვგონია, რომ ჩატარებული საყურადღებო მუშაობის მიუხედავად, საკითხის ასე დასმა გამართლებული არ უნდა იყოს. ჩვენს მიერ მოტანილი პროკოფი კესარიელის ცნობაში იმდენი დეტალია, რაც გურგენის ქართლის მეფობაზე მიუთითებს, რომ საეჭვო აღარაფერი რჩება. აშკარაა, რომ გურგენის აჯანყების უგულებელყოფაც გაუმართლებელია. ის კი მართლაც საკითხავია: რომელი ქართლის მეფე იყო გურგენი?

ბით.

ქართლის აჯანყების ფართოდ გაშლა ისედაც გართულებულ ურთიერთობებს ამიერკავკასიაში კიდევ უფრო დაძაბავდა. ამან, როგორც ჩანს, ირანის სამეფო ხელისუფლება სერიოზულად შეაშფოთა და, ეს რომ არ მომხდარიყო, კავადმა ქართლის აჯანყების დასაწყისშივე ჩახშობა მოიწადინა.

გურგენმა შეატყო, რომ იმ ჯარით, რაც მას გააჩნდა, სპარსელებთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ იგი „ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები (2. 49-50), რომელთაგან უხუცესი იყო პერანი"*

სპარსელები ლაზეთის საზღვრებში შესულ ქართველებს დაედევნენ, მაგრამ, როგორც პროკოპი კესარიელი წერს, „მაინცდა მაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელგასასვლელი ადგილები" (2. 51).

გურგენი და მისი ოჯახი ერთხანს ლაზეთში იყვნენ, შემდეგ კი ბიზანტიონში ჩავიდნენ. მათთან ერთად იუსტინეს მიერ უკან გამოწვეული პეტრე სტრატეგოსიც მოვიდა (2. 51).

ეს ის პეტრე სტრატეგოსია, რომელიც იუსტინე იმპერატორმა საგანგებოდ გაგზავნა ლაზეთში რამდენიმე ჰუნითურთ, რათა აჯანყებული გურგენისათვის დახმარება აღმოეჩინა.

ამრიგად, ქართლის მეფის გურგენის აჯანყება 523 წელს მარცხით დამთავრდა. მეფეცა და მთელი სამეფო ოჯახიც, დამპყრობლის შურისძიების შიშით, უცხოეთში გადაიხვეწნენ.

523 წელი ზოგიერთ მეცნიერს ქართლის სამეფოს ხელისუფლების გაუქმების წლად მიაჩნია (70. 247).

---

* პერანი გურგენის უფროსი ვაჟი იყო. პერანი იგივე ფირანი ლაზეთიდან ბიზანტიაშუ წავიდა და იქიდან აღარ დაბრუნებულა. 544 წელს, ნადირობისას, ცხენიდან გადმოვარდა და დაიღუპა. იმპერიაში მას საუკეთესო სარდლის სახელი ჰქონდა მოპოვებული (იხ. გეორგიკა, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა 1. გვ. 232-233).

მართლაც, პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ „იმ დროიდან (იგულისხმება გურგენის აჯანყება – ჯ. ს.) არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერიელები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს" (2. 94).

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ VI საუკუნის ბიზანტიელი ისტროიკოსის იოანე მალალას ცნობით, ირანელების მიერ ლაზთა მეფე წათე I-ის დასასჯელად წამოწყებული ომის დროს, მეფე იუსტინიანეს თანამედროვე მეფეები ყოფილან:

სპარსეთში - კოადი დარასთენი, ძე პეროზის;

რომში - ალარიხი, ვალმერიაკეს შთამომავალი;

აფრიკაში - გილდერიხი, გინზირიხის შთამომავალი;

აქვსუმიტ-ინდების ქვეყანაში – ანდასი;

იბერიაში - ზამანაზი (9. 268).

ცნობილია, რომ იუსტინიანე იმპერატორად გახდა 527 წლიდან, სპარსეთის შაჰი კავადი კი 531 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე 527-531 წლებში მაინც ქართლის მეფე ძამანარსე ყოფილა. აკად. ი. ჯავახიშვილს ძამანარსეს ქართლის მეფობა საეჭვოდ მიაჩნია (71. 244), მაგრამ წყაროები გვაიძულებენ, რომ მათ ანგარიში გავუწიოთ. იოანე მალალას გარდა ძამანარძე-ძამანარსეს შესახებ საინტერესო ცნობები აქვთ დაცული VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელ ისტორიკოსს თეოფანე ჟამთააღმწერელს (41. ნაკვ. I, 90) და XI ს. ქრონოგრაფოსს გიორგი კედრენეს (74. 16), მაგრამ თუ გიორგი კედრენეს ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხევვა თეოფანეს და მისი გამეორებაა (72. 16), თეოფანე სხვა წყაროებით სარგებლობს. მისი მონაცემები სრულიად განსხვავებულია იოანე მალალას ზემოთ მოყვანილი ცნობიდან.

მისი სიტყვით 535 წელს „იბერიელთა მეფე ძამანარძე მოვიდა და დარბაისელებითურთ მან სთხოვა იუსტინიანეს მიეღო იგი რომაელების მიკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად.

მეფემაც შეიწყნარა ეს თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც და მის დარბაისლებსაც; ამგვარადვე, დედოფალმაც აჩუქა მის მეუღლეს მრავალნაირი სამკაული, მარგალიტებით მოჭედილი და იუსტინიანემ გაისტუმრა ისინი მშვიდობით მათ საკუთარ სახელმწიფოში" (41. 80). აკად. ივ. ჯავახიშვილს ეს ცნობა სანდოდ არ ეჩვენებოდა, რადგან ძამანარსე ახლად გაქრისტიანებულად არის მოხსენებული და ამის გამო ფიქრობს, რომ შეიძლება იგი იბერიის მეფეც არ იყო (15. 245).

ამ საკითხს ყურადღება მიაქცია აკად. ს. ყაუხჩიშვილმაც. მან „გეორგიკის" IV ტომის I ნაკვეთში, რომელიც 1941 წელს დაიბეჭდა, გვ. 80-ს თან დაურთო ძალზე მნიშვნელოვანი შენიშვნა მე-4, სადაც დაწვრილებით განიხილა ძამანარსეს საკითხი. მისი აზრით ქართლში „VI საუკუნის მანძილზე, როდესაც აქ სპარსელები ბატონობდნენ, ადგილობრივი სამმართველო აპარატი მოსპობილი არ ყოფილა. ეს გარეგნულად დარჩა ისევე, როგორც იყო – მეფე (მამასახლისი) და მისი მოადგილე, პიტიახში, ხოლო მათი მოქმედება შეზღუდული იყო მარზპანის ძალაუფლებით". მისივე სიტყვით „ერთ-ერთი მეფეთაგანი უნდა იყოს ძამანარძე, რომელიც სპარსელების ბატონობით უკმაყოფილო, 535 წელს იუსტინიანესთან ჩასულა კონსტანტინეპოლში" (73. 80-84).

1963 წელს, გეორგიკის V ტომის გამოსვლისას, რომელიშიც გიორგი კედრენეს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ცნობაც იყო შეტანილი, ს. ყაუხჩიშვილმა თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობასთან დაკავშირებით გაკეთებული ეს ვრცელი შენიშვნა მთლიანად გადაბეჭდა (74. 16-22)*.

გეორგიკა, ტ. V, გვ. 16-22. ს. ყაუხჩიშვილის შეხედულებებთან დაკავშირებით პროფ. ა. ბოგვერაძე წერს: „ს. ყაუხჩიშვილის ამ შეხედულებებიდან ყველაფერი ერთნაირად მისაღები არ უნდა იყოს, კერძოდ, ის აზრი, რომ იბერიაში 527-535 წლებში მეფედ იყო ძამანარძე, შეიძლება მივიღოთ, თუმცა ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს". რაც შეეხება ს. ყაუხჩიშვილის აზრს ქართლში სამეფო ხელისუფლების მთელი VI ს-ის მანძილზე არსებობის შესა-

პრობლემის სირთულისა და ინტერესის მიუხედავად ამ საკითხზე საგანგებო კვლევის ჩატარებას არ ვაპირებთ. მიგვაჩნია, რომ ს. ყაუხჩიშვილის დაკვირევბა გასათვალისწინებელია.

ბოლო ხანს ქართლის მეფის ძამანარძეს საკითხს რამდენიმე მკველევარი საგანგებოდ შეეხო. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ვ. გოილაძის აზრით ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას ქართლში მეფობის 523 წელს გაუქმების შესახებ ძველი ქართული და უცხოენოვანი წყაროები მხარს არ უჭერენ. მეფობა ქართლში დაახლოებით 537 წელს უნდა გაუქმებულიყო (76. 186; 77. 13).

მისივე აზრით, ძამანარძე იგივე ფარსმან II-ა, რომელიც „ფარნავაზიანთა სახლის უკანასკნელი მეფე ბაკურის" მამა ყოფილა. ფარსმანი იგივე ძამანარძე დაახლოებით 535 წელს უნდა გარდაცვლილიყო (76. 186-187). მისი აზრით, ქართლის სახელმწიფოებრიობა 555 წელს აღდგა, როდესაც გუარამი „განაჩინეს" (78. 122).

ქართლის მეფე ძამანარძეს საკითხს საგანგებოდ შეეხო დ. ლეთოდიანიც. იოანე მალალას, თეოფანე ჟამთააღმწერელისა და ჯუანშერის ცნობების ანალიზის საფუძველზე იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ბიზანტიელ ისტორიკოსებთან (იოანე მალალასთან, თეოფანე ჟამთააღმწერელთან) ქართლის მეფედ დასახელებული ძამანარძე (ზამანაზი) ისტორიულ-რეალური მეფის სტატუსის მქონე პიროვნება უნდა იყოს. ყველაზე მეტად შესაძლებელია ძამანარძე კლარჯეთ-ჯავახეთის (ზემო ქართლის) სამეფო-საგვარეულო სახლის (მირდატის შთამომავლობიდან) რომელიმე წარმომადგენელი, ერისთავთა მთავარ გუარამის წინამორბედი ყოფილი-

---

ხებ ა. ბოგვერაძის სიტყვით „ამის გაზიარება ჩვენს ხელთ არსებული მასალებით შეუძლებელია" (იხ. ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითრება IV-VIII საუკუნეებში (75. 62).

ყოს" (32. 88-99).

ავტორი ფიქრობს, რომ შეიძლება 535 წელს კონსტანტინეპოლში ჩასულ იბერთა მეფე ძამანარძეს სურვილი ჰქონდა ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებაში იუსტინიანე კეისრის მხარდაჭერა მოეპოვებინა (32. 89).

ბოლო ხანს ზამანაზი თუ ძამანარძის საკითხს აკად. დ. მუსხელიშვილიც შეეხო. იოანე მალალას და თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობათა შეთანაპირებით მისთვის ცხადი ხდება, რომ 527-535 წლებში იბერიაში მეფობს ზამანაზი ანუ ძამანარძე. მისივე განცხადებით „ბიზანტიურ წყაროთა ჩვენებაში ეჭვის შეტანა თითქოს უსაფუძვლოა და ეს ფაქტი დადგენილად უნდა ჩაითვალოს" (59ª. 214).

მაგრამ, თავისდაუნებურად, აქაც ისევ ის საკითხი ისმის: ქართლის რომელი ნაწილიდან იყო ეს ზამანაზი თუ ძამანარძე? ან რატომ არ იხსენიება იგი, ისევე, როგორც გურგენი, ქართული წყაროებით („ქართლის ცხოვრება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ") ცნობილ ქართლის მეფეთა შორის? აი, ჩვენთვის საჭირო პერიოდის ქართლის მეფეთა რიგი: დაჩი – ბაკური – ფარსმანი – ფარსმანი („სხუაჲ") – ბაკური (59ª. 214-215). მათში არც გურგენი ჩანს და არც ზამანაზი თუ ძამანარძე.

აკად. დ. მუსხელიშვილის განცხადებით „არავითარი საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ამ ცნობებში (59ª. 215), ე. ი. მეფეთა რიგში. მაგრამ მართლა ასეა? ზამანაზი-ძამანარძეს შესახებ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ გურგენი რომ ქართლის („აღმოსავლეთ ქართლის") მეფეა, ეს აშკარაა. იგი მეფე დაჩის შთამომავალი ჩანს და ქართლის მეფეთა რიგში აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ არ არის.

როგროც მიმოხილული მასალიდან გამოჩნდა, ივ. ჯავახიშვილის გარდა, ყველა მკვლევარს, ძამანარძის – ქართლის მეფის არსებობა არ ეეჭვება. მეც ვფიქრობ, რომ იგი ქართლის რეალური მეფე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, ისევე როგორც გურგენ მეფესთან დაკავშირე-

ბით, აქაც ვსვამ კითხვას: კერძოდ, რომელი ქართლის მეფე უნდა ყოფილიყო, ქართლი ხომ ერთიანი პოლიტიკური ერთეული აღარ არის?

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ჯუანშერის ცნობით, მეფე ფარსმანის დროს, სპარსელების ქართლში ლაშქრობის შემდეგ, „განიყვანეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰმორჩილებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა (59ᵃ. 207). სპარსელებს დამორჩილებული ქართლი „აღმოსავლეთ ქართლია", ხოლო ბიზანტიის მფარველობაში შესული ქართლის ნაწილი „დასავლეთ ქართლს" წარმოადგენს (59ᵃ. 214-215).

ჯუანშერის ცნობით ბიზანტიის მფარველობაში შესული ქართლის ნაწილის ე. ი. „დასავლეთ ქართლის" საზღვრები გადაჭიმული იყო „ფარავნითგან და ტახისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა" (59ᵃ. 205), რაც მტკვრის ზემო წელს (ჯავახეთს, სამცხეს) და ზღვისპირეთამდე მისულ ჭოროხის აუზს (59ᵃ. 216).

თავისთავად იგულისხმება, რომ ქართლის დანარჩენი ტერიტორიები „აღმოსავლეთ ქართლის" საკუთრებაა. ამიტომ, როდესაც ქართლის ამა თუ იმ მეფეზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა ვიკითხოთ: რომელი ქართლის მეფესთან გვაქვს საქმე.

ზემოთ, მეფე გურგენის სადაურობაზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ მის შესახებ არსებული პროკოპი კესარიელის ცნობაში, მრავალი რამ, აშკარად მიუთითებს ამ პიროვნების ქართლის მეფობაზე. აი, რას ვგულისხმობთ:

ა) მეფე გურგენი, რომ ქართლის იმ ნაწილიდან არ ყოფილიყო, რომელიც სპარსეთის მორჩილებაში იყო შესული ე. ი. „აღმოსავლეთ ქართლიდან" (სადაც ვახტანგ გორგასლის ძის, დაჩის შვილები ბატონობდნენ), შეძლებდა კი ირანის შაჰი კავადი მისთვის ისეთი მკაცრი მოთხოვნა გაეგზავნა, როგორიც იყო გარდაცვლილების მინდორ-ველებში გადაყრა, როგორც

ამას სპარსული სარწმუნოება ითვალისწინებდა? ეს ბრძანება რომც გაეგზავნა, ბიზანტიის იმპერიის მორჩილებაში მყოფი „დასავლეთი ქართლის" მეფე მასზე რაიმე რეაგირებას მოახდენდა? კავადის მხრიდან ასეთი ბრძანების გაგზავნა გაუმართლებელი იყო.

ბ) მეფე გურგენი რომ „აღმოსავლეთ ქართლის" მეფე იყო იქიდანაც ჩანს, რომ კავადის ბრძანებამ იგი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო: ან უნდა დათანხმებოდა მის ბრძანებას, რაც დიდ ეროვნულ კატასტროფას ნიშნავდა, ან უნდა უარეყო იგი. ე. ი. უნდა აჯანყებოდა ირანს. სხვა გამოსავალი არ ჩანდა, რადგან გურგენი კავადის ყმა იყო და სწორედ ამიტომაც გამოუგზავნა შაჰმა ზემოთ ნახსენები ბრძანება.

გ) გურგენი რომ „აღმოსავლეთ ქართლის" მეფე არ ყოფილიყო, რატომ აუჯანყდებოდა იგი კავად შაჰს, ან რატომ მიმართავდა იგი დასახმარებლად ბიზანტიის იმპერატორ იუსტინეს? ის, რომ ე. წ. „დასავლეთ ქართლი"-ს გამგებელი ყოფილიყო, კავადის ბრძანებას პირდაპირ თავის ბატონს, ბიზანტიის იმპერატორს აუწყებდა, რომლის შემდეგ ირანის შაჰის მოთხოვნას იმპერიის დიპლომატია შეაფასებდა და სათანადო ღონისძიებებსაც გაატარებდა.

გურგენი „აღმოსავლეთ ქართლის" მეფეა და, რაკი იგი ირანის შაჰის მორჩილებაში მყოფ ქართლის ნაწილს განაგებს, ხოლო შაჰი კი მას „ჩაგრავს", გამოსავალს მჩაგვრელის წინააღმდეგ აჯანყებაში ხედავს. მაგრამ, რაკი ირანთან შედარებით სუსტ სამხედრო ძალას ფლობს, დასახმარებლად მეორე ძლიერ სახელმწიფოს, ბიზანტიას მიმართავს. ეს სრულიად ლოგიკური მოვლენაა.

დ) დამარცხებული გურგენ მეფის მიერ გავლილი გზის გათვალისწინება აშკარად გვიჩვენებს, თუ საიდან გარბის იგი და საითკენ მიემართება. პროკოპი კესარიელი წერს: „...გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების მიერ გამოგზავნილი დამხმა-

რე ძალები საკმაოდ არ იყო, ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულებითურთ... ლაზიკის საზღვრებში რომ მივიდნენ, აქ გაჩერდნენ და ძნელადგასავლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მას, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელადგასავლელი ადგილები. შემდეგ იბერები ბიზანტიაში ჩამოვიდნენ (2. 50-51).

აშკარაა, რომ მეფე გურგენი „აღმოსავლეთ ქართლიდან" ე. ი. სპარსელების მორჩილებაში მყოფი ქართლის ნაწილიდან იხევს უკან. ისიც უეჭველია, რომ იგი ლაზიკისაკენ ე. ი. ეგრისისაკენ მიისწრაფვის და ლიხის გადასასვლელით მიიწევს დასავლეთ საქართველოსაკენ. სწორედ ამ გზაზე იყო ის „ძნელგასავლელი ადგილები", რომლებმაც მდევარ სპარსელებს ხელი შეუშალეს, რომ გურგენს დაწეოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მივიჩნევთ მეფე გურგენს „აღმოსავლეთ ქართლის" მბრძანებლად. აშკარაა, რომ მისი აჯანყებაც რეალურ მოვლენად მიგვაჩნია.

VI ს-ის პირველი მესამედის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის წარმოსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს შიო მღვიმელის „ცხოვრება"-ში დაცულ ერთ ცნობას, რომელშიც ფარსმან მეფის მიერ ე. წ. ხასკუნთა წინააღმდეგ ლაშქრობაზე არის ლაპარაკი (78ᵃ. 236; 78ᵇ. 108-109). ეს ცნობა ჩართულია „ქართლის ცხოვრების" გვიანდელ ხელნაწერებშიც. მოგვაქვს შესაბამისი ტექსტი „ქართლის ცხოვრებიდან".

„ჟამთა მას ოდეს თჳთმპყრობელი იუსტინიანოს, მეფე ბერძენთა, ბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა, საზღვარსა ავაზგიასსა, ნათესავთა ხასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოძღუანა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართველთა მეფესა, და ევედრა, რათა შეეწიოს მჴედრობასა მისსა, ყოვლითა ძალითა თჳსითა, და ბრძოლა უყოს ხასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა, და დაუტე-

ვა ევაგრე, მცველ სამეფოსა თჳსსა, ხოლო თჳთ უკუე წარვიდა და შეწევნითა ღვთისათა დაიმორჩილა ნათესავი იგი ხასკუნთა. და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარავლინნა ნინაშე იუსტინიანესსა. მერმე მოიქცა თჳსადვე სამეფოდ (59ᵃ. 214).

ხასკუნები ქაშაგები ანუ ჩერქეზები (იგივე) ყაბარდოელები არიან (78ᵃ. 131).

მაშასადამე, ქართლის მეფე ფარსმანს, იუსტინიანე კეისრის თხოვნის შესაბამისად, დასახელებული ხასკუნები დაუმორჩილებია და მშვიდობიანად დაბრუნებულა სამშობლოში.

როდის უნდა მომხდარიყო ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა?

ამ საკითხით აკად. დ. მუსხელიშვილიც დაინტერესდა და სათანადო კვლევის შემდეგ, სრულიად სამართლიანად, დაასკვნა, რომ ამ ლაშქრობას „ადგილი ჰქონდა VI ს-ის ოციანი ნლების მიწურულს" (59ᵃ. 220).

მისაღებია დ. მუსხელიშვილის მეორე დასკვნაც: „ქართლი ამ დროს სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ირანისაგან" (59ᵃ. 220). ეს დასკვნა სათანადო კვლევას ემყარება (59ᵃ. 220-222).

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართლის მეფე გურგენის უშედეგო აჯანყებისა (523 წელს) და ეგრისის (ლაზეთის) გზით ბიზანტიის იმპერიაში გაქცევის შემდეგ, ქართლს („აღმოსავლეთ ქართლს") თავისი სახელმწიფოებრიობაც შეუნარჩუნებია და, ერთ ხანს, სპარსეთისაგან სრულიად დამოუკიდებელიც ყოფილა.

ახლა, გვინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ, რომელიც ჩვენს საკვლევ პრობლემებში შედის და დიდ ყურადღებას იმსახურებს. ჩვენ ვგულისხმობთ 523 ნ. ქართლის მეფე გურგენსა და ლაზეთის მეფე წათე I-ს შორის სავარუდო კავშირს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დამაფიქრებელია, რომ გურგენ მეფის მიერ ირანელთა

წინააღმდეგ აჯანყება, წათე I-ის ირანელების ერთგულებიდან გასვლა და ბიზანტიელების მხარეზე დადგომა ერთსა და იმავე 523 წელს ხდება. ამას გარდა, ქართლში სპარსელების ლაშქრის შემოსვლის შემდეგ, გურგენ მეფე და მისი ოჯახი ლაზეთში გარბიან, სადაც მეფედ წათე I-ია. ისიც საყურადღებოა, რომ აღნიშნულ წელს გურგენიცა და წათეც ბიზანტიის დედაქალაქში ჩადიან. ეს გვაფიქრებინებს, რომ მათი მოქმედება ურთიერთშეთანხმებულია და ირანის წინააღმდეგ არის მიმართული.

რაკი ამ თავის მეორე პარაგრაფში გათვალისწინებული გვაქვს VI საუკუნის პირველი მესამედის ლაზეთის შესახებ საგანგებო მსჯელობის გამართვა, ვფიქრობთ გურგენისა და წათე I-ის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების შესახებ ლაპარაკი ამ პარაგრაფში უფრო უპრიანია, რის გამოც, ახლა, მხოლოდ საკითხის დაყენებითღა დავკმაყოფილდებით.

§ 2. ლაზეთის (ეგრისის) სამეფო VI ს-ის I მესამედში

დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია ლაზეთის ანუ ეგრისის სამეფოს წარმოქმნას ახ. წ. აღ. I ს-ის II ნახევარს უკავშირებს (39. 12).

IV საუკუნე კი ლაზეთის სამეფოს შედარებით გაძლიერების ხანად ითვლება. ამ საუკუნეში, დაახლოებით იმ დროს, როდესაც ქართლმა ქრისტიანობა მიიღო, ლაზეთიც იმავე სარწმუნეობის აღმსარებელი გახდა (39. 120; 79. 291).

ეგრისის სამეფოს გაძლიერების პირველი ნიშანი მისი ტერიტორიის გაფართოება იყო. სამხრეთით მისი საზღვარი დაახლოებით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთით თანამედროვე აფხაზეთსა და მა-

ღალმთიან სვანეთსაც მოიცავდა (80. 74-75; 66-79; 79. 279).

ისტორიკოსები ლაზეთის გაძლიერებას სხვადასხვა მიზეზებს უკავშირებენ. კერძოდ, აკად. ს. ჯანაშიას აზრით ეს დიდი პოლიტიკური ძვრა აღმოსავლეთში სპარსელებთან ომების გამო რომის პოზიციების დასუსტებას მოჰყვა. დაუძლურებულ იმპერიას, აღარ შეეძლო ხელი შეეშალა ლაზეთის სამეფოს გაფართოებისათვის (60. 256-257).

ამ საკითხზე თავისი აზრი გამოთქვა აკად. გ. მელიქიშვილმა. მისი აზრით ლაზეთის სამეფოს გაძლიერების პროცესი მაინც და მაინც რომის წინააღმდეგ მიმართულად არ უნდა წარმოვიდგინოთ და არც მის საშინაო თუ საგარეო საქმეების გართულებას უნდა დავუკავშიროთ. ლაზეთის გაძლიერება ხანგრძლივი პროცესი იყო და ერთი რომელიმე ფაქტორით არ უნდა განპირობებულიყო (81. 382384).

პროფ. ნ. ლომოური ეთანხმება გ. მელიქიშვილს იმაში, რომ ლაზეთის სამეფოს გაძლიერება აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) ინტერესთა საწინააღმდეგოდ არ ხდებოდა. პირიქით, რომს სჭირდებოდა აღმოსავლეთში ძლიერი მოკავშირე, რომელიც ფორმალურად მაინც, მისი ვასალი იქნებოდა. მაგრამ, - წერს იგი, - ეგრისის გაძლიერება-განმტკიცება მაინც რომის დასუსტებასთან იყო დაკავშირებული (39. 75).

პროფ. ნ. ლომური იმასაც აღნიშნავს, რომ ირანთან ბრძოლით დასუსტებული რომი ხელსაც კი უწყობდა ლაზეთის მმართველთა დამოუკიდებლობისაკენ და გაფართოებისაკენ ლტოლვას (39. 75-76).

გაძლიერებული ლაზეთის სამეფოს მთელი დასავლეთ საქართველო ემორჩილებოდა (39. 77).

არსებული წყაროების საფუძველზე შეიძლება აღვადგინოთ ლაზეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილები.

ლაზეთს სვანეთი 389-395 წლებში დაუმორჩილებია. ეს კარგად ჩანს VI საუკუნის მეორე ნახევრის რომაელი ისტორიკოსის მენანდრე პროტიქტორის თხზულებიდან. გადმოსცემს

რა ბიზანტიელი ელჩების სპარსეთის შაჰ ხოსრო ანუშირვანთან (531-579 წწ.) საუბარს სვანეთის საკითხზე, იგი გვაუწყებს, რომ ბიზანტიელმა ელჩმა პეტრემ შაჰს უთხრა: „ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევ იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს, და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს, ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელობას ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის ჰერობისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე".

ამასთან მან შაჰს აჩვენა წიგნაკი, სადაც ჩამოთვლილი იყო ის ლაზა მეფეები, რომლებსაც გაეხელისუფლებინათ სვანთა სარდლები (82. 224). წიგნაკში მითითებული ყოფილა, რომ „ესენი არიან ლაზთა მეფეები, რომლებმაც სვანებს დაუყენეს ბატონიშვილები, იმ დროიდან, როდესაც რომაელთა ძალაუფლება ეპყრა თეოდოსის და სპარსელთა – უარანს ვიდრე თვითმპყრობელ ლეონამდე და პეროზამდე" (82. 224).

მოტანილი ცნობის საფუძველზე სრულიად სამართლიანად კეთდება დასკვნა, რომ სვანეთი ლაზეთის სამეფოს 389-395 წლებში დაუმორჩილებია (82. 225).

აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ სანამ ლაზეთი მიუვალ მთებში არსებულ სვანეთს დაიმორჩილებდა, თავის გავლენაში უნდა მოექცია აფშილების, აბაზგებისა და სანიგების ხალხებიც (60. 259).

აფშილები ისევე როგორც აბაზგები, VI საუკუნეშიც კი, ლაზების ქვეშევრდომნი ყოფილან (2. 128, 13).

სანიგთა ტომის შესახებ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ

იგი ლაზეთის მეფეს ხანმოკლე დროით დაუმორჩილებია (39. 72).

VI საუკუნის ლაზეთის ყმადნაფიცი ქვეყნები არიან აგრეთვე მისიმიანები (9. 86) და სკუმია (ლეჩხუმი) (2. 126-127).

ლაზეთის სამეფო ბიზანტიის იმპერიის ვასალი ქვეყანა იყო, მაგრამ ამ დამოკიდებლობას აშკარად ფორმალური ხასიათი ჰქონდა. რაც მთავარია, ლაზეთის ტერიტორიაზე ბიზანტიას ჯარიც კი არ ეყენა (2.)* მხოლოდ ქართლის მეფის გურგენის აჯანყების (523 წ.) შემდეგ შეიყვანა მან ლაზეთში სამხედრო ნაწილები.

ლაზები არც ხარკს უხდიდნენ ბიზანტიელებს და არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ. ერთადერთი, რაც მათ ევალებოდათ, მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა იყო. სამაგიეროდ, ტახტის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ „რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს" (2. 72; 9. 84-85).

ამ სიმბოლოებზე ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით ვილაპარაკეთ და ახლა აღარ შევეხებით.

V საუკუნის 70-იანი წლებისათვის ლაზეთის სამეფო შედარებით სუსტდება. როგორც მენანდრე პროტიქტორის ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცნობიდან (82. 224-225) გაირკვა, იმპერატორ ლეონ I-ის (457-474 წწ.) დროიდან სვანეთს ლაზეთისაგან დამოუკიდებლობა მოუპოვებია**

---

* მაგრამ პროკოპი კესარიელს, როგორც ჩანს, აქ წარმოდგენილი აქვს VI საუკუნის I ნახევრის სურათი. IV ს-ის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში, კერძოდ ფაზისში, ჯერ კიდევ რომაულ-ბიზანტიური გარნიზონი მდგარა (ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 66).

** სვანეთის ლაზეთის სამეფოდან გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო აზრი გამოთქვა აკად. დ. მუსხელიშვილმა. მისი სიტყვით ლაზთა ქვეშევრდომობიდან გამოსული სვანები, „სავარაუდოა, სპარსეთის (ქართლის) ქვეშევროდომობაში

ლაზეთის ტერიტორიაზე ბიზანტიელებმა სამხედრო ნაწილები მხოლოდ VI საუკუნის 20-იან წლებში, კერძოდ ქართლის მეფე გურგენის აჯანყების შემდეგ შეიყვანეს. ეს ფაქტი რამდენჯერმე აქვს განმეორებული პროკოპი კესარიელს. მისი ცნობით გურგენის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ აქ შექმნილი მდგომარეობის დროს „ლაზებს არ სურდათ თავისი ქვეყნის თავდაცვა". მაშინ იმპერატორმა „გადაწყვიტა გაეგზავნა ჯარი და სარდალი ირენე". იბერიის საზღვრებთან, იქვე, ლაზების მიწაწყალზე, ორი სიმაგრე მდებარეობდა, რომელთა დაცვა „ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა". იმპერატორმა „გამოიყვანა იქიდან (ე. ი. იმ ორი ციხიდან) ეს (ლაზი – ჯ. ს.) მცველები და რომაელ ჯარისკაცებს უბრძანა სიმაგრეების სადარაჯოზე დამდგარიყვნენ. თავდაპირველად მათ ლაზები აწოდებდნენ ძლივ-ძლივობით საჭირო სურსათს, მაგრამ შემდეგ მათ უარი განაცხადეს ამ სამსახურზე და რომელებმა ეს სიმაგრეები დატოვეს" (2. 50-52).

პროკოპი წერს, რომ ეს ციხეები ძალიან მწირ მიდამოებში იდგნენ და ლაზებს ბიზანტიელი მეციხოვნეების გამოკვება გასჭირვებიათ (2. 51-52).

ეს იყო ბიზანტიელების სამხედრო ნაწილების ლაზეთის მიწაზე დამკვიდრების პირველი ცდა. არ არის ცნობილი ამ ციხეებიდან გაყვანილი ბიზანტიელი მებრძოლები სულ გაეცალნენ თუ არა ლაზეთს. საფიქრელია, რომ მათ გადაინაცვლეს ქვეყნის შიდა რაიონებში, სადაც ადვილი იყო მათი კვება.

ცნობილია, რომ წათე I-ის ბიზანტიელების მხარეზე გადასვლამ საერთაშორისო ვითარება მეტისმეტად დაძაბა. იოანე მალალას ცნობით (9. 266-267), რომელსაც თეოფანე

შედიან" (59ª. 216). მეტიც, მას მიაჩნია, რომ სვანეთი კვლავ ქართლის შემადგენლობაში რჩება 523 წლის შემდეგაც, როდესაც „ეგრისი კვლავ ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა" (59ª. 216).

ჟამთააღმნერელიც იმეორებს (41. 77-78), სპარსეთის შაჰმა კავადმა თავისი ელჩის პირით იმპერატორ იუსტინეს საყვადერი შეუთვალა იმის თაობაზე, რომ მან სპარსეთის ქვეშევრდომი ლაზეთის მეფე წათე აკურთხა, რითაც საფრთხის ქვეშ დააყენა ირანსა და ბიზანტიას შორის არსებული ზავი.

იუსტინე იმპერატორის პასუხმა (83. 266) ირანის ხელისუფლება არ დააკმაყოფილა და დრო იხელთა თუ არა, კავად შაჰმა, ლაზეთის მეფის დასჯა მოინდომა. 528 წელს იგი მის სამეფოს საზღვრებშიც შეიჭრა (41. 79).

ბიზანტიის იმპერიამ მეფე წათე I-ს, სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად, „სამი სტრატილიტი – გილდერიხი, კერიკე და ირინეოსი" გაუგზავნა „დიდძალი რომაული ჯარით" (83. 267). ეს ომი 532 წლამდე გაგრძელდა და ე. წ. „უვადო ზავით " დამთავრდა (15. 244-246; 84. 284-286).

მართალია, ამის შემდეგ ბრძოლა შეწყდა, მაგრამ ირან-ბიზანტიას შორის დაძაბულობა არ შენელებულა და არც იმპერიას გაუყვანია თავისი ჯარი ლაზეთის მიწა-წყლიდან. პირიქით, ირანის აგრესიული საქმიანობა ამ მხარეში, ბიზანტიას აიძულებდა კიდევ უფრო განმტკიცებინა თავისი სამხედრო პოზიციები, რაც კიდეც მოხდა. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღნიშნულიდან აშკარა გახდა, რომ ლაზეთის მიწა-წყალზე ბიზანტიის სამხედრო ნაწილები მხოლოდ VI საუკუნის 20-იანი წლებიდან გამოჩნდნენ და 528 წლიდან კი, გარემოებიდან გამომდინარე (მიმდინარე ომის გამო), კიდეც დამკვიდრდნენ. მაგრამ, როგორც ითქვა, იმპერია ლაზეთის ფორმალური მორჩილების აღიარებით კმაყოფილდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ბიზანტიის მფლობელობა ლაზეთში მყარი არ იყო. როგორც წყაროებიდან ირკვევა ირანი ხშირად ახერხებდა ხოლმე ლაზეთის მეფეების თავის მორჩილებაში შეყვანას, რაც V-VI საუკუნეების მაგალითებზე კარგად ჩანს.

ამ თავის პრველ პარაგრაფში მკითხველს შევპირდით, რომ მეორე პარაგრაფში საგანგებოდ ვილაპარაკებდით ჩვენი ისტორიის ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე – 523 წელს ქართლისა და ლაზეთის სამეფოთა ერთობლივი ანტირანული მოქმედების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამ პერიოდის ქართლში ირანს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული. ასეთივე მყარი პოზიციები ჰქონდა მას მეზობელ სომხეთსა და ალბანეთშიც. მაგრამ ახლა, გათამამებული ირანი, ამიერკავკასიის ქვეყნების ვასალურ დაქვემდებარებას უკვე აღარ სჯერდებოდა და მათ თავის ჩვეულებრივ პროვინციებად განიხილავდა (18. 2; 85. 246).

შესაბამისად, იგი მონდომებით ცდილობდა ამ ქვეყნებში ირანული რწმენისა და ადათ-წესების დანერგვას, რასაც თან სდევდა უხეშობა და ძალმომრეობა. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. წინა პარაგრაფში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა ბრძანება გაუგზავნა ქართლის მეფე გურგენს კავად შაჰმა – მიცვალებულები აღარ დამარხოთ და ნადირ-ფრინველებს მიუყარეთ საჯიჯგნათო!

მიცვალებულებისადმი ასეთი დამოკიდებულება ქართველებისთვის სრულიად მიუღებელი იყო და კავად შაჰის ბრძანებამ ქართლის მეფის გულისწყრომაც სრულიად სამართლიანად გამოიწვია (2. 48-49).

კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც, მიცვალებულთა სულებს უდიდეს პატივს სცემდნენ. მაგალითად, ხევსრების, ფშავლების, თუშების რელიგიური რწმენის თანახმად მიცვალებულთა სულები უკვდავნი იყვნენ და მათ ისეთივე თვისებები და შეგრძნებები გააჩნდათ, როგორც ცოცხალ ადამიანებს. ისინი ცოცხალი ნათესავებისადმი ინტერესს იჩენდნენ და, როგორც უფრო საიდუმლო და ღმერთთან ახლოს მდგომ არსებებს, შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ მათ ცხოვრებაზე.

ასევე ფიქრობდნენ სვანებიც. მათი რწმენით მიცვალებულთა სულებს შეეძლოთ ხელი შეეწყოთ მიწის მოსავლიანობისათვის, პირუტყვის გამრავლებისათვის, ან პირიქით დაემკვიდრებინათ მოუსავლიანობა, ამოეწყვიტათ საქონელი, გაევრცელებინათ სხვადასხვა ავადმყოფობა. ამიტომ იყო, რომ ადამიანები ცდილობდნენ მიცვალებულების გულის მოგებას. ისინი ღებულობდნენ კონკრეტულ ზომებს, ასრულებდნენ სხვადასხვა წესებს, რათა მათ „ზურგი არ უბრუნონ ნათესავებს, არ უმუხთლონ და უბედურება არ მიაყენონ და მეორე მხრივ, მახლობლებით კმაყოფილმა მიცვალებულებმა მათ თავიანთი წყალობა გაუდიდონ" (86. 60).

ამრიგად ჩვენში მიცვალებულის პატივისცემის დიდი ტრადიცია არსებობდა და მისი ასე ერთი ხელის მოსმით ამოკვეთია, როგორც კავადს სურდა, წარმოუდგენელი იყო. მიცვალებულის პატივისცემა ყველა მეტნაკლებად განვითარებულ ხალხს ახასიათებდა და ქართლის მეფე გურგენის მიერ კავადის ბრძანების ასე გულთან მიტანა ადვილი გასაგებია. მან, ალბათ, კარგად იცოდა, რომ ადათ-წესების დაცვა ეროვნების დაცვას ნიშნავდა და კავადის ბრძანებაზე დათანხმებას არ აპირებდა. პირიქით, კავადის ბრძანებით განაწყენებულმა „გურგენმა მოინდომა ისუტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასდროს სპარესლების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს".

რაკი იუსტინე იმპერატორმა (518-527 წწ.) გურგენს „დიდი სიამოვნებით მისცა ეს დაპირება" გურგენ მეფემ აჯანყებისთვის მზადება დაიწყო. აი, ასე მომზადდა მეფე გურგენის ამბოხება. ეს იყო 523 წელს.

ჩვენ გვგონია, რომ კავად შაჰის ზემოთ აღნიშნული უმკაცრესი ბრძანება ლაზეთის მეფესაც უნდა მისვლოდა. ყოველ შემთხვევაში, თუ 523 წელს ლაზეთი მართლაც, ირანს ემორჩილებოდა, კავადი არ მოერიდებოდა და აქაურ მეფესაც იმავე მოთხოვნას წაუყენებდა, რაც ქართლის მეფეს წაუყენა.

VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალალას ერთი ისეთი ცნობა აქვს დაცული რომელსაც სიცხადე შექავს იმდროინდელი ლაზეთის პოლიტიკურ მდგომარეობაში. ეს ცნობა არაერთხელ დავიმოწმეთ, მაგრამ საჭიროების გამო ახლაც წარვუდგენთ მკითხველს. იოანე მალალა წერს: „იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათე გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი (იგივე კავად I. – ჯ. ს.), რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის, მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა ვაი თუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო. მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიაში, გამოუცხადა მორჩილება და სთხოვა ლაზთა მეფედ მაკურთხეო" (83. 264).

მოტანილი ამონაწერიდან ირკვევა, რომ: ა) იმპერატორ იუსტინე I-ის დროს (518-527 წწ.) ლაზთა მეფე წათი (წათე) რაღაც მიზეზით შემოსწყრომია სპარსეთს და ჩამოშორებია მას. ბ) ამ დროს სპარსეთის შაჰი ყოფილა კავადი (კოადი) I (488-531 წწ.). გ) შაჰი კავადი ადრე ლაზთა მეფე წათეს მეგობარი ყოფილა. დ) წათე კი კავადის ქვეშევრდომი იყო. ე) იმის გამო, რომ ლაზეთი სპარსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო, სპარსელთა შაჰი „ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. 3) ლაზთა მეფე წათეს სპარსელთა სარწმუნოება შაჰის გულის მოგების მიზნით მიუღია. მას ამ გზით სურდა მისგან მეფობის მიღება. ზ) წათე მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა. თ) როდესაც წათეს მამა დამნაზე გარდაიცვალა, წათე

მაშინვე ბიზანტიაში ჩავიდა და იმპერატორ იუსტინეს მორჩილება გამოუცხადა. თან თხოვა ლაზთა მეფედ მაკურთხეო.

იოანე მალალა იმასაც გვაუწყებს, რომ იმპერატორმა იუსტინემ წათე გააქრისტიანა, მეფედ აკურთხა, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილ ვალერიანეზე დააქორწინა და სამშობლობში გაისტუმრა (83. 264; 41. 47-72; 72. 13-14).

ამრიგად, ჩვენთვის მეტად საჭირო საკითხი – 523 წლისათვის ლაზეთი ირანს ემორჩილებოდა თუ არა, გარკვეულია. ლაზეთი ირანის ქვეშევრდომი ქვეყანაა. წათე შაჰ კავადის „მეგობარია", რაც სინამდვილეში მის ყმადნაფიცობას ნიშნავს. მათ შორის კარგი ურთიერთობაა, რადგან წათე ყველაფერს უჯერებს მას „ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა").

უფრო საყურადღებო ის არის, რომ წათეს მამა დამნაზეც სპარსეთის ყმადნაფიცი მეფეა. იოანე მალალა არაფერს გვეუბნება კავადისა და დამნაზეს ურთიერთობაზე, მაგრამ ეს ისედაც ცხადია. დამნაზე მორჩილი მეფეა. ასე რომ არ ყოფილიყო ირანი ვერ მოითმენდა მის მეფობას. მორჩილება კი, ალბათ ყოველგვარი სპარსული წესის შესრულებაში გამოიხატებოდა.

წათე დამნაზეს თანამეფე ჩანს. იმიტომ არის მისი როლი ასე გამოკვეთილი ირან-ლაზეთის ურთიერთობაში. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კავად I-ის გული მოეგო. კავადიც მეგობრობდა მასთან. მაგრამ როდესაც წათეს მამა დამნაზე გარდაიცვალა, წათე „მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში" და მის მორჩილებაში შევიდა. მას „ეშინოდა ვაი თუ სპარსელთა მეფემ კოადმა, მეფედ არ დამნიშნოსო".

თუ კავადი წათეს მეგობარი იყო, თუკი ყველა სპარსულ წესს ასრულებდა, რატომ არ უნდა დაენიშნა შაჰს ლაზეთის მეფედ? ხომ არაფერი აწყენინა მას წათემ და ამით მისი რისხვაც დაიმსახურა? მოვიგონოთ, რომ წათე 523 წელს გადაუდგა

სპარსეთს და იმპერატორ იუსტინეს ეახლა ბიზანტიაში (72. 13; 87. 206).

იოანე მალალას მიხედვით ეს მომხდარა მამამის დამნაზეს გარდაცვალებისთანავე. „ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონშიო" – წერს იგი.

523 წელი სამახსოვრო წელი გამოდგა. კავადმა სწორედ ამ დროს შემოუთვალა ქართლის მეფე გურგენს მიცვალებულები ფრინველებსა და ძაღლებს მიუყარეთო. იგივე ხომ არ უბრძანა მან თავის მეგობარ და თანამორწმუნე წათეს – იმავე წელს, მამის სიკვდილის გამო, ტახტის გამგებლად შექმნილს? საბუთებით ამის დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ ადვილი სავარაუდოა, რომ სწორედ ასე მოხდა. ირანი თავის საგარეო პოლიტიკაში გამონაკლისებს არ უშვებდა და ყურადღების გარეშე ლაზეთს რატომ დატოვებდა? შეიძლება სწორედ ამ მიუღებელი მოთხოვნის შესრულებაზე უპასუხა უარით წათემ და ამიტომაც გაინაწყენა ირანის ძლევამოსილი შაჰი.

ამრიგად, 523 წლის ახლო ხანებში, ლაზეთის სამეფო, ისევე როგორც ქართლი, ირანის მორჩილი ქვეყანა იყო და კავადის საგარეო პოლიტიკის სუსხი მასაც უნდა ეწვნია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ ქვეყანაშიც ირანის ძალმომრეობისაგან განთავისუფლების დიდი სურვილი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის ზოგიერთი მეფე (მაგ., წათე დამნაზეს ძე, თვითონ დამნაზეც), პოლიტიკური მიზნებით, სპარსულ სარწმუნოებასაც ღებულობდა და ირანის მორჩილებასაც ურიგდებოდა, ამ ორი ქვეყნის ცხოვრების წესებს შორის ისეთი ღრმა განსხვავება იყო, რომ ლაზეთის ირანისაგან განდგომის მუდმივ საფუძველს ამკვიდრებდა.

VI ს-ის უნიჭიერესი ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი შესანიშანვად ახასიათებს სპარსელებს, როგორც ლაზეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათის ხალხს. მისი სიტყვით „სპარსელები სხვებთან შედარებით უფრო ერთ-

ფეროვანი ცხოვრების მოყვარულნი არიან და ცხოვრებაში ზომაზე მატად მკაცრნი, და მათი კანონებიც მიუწვდომელია ყველასათვის და მათი დადგენილებანი სრულებით მიუღებელი. ლაზების მიმართ მაინც განსაკუთრებით ძლიერ იჩენს თავს განსხვავება მსოფლმხედველობისა და ცნობიერებისა, რადგან ლაზები ქრისტიანები არიან, ყველაზე უფრო მეტად, სპარსელებში კი სარწმუნოებრივი შეხედულებები სრულიად ამათი საწინააღმდეგოა" (2. 95).

აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ VI ს-ის 10-20-იანი წლების ლაზეთი ქართლსავით დათრგუნული არ უნდა ყოფილიყო. ირანს აქ ჯერ ხომ ჯარი არ ეყენა. ამის მიუხედავად ირანელების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარება აქაც მოსალოდნელი იყო. ეს რთული საქმე, როგორც ჩანს, თავს იდვა 523 წელს გარდაცვლილი მეფე დამნაზეს ვაჟმა წათემ.

როდესაც გურგენ მეფემ ირანელების წინააღმდეგ აჯანყებაზე დაიწყო ფიქრი, დასახმარებლად ბიზანტიელებს მიმართა. იუსტინე იმპერატორმა მას დახმარება აღუთქვა და ამისათვის საგანგებო ღონისძიებებიც გაატარა. მაგრამ, დაუჯერებელია, რომ ქართლის მეფეს, თავის სამომქედო გეგმაში, ლაზეთის მხრიდან დახმარებაც არ გაეთვალისწინებინა. წყაროების პირდაპირი მითითება ამის შესახებ არ არსებობს, მაგრამ მათი ანალიზი გურგენისა და წათე I-ის კავშირს აშკარად გვიჩვენებენ. ეს კავშირი, ჩვენი აზრით, ჩანს შემდეგ ფაქტებში:

1. ქართლის მეფე გურგენის ირანელების წინააღმდეგ აჯანყებაცა და ლაზეთის მეფე წათე დამნაზის ძის „გაჯავრება" და სპარსეთისაგან „ჩამოშორება" (ე. ი. ფაქტიურად აჯანყება) ხდება ერთსა და იმავე 523 წელს.

2. როდესაც მეფე გურგენმა დაინახა, რომ მისი სამხედრო ძალა, ქართლში შემოჭრილ სპარსელების ჯართან შედარებით, სუსტი იყო, იძულებული გახდა სამშობლოდან გაქცე-

ულიყო. მაგრამ იგი ბიზანტიაში კი არ წავიდა, რომელის იმედითაც აჯანყება დაიწყო, ლაზეთში გადავიდა. ლაზთა მეფესა და მას შორის, რომ წინასწარი შეთანხმება არ ყოფილიყო, გურგენი ლაზეთის მიწა-წყალზე ვერ შევიდოდა შემდეგი მიზეზების გამო:

ა) ლაზეთის მეფეს შეეძლო თავის საზღვრებში არ შეეშვა იგი;

ბ) ლაზეთის მეფეს, როგორც ირანის ყმადნაფიცს, შეეძლო დაეტყვევებინა იგი და ირანის შაჰისათვის გადაეცა.

3. როდესაც იუსტინე კეისრის მიერ გაგზავნილმა კაცმა ქართლელების დასახმარებლად დაქირავებული ჯარი ვერ მოიყვანა, იმპერატორმა თავისი ერთ-ერთი სტრატეგოსი, რამდენიმე ჰუნითურთ, ლაზეთში გაგზავნა და ქართლის მეფე გურგენისათვის აჯანყებაში დახმარების აღმოჩენა უბრძანა.

ამ დროს ბიზანტიის იმპერიას ლაზეთის მიწა-წყალზე ჯარი ჯერ კიდევ არ ეყენა. მისი სამხედრო ნაწილები მხოლოდ გურგენის აჯანყების შემდეგ ჩადგნენ ლაზეთში. ცხადია, რომ იმპერატორი ლაზეთის სამეფო კარის მეშვეობით აპირებდა ქართლისათვის დახმარების აღმოჩენას. ლაზეთის მეფე რომ ამ საქმისადმი მტრულად ყოფილიყო განწყობილი, მას ადვილად შეეძლო სპარსეთისათვის საქმის ვითარების შეტყობინება და მთელი ოპერაციის ჩაშლა. აშკარაა, რომ იგი ამ აჯანყების მომხრეა. მართალია, მან ისევე, როგორც ბიზანტიამ, გურგენს რაიმე თვალში საცემი დახმარება ვერ აღმოუჩინა, მაგრამ მას და მის მრავალრიცხოვან მხლებლებს, თავშესაფარი მისცა.

4. როგორც ქართლის მეფე გურგენი, ისე ლაზეთის მეფე წათე დამნაზეს ძე 323 წელს ბიზანტიის იმპერატორთან ჩავიდნენ.

ჩვენი აზრით ჩამოთვლილი ფაქტები აშკარად მიუთითებენ გურგენსა და წათეს შეთანხმებულ საქმიანობაზე. მართალია მათმა მოქმედებამ ქართლს დადებითი შედეგი ვერ მოუ-

ტანა (ბიზანტიის სამეფო კარის მიერ პირის გატეხვის, აგრეთვე ირანელთა მიერ საქმეში დროული ჩარევისა და აჯანყების ჩაქრობის გამო), მაგრამ დიდი კვალი დაამჩნია ერთი მხრივ, ირან-ბიზანტიის ურთიერთობას და მეორე მხრივ – ამ ქვეყნების ქართულ სამეფოებთან დამოკიდებულებას.

ნათეს ბიზანტიელების მხარეზე გადასვლამ ირანისა და ბიზანტიის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა. განაწყენებულმა სპარსეთის შაჰმა კავადმა იმპერატორ იუსტინეს, თავისი ელჩის პირით, განუცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის მეგობრობაა დადებული და ზავია შეკრული, შენ მაინც მტრულად იქცევი. აი, მაგალითად, ჩემი ქვეშევრდომი მეფე ლაზებისა შენ აკურთხე, თუმცა ის რომაელთა ხელქვეითი კი არ ყოფილა, არამედ იმთავითვე სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო" (83. 266).

ეს ძალზე მკაცრი სიტყვები იყო. კავადი იუსტინეს მისი ყმადნაფიცი მეფის გადაბირებაში სდებდა ბრალს და მართალიც იყო. ნათე და, ალბათ, მისი მამა დამნაზეც, სპარსეთის ყმადნაფიცები ჩანან, რასაც ვერც იმპერატორი უარყოფს. ამრიგად, იუსტინემ ყმადნაფიცი „წაართვა" კავადს. ეს, საერთაშორისო ურთიერთობაში, დიდ დანაშაულად ითვლებოდა და, ხშირად, ომის მიზეზადაც იქცეოდა ხოლმე.

იუსტინე იმერატორი სურათს აშკარად ამახინჯებს, როდესაც ირანის შაჰს ელჩის პირით ასეთ რამეს უთვლის: „ჩვენ შენი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არც არავინ მიგვიღია და არც გადაგვიბირებია; ჩვენთან, ჩვენს სამეფოში, მოვიდა ერთი კაცი, სახელად ნათი, და მუდარით მოგვმართა ჩვენ გვეხსნა იგი წარმართული* სარწმუნოებისაგან, უწმინდური

---

* როგორც ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, იოანე მალალას თხზულების დედანში ამ ადგილზე „ელინთა სარწმუნოება წერია. მისი სიტყვით ქრონოგრაფოსთა ენაზე ეს „წარმართულ სარწმუნოებას" ნიშნავს. ს. ყაუხჩიშვილი იმაზეც მიუთითებს, რომ ბიზანტიურ პერიოდში ბერძნები თავიანთ თავს ელინს კი არა, „რომაიოთ"-ს უწოდებენ,

მსხვერპლებისაგან და ეშმაკთა ცთუნებისაგან და გაგვექრისტიანებინა, რათა ის ზიარებულიყო ღმერთისა და ყოველთა დამბადებლის წყალობას. და ჩვენ არ შეგვეფერებოდა ხელი შეგვეშალა ადამიანისათვის, რომელსაც სურდა ცხოვრების უკეთეს წესებს დასდგომოდა და ჭეშმარიტი ღმერთი შეეცნო, ასე რომ, იგი გავაქრისტიანეთ და, ზეცის საიდუმლოებებს ზიარებული, მის საკუთარ ქვეყანაში გავისტუმრეთ" (83. 266-267).

იუსტინეს ამ მიკიბულ-მოკიბულმა პასუხმა კავად შაჰი, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა. წათე (იგივე წათი) „ერთი კაცი" კი არა, ლაზეთის მეფის დამნაზეს შვილი, „ტახტის მემკვიდრე", თანაც კავადის კარგი „მეგობარი", თანამორწმუნე და, რაც მთავარია, ქვეშევრდომი იყო. აშკარაა, რომ წათეს „გაჯავრებას" და სპარსეთისაგან „ჩამოშორებას" რაღაც დიდი საფუძველი ჰქონდა, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ კიდეც.

ბიზანტიის დიპლომატიამ, წათეს თავის მხარეზე გადაბირებით, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ლაზეთი თავის გავლენაში მოაქცია, რაც თვალშისაცემი პოლიტიკური გამარჯვება იყო. მაგრამ ლაზეთის ფასი კავადმაც კარგად იცოდა. ირანსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა „მუშტის პრინციპს" ემყარებოდა – მონინააღმდეგის შევიწროების შესაძლებლობა მიეცემოდა თუარა, ერთიც და მეორეც ურთიერთს გავლენის სფეროებს ართმევდნენ.

ამ ორ ქვეყანას შორის წარმოებულმა ბრძოლებმა უკვე გაუთავებელი ხასიათი მიიღო და მოქიშპენი მხოლოდ მაშინ „დამშვიდდნენ", როდესაც არაბების უძლიერესი სახელმწიფო წამოადგათ თავზე. მაგრამ ეს მოვგაინებით, VII ს-ის პირველ ნახევარში მოხდა, რაც ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება

ხოლო „ელინი" „წარმართის" აღსანიშნავად იხმარებოდა (იხ. გეორგიკა, ტ. III, გვ. 266, შენ. 1). ამ საკითხზე იხ. აგრეთვე Г. Ф. Герцберг. История Византии. Перевод, примечания и приложения П. В. Безобразова. М., 1896 (88. 3-5).

და მასზე აღარაფერს ვიტყვით.

ქართველი მეფეების გურგენისა და ნათეს შეთანხმებულმა ანტიირანულმა საქმიანობამ, იმპერიის ხელისუფლებას, ალბათ, აშკარად აჩვენა თუ რა შეიძლება მოჰყვეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძალთა გაერთიანებას და ირანის წინააღმდეგ წარმართვას. მაგრამ მაშინ, VI ს-ის 20-30-იან წლებში, ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი ჩანდა. ირანი ისე მყარად იჯდა ქართლში და ლაზეთსაც ისე მონდომებით ეპოტინებოდა, რომ ბიზანტიას მთელი ძალები უნდა დაეძაბა, რათა დასავლეთ საქართველოდან მაინც არ ამოეკვეთა ფეხი.

ლაზეთის მეფის ნათეს მის მხარეზე გადასვლა, ერთი შეხედვით, ბიზანტიის დიდ წარმატებებზე მეტყველებდა, მაგრამ შაჰ კავადის მიერ, თავისი ელჩების პირით, იმპერატორ იუსტინესადმი გამოთქმულ პროტესტში, იმდენი შინაგანი მუქარა ჩანდა, რომ იმპერატორს და, ცხადია, ნათესაც მშვიდი ძილის უფლება არ ჰქონდათ. არავინ იცოდა როდის გაუწყდებოდა მოთმინების ძაფი კავადს და ყოფილი ქვეშევრდომის, ნათეს დასჯას მოინდომებდა.

მთელი ხუთი წლის მანძილზე შაჰს თავი ისე ეჭირა, თითქოს ლაზეთის დაკარგვას შეეგუაო, მაგრამ ასე შორიდან ჩანდა. სინამდვილეში იგი ლაზეთის მეფის დასასჯელად ემზადებოდა და მიეცა თუ არა ამის საშუალება მისი ქვეყნის საზღვრებში შეიჭრა. ეს მოხდა 528 წელს*.

---

* გიორგი კედრენეს სიტყვით დასაბამითგან 6021 წელს, ღვთაების განკაცებიდან 527 წელს გამეფდა იუსტინიანე, რომაელთა დიდმა მეფემ იუსტინიანემ იმეფა 38 წელი, 7 თვე და 13 დღე. ამავე წელს სპარსთა მეფემ ომი დაუწყო ნათეს (იხ. გიორგი კედერენე, გეორგიკა, ტ. V, გვ. 15). თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობით კი სპარსელების ლაზეთზე თავდასხმა მოხდა დასაბამითგან ქვეყნისა 6020 წელს, განკაცებისაგან 520 (528) წელსა და იუსტინიანეს მეფობის 1 წელს (გეორგიკა, IV, ნაკვ. I, გვ. 79).

ქართული ისტორიოგრაფია მხარს უჭერს კავადის ლაზეთში

ამრიგად, 528 წელს, ირანის შაჰმა კავად I-მა (488-531 წწ.) ლაზეთს ჯარები შეუსია. წათე I-მა კი დასახმარებლად ბიზანტიას მოუხმო და მანაც ყმადნაფიცი ქვეყნის საშველად სამი სტრატილატი (გილდერიხი, კერიკე და ირინეოსი) გააგზავნა დიდძალი ჯარით*. ასე დაიწყო ბრძოლა იმდროინდელი მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის. ომის მიზანი ლაზეთში გაბატონება იყო, რაც ამ ბრძოლას სასტიკ ხასიათს აძლევდა. კავადი წათეს სიძულვილით იყო შეპყრობილი და, ცხადია, მის ქვეყანასაც ასეთივე თვალით უყურებდა. რა თქმა უნდა, ეს მეტისმეტად ართულებდა მდგომარეობას. სპარსეთის ლაშქარი უშუალოდ ლაზეთის მიწაზე მოქმედებდა და, ცხადია კავადს წათეს ჯავრის ამოყრის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა. ირანთან გაჭიანურებლმა ომმა ენერგიულ იუსტინიანე იმპერატორს ხელ-ფეხი შეუკრა და თავის მთავარ მიზანს, დასავლეთ ევროპის დაპყრობის საქმეს, ნაწილობრივ დააცილა (89. 70).

ამ ომში ორი ფრონტი იყო. პირველი – მესოპოტამია, სადაც სპარსელების 30. 000 კაციანი ლაშქარი მოქმედებდა

შეჭრის 528 წლით დათარიღებას, რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

* წყაროებში იუსტინიანე იმპერატორის მიერ ლაზეთში გაგზავნილი სტრატილიტების სახელები სხვადასხვანაირად არის დასახელებული. იოანე მალალას ცნობით ესენი იყვნენ: გილდერიხი, კერიკე და ირინეოსი (გეორგიკა, ტ. III, გვ. 267). თეოფანე ჟამთააღმწერლის მიხედვით კი – ველიზარი, კვირიკე და პეტრე (იხ. გეორგიკა, ტ. IV, 6, I, გვ. 79). ასევე თვლის გიორგი კედრენე. მისი ცნობით ეს სტრატილიტები იყვნენ ველისარი, კვირიკე და პეტრე (გეორგიკა, ტ. V, გვ. 15). ს. ყაუხჩიშვილს, დე ბორის მსგავსად, მიაჩნია, რომ თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულებაში დასახელებული მესამე სტრატილიტის სახელი უნდა იყოს არა პეტრე, არამედ ირინე (იხ. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 79, შენ. 5). სწორედ ამ სახელის სტრატილატს ასახელებს იოანე მალალაც (გეორგიკა, ტ. III, გვ. 267). რაც შეეხება გიორგი კედრენეს, მას ეს ადგილი თეოფანეს „ქრონოგრაფიიდან" აქვს გადმოწერილი და ემთხვევა მას.

იოანე მალალას ცნობით პეტრე სტრატილატი იუსტინიანე იმპერატორმა შემდეგ მიავლინა ლაზეთში (გეორგიკა, ტ. III, გვ. 268).

ქსერსე კავადის ძის მეთაურობით, ხოლო მეორე უშულოდ ლაზეთს და პერსარმენიას მოიცავდა (83. 268). აქ ბრძოლას კავადის უფროსი ვაჟი პეროზი უძღვებოდა.

თავდაპირველად, ბიზანტიელი სტრატელატების შეუთანხმებელი მოქმედების გამო, იუსტინიანეს ჯარმა ბევრი ვერაფერი გააკეთა. შემდეგ მან დასახელებული სტრატილიტები გადააყენა და მათ ნაცვლად ჯარის სარდლობა პეტრე სტრატილატს ჩააბარა (83. 267-268). თეოფანე ჟამთააღმწერელი წერს, რომ პეტრე სტრატილატმა, ლაზებთან კავშირში, დაამარცხა სპარსელები და მრავალი მათგანი გაჟლიტა.

ომი 528 წლიდან 532 წლამდე გაგრძელდა და ე. წ. საუკუნო ანუ „უვადო ზავით" დამთავრდა. ზავის პირობები ასეთი იყო: ა) ირანიცა და ბიზანტიაც ომში დაპყრობილ ადგილებს ერთმანეთს უბრუნებდა. ბ) ბიზანტიას არც ერთი სარდალი აღარ ეყოლებოდა დარაში (ქალაქი და ციხე-სიმაგრე იყო). გ) იბერებს ანუ ქართველებს, რომლებიც გურგენ მეფის აჯანყების შემიდეგ ბიზანტიაში იყვნენ გაქცეულნი, ნება მიეცათ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც უნდოდათ: დარჩენილიყვნენ ბიზანტიაში ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. დ) ბიზანტიელებმა სპარსელებს დაუბრუნეს ფარანგიონი* და ბოლონის ციხე-სიმაგრე; ე) ბიზანტიელებმა სპარსელებს გადაუხადეს ათი კენდინარი ფული (ეს იყო 11 ათასი ლიტრა ოქრო** და

---

* ფარანგიონი პერსარმენიის ერთ-ერთი ადგილი იყო და თავისი ოქროს მადნებით სახელი ჰქონდა განთქმული. მას საგანგებოდ აშენებული ციხე-სიმაგრე ბოლონი იცავდა. 481 წელს ფარანგიონი ბიზანტიამ შეიერთა, მაგრამ 532 წლის ზავით სპარსეთმა მისი დაბრუნება შესძლო. ფარანგიონისა და ბოლონის ადგილმდებარეობის შესახებ. იხ. ს. ყაუხჩიშვილის საყურადღებო შენიშვნა (პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 56-58, შენ. 1).

** ივ. ჯავახიშვილის აზრით 1 კენდინარი ას დინარს ნიშნავს, ოქროს ფული იყო და 100 ლიტრა ოქროს იწონიდა (იხ. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 245, შენ. 1). ს. ყაუხჩიშვილის აზრითაც 110 კენდინარი – 11 ათასი ლიტრა ოქრო იყო (იხ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 63, შენ. 1).

დაახლოებით 5 მილიონ ოქროს მანეთს უდრიდა). 3) სპარსელებმა ბიზანტიას დაუბრუნეს ლაზეთის ის სიმაგრეები, რომლებიც ომის დროს იგდეს ხელთ (2. 62-63).

აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელისაგან განსხვავებით იოანე მალალა მოქიშპე მხარეების მიერ ტყვეების გაცვლაზეც მიუთითებს (83. 271).

„უვადო ზავმა" მთლიანად შესცვალა პოლიტიკური ვითარება ლაზეთში. ბიზანტიამ, რომელსაც გურგენის აჯანყებამდე ამ ქვეყანაში ჯარი არ ეყენა, ახლა აქ ჯარის ყოლის უფლება მოიპოვა. ამან მისი მდგომარეობა ლაზეთში შეუდარებლად განამტკიცა.

ამრიგად, ბიზანტიამ ეგრისში ჯარის ჩაყენების უფლება დიდი სისხლისღვრისა და ფულადი სახსრების გაღების შედეგად მოიპოვა, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობასთან ურთიერთობის ხასიათსაც განსაზღვრავდა. ლაზეთის ტერიტორიაზე მყოფი ბიზანტიელი მოხელეები აშკარად დამპყრობლურ პოლიტიკას ატარებდნენ და ადგილობრივ ხელისუფლებასაც და მოსახლეობასაც თავს აძულებენ*. ამან ლაზეთ-ბიზანტიის ურთიერთობა შესამჩნევად გააუარესა. მათ შორის ღრმა დაპირისპირება წარმოაიშვა, რაც შემდეგ სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა. მაგრამ ახლა ამ საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. აღნიშნული ამბები ჩვენი წიგნის მთავარი გმირის, გუბაზის მეფობაში მოხდა და მათ საგანგებო თავს დავუთ-

---

*იმპერატორმა იუსტინიანე I-მა მშვენივრად შეამჩნია იმპერიაში ადმინისტრაციული რეფორმების გატარების აუცილებლობა. თავის 535 და 536 წლების ბრძანებულებებში თვითონ მიუთითებდა პროვინციების მმართველობითი სისტემის სავალალო მდგომარეობაზე. მართლაც, პროვინციების მმართველები, ყოვლად უსირცხვილოდ ექცეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და, გადასახადების აკრეფისას თუ სხვა შემთხვევებში, ეწეოდნენ ფულის გამოძალვას.

ამას გარდა სხვადასხვა ადგილებში მდგომი იმპერიის ჯარის ნაწილებიც ყველანაირად ავიწროვებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ყაჩაღებზე არანაკლებ ძარცვავდნენ მას (89. 64).

მობთ.

ამით ვამთავრებთ გუბაზ II-ის გამეფების წინა ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვას. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ჩატარებული მუშაობა ხელს შეუწყობს მეფე გუბაზ II-ის საქმიანობის არსის უკეთ გაგებას.

ეგრისის, იგივე ლაზეთის პოლიტიკოსთა წინაშე სამშობლოს დამოუკიდებლობის საკითხი მუდამ პირველხარისხოვნად ითვლებოდა. ასე იყო ეს გუბაზ II-მდე და მის დროსაც. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ გუბაზ II-ც, თავისი წინაპრების მიერ ნაცად პოლიტიკურ ხერხს ხმარობს – ორი დიდი ძალის, ირანისა და ბიზანტიის ურთიერთდაპირისპირების ხარჯზე ცდილობს სამშობლოს თავისუფლების მოპოვებას. როგორც ქვემოთ გამოჩნდება გუბაზ II-მ კარგად იცოდა ეგრისის ფასი ბიზანტიელებისა და ირანელების თვალში და ამ ქვეყნებს შორის ისტორიულად არსებული მეტოქეობა თავის უმთავრესი მიზნის მიღწევის საშუალებად მიაჩნდა. იმის შესახებ თუ როგორ განახორციელა მან თავისი ჩანაფიქრი, მომდევნო თავებში ვილაპარაკებთ.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომის მესამე თავში ჩატარებული მუშაობით, კერძოდ VI ს-ის პირველი მესამედის ქართლის და ეგრისის (ლაზეთის) სამეფოების პოლიტიკური ვითარების მიმოხილვით, მკითხველს ის ფონი დავუხატეთ, რომელიც ტახტზე ასულ ახალგაზრდა გუბაზ II-ს უნდა დახვედროდა. ცხადია, ამის შემდეგ, გაცილებით უფრო ადვილია მისი საქმიანობის გათვალისწინებაც და შეფასებაც.

ახლა, მისი სცენაზე შემოყვანის დროც არის, რათა თავისი, ხშირად არაჩვეულებრივი და მოულოდნელი გადაწყვეტილებებით აღგვაფრთოვანოს ან დაგვაღონოს, საერთოდ კი ჩვენს სამშობლოს ბედზე დაგვაფიქროს. გუბაზი ხომ ბევრ ქართველ ისტორიულ პირს ჰგავს თავისი ქმედებითაც და ბედითაც.

მეოთხე თავი
გუბაზ მეფის ბრძოლა ეგრისის დამოუკიდებლობისათვის

§ 1. ირან-ეგრისის სამხედრო კავშირის ჩამოყალიბება და ბრძოლა დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიის იმპერიის გასადევნად

532 წლის „უვადო ზავის" შემდეგ ეგრისის (ლაზეთის) პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით გართულდა. როგორც უკვე ითქვა, ბიზანტიამ ისარგებლა რა იმით, რომ სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მისმა ლაშქარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ეგრისიდან მოწინააღმდეგის განდევნის საქმეში და, ზავის დადების შემდეგ, ამ ქვეყნიდან აღარ გავიდა.

ეს, ფაქტობრივად, ლაზეთის დაპყრობას ნიშნავდა. ბიზანტიელებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრების სადავეები, რის გამოც ლაზების მდგომარეობა ისე დამძიმდა, რომ მეზობელ ხალხებსაც კი დიდ უბედურებად მიაჩნდა. ირანის შაჰ ხოსრო I-თან (531-579) საუბრისას, ბიზანტიელებისაგან არანაკლებ შევიწროვებული სომხების წარმომადგენლები, იუსტინიანეს მიერ ჩადენილი ზოგიერთი ძალადობის ჩამოთვლისას იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მან „თვითთავადი ჭანები დაიმორჩილა", ხოლო „საცოდავ ლაზთა მეფეს* რომაელი სარდალი" ჩაუყენაო (2. 69). იგივე პირები იუსტინიანე იმპერატორის დახასიათებისას, მისგან ლაზეთის ასე დამცირებას, სამაგალითოდ თვლიან. არც იმას მალავენ, რომ აღნიშნულმა იმპერატორმა თვითონ სომხებიც არანაკლებ შეავიწროვა (2. 69-71).

მაგრამ ლაზეთში შექმნილი მდგომარეობა გაცილებით

---

* იგულისხმება გუბაზ II.

კარგად არის წარმოდგენილი ხოსრო შაჰთან გუბაზ II-ის ელჩების საუბარში, რომელიც პროკოპი კესარიელს აქვს შემონახული. ლაზი ელჩების სიტყვა გუბაზ II-ის საგარეო პოლიტიკის თავისებური გასაღებიცაა. ყოველ შემთხვევაში ირან-ლაზეთის დაახლოებისა და დაკავშირების, შამდეგ კი ამ კავშირის ბიზანტიის წინააღმდეგ წარმართვის მიზეზები არც ერთ სხვა წყაროში არ არის შემონახული.

„...საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა, აღნიშნავდნენ ლაზი ელჩები - ჩვენ მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეში თვითონ შეითვისეს. მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ. იმ აზრით, რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი მეფევ, რანაირ დასკვნამდე მივიდნენ: რაც-კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ, ხოლო რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თითოეულ შემთხვევაში წესდება აზრის და მიხედვით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას საჭიროვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვშძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრილმანე*, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის. აი, ასეთია მიზეზი ჩვენი

* იგულისხმება ბიზანტიელი სტრატეგოსი.

განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა" (2, 77-79).

ჩვენ მოვიტანეთ ლაზი ელჩების სიტყვის საჭირო ნაწილი. ახლა, მკითხველსაც საშუალება აქვს გაეცნოს იმ მიზეზებს, რამაც ბიზანტიელების წინააღმდეგ ლაზებისა და მათი მეფის აჯანყება გამოიწვია. მაშასადამე, ბიზანტიელებს:

ა) გუბაზისათვის მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნებიღა დაუტოვებიათ. მისი ძალაუფლება იმდენად შეუზღუდავთ, რომ იგი ლაზეთში მყოფი ბიზანტიელთა ლაშქრის უფროსისათვის – სტრატეგოსისათვის დაუმორჩილებიათ („მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია");

ბ) ბიზანტიას სტრატეგოსებთან ერთად ლაზეთში უამრავი ჯარიც ჩაუყენებია. ამ ჯარის დანიშნულება ქვეყნის ქონების დაპატრონება ყოფილა;

გ) ბიზანტიას ლაზეთში დაუწესებია ე. წ. მონოპოლი. ეს საგანგებო ეკონომიკური პოლიტიკა იყო, რომლის მეოხებით სტრატეგოს-განმკარგულებელს საქონელი თვითონ შეჰქონდა ლაზეთში და ჰყიდდა (მაგ., მარილს). ლაზეთიდან გასატან საქონელსაც თვითონ იძენდა მის მიერ დაწესებულ ფასებში. ამას გარდა, ბიზანტიელები თავიანთ ზედმეტ პროდუქტს („რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდებოდა") ძალით ასყიდავდნენ ლაზებს, ლაზების პროდუქტს კი არ ყიდულობდნენ.

ლაზები კარგად ხვდებოდნენ, რომ ამნაირი ეკონომიკური პოლიტიკით ბიზანტიელები „საჭირო საგნებთან ერთად" „მთელ ოქროსაც" ართმევდნენ მათ.

ამრიგად, ლაზი ელჩების სიტყვით, მეფე გუბაზი და მისი სამეფო, გამოუვალ მდგომარეობაში იყო. გუბაზს არა მარტო სამეფო ხელისუფლება, ქვეყნის დოვლათ-ბარაქაც ხელიდან უსხლტებოდა. ასეთ ვითარებაში ყველა ხელისუფალი გამოსავალზე დაიწყებდა ფიქრს და არც გუბაზი გამოდგა გამონაკლისი.

უნიჭიერეს ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს ბიზანტიელების მიერ შემოღებული ე. წ. მონოპოლის პოლიტიკა კერძო სტრატეგოსების მიერ დამკვიდრებულ მახინჯ ღონისძიებად მიაჩნია. ლაპარაკობს რა სტრატეგოს პეტრეზე, რომელიც იმპერატორმა იუსტინიანემ ლაზეთის გამგებლად დანიშნა, აღნიშნავს, რომ „ის ვერცხლისმოყვარეობაში ჩავარდა – როგორც არც ერთი სხვა – და მეტად უდიერად ეპყრობოდა ყველას"-ო.

პროკოპი კესარიელი განსაკუთრებით ვრცლად ეხება იოანე სტრატეგოსს, რომელსაც ციბეს უწოდებდნენ (90. 168-170; 2. 78-80). პროკოპის სიტყვით იგი იყო „კაცი არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალი, რომელმაც სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო, რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გაამრუდა და არივდარია. მანვე დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა. იქ იჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში, და სძარცავდა ლაზთა ქონებას".

მთავარი კი ის იყო, რომ „ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქ შეეძლოთ რამე ეყიდათ, არამედ მან (ე. ი. იოანნემ) შემოიღო ე. წ. მონოპოლი და თვით გარდაიქცა მეწვრილმანედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომლად: ყველაფერს ყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ასე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო" (2. 74-75).

პროკოპი კესარიელის სიტყვით, ასეთი ეკონომიკური პოლიტიკისა და ლაზეთში ჯარის ჩაყენების გამო, ლაზებს მეტის „ატანა აღარ შეეძლოთ" და „განიზრახეს მიმხრობოდნენ

სპარსელებს და ხოსროს. მაშინვე რომაელების ჩუმად ელჩებიც გააგზავნეს მათთან ამის მოსაგვარებლად" (2. 75).

თავის დროზე აკად. ს. ყაუხჩიშვილმა შენიშნა, რომ ბიზანტიელი სტრატეგოსების და, მათ შორის, იოანე ციბეს დადანაშაულება ლაზეთის საქმეების არევ-დარევასა და ზემოთ აღწერილი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებაში, სწორი არ არის. ზოგიერთი წყარო (მაგ. ამდროინდელი ნოველები და პროკოპი კესარიელის „საიდუმლო ისტორია") მიგვითითებს, რომ ვაჭრობის მონოპოლიის შემოღება იმპერიის მთავრობის მერ მოხდა* ეს მონოპოლია შეეხებოდა როგორც ფუფუნების საგნებს, ისე პირველ მოთხოვნილების საგნებსაც (მაგ. პურს). ასეთი მონოპოლია შემოღებული იყო კონსტანტინეპოლსა და ალექსანდრიაშიც. ს. ყაუხჩიშვილის სამართლიანი დასკვნით „ლაზეთში შემოღებული წესები ვაჭრობისა იოანე ციბეს მიერ მოგონილი კი არ იყო, არამედ ცენტრალური მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტირებიდან გამომდინარეობდა". ავტორს ამ აზრის დასამტკიცებლად არა ერთი მაგალითიც მოაქვს (2. 78-80).

მაგრამ ლეზებისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ იყო ამ პოლიტიკის ავტორი? მთავარი ის იყო, რომ ამ პოლიტიკამ ლაზეთი დააქცია. ლაზეთის მდგომარეობა იმდენად სავალალო გამხდარა, რომ ეს ვითარება სომეხი პოლიტიოკსების ხოსროსთან საუბარში კი იქნა მოხსენიებული.

ცხადია, 528-532 წლებში, როდესაც სპარსეთი, წათე I-ის დასჯის მიზნით, ლაზეთში ომობდა, ბიზანტიამ თავისი მოკავშირისა და ხელდებული ქვეყნის საზღვრებიდან დამპყრობლე-

---

* პროკოპი კესარიელი თავის „საიდუმლო ისტორიაში" წერს: შემდეგ იუსტინიანემ ეგრეთ წოდებული მონოპოლიები დააწესა და ამით ხელქვეითთა კეთილდღეობა იმ ხალხს მიჰყიდა, რომელნიც ხელის მოთბობას არ თაკილობდნენ, სანაცვლოდ სათანადო თანხას იღებდა მათგან, და თვითონ საქმეს სცილდებოდა, ფულის შემომტანს კი საშუალებას აძლევდა, ყველაფერი თავის ნებაზე მოეგვარებინა (8. 83).

ბის განდევნაში დიდი როლი ითამაშა. აშკარაა, რომ 532 წლის „უვადო ზავი"-ს მიხედვით სპარსეთმა ლაზეთის სასაზღვრო ციხეებიც კი ვერ შეინარჩუნა. ბიზანტიამ აშკარად გააძევა იგი ლაზეთიდან. ლაზები, რა თქმა უნდა, ამას გრძნობდნენ და ახსოვდათ, მაგრამ როდესაც ყოფილმა მოკავშირემ ქვეყანა ზემოთ აღნიშნული უბედურებაში ჩააგდო, ბიზანტიელების საწინააღმდეგო განწყობა გაჩნდა. აშკარაა, რომ ამ განწყობას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა.

ლაზეთი VI საუკუნეში მწირი ქვეყანა იყო, საგარეო ვაჭრობაზე დიდად იყო დამოკიდებული და იმპერიის მიერ თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა მეტნაკლებად მოსახლეობის ყველა ფენას შეაწუხებდა. „რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის (ე. ი. ბიზანტიელებისათვის – ჯ. ს.) ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს მათი ნების წინააღმდეგ, ხოლო რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზეთს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თითოეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით"-ო, - ჩივიან ხოსროს წინაშე ლაზი ელჩები (2. 78).

VI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ლაზეთისა და ირანის ანტიბიზანტიური კავშირი ნამდვილად არსებობდა. ლაზეთის ელჩები ხოსრომ 541 წელს მიიღო და 542 წელს ე. წ. ეგრისის „დიდი ომიანობა" დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „უვადო ზავის" დარღვევა ჯერ კიდევ 540 წელს მოხდა, როდესაც ხოსრომ ბიზანტიის კუთვნილი ქალაქი ანტიოქია აიღო. ბიზანტიელებმა ხოსროს ზავის დაცვის აუცილებლობა შეახსენეს, მაგრამ მან ამისათვის ბიზანტიელებისაგან ყოველწლიური გადასახადი მოითხოვა. თუ გინდათ, რომ ზავი მტკიცედ შევინარჩუნოთ, ჩვენ თვითონ დავიცვათ კასპიის კარები და აღარ გაგკიცხოთ ქ. დარას გამო, მუდამ ჯამაგირი გვიხადეთ, - უთვლიდა ხოსრო იუსტინიანეს (2. 78).

ამრიგად, ხოსრო თვითონაც მზად იყო ბიზანტიელების წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომი დაეწყო და ეს განწყობა კიდევ უფრო გაუღრმავდა, რაც ლაზმა ელჩებმა მას თავიანთი სამშობლოს სტრატეგიული მნიშვნელობა განუმარტეს.

„იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ახლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა. მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული" (2. 80-81).

ამრიგად, გუბაზ II-ის ელჩები შაჰ ხოსროს სთავაზობდნენ:

ა) ლაზეთის სპარსეთის მორჩილებაში შესვლას („ჩვენ და ლაზიკის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ" –

ლაზების თხოვნა ხოსრო I-ისათვის მდგომარეობდა შემდეგში: გამოეყენებინა ლაზეთის მოსახლეობა და ქვეყანა ისე, როგორც მას სურდა (იხ. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. III, გვ. 76). ოღონდ მათი ქვეყანა ბიზანტიელების ძალმომარაგებისაგან დაეცვა. „უსამარლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის"-ო. აცხადებდნენ ლაზი ელჩები ხოსროს მისამართით (იქვე, გვ. 77).

უცხადებდნენ ხოსროს ლაზი ელჩები).

ბ) ლაზეთის მიწა-წყლის საშუალებით შავ ზღვაში ფეხის მოკიდებას („ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით"...).

გ) ჩრდილოეთ კავკასიელი მომთაბარე ტომების ბიზანტიელების წინააღმდეგ წარმართვას („თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი").

ირანის შაჰისათვის ლაზი ელჩების განცხადება უაღრესად სასიამოვნო მოსასმენი უნდა ყოფილიყო. ხოსრო I, ბიზანტიის ეს ყველაზე დიდი მეტოქე, ალბათ სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდა: ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს იმორჩილებდა და ამ ქვეყნიდან ბიზანტიაზე სასიკვდილო დარტყმების განხორციელების საშუალებას იღებდა.

ლაზეთის ელჩები გონივრულად მსჯელობდნენ. თუკი სპარსეთი ლაზეთში მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს, მას მართლაც შეძლო შავ ზღვაზე საკუთარი ფლოტის აშენება და კონსტანტინეპოლისათვის დიდი საშიშროების შექმნა. ისიც მხედველობაში იყო მისაღები, რომ ამ ქვეყნის მეშვეობით ადვილად შეიძლებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარეების გადმოყვანა და ბიზანტიის საზღვრებისათვის მისევა. ამიტომ წერს ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „ამ სიტყვებით ნასიამოვნებმა ხოსრომ აღუთქვა ლაზებს დახმარებაო" (2. 80-82).

ირანის შაჰმა ელჩებს დაწვრილებით გამოკითხა ლაზეთში შესასვლელი გზების მდგომარეობა. ელჩებმა აღუთქვეს, რომ თუ სპარსელები მათს ქვეყანაში შემოსვლას დააპირებდნენ, ლაზები ყველა ოღრო-ჩოღრო ადგილს ისე გაასწორებდნენ, რომ „ის გზა ადვილი გასავლელი შეიქმნებოდა. წინამძღოლობასაც ლაზები იკისრებდნენ" (2. 80-82).

ხოსრომ ჯარი შეკრიბა და უკიდურესად საიდუმლო ვითარებაში ლაზეთისაკენ წავიდა. იგი ხმას ავრცელებდა იბე-

რიაში მივდივარ იქაური საქმეების მოსაგვარებლად. ჰუნების ტომი ქართლში მდგომ სპარსელთა ჯარს თავს დასხმია და მათი თავხედობა უნდა აღვკვეთოო (2. 81-83). სინამდვილეში კი ლაზეთისაკენ მიემართებოდა.

ამრიგად, ბიზანტიის იმპერატორის არასწორმა პოლიტიკამ ლაზეთში, მეფე გუბაზი აიძულა ირანს დაკავშირებოდა. რაკი გუბაზმა ირანსა და ბიზანტიას შორის არსებული მეტოქეობის ამბავი კარგად იცოდა, ხოსრო შაჰი თავისი სამშობლოს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაში დაარწმუნა, რითაც ირანის ლაშქრის დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შესვლისა და ომში ჩაბმის გარანტია მიიღო. ასე შეიკრა ირან-ეგრისის სამხედრო კავშირი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა 540 წლიდან დაწყებულ ბიზანტია-ირანის ახალ ომში*.

გუბაზ II ომის ამ ახალი ეტაპის ერთ-ერთი წამომწყები იყო და სანამ ცოცხლობდა, მის შუაგულში ტრიალებდა. ომის მსვლელობის მთელ მანძილზე (541-562 წწ.) მასში მონაწილე ძალები ბევრჯერ გადანაწილდნენ. ისიც ხაზგასასმელია, რომ ეს ცვლილებებიც გუბაზ II-ის სურვილს შეესაბამებოდა. როგორც გვეჩვენება, ორიენტაციების ასეთი ცვლილებებიც მოვლენებისადმი მისმა პირადმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა.

გუბაზ მეფის მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომი სამ მონაკვეთად უნდა გაიყოს. პირველი მონაკვეთი 541-549 წლებს მოიცავს. ამ წლების მანძილზე ირან-ეგრისის სამხედრო კავშირი ბრძოლას აწარმოებდა დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიელების გასადევნად. ამ პერი-

---

* ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ბიზანტია-ირანის ომისა და ირან-ეგრისის სამხედრო კავშირის შეკვრის, აგრეთვე ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების თარიღები. პირველი 540 წელია (91. 27; 93. 61; 92. 27), ხოლო მეორე 541. ამ უკანასკნელ თარიღზე, თავის ერთ-ერთ ნაშრომში, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ისტ. მეცნ. დოქტორმა ვ. გოილაძემ (93. 96).

ოდის დასაწყისად ირანის შაჰ ხოსროს დასავლეთ საქართველოში მოსვლა უნდა ჩაითვალოს, ხოლო დასასრულად იმავე შაჰის მიერ გუბაზის მოკვლისა და ეგრისის მოსახლეობის აყრა-გადასახლების გეგმის გამომჟღავნება. ეს მოხდა 549 წელს. პირველ პერიოდში, კერძოდ 546 წელს, მეომარ ქვეყნებს შორის პირველი დროებითი ხუთწლიანი ზავი დაიდო.

ომის მეორე მონაკვეთი 549-552 წლებს მოიცავს. ეს მონაკვეთი იწყება გუბაზ მეფის ხოსროზე განაწყენებით, მასთან კავშირის გაწყვეტით და ბიზანტიელების მხარეზე გადასვლით, რასაც ადგილი 549 წელს ჰქონდა. ამ პერიოდში გუბაზი ბიზანტიელებთან კავშირში ხოსროს წინააღმდეგ იბრძვის. ეს პერიოდი მთავრდება 552 წლით, როდესაც ბიზანტიელებმა თავიანთი გაუფრთხილებლობით ეგრისის უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ონოგურისი დაჰკარგეს და გუბაზ მეფეც სასტიკად გაანაწყენეს. სწორედ ამის შემდეგ აღარ ღებულობს გუბაზი ბიზანტიელთა სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობას.

ომის მესამე მონაკვეთი 552-554 წლებით უნდა შემოიფარგლოს. ეს არის გუბაზ მეფის ბიზანტიელებზე გაბუტვის ხანა. იგი აშკარად არ ღალატობს მათ, მაგრამ არც ეხმარება და ყოფილ მოკავშირეს – ეგრისში ბიზანტიის სამხედრო წარმომადგენლობას, აეჭვიანებს და აღიზიანებს. მისი ტრაგიკული დასასრული 554 წ. ამ პერიოდის დასასრულია.

გვინდა საგანგებოდ შევეხოთ ბიზანტიელებისაგან გუბაზ მეფის საბოლოო განდგომის საკითხს, რადგან მისი გარკვევა რამდენადმე საჭირო კითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება. ეს კითხვებია:

ა) როდის იწყება გუბაზის ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო საფეხური და ბ) როდიდან იწყება გუბაზის ახალ ორიენტაციაზე გადასვლა?

აგათიას თხზულების ზოგიერთი ადგილი ამტკიცებს, რომ გუბაზ მეფე ბიზანტიელებს მას შემდეგ შემოწყრა, რაც

ბიზანტიელებმა ონოგურუსის ციხე-სიმაგრე დათუმეს სპარსელებს.

ჯერ კიდევ მ. ბროსემ აღნიშნა, რომ ონოგურისი ქართულ „უნაგირა"-ს უდრის (M. Brosset, Additions, 90. 101-102). უნაგირას მთა კი დღევანდელი მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე მდებარეობს.

ონოგურისი 552 წელს ააგეს სპარსელებმა დასავლეთ ლაზეთის აღმოსავლეთ საზღვრის ჩრდილო ნაწილში და შიგ რაზმიც ჩააყენეს.

ონოგურისის ციხეს, სპარსელების ხელში, ეგრისის დედაქალაქ არქეოპოლისის წინააღმდეგ ბრძოლაში საყრდენი პუნქტის მნიშვნელობა ჰქონდა (9. 59-62). აკად. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ პროკოფის თხზულებაში ნახსენები „უქიმერიონი" და აგათიას „ონოგურისი" ერთ სექტორში არიან საგულისხმონი. მას ამ აზრის დამადასტურებელი არაერთი მონაცემიც მოაქვს (9. 62). ონოგურის-უქიმერიონის მნიშვნელობა ბიზანტია-სპარსეთს შორის მიმდინარე ომში განუზომლად დიდი იყო. პროკოპი კესარიელის ცნობით, როდესაც ერთი ადგილობრივი მცხოვრების ღალატით სპარსელებმა ბიზანტია-ეგრისის კუთვნილი უქიმერიონის ციხე იგდეს ხელთ, ამით ისინი არამარტო ლაზიკის იმ ნაწილს დაეუფლნენ, მოხირისიდან იბერიამდე რომ იყო გადაჭიმული, არამედ ლეჩხუმი და სვანეთიც მათი გახდა, რადგან ეს ციხე ამ ქვეყნებისაკენ მომავალ გზას აკონტროლებდა (2. 69-173; 196-197).

ამრიგად, ონოგურისი ანუ უქიმერიონი უდიდესი მნიშვნელობის ციხე იყო და, 552 წელს, მისი სპარსელების ხელში გადასვლა, ბიზანტია-ეგრისის კავშირისათვის საგრძნობი დანაკლისი უნდა ყოფილიყო. ეტყობა, რომ ეს დანაკარგი ბიზანტიის მხარემ ძალიან განიცადა და შემდგომში მისი დაბრუნებაც სცადა. ისიც კარგად ჩანს, რომ დასახელებული ციხის სპარსელთა ხელში გადასვლა გუბაზმა გაცილებით უფრო ახლოს მიიტანა გულთან. 554 წელს, ონოგურისის ციხე-სიმაგ-

რეზე გალაშქრებას რომ აპირებდნენ, ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა გუზაბ მეფესაც სთხოვეს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება.

– აბა გუბაზ. – უთხრა ერთ-ერთმა მათგანმა, რუსტიკემ, - სპარსელების წინააღმდეგ მივდივართ, რომლებიც ონოგურისში ჩამჯდარან. სირცხვილი იქნება თუ ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის შუაგულში, მით უმეტეს, რომ ისინი მცირერიცხოვანნი არიან და ბრძოლის უნარითაც ვერ შეგვედრებიან" (9. 48-49).

მაგრამ გუბაზ მეფემ სასტიკი უარი განუცხადა. თქვენი ბრალია, რომ ეს ციხე დაიკარგა და საკუთარი შეცდომა თვითონვე გამოასწორეთო, - მიუგო მან. „რაც შემეხება მე, არ გამოგყვებით და არც ომში ჩავებმები, სანამ თქვენს მიერ ჩადენილი ყველა შეცდომას არ უწამლებთ"-ო (9. 49).

გუბაზის განაწყენება, რომ მართლა ციხე-სიმაგრე ონოგურისის დაკარგვამ გამოიწვია ეს ლაზეთის მეფის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ იმპერიის დედაქალაქიდან ჩამოსული მოსამართლე ათანასის დასკვნიდანაც გამოჩნდა. ისტორიკოსი აგათია აღნიშნავს, რომ ათანასეს აზრით გუბაზის „მკვლელობა ჩადენილი იყო უსამართლოდ და კანონის წინააღმდეგ და ონოგურისზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე მედიზმის* გამო კი არ ამბობდა უარს გუბაზი, არამედ იმიტომ რომ ის გაჯავრებული იყო სტრატეგოსებზე, რადგან მათ დაჰკარგეს ონოგურისი თავისი უგუნურობისა და დაუდევრობის წყალობით" (9. 152-153).

ამრიგად, 552 წელი ბიზანტიელებსა და გუბაზს შორის ახალი განხეთქილების დასაწყისია. მოკავშირეთა უუნარობით გულდაწყვეტილი გუბაზ მეფე მათთან სამხედრო საქმიანობაზე უარს ამბობს და, ალბათ, ახალ პოლიტიკურ ორიენტაციაზეც ფიქრობს. ეს ბიზანტიელ სტრატეგოსებს შეუმჩნევე-

---

* მედიზმი – მიდიელების ანუ სპარსელების ერთგულება.

ლი არ დარჩენიათ, რაც რუსტიკეს მიერ სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვაში აშკარად გამოჩნდა. მაგრამ ყველაზე მეტად იმ ღონისძიებებში გამოიხატა, რომლებიც გუბაზის თავიდან მოსაცილებლად გაატარეს.

აშკარაა, რომ გუბაზისა და ბიზანტიელი სარდლების მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა. გუბაზი თავისუფალი ეგრისისათვის იბრძვის და სპარსელებიცა და ბიზანტიელებიც ერთნაირად სძულს. ისინი მისი ქვეყნის სისუსტით სარგებლობენ და მის მიწა-წყალს ქორებივით ძიძგნიან. გათავისუფლებული ბიზანტიელები იარაღით დაჭერილ ეგრისს უკვე საკუთარი სამშობლოს ნაწილად მიიჩნევენ. ასეთ ვითარებაში გუბაზსა და სტრატეგოსებს შორის შეხლა-შემოხლა გარდაუვალი იყო და კიდეც მოხდა.

აშკარაა, რომ გუბაზ მეფე 552 წლიდან ე. ი. ონოგურისის დაკარგვის შემდეგ, შემოწყრომია ბიზანტიელებს და მათთან სამხედრო კავშირიც გაუწყვეტია. ჩვენი აზრი, რომ სწორია, იქიდანაც მტკიცდება, რომ გუბაზის ერთ-ერთმა მკვლელმა, იმპერატორ იუსტინიანეს პირადმა წარმომადგენელმა კოლხეთში მდგომ ბიზანტიის არმიაში, რუსტიკემ, სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვაში, სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება.

– „სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიდამოებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი მტკეცედ ჩამჯდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მიწა-წყალზე, - განაცხადა რუსტიკემ, – სტრატეგოსთა თათბირზე გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ მთელი ჯარით გავმგზავრებულიყავით იმათ წინააღმდეგ, გაგვენადგურებინა ისინი და, ამრიგად, გავთავისუფლებულიყავით მეტად სახიფათო ჩასაფრებისაგან"

მივმართეთ გუბაზსაც, რომ მასაც მიეღო ბრძოლაში მონაწილეობა, მაგრამ მან „უარი თქვა ჩვენთან ერთად ელაშქრა

ციხის წინააღმდეგ და არც კი მოვიდა ჩვენთან. არავითარი მიზეზიც კი არ დაასახელა, რომლებიც, თუმცა შეუფერებული იქნებოდნენ, მაგრამ გარეგნულად მაინც გაამართლებდნენ მის უარს" (9. 148-149).

ამრიგად, აშკარაა, რომ გუბაზი ბიზანტიელებს ონოგურისის ციხის დაკარგვის შემდეგ შემოსწყრა და ამის შემდეგ, მათთან ერთად, სპარსელების წინააღმდეგ აღარ იბრძვის. აქედან მოყოლებული მის დაღუპვამდე, გუბაზი ბიზანტიელებზე გაბუტულია, თუმცა მათ წინააღმდეგ აშკარა ბრძოლას არ აწარმოებს.

მაგრამ ასეთი ურთიერთობის დიდხანს გაგრძელება გამორიცხული იყო. ან ბიზანტიელებს აევსებოდათ მოთმინების ფიალა და გუბაზს მტრად გამოაცხადებდნენ, მის სალიკვიდაციოდაც საგანგებო ღონისძიებას გაატარებდნენ, ანდა თვით გუბაზი გამოამჟღავნებდა საქვეყნოდ თავის ახალ პოლიტიკურ სურვილს და ბიზანტიელების ნაცვლად შერჩეულ მოკავშირესაც აშკარად მიემხრობოდა. ეს ყველაფერი მომავალში უნდა მომხდარიყო, რაც კიდეც მოხდა. მაგრამ თუ როგორ გაიხსნა ეს კვანძი ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ბიზანტია-ირანს შორის ომი დაღუპული გუბაზის ნაცვლად გამეფებული ნათე II-ის მეფობაშიც გრძელდებოდა და 562 წელს დამთავრდა*

ახლა მომოვიხილოთ ომის პირველი მონაკვეთი – 541-549 წლები.

541 წელს ირანის შაჰი ხოსრო ქართლის სამეფოში შევიდა და აქედან, ლიხის მთის გადავლით, ლაზეთის სამეფოს საზღვრებში შეაღწია. წინ გუბაზ II-ის ელჩები მიუძღვოდნენ.

---

* შეგვეძლო ეს ხანა ომის ცალკე მონაკვეთად გამოგვეყო, მაგრამ რაკი ჩვენი ნაშრომის მთავარი გმირი, გუბაზ II, 554 წელს დაიღუპა, ომის დანარჩენ ამბებზე აღარ ვილაპარაკებთ. წინამდებარე მონოგრაფია მხოლოდ გუბაზ II-ის ცხოვრება-მოღვაწეობას ეხება და არა საერთოდ, 541-562 წლების ომს.

რაკი გზა ძნელად სავალი იყო, ხოსროს მოლაშქრეები ხეებს ჭრიდნენ, თხრილებს ავსებდნენ და გზებს ასწორებდნენ. ასე მიაღწიეს ქვეყნის შუაგულს, სადაც მათ თვითონ გუბაზ II შეეგებათ.

პროკოპი კესარიელის ცნობით „ლაზთა მეფე ეთაყვანა ხოსრო კავადის ძეს, ვითარცა ბატონს, და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცეს მას" (2. 82-83).

ამის შემდეგ ხოსრო, მისი ლაშქარი და, ალბათ, გუბაზ II-ც, ქალაქ პეტრას წინააღმდეგ გაემართნენ. სწორედ ამ ციხეში იჯდა სტრატეგოსი იოანე ციბე ბიზანტიელ მებრძოლებთან ერთად და, სპარსეთის შაჰი უშუალოდ მის დასარტყველად მიემართებოდა.

ქ. პეტრა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში იმპერატორმა იუსტინიანემ ააგო. მისი ადგილმდებარეობის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული, თუმცა დღესდღეობით საყოველთაოდ არის აღიარებული რომ ქ. პეტრა ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირის ადგილზე მდებარეობდა*

ქალაქის ტერიტორიაზე გადიოდა ვიწრო გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან, ირანთან და სომხეთთან აკავშირებდა. ქალაქი კონტროლს უწევდა ბიზანტიიდან შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიმავალ საზღვაო-საკაბოტაჟო ნაოსნობას (10. 36-42; 95. 42).

პროკოპი კესარიელის ცნობით, წინათ, ეს ადგილი უმ-

---

* იხ. ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. ტ. II, შენიშვნა 2. გვ. 33-37; ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 29-44 და სხვ. განსხვავებული შეხედულება წამოაყენა პროფ. გ. გრიგოლიამ. მას მიაჩნია, რომ ქ. პეტრა იგივე ხოფაა. იხ. მისი „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები". თბ., 1994 წ., გვ. 65-88. აგრეთვე თანდართული რუკა. ავტორს გაანალიზებული აქვს ქ. პეტრას ლოკალიზაციასთან დაკავშირებული მთელი ლიტერატურა (94. 11-23).

ნიშვნელო იყო, ხოლო იმპერატორმა იუსტინიანემ „გარეზღუ-დისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველ-მხრივ გაამშვენიერა კიდეც" (2. 83).

ქალაქი სამხედრო თვალსაზრისით ძალზე ძლიერად ით-ვლებოდა. მას ერთი მხრივ ზღვა ერტყა, მერე მხრივ – ციცაბო კლდეები. სწორედ ამ კლდოვანი მდებარეობის გამო დაარქვეს მას „პეტრა" (რაც ბერძნულად კლდეს ნიშნავს). შემდეგ, იუს-ტინიანე იმპერატორის პატივსაცემად, ქ. პეტრას, „იუსტინია-ნეს ქალაქი" უწოდეს (9. 33-35).

პროკოპი კესარიელის ცნობების დახმარებით ამ ციხე-ქალაქის აღნაგობის წარმოდგენა ადვილდება. ციხეს მხოლოდ ერთი შესავალი ჰქონდა დაბლობში და ისიც საკმაოდ ვიწრო, ვინაიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეები იყო დაკიდული. ციხის ამშენებლებმა კარი იმიტომ გააკეთეს ამ მხარეს, რომ მასზე იერიშის მიტანა ადვილი არ ყოფილიყო. ამას გარდა, მტკიცე ადგილი კიდევ უფრო გაამაგრეს, რადგან „გრძელი კედლები გააკეთეს დიდ მანძილზე მისავალის თი-თოეული კლდის გასწვრივ და ამ კედლების ორივე მხარეს ორი კოშკიც ააგეს. კოშკები ააგეს არა ისე, როგორც ჩვეუ-ლებრივ აგებენ ხოლმე. „შენობის შუაში იმათ არსად არ და-ტოვეს ცარიელი ადგილი, არამედ მთელი ეს კოშკები, მიწიდან დაწყებული უმაღლეს წვერამდე, უდიდესი, ერთმანეთთან გა-დახლართული ქვებისაგან ააშენეს, რათა რაც შეიძლება ნაკ-ლებ მოსახერხებელი ყოფილიყო მათი შერყევა კრიოთი* ან სხვა მანქანით (2. 85-86).

აი, ასეთი იყო პეტრას ციხე, რომლისკენაც ახლა სპარ-სეთის ლაშქარი მიემართებოდა. ხოსრო შაჰი და მისი ლაშქარი (რა თქმა უნდა გუბაზ მეფეცა და მისი თანმხლები ლაზებიც) ქ. პეტრას შემოგარენში შევიდნენ. თვითონ ხოსრო ქალაქის ახლოს, ერთ-ერთ ბორცვზე გაჩერდა, ხოლო ჯარი, სარდალ

---

* კრიო – კედლის სანგრევი მანქანაა.

ანიაბედის ხელმძღვანელობით, პეტრაზე საიერიშოდ გაუშვა. ხოსროს იმედი ჰქონდა, რომ სიმაგრეს პირველი შეტევითვე აიღებდა.

მაგრამ ბიზანტიელების მხედართმთავარი იოანე-ციბე ნიჭიერი სარდალი გამოდგა. მან სპარსელების წინააღმდეგ ძალზე ჭკვიანური სამხედრო ხერხი გამოიყენა, რამაც ხოსროს იმედი – პირველი იერიშითვე აეღო ციხე-სიმაგრე, გააცრუა. როდესაც იოანე-ციბემ ქალაქთან სპარსელების მოახლოების ამბავი გაიგო, მებრძოლებს უბრძანა, რომ არც ზღუდის იქით გასულიყვნენ და არც ქონგურებიდან გამოჩენილიყვნენ. სარდლის სურვილი იყო მტერი დაერწმუნებინა, თითქოს ციხე-ქალაქი ცარიელი იყო. მან შეიარაღებული მეციხოვნეები ქალაქის კართან დააყენა და ლოდინი დაიწყო. სპარსელები ზღუდეს მიუახლოვდნენ და, მათდა გასაკვირად, მიწინააღმედგის ერთი ჯარისკაციც კი ვერსად დალანდეს. „იფიქრეს, რომაელებს ქალაქი დაუტოვებიათ და იგი დაცირიელებულაო. ამიტომ ისინი კიდევ უფრო ახლოს მივიდნენ ზღუდესთან, რომ მაშინვე კიბეები მიედგათ, რადგან კედლების დამცველი არავინ იყო" (2. 83).

თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი იოანე-ციბეს არც თუ ისე სახარბიელო სიტყვებით ამკობს. იგი აღნიშნავს: იოანე-ციბე არც წარჩინებულია და არც სახელოვანთა შთამომავალი. მან სტრატეგოსობამდე მხოლოდ ფულის შოვნის ყველაზე უსამართლო საშუალებათა გამოგონებით მიაღწია. ამაში იგი ყველაზე უფრო საზიზღარი და ყველაზე მოხერხებული იყოო (2. 74).

ამას გარდა ისტორიკოსი მას დანაშაულად უთვლის, რომ პეტრა, იუსტინიანემ სწორედ იოანეს რჩევით ააგო და, როგორც სტრატეგოსი, ამავე ციხე-სიმაგრეში იჯდა და „სძარცვავადა ლაზთა ქონებას". მანვე „რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გაამრუდა და არივ-დარია".

აკად. ს. ჯანაშიამ ქ. პეტრას ადგილმდებარეობის ძიები-

სას კარგად შეამჩნია იოანე-ციბეს, როგორც სტრატეგოსის სამხედრო ნიჭი. იგი წერდა: თუ ციხისძირი „ციხე-ქალაქად მართლაც იოანე-ციბეს რჩევით აქციეს, მაშინ, უნდა ითქვას, რომ ეს კეისრის სხვაფრივ სახელგატეხილი აგენტი ჭეშმარიტად ნიჭიერი კაცი ყოფილა. არჩევანი უზადო იყო" (60. 36).

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ იოანე-ციბე მოხერხებული სარდალიც აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში სპარსი სარდალი ანიაბედი თავის ანკესზე წამოაგო და სამარცხვინო დღეში ჩააგდო.

ანიაბედმა პეტრა მართლაც დაცარიელებულად მიიჩნია და ეს ამბავი ხოსროსაც შეატყობინა. ხოსრომ სარდალს დაუჯერა და ჯარის დიდი ნაწილი ციხის ასაღებად გაგზავნა. ერთ-ერთ სხვა სარდალს კი ციხის კარიბჭის დანგრევა დაავალა (2. 84). გულდამშვიდებული სპარსელები, აქაოდა ციხე-სიმაგრეში არავინ არისო, კარიბჭეს მიუახლოვდნენ. ბიზანტიელებიც ამას ელოდნენ: კარი გააღეს, გამოიჭრნენ, თავს დაესხნენ სპარსელებს და მათი უმეტესი ნაწილი გაჟლიტეს. უფრო მეტად კი ისინი გაწყდნენ, სანგრევ მანქანასთან რომ იდგნენ. ანიაბედი და ჯარის გადარჩენილი ნაწილი უკან გაიქცნენ.

ესეც შენი „მეწვრილმანე" იოანე-ციბე, როგორც მას არაერთხელ უწოდებს პროკოპი კესარიელი. პირველი იერიში მშვენივრად მოიგერია!

მაგრამ შაჰ ხოსროს ბრძოლა ამით არ დაუმთავრებია. მან ახლა მთელი ჯარით შემოარტყა ალყა ქალაქს. მეორე დღეს, სიმაგრის ზღუდეც თვითონ დაათვალიერა და მაინცდამაინც ძლიერად არ მოეჩვენა. ამიტომ გადაწყვიტა კვლავ შეეტია მისთვის.

ხოსრომ ახლა ბრძოლის ხერხი შესცვალა. ნაცვლად კარიბჭეზე იერიშისა „გასცა განკარგულება, რომ ყველას ისრები დაეშინა კედლის ნიკბებისათვის" (2. 84-85).

სამწუხაროდ, ბიზანტიელებს იმთავითვე დიდი ზარალი მოუვიდათ. მათ მთავარსარდალ იოანე-ციბეს, შემთხვევით

მტრის მიერ ნატყორცნი ისარი შიგ კისერში მოხვდა და მოკვდა. ამან, ცხადია, ძალიან ცუდად იმოქმედა ციხის მცველებზე და, როგორც ისტორიკოსი წერს, „რომაელები სრულიად მოდუნდნენ". მაგრამ იმ დღეს მეტი აღარაფერი მომხდარა. მთელმა დღემ გახურებულ ბრძოლაში განვლო და დაბინდდა თუარა სპარსელები თავიან ბანაკში დაბრუნდნენ.

მესამე დღეს ბრძოლა კვლავ განახლდა. სპარსელებმა, ეტყობა, ღამით იმუშავეს და ზემოთ აღწერილი ერთ-ერთი კოშკის ქვეშ თხრილი გაიყვანეს. კოშკს ქვები გამოაცალეს და მათ ადგილას შეშები ჩააწყეს. შემდეგ შეშას ცეცხლი წაუკიდეს. „ქვების ძალა შეირყა" და კოშკი ძირს დაენარცხა, კიდევ კარგი, რომ კოშკში მყოფი ბიზანტიელი მცველები ადრე გაეცალნენ იქაურობას და ქალაქის ზღუდეს შეაფარეს თავი.

ამრიგად, სპარსელებმა (და ცხადია გუბაზმაც) ქალაქის კედელი შეანგრიეს. აშკარა იყო, რომ ციხე-სიმაგრე ჩქარა დაეცემობა. მაშინ უსარდლოდ დარჩენილმა ბიზანტიელებმა ხოსროსთან მოლაპარაკება გამართეს. შაჰმა მათ სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნების პირობა მისცა და სამაგიეროდ პეტრა ჩაიბარა. იოანე სტრატეგოსის ქონების გარდა, არც მას და არც სხვა სპარსელებს, ხელი არაფრისთვის უხლიათ.

სპარსელების მიერ პეტრას აღება ბიზანტიის იმპერიის უდიდესი მარცხი იყო. ბიზანტიას, პეტრას გარდა, ლაზეთში სხვა საყრდენი პუნქტი არ გააჩნდა და ახლა ისიც დაჰკარგა. ამიერიდან ლაზეთი მთლიანად სპარსეთის გავლენაში ხვდებოდა. სპარსეთი სრულიად შეგნებულად იბრძოდა ლაზეთიდან ბიზანტიის გასადევნად და ომიც იმიტომ წამოიწყო. პირადად შაჰ ხოსროს მონაწილეობა ქ. პეტრას აღებაში ცხადად მიუთითებს თუ რა მნიშვნელობას აძლევდნენ სპარსეთში ამ ქალაქს.

ეგრისის (ლაზეთის) ირანის გავლენაში მოხვედრა ხოსროს უდიდეს უპირატესობას აძლევდა ბიზანტიასთან შედარებით. ახლა იგი უკვე შავ ზღვაზეც გადიოდა, ხოლო ქ. პეტ-

რას ხელში ჩაგდებით ამ ქალაქზე გამავალ გზებსაც ეუფლებოდა. ამას გარდა, ამიერიდან მას ზღვითაც შეეძლო იერიში მიეტანა ბიზანტიის ზოგიერთ პროვინციაზე (მაგ. კაბადოკიაზე, გალატიაზე, ბითვინიაზე და სხვ.), რაც მთავარია, თვითონ კონსტანტინეპოლზე.

ლაზეთის დახმარებით ირანს ხელეწიფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ჰუნებთან კავშირის დამყარება და მათი სამხედრო შენაერთების ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ირანმა ხელში ჩაიგდო ქართლის ბუნებრივი მოკავშირე, ეგრისი (ლაზეთი), რითაც ამ დროისათვის საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლ ქართლს ზურგი მოუშალა.

ცხადია, როდესაც ასეთი დიდი უპირატესობა მოიპოვა, ირანი არ დააყოვნებდა და მის გამოყენებას შეეცდებოდა. მაგრამ სანამ ამაზე ვილაპარაკებთ, ჯობს ქ. პეტრას აღების შემდგომ ამბებზე ვილაპარაკოთ.

ზემოთ სპარსეთის შაჰის მიერ ციხე-ქალაქ პეტრას აღების ამბავი მოგითხრეთ. ისიც აღვნიშნეთ, რომ ბიზანტიელი სტრატეგოსი იოანე-ციბე ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო მეციხოვნენი ხოსროს ტყვედ ჩაბარდნენ.

ხოსრო პეტრაში დიდხანს არ დარჩენილა. მან გაიგო, რომ ბიზანტიის ლაშქარმა სარდალ ველისარის ხელმძღვანელობით ქ. დარადან სპარსეთის ქალაქების ნისიბინისა და სისავრანონის წინააღმდეგ გაილაშქრა. თანაც თავის მოკავშირეს, მეფე არეთას უბრძანა ასურასტანში შეჭრილიყო და სპარსელების კუთვნილი ეს ქვეყანა აეოხრებინა.

ხოსრომ ქ. პეტრაში მცველები ჩააყენა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა. მან ტყვე ბიზანტიელებიც თან წაიყვანა. მართალია ხოსრო ლაზეთს გაეცალა, მაგრამ მეორე ფრონტზე მან გააფთრებული ბრძოლა გაუმართა ბიზანტიელებს.

ბრძოლის ამ მონაკვეთში ლაზეთის მიწა-წყალზე ბრძოლა აღარ მიმდინარეობდა. რაც შეეხება ციხე-სიმაგრე პეტრას იგი კვლავ სპარსელების ხელში იყო. ბიზანტიელებმა ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება მოიწადინეს და ხოსრო შაჰს მიტაცებული ლაზიკის დაბრუნებას და მტკიცე ზავის შეკვრას თხოვდნენ.

ხოსრო მტკიცე ზავის შეკვრის წინააღმდეგ წავიდა. მისი განცხადებით საჭირო იყო ჯერ დროებითი ზავის დადება და, როცა სადავო საკითხებს მოაგვარებდნენ, შეიძლება მტკიცე ზავიც შეკრულიყო. დროებითი ზავის დადებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა თუ ბიზანტიის მხარე მას გარკვეული რაოდენობის ფულს გადაუხდიდა და ექიმ ტრიბუნესაც გაუგზავნიდა, რომელსაც ადრე იგი რაღაც ავადმყოფობისაგან განეკურნა. იმპერატორმა იუსტინიანემ ხოსროს 20 კენდინარი რაოდენობის ფული და ხსენებული ექიმი გაუგზავნა, რასაც 546 წელს სპარსელებსა და ბიზანტიელებს შორის ხუთწლიანი ზავის დადება მოჰყვა.

ზავის დადების შემდეგ ხოსრომ მთელი ყურადღება კვლავ ლაზეთზე გადაიტანა. უპირველეს ყოვლისა შავ ზღვაზე ფლოტის მშენებლობა წამოიწყო. მან უაღრესად საიდუმლო ვითარებაში ლაზეთში დიდი რაოდენობის ხე-ტყე გაგზავნა. ხმას ავრცელებდა, რომ მასალა ქ. პეტრას კედლებზე მანქანების დასამაგრებლად ჭირდებოდა, სინამდვილეში კი ხომალდების აგებას აპირებდა (2. 97).

მაგრამ, ამავე პერიოდში, სპარსეთის შაჰმა ჩაიფიქრა (და მისი განხორციელებაც დაიწყო) ერთი ისეთი საზარელი გეგმა, რომელმაც მისი ერთგული გუბაზ მეფეც სამუდამოდ გადაამტერა. პროკოპი კესარიელი წერს: „მესამე წელს დროებითი ზავისა (546+3=549 წ. – ჯ. ს.) მან მოაწყო შემდეგი: იყო სპარსეთში ორი ძმა, ფაბრიზი და ისდიგუსნა, რომელთაც იქ ძალაუფლება ეპყრათ და ყველა სპარსელზე უფრო ვერაგნი იყვნენ და სახელი ჰქონდათ გავარდნილი მოუხეშავობისა და

ცუდზნეობისათვის"

სწორედ ამ პიროვნებებს დაავალა ხოსრომ ლაზების თავიანთ სამშობლოდან გასახლება და მათ ნაცვლად სპარსელების და სხვა ერთგული ხალხების ჩასახლება (2. 96-97). ამას გარდა ფაბრიზს გუბაზ მეფის მოკვლა უბრძანა და ამ საქმის მოსაგვარებლად მას სამასი რჩეული მეომარიც გამოუყო (2. 97).

რატომ შეაქცია ზურგი ხოსრო შაჰმა გუბაზ II-ს, კაცს, რომელმაც იგი ასეთ მნიშვნელოვან ქვეყანას დააუფლა? ნუთუ მას ლაზების დაპირისპირებისა და მათთან საქმის გართულების შიში არ ჰქონდა?

ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიკოს პროკოპის ერთი საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული, რომელიც, ყველაფერს ნათელს ჰფენს. იგი გვაუწყებს, რომ ლაზიკა ღარიბი ქვეყანაა. იქ „არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის". ლაზებს არ გააჩნიათ არც ღვინო და არც სხვა რამ სიკეთე. ამიტომ ყველაფერი შემოაქვთ ნავებით რომაელთა სანაპიროებიდან. თანაც ამაში ისინი ფულს კი არ იხდიან, არამედ ტყავებს, მონებს და სხვა რამეებს იძლევიან (2. 96).

ახლა, სპარსელების მოკავშირეობამ ლაზებს ყველა ეს საჭირო ნივთები დააკარგვინა და ისინი „გამწარებული იყვნენ", - წერს ისტორიკოსი (2. 96).

პროკოპი კესარიელი იმასაც გვაუწყებს, რომ ლაზების ეს განწყობა ხოსრომ კარგად იცოდა, და ცდილობდა სანამ „ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდებოდნენ, წინასწარ უზრუნველეყო თავისი მდგომარეობა" (2. 96).

ამრიგად, პროკოპი კესარიელის აზრით, ბიზანტიელებთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ ლაზეთი კიდევ უფრო გააღარიბა. მას შემოაკლდა ყოვლად აუცილებელი ნივთებიც კი (მაგ. ხორბალი, მარილი და სხვ.). პროკოპისავე აზრით ბიზანტიასთან ლაზეთის ეკონომიკური კავშირის აღდგენის აუცილებლობა ის უმთავრესი მიზეზი იყო, რამაც ლაზი ხალ-

ხი ნელ-ნელა სპარსელებს დაუპირისპირა და მისი მეტოქის მხარეზე გადახარა.

შექმნილმა ვითარებამ, ეტყობა, ლაზეთი და მათი მეფე გუბაზ II მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიებამდე მიიყვანა. როგორც ჩანს, ისინი სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზადებას შედგომიან, რაც ხოსროს ყურადღების გარეშე არ დაუტოვია. მეტიც, მისი აღკვეთის მიზნით საგანგებო ღონისძიებების გატარებაც კი დაუპირებია. სწორედ მაშინ ჩაიფიქრა ის მზაკვრული გეგმა, რომელიც მეფე გუბაზის სიკვდილსა და ლაზების მშობლიური მიწებიდან აყრას, მათ ნაცვლად კი სპარსელებისა თუ სხვა ტომების ჩასახლებას ითვალისწინებდა.

იმ წრეებმა, რომლებმაც თავის დროზე ლაზეთი სპარსეთს დაუკავშირეს, ეტყობა, წინასწარ ვერ განჭვრიტეს ბიზანტიის იმპერიის ის ეკონომიკური ღონისძიებები, რომლებსაც იგი სპარსელების მხარეზე გადასული ლაზეთის წინააღმდეგ განახორციელებდა. ბიზანტიის დიპლომატიას, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენებოდა ეკონომიკური თვალსაზრისით ლაზეთის ბიზანტიაზე დამოკიდებულების ფასი და ამ მნიშვნელოვან ბერკეტს თავის სასარგებლოდ კიდეც აამოქმედებდა. ეტყობა, სპარსეთს არ შეეძლო ლაზეთში, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბიზანტიის შემცვლელის როლი ეთამაშა, თორემ ხოსრო ამ ხალხის კეთილ განწყობის შესანარჩუნებლად ძალ-ღონეს არ დაიშურებდა. ბიზანტიის მიერ ლაზეთის წინააღმდეგ გატარებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ ლაზეთის მოსახლეობისა და სამეფო ხელისუფლების სპარსელებისაგან თანდათან ჩამოცილება გამოიწვია, რითაც მოკავშირეს დიდი პრობლემები შეექმნა. ლაზეთი თანდათან გაურგულდა მას.

ლაზებში ანტისპარსული განწყობის გაღვივებაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა პროკოპის მიერ შემჩნეულ იმ სხვადასხვა ეროვნულ თვისებებს, რომლებიც ამ ორ ხალხს

გააჩნდა (2. 95-96).

ხოსრო შაჰმა აჩქარება ამჯობინა. მას უნდოდა, რომ სანამ ლაზები აჯანყდებოდნენ, მათი საკითხი ერთი ხელის დაკვრით გადაეჭრა.

შახ ხოსროს მიერ გუბაზის მკვლელად გათვალისწინებული ფაბრიზი, 300 სპარსელთან ერთად, ლაზეთში მოვიდა და გუბაზ II-ის მოკვლაზე დაიწყო ფიქრი. მან ლაზ დიდებულებში გუბაზის ორგულ პირს დაუწყო ძებნა და, მისი აზრით, კიდეც მიაკვლია. მისი არჩევანი ლაზ ფარსანსზე შეჩერდა. ფაბრიზმა გაიგო, რომ ფარსანსს, გუბაზისათვის ოდესღაც შეურაცხყოფა მიეყენებინა, რის გამოც მათ შორის შუღლი ჩავარდნილიყო. ამიტომ ჩათვალა ფაბრიზმა, რომ ფარსანსი მეფის მოკლაში დახმარებოდა.

ფაბრიზმა დაიბარა ფარსანსი და საქმის ვითარება ამცნო. ჭკუაც ჰკითხა როგორ მოვუარო ამ საქმესო. ფარსანსმა ურჩია პეტრაში წასულიყო და გუბაზიც იქ დაებარებინა ვითომ ლაზებისადმი ხოსრო შაჰის კეთილი სურვილების გადასაცემად. იქ კი განაზრახი აესრულებინა. ეს რჩევა კი მისცა, მაგრამ ფარსანსი, საერთოდ, კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა. მან გუბაზი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა და მას ფაბრიზის განზრახვაც შეატყობინა. ამის შემდეგ, ცხადია, გუბაზი ფაბრიზთან აღარ გამოცხადდა და სიკვდილსაც გადაურჩა. ამჯერად ღმერთმა დაიფარა. მაგრამ შემდეგ რაღა იქნება, რას შეამთხვევს ბედი? მივყვეთ წიგნის დანარჩენ ფურცლებს და დაველოდოთ თავის დროს.

§ 2. ძალთა ხელახალი გადანაწილება. ბიზანტია-ეგრისის კავშირის ბრძოლა ირანელების დასავლეთ საქართველოდან გასადევნად

გუბაზისათვის ცხადი შეიქმნა, რომ მის მიერ მოწვეულმა სპარსელებმა ბიზანტიელებზე კარგი ხასიათი ვერ გამოამჟღავნეს. უფრო მეტიც, მისი მოკვლა და მთელი ლაზი ხალხის სამშობლოდან გასახლება მოინდომეს. ამის შემდეგ სპარსელების ერთგულების დაცვა ქვეყნის დაღუპვას ნიშნავდა, მაგრამ სად იყო გამოსავალი. რა ძალას შეეძლო აწ უკვე დაუძინებელ მტრად ქცეული სპარსელების ლაზეთიდან გაყვანა? რა თქმა უნდა, გუბაზი ისეთი გულუბრყვილო კაცი არ იყო, რომ ამ მძიმე საქმის გადაჭრა, ლაზების ძალით ეცადა. გაძვალტყავებულ ქვეყანას ეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ასეთ ვითარებაში ჭკვიან გუბაზს არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია ბიზანტიის იმპერიისათვის, რომელიც ლაზეთის ხელში ჩაგდებით სპარსეთზე არანაკლებ იყო დაინტერესებული. საფიქრელია, რომ ბიზანტიის იმპერიის დიპლომატია თვითონ ცდილობდა სპარსელებსა და ლაზებს შორის განხეთქილების ჩამოგდებას და გუბაზის სპარსელებთან წაჩხუბება მისი დამსახურება იყო.

სპარსეთის შაჰის ვერაგული გეგმის გამომჟღავნების შემდეგ, გუბაზი, ალბათ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბიზანტიასთან მეგობრობის აღდგენა და სპარსეთთან ბრძოლაში მისი მოკავშირედ გადაქცევა ლაზეთის დამოუკიდებლობის მოპოვების ერთადერთი გზა იყო.

ასე იბრუნა მან პირი კვლავ ბიზანტიის იმპერიისკენ და მათ შორის ირანის ლაზეთიდან განსადევნად ჩამოყალიბებული სამხედრო კავშირიც შეიკრა. დავიმახსოვროთ: ეს იყო 549 წელს. ისიც მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეს გუბაზის მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო, რასაც ეგრის-ბიზანტიის შემდგომი ურთიერთობისათვის თავისებური კვალი უნდა დაემ-

ჩნია. ეს ასეც მოხდა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამრიგად, სპარსეთ-ლაზეთის ურთიერთობის საბოლოო განყვეტა სწორედ 549 წელს მოხდა. გუბაზმა ზურგი შეაქცია თავის მოკავშირეს და ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს შუამავლები გაუგზავნა, შენს მხარეზე გადმოვალო. თანაც წინათ ჩადენილი დანაშაულის პატიება და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. გუბაზის გადასვლამ ბიზანტიის მხარეზე ახალი ელფერი შეჰმატა სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობას. გუბაზი, ადრე რომ სპარსელებს ეხმარებოდა, ახლა ბიზანტიელების მხარეზე აღმოჩნდა, რითაც ამ უკანასკნელის მდგომარეობა გაცილებით გაიოლდა.

იუსტინიანე იმპერატორმა გუბაზს დამხმარე ძალა გაუგზავნა. დიდი არ იყო, მაგრამ მცირეც არ ეთქმოდა. რვაათასი კაცი (7000 ბიზანტიელი და ათასი ჭანი) ირანელების ძირითად დასაყრდენს ეგრისში, პეტრას ციხე-სიმაგრეს, ადვილად აიღებდა. ბიზანტიელებს, რა თქმა უნდა, მეფე გუბაზიც მხარში ამოუდგა და იმპერიიდან ჩამოსულმა სარდალმა დაგისთემ პეტრას ალყა შემოარტყა.

სპარსელი მეციხოვნენი გულადად იბრძოდნენ. მათ სურსათ-სანოვაგეც არ აკლდათ და ციხის აღება გაჭიანურდა. ამასობაში ბიზანტიელების და ლაზების პეტრაზე თავდასხმის ამბავი ხოსრო შაჰსაც მიუვიდა. მან, პეტრას გარნიზონის დასახმარებლად, დიდძალი ჯარი გაგზავნა სარდალ მერმეროეს ხელმძღვანელობით. გუბაზ მეფემ სპარსელთა შეტევის ამბავი რომ გაიგო დაგისთეს შეუთვალა, რამდენიმე კაცი იმ ვიწრობების დასაცავად გაგზავნე, რომლებიც ლაზეთს ქართლისაგან საზღვრავენო. თან თხოვა, პეტრას ალყა მანამ გაეგრძელებინა, სანამ ციხე-სიმაგრეს ხელში არ ჩაიგდებდა. თვითონ გუბაზი და მისი თანამებრძოლი ლაზები ლიხის მთის გადასასვლელის ჩასაკეტად გაემართნენ.

პროკოპი კესარიელი გვაუწყებს, რომ გუბაზი ჯერ კიდევ სპარსელებისათვის ზურგის შექცევამდე დაუკავშირდა

ალანებს და საბირებს და მათგან პირობა მიიღო, რომ თუ მათ სამ კენდინარ ფულს გადაუხდიდნენ, ლაზეთის მიწა-წყალს ხელს არ ახლებდნენ, იბერიას კი, სადაც სპარსელთა ჯარი იდგა, ისე გააუკაცრიელებდნენ, რომ სპარსელები იქ ველარ მივიდოდნენ (2. 103).

გუბაზს მათი გადასახდელი ფული თვითონ არ გააჩნდა. მან იუსტინიანეს შეუთვალა, რომ ალანებსა და სიბირებს ასეთი პირობა დავუდე და საჭირო ფული გამომიგზავნეო. იგი იმპერატორს იმასაც თხოვდა, რომ „განადგურებული ლაზეთისათვის წარეცა რაიმე ნუგეში" ე. ი. რაიმეთი დახმარებოდა.

პროკოპი კესარიელი სამართლიანად აკრიტიკებს სარდალ დაგისთეს. იგი თვლის, რომ დაგისთე ახალგაზრდა იყო და სპარსელებთან ომის უნარი არ ჰქონდა. ისტორიკოსი შეცდომად თვლის, რომ ვინრობების დასაცავად, საიდანაც სპარსელთა შემოჭრა იყო მოსალოდნელი, მან მხოლოდ ასი კაცი გაგზავნა და თვითონ თავი არც კი შეიწუხა იქ წასვლით (2. 104).

დაგისთესადმი პროკოპი კესარიელის ასეთი დამოკიდებულება, ალბათ, სამართლიანია. საერთოდ, მისი ბრალი იყო, რომ ბიზანტიელების ბანკში აუჩქარებლობა, უდარდელობა და მომხეჭველობა ბატონობდა. როდესაც ბიზანტიელებმა პეტრას კედლის ქვეშ თხრილი გააკეთეს და ზღუდე ძირს დასცეს, სხვადასხვა მიზეზების გამო, შიგ შესვლა გაუჭირდათ. მაგრამ ამას ისინი არ აღუშფოთებია. მათ იცოდნენ, რომ ასეთი გვირაბის გაყვანა სხვაგანაც შეიძლებოდა და ამით დაიმედებულნი იყვნენ. დაგისთე, ნაცვლად აჩქარებისა და სხვა თხრილის გათხრისა, იმპერატორს ატყობინებდა, რომ ქალაქს ჩქარა ავიღებ და საჩუქრები გაამზადე ჩემთვის და ჩემი ძმისთვისო. შემდეგ მან კვლავ გააგრძელა თხრა და ზღუდის საფუძველი ჰაერში დაეკიდა. საცაა კიდეც ჩამოინგრეოდა, მაგრამ მას ცეცხლი არ შეუნთო და ეს საქმე არ დააჩქარა. არ ჩქარობდა, რადგან „მეფისაგან რაღაც წყალობას ელოდა, სულ

აყოვნებდა და უსაქმურად ატარებდა დროს".

ქალაქის დაცემას აღარაფერი აკლდა. სპარსელ მეციხოვნეთაგან უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი დაჭრილ-დაავადებული იყო და ციხის მცველი რაზმის უფროსმა მირრანმა* დაგისთეს ქალაქის ჩაბარების პირობაც კი მისცა (2. 108-109). ბიზანტიელები მირრანის ამ ნაბიჯმა მოადუნა და „რომაელთა ჯარს მაშინვე აღარ უცდია ქალაქში შესვლა".

ის ასი კაცი, დაგისთემ რომ ვინრობების დასაცავად გაგზავნა, გმირულად ებრძოდა პეტრასკენ მიმავალ სპარსელებს. ათასზე მეტი მეომარიც იმსხვერპლეს, მაგრამ დაიღალნენ და მთებს შეაფარეს თავი.

სად არიან ამ დროს გუბაზი და ლაზები, ისინიც ხომ ლაზიკეს საზღვრებისაკენ წავიდნენ, რომ მათ ქვეყანაში შემავალი ზოგიერთი გზა-ბილიკები ჩაეკეტათ და სპარსელთა დამხმარე ძალისათვის პეტრასთან მისვლის საშუალება არ მიეცათ? პროკოპი მათი ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ არაფერს გვეუბნება. აშკარაა, რომ გუბაზი არც პეტრასთან იბრძვის და არც იმ ვინრობებთან სადაც დაგისთეს ასკაციანი რაზმი იდგა. ეტყობა მას რომელიღაც სხვა ვინრობის დაცვა უკისრია, მაგრამ ხოსროს ამ ვინრობისათვის გვერდი აუქცევია. გუბაზს იქ გაუგია, რაც ბიზანტიელებს პეტრასთან და ვინრობში შეემთხვათ. რაც შეეხება დაგისთეს, მან, სანამ სპარსელები პეტრასთან მივიდოდნენ, ცხრა დღით ადრე, ქალაქს ალყა მოხსნა და მდ. ფაზისისაკენ დაიხია**

---

* ჩვენ სამართლიანად გვეჩვენება ვ. გოილაძის მიერ გამოთქმული აზრი მირრანისა და „ფირან გუშნასპის მარტვილობის" ავტორის მიერ ნახსენები მიჰრანის იგივეობის შესახებ. „ფირან გუშნასპის მარტვილობა"-ში მიჰრანი არის გურზანისა (ქართლისა და არანის ქვეყნების გამგებლის ფირან გუშნასპის (გაქრისტიანების შემდეგ გრიგორის) ბიძაშვილი (93. 99).

** ციხეში დარჩენილი სპარსელები აჩქარებით გაცლილ ბიზანტიელთა ქონების დაპატრონებას შეეცადნენ, მაგრამ მოულოდნელად თავს ჩასაფრებული ჭანების რაზმი დაესხა. ჭანებმა ბევრი სპარსე-

მერმეროე კი უომრად მივიდა ქ. პეტრაში. მას სპარსელ მეციხოვნეთაგან მხოლოდ ხუთასიღა დახვდა ცოცხალი. აქედან სამასორმოცდაათი დაჭრილი და ომისთვის უკვე გამოუსადეგარი იყო, ჯანმრთელი კი მხოლოდ ასორმოცდაათი კაციღა დარჩენილიყო. მერმეროემ ციხეში 3000 დასვენებული მეომარი შეიყვანა, ციხის მეთაურს დაზიანებული კედლების აშენება დაავალა, სურსათიც მისცა და ისევ ქართლში დაბრუნდა.

აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა გადადიოდა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი ე. წ. სურამის გადასასვლელი იყო. იგი დასავლეთ საქართველოს შუაგულში მოსახვედრად უახლოეს გზად ითვლებოდა და ყველა, ვისაც ეს მიზანი ჰქონდა, მტერი იყო თუ მოყვარე, მას ირჩევდა.

მაგრამ არსებობდა ე. წ. ალის გადასასვლელიც. სიმოკლის თვალსაზრისით ეს გზა სურამისას არ ჩამოუვარდებოდა. მტერი არც მის გამოყენებაზე ამბობდა ხოლმე უარს. არსებობდნენ სხვა, შედარებით უფრო შორი გადასასვლელებიც.

როგორც ითქვა მეფე გუბაზი ერთ-ერთ გადასასვლელზე იდგა. სპარსელებმა ამ გადასასვლელით სარგებლობაზე უარი თქვეს და დასავლეთ საქართველოში იმ ვიწრობებით გადავიდნენ, რომელსაც დაგისთეს მიერ გაგზავნილი ასი ბიზანტიელი მეეომარი იცავდა. სამწუხაროდ პროკოპი კესარიელი იმის შესახებ არაფერს გვეუბნება თუ როგორ ჰქონდათ გუბაზს და ბიზანტიელებს ეს გადასასვლელები განაწილებული. ე. ი. ვინ რომელს დარაჯობდა. გუბაზმა სპარსელების მიერ ვიწრობის გადალახვისა და პეტრას აღების ამბავი სადარაჯოზე გაიგო, მაგრამ როგორც პროკოპი წერს, იგი არც შეშინდა და არც მის მიერ დაჭერილი ვიწრობის დაცვას გაანება თავი.

ლი გაულიტეს და უპატრონოდ მიტოვებული ბიზანტიელთა ქონებაც დაინარჩუნეს (97. 255-156).

იგი დარწმუნებული იყო, რომ სადაც იდგა „იქ იყო მათთვის თავიდათავი იმედი". გუბაზი დარწუმნებული იყო, რომ მის სამეფოში შეჭრილი სპარსელები ლაზთა მიწა-წყალს ვერაფერს უზამდნენ, რადგან, მდ. ფაზისი (იგივე რიონი) ღრმა იყო და, ნავების უქონლობის გამო, მისი გადალახვა სპარსელებს არ შეეძლოთ; მდინარის მეორე მხარე კი ლაზებს ჰქონდათ გამაგრებული (2. 112-113).

იმპერატორმა იუსტინიანემ გუბაზისა და მისი მოკავშირე საბირების გულის მოსაგებად ზოგიერთი ღონისძიება გააატარა. კერძოდ: საბირებს ლაზეთზე თავდაუსხმელობისათვის დაპირებული ფული გაუგზავნა, გუბაზს კი – საჩუქრები.

კოლხეთში ხოსრო შაჰის შემოჭრამდე ე. ი. გუბაზის სპარსელების მხარეზე გადასვლამდე, ლაზეთის მეფე ბიზანტიის პალატის სილენტიარიებში იყო ჩარიცხული. ე. ი. იმპერიის ხაზინიდან ხელფასს იღებდა, მაგრამ რაც ხოსრო კოლხეთში შევიდა, გუბაზი კი მის მხარეზე გადავიდა, ბიზანტიის სამეფო კარმა მას ფულის ძლევა შეუწყვიტა. რაკი 549 წლიდან ლაზეთის მეფე კვლავ იუსტინიანეს მხარეზე გადავიდა, მან ამ ფულის მიცემა მოითხოვა (2. 104). იუსტინიანე იმპერატორმა თავის მოკავშირეს სურვილი აუსრულა – გუბაზიცა და ლაზებიც ფულით დაასაჩუქრა (2. 114). აღნიშნული ღონისძიებების გარდა იმპერატორმა ლაზეთში თავისი ნიჭიერი სარდლის, რუკითანგე თრაკიელის, ხელმძღვანელობით მრავალრიცხოვანი ჯარიც გაგზავნა. მაგრამ ეს ჯარი ლაზეთში ჯერ კიდევ არ მოსულიყო.

სპარსეთის სარდალმა მერმეროემ პეტრაში ჩაყენებულ სამიათას კაცს არც თუ დიდი ხნის სამყოფი სურსათი დაუტოვა და იბერიისაკენ გასწია. იგი უკან სხვა გზით ბრუნდებოდა. მას განზრახული ჰქონდა თანმხლები ლაშქარიც რბევით ერჩინა და სურსათი პეტრას მცველებისათვისაც გაეგზევნა (2. 113). მაგრამ მას ოცდაათიათასი კაცი მაინც ახლდა თან და ნაძარცვი სურსათი არ ჰყოფნიდა. მაშინ მერმეროემ 5000 კა-

ცი საგანგებოდ გამოჰყო, სათავეში ჩვენთვის უკვე ნაცნობი სარდალი ფაბრიზი ჩაუყენა და, სხვა სამ სარდალთან ერთად, კოლხეთის ძარცვა-რბევა დაავალა. მათ პეტრას მეციხოვნეები სურსათით უნდა მოემარაგებინათ (2. 114-115). თვითონ მერმეროე პერსარმენიაში მივიდა და ქ. დვინის მიდამოებში დაბანაკდა (2. 115; 88. 256).

სპარსელების ხუთიათას კაციანი ლაშქარი მდ. რიონის გასწვრივ დაბანაკდა და იქაური სოფლების აოხრება დაიწყო. ეს რომ გუბაზმა გაიგო ბიზანტიელების სარდალ დაგისთეს შეუთვალა, რაც შეიძლება ჩქარა მომეშველეო. გუბაზი ხვდებოდა, რომ მტრისათვის დიდი ვნების მიყენების შესაძლებლობა გაჩნდა და მისი ხელიდან გაშვება არ უნდოდა. დაგისთე მაშინვე მისკენ გაეშურა და იმ ადგილამდე „მიაღწია, სადაც, მდინარის მეორე ნაპირას, ლაზები იყვნენ დაბანაკებულნი". ლაზებმა რიონის ფონი მოძებნეს, მეორე მხარეს გადავიდნენ და ბიზანტელებს შეუერთდნენ.

ბანაკს რომ მტერი მოულოდნელად არ დასხმოდა თავს, სპარსელებმა ათასი კაცი გამოარჩიეს და მოწინააღმდეგის ლაშქრის თვალყურის დევნება დაავალეს. მაგრამ ამ ათასეულის ორი მზვერავი დაგისთესა და გუბაზს ჩაუვარდათ ხელთ. მათ მზვერავები დაჰკითხეს და იმ ათასეულის ადგილმდებარეობა დაადგინეს, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ. მერე კი, მოულოდნელად, თავს დაესხნენ მას და გაანადგურეს. ამის შემდეგ გუბაზმა და დაგისთემ სპარსელთა მთავარი ბანაკის მდებარეობაც შეიტყვეს. გაიგეს აგრეთვე მებრძოლთა რაოდენობა, მათ ბანაკამდე მანძილი და საერთო მდგომარეობა. ლაზ-ბიზანტიელთა საერთო ჯარით, რომლის რიცხვი 14000 კაცს აღწევდა, გარიჟრაჟზე მოწინააღმდეგეს თავს წაადგნენ და მუსრი გაავლეს. „მეტი წილი მოკლულ იქნა, ხოლო ზოგიერთები, რომელთა შორის ერთი სარდალიც აღმოჩნდა, მტერმა დაატყვევა. მხოლოდ ცოტა გადარჩა".

ლაზებმა და ბიზანტიელებმა ბანაკი აიღეს, ხელთ იგდეს

მტრის დროშები, იარაღი, ფული, ცხენები და კერძო ვირები. გაქცეულ მტერს ისინი იბერიის სიღრმემდე მიჰყვნენ,

ამრიგად, გუბაზმა და დაგისთემ სპარსელები ლაზეთიდან განდევნეს. ახლა სპარსელების ხელში მხოლოდ პეტრაღა რჩებოდა. იმისათვის, რომ სპარსელებს პეტრას ციხის მცველების სურსათით მომარაგების საშუალება არ ჰქონდათ, მოკავშირეებმა ქართლში გადასასვლელ ვიწრობებში „მრავალი ლაზი დასტოვეს" (2. 115-117).

ეს იყო სპარსეთ-ბიზანტიას შორის დადებული დროებითი ზავიდან ოთხი წლის* გასვლის შემდეგ ე.ი. 550 წელს.

ამრიგად, ამ დიდ და მრავალწლიან ომში ლაზეთის მიწაწყლის სრული გათავისუფლების შესაძლებლობა გამოჩნდა. გუბაზსა და დაგისთეს მტერზე აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. მათ 14 ათასი მეომარი ჰყავდათ (7 ათასი ბიზანტიელი, ათასი ჭანი და დანარჩენი ლაზები), სპარსელებს კი პეტრას ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილი 3000 კაცი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სპარსელ მეომრებს მცირე საკვები ჰქონდათ და, მოკავშირეების მიერ მათი მომმარაგებელი 5000 კაციანი რაზმის განადგურების შემდეგ, ალბათ, სურსათ სანოვაგეც აკლდათ.

551 წელს ხოსრომ ახალი ჯარი გამოგზავნა ლაზეთში სარდალ ხორიანეს მეთაურობით. სპარსელებს ალანთა რაზმებიც ეხამერბოდნენ. სპარსელებმა მოხირისს** მიაღწიეს და იქ დაბანაკდნენ. მათი ბაკანი მდინარე იპპისის*** მარჯვენა

---

* ბიზანტიასა და სპარსეთს შორის, პირველი დროებითი ზავი 546 წელს დაიდო (პროკოპი კესარიელი, გეორგიკა. ტ. II, გვ. 92).

** მოხირისი-მუხურისი იყო ისტორიული მხარე და მოიცავდა დღევანდელი იმერეთის ვაკე ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონსა და ცხენისწყალს შორის. ჰქონდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, იყო მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად დაწინარებული მხარე. მოხირისი შემდგომი დროის სამოქალაქოა (98. 51-52; 100-232).

*** იპპისი – მდინარე ცხენისწყალია (2. 208-2120).

მხარეს იყო გამართული.

სპარსელთა ბანაკის ადგილმდებარეობის დადგენის შემდეგ გუბაზი და დაგისთე ჩუმად მიუახლოვდნენ და, სათანადო თათბირის შემდეგ, მასზე იერიშის მიტანა გადაწყვიტეს. მაგრამ მოულოდნელად გაირკვა, რომ ლაზი მეომრები ბიზანტიელებთან მხარდამხარ ბრძოლას არ აპირებდნენ. რაკი ისინი ბიზანტიელებს ბრძოლაში ჩაბმის დიდ სურვილს ვერ ატყობდნენ, ეშინოდათ მათმა უნიათობამ მარცხი არ გვაწვნიოსო. მემატიანის ცნობით მათ სურდათ პირველი სძგერებოდნენ მტერს, ხოლო ბიზანტიელებს მათთვის ამაში ხელი არ შეეშალათ.

მეფე გუბაზი თავისი მეომრების ამ განზრახვამ მოხიბლა. ისინი განზე გაიხმო და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მე არ ვიცი ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენს აღსაფრთოვანებლად, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მონოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა აღფრთოვანებული, რასაც ჩვენთან ამჟამად აქვს ადგილი. საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისთვის, შვილებისთვის, სამშობლო ქვეყნისთვის და, ერთი სიტყვით, ყველაფრისთვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოტანეს. არავინ არ დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის. თქვენ კარგად იცით, რომ წინ აღარაფერი უდგება სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს შეუძლიათ; თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არა თუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ ან ხარკს დაგვადებენ ან სხვა რამესაც დაისაკუთრებენ – ნუ დავივიწყებთ იმასაც, რაც ამას წინათ ხოსრომ ჩაიდინა ჩვენ მიმართ – მაგრამ დე სიტყვის ფარგლებში ნუ დაგვრჩება სპარსთა საქმეები, დე ნუ აღიგვება სახელი ლაზთა. ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, მიდთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელ-

ჩართულ ბრძოლაში. მიჩვეულისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიდუხჭირე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. ასე, რომ შესაფერისი იქნება გძულდეთ მტრები, როგორც ბრძოლაში დამარცხებულნი და არა თქვენსავით აღფრთოვანებული. ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ველარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მონინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით"*

ამ სიტყვების შემდეგ გუბაზმა ლაშქარი საბრძოლველად მოაწყო. პირველ რიგში, როგორც ამას მისი თანამემამულეები ითხოვდნენ, ლაზი ცხენოსნები დააყენა, მათ უკან, საკმაოდ მოშორებით, ბიზანტიელი ცხენოსნები განლაგდნენ. ბიზანტიელებს ფილეგაგე ტომით გეპედი და იოანე თომას ძე სომეხი (იგივე გუზი) ხელმძღვანელობდნენ. ბოლოს, თავთავისი ქვეითი ჯარებით, თვითონ გუბაზი და ბიზანტიელთა ჯარის სარდალი დაგისთე მოდიოდნენ.

სპარსელთა სარდალმა ხორიანემ კი სხვანაირი გეგმა აირჩია: ჯერ მძიმედ შეირარაღებული (აბჯრებით შეჭურვილი) რჩეული ათასეული გაუშვა და მას მტრის დაზვერვა დააავალა. თვითონ დანარჩენი ჯარით, უკან აედევნა მას. ბანაკში მცირერიცხოვანი რაზმიღა დატოვა.

პირველ რიგში მდგომი ლაზთა რაზმი მტრის მოწინავე ჯარს შეეჯახა და, სამწუხაროდ, შეტევას ვერ გაუძლო. ეგრისელებს მწყობრი დაერღვათ და, უკან დახეულები, რომაელებთან მიიჭრნენ.

პროკოპი კესარიელი შენიშნავს: მათ „არ ითაკილეს იმათთან თავის შეფარება, ვისთანაც წინათ ერთად დარაზმვას აყოვნებდნენ"-ო (2. 150).

გუბაზის ეს სიტყვა პროკოპი კესარიელს ჩართული აქვს თავის თხზულებაში. მისი თარგმანი ისევე, როგორც ამ თხზულების სხვა ადგილებისა, შესრულებულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ (იხ. გეორგიკა. ტ. II, გვ. 148-149). ჩვენ მოგვაქვს სიტყვა-სიტყვით.

ახლა, ბიზანტიელები და ლაზები, ერთად გაემართნენ სპარსელების წინააღმდეგ. მაგრამ არც სპარსელები და არც მოკავშირეები გადამწყვეტ ბრძოლას არ იწყებდნენ. ისინი კინკლაობდნენ: ხან ერთ მხარეს მიჰქონდა იერიში და ხან მეორეს. ეტყობა სპარსელების ეს ათასეული მართლაც საგანგებოდ შერჩეული ვაჟკაცებისაგან შესდგებოდა, რაკი მოკავშირეებს ასეთი წინააღმდეგობა გაუწია. მაგრამ ბიზანტიელთა ზოგიერთი მეომრის, კერძოდ სომეხი არტაბენის და გუთის ვაჟკაცობით შეძრწუნებულები უკან გაბრუნდნენ და ხორიანეს დაუწყეს ლოდინი (2. 151-152).

ბოლოს სპარსელთა მთავარი ძალაც გამოჩნდა. ამასობაში გუბაზი და დაგისთე თავიანთ ცხენოსნებთან მივიდნენ და ხელახლა დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. ბიზანტიელების ცხენოსანი ჯარის უფროსებმა ფილეგაგემ და იოანემ ბრძანეს, რომ ყველა, მათ შორის ლაზებიც, დაქვეითებულიყო. პროკოპი კესარიელის სიტყვით, ეს იმიტომ ჩაიდინეს, რომ ლაზების ბრძოლისუნარიანობის იმედი არ ჰქონდათ. სინამდვილეში, ეტყობა, სპარსელების ლაშქარი იმდენად დიდი იყო, რომ ბიზანტიელი და ლაზი მხედრები იძულებული გახდნენ დაქვეითებულიყვნენ, რათა ქვეითი თანამებრძოლები სრული განადგურებისაგან ეხსნათ. ცხენოსნების ქვეითად ბრძოლა უკიდურესი გაჭირვების ბრალია და ამ მდგომარეობის ლაზი მეომრების სისუსტით ახსნა გამართლებული არ იქნება.

ბიზანტიელები ღრმა ფალანგებად მოეწყვნენ და ჰოროლები სპარსელებისკენ მიმართეს. თან ფარ-შუბებს ერთმანეთზე ურტყამდნენ და ხამურს გამოსცემდნენ. სპარსელთა ცხენები ფრთხებოდნენ, ყალყზე დგებოდნენ და წინ ვერ მიდიოდნენ. მაშინ სპარსელებმა მოწინააღმდეგეს ისრები დააყარეს, მაგრამ მოკავშირეებმაც ისრებითვე უპასუხეს. ორივე მხრიდან ბევრი დაიღუპა. გუბაზისა და დაგისთეს ბედზე როყიო ისარი სპარსელთა სარდალ ხორიანეს შიგ კისერში ჩაერჭო და ადგილზევე გაათავა. ამან სპარსელთა მხარე სულიე-

რად დასცა და, როგორც პროკოპი წერს, ისინი „სირბილით გაემართნენ თავის ბანაკისაკენ".

ლაზები და ბიზანტიელები მტერს დაედევნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მოწინააღმდეგის ბანაკს პირველი იერიშისთანავე აიღებდნენ რაც, მართლაც ასე მოხდა. მცირეოდენი დაბრკოლების შემდეგ მათ სპარსელთა ბანაკი მთლიანად ხელთ იგდეს. სპარსელთა უმრავლესობა დაიღუპა, ნაწილმა კი რის ვაი-ვაგლახით უშველა თავს.

ასე დამთავრდა ეს ბრძოლა. სპარსელთა ლაშქრის დანარჩენი ნაწილებიც უკან გაბრუნდნენ, თუმცა პეტრაში მყოფი მცველი ჯარის სანოვაგითა და სხვა საჭირო საგნებით აღჭურვა მაინც შესძლეს (2. 154).

***

მეფე გუბაზი, ეტყობა, დაგისთეს საქმიანობით კმაყოფილი არ იყო. მან ბიზანტიის დედაქალაქში თავისი მოციქულები გაგზავნა და იმპერატორს შემდეგი რამ აცნობა: შენი სარდალი დაგისთე მოღალატეა და მიდიელებს, ე. ი. სპარსელებს ემხრობა. მან სწორედ ამის გამო არ მიიტანა იერიში ქ. პეტრაზე, თუმცა ამ ციხე-ქალაქის გალავანი დანგრეული და მოწინააღმდეგისაგან ნაჩქარევად შეკეთებული იყო. მან „მოსყიდვით თუ დაუდევრობით", შეტევა სხვა დროისათვის გადადო და მოხერხებული დრო ხელიდან გაუშვაო.

ბრალდება იმდენად მძიმე იყო, რომ იუსტინიანემ თავისი სარდალი სატუსაღოში ჩაამწყვდია. მის ნაცვლად ე. ი. ლაზეთში მყოფი ბიზანტიის ლაშქრის ხელმძღვანელად, ცნობილი სარდალი ბესა გაგზავნა. მასთან ერთად ლაზეთში მიავლინეს ცნობილი მხედართმთავრები – ვენილე, ოდონაქე, ბაბა თრაკელი და ულიგაგე, ტომით ერული*. ყოველივე ეს იმაზე

---

* მათ შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა I, „გეორგიკა", II ტომი (გვ. 155-156).

მიუთითებს, რომ იმპერატორი იუსტინიანე ლაზეთის ომს უდიდეს ყარადღებას აქცევდა.

ლაზეთში სპარსეთმაც ახალი სარდალი, ნაბედე, გაგზავნა, მაგრამ მან უშუალოდ ლაზეთის მიწაზე კი არ დაიწყო მოქმედება, ბიზანტიელებისაგან და ლაზებისაგან განდგომილ აბაზგების ქვეყანას დაეპატრონა.

ნაბედე, ცნობილი სპარსელი სამხედრო მოღვაწე, 541 წელს ქ. ნაზიბინის მცველი რაზმის უფროსი იყო, 543 წელს პერსამენის მთავარსარდლის თანამდებობა ეკავა და სოფელ ანგოსთან, დვინის მახლობლად, ბიზანტიელები დაამარცხა.

სპარსელები, აბაზგიაში თავისი ნება-სურთილით არ შესულან. ისინი თვით აბაზგებმა მიიწვიეს. ამასთან დაკავშირებით პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: აბაზგებს ორი მთავარი ჰყავდათ ხოლმე. ერთი დასავლეთ ნაწილს განაგებდა, მეორე კი აღმოსავლეთისას. აბაზგები „ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ". მაგრამ ეს მთავრები ძალიან დაუნდობლად ეპყრობოდნენ თვისტომთ. თუ ვინმეს ლამაზი და კარგი გარეგნობის ბავშვი გაუჩნდებოდა, ართმევდნენ, ასაჭურისებდნენ და რომაელთა ქვეყანაში აგზავნიდნენ გასაყიდად. მათ მამებს კი კლავდნენ, რათა შვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო მეფეებისათვის სამაგიერო არ მოეზღოთ. ასე, რომ სამუდამოდ დაკარგული ვაჟების გარდა, აბაზგი მამებიც იღუპებოდნენ.

როდესაც იუსტინიანე იმპერატორმა აბაზგიაში ქრისტიანობა გაავრცელა, ხალხმა ორივე მეფე მოსპო, რადგან თავისუფლად ცხოვრება მოინდომა, მაგრამ აბაზგების მდგომარეობა ახლა სხვა რამის გამო დამძიმდა. ბიზანტიელი მეომრები, რომლებიც იმპერატორის მიერ ამ მხარეში იყვნენ წარგზავნილები, მათ „ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ" შეშინებულმა აბაზგებმა იფიქრეს ვაითუ რომაელთა მონებად ვიქცეთო და კვლავ მთავრები დაიყენეს. იმ დროს, როდესაც გუბაზ მეფე, ბიზანტიელ სარდალ დაგისთესთან ერთად, ლაზეთიდან

სპარსელების გასადევნად იბრძოდა, აბაზგიას ოფსიტე და სკეპარნა განაგებდნენ.

იუსტინიანემ რომ ლაზეთში მოქმედი თავისი ჯარის სარდლობა შესცვალა, აბაზგები – გუბაზის ქვეშევრდომი ხალხი, ფარულად სპარსელებს მიემხრო და ამ უკანასკნელთა ლაშქარი, უკვე ნახსენებ ნაბედეს ხელმძღვანელობით, მათ ქვეყანაში შევიდა. ამრიგად, აბაზგია ბიზანტია-სპარსეთს შორის ბრძოლის ახალ კერად იქცა.

ვერც იუსტინიანე და ვერც თვით გუბაზი, რომელიც აბაზგიას თავისი ქვეყნის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა, აქ სპარსელების დამკვიდრებას ვერ შეურიგდებოდნენ. იუსტინიანემ, მომხდარი ამბავი გაიგო თუარა, ლაზეთში დაბანაკებული ბიზანტიის ჯარის უფროსს, ბესას უბრძანა განზე გამდგარი აბაზგების წინააღმდეგ საგანგებო ღონისძიებები მიეღო. ის ასეც მოიქცა: ულიგაგეს და იოანე თომას ძის მეთაურობით აბაზგიაში ლაშქარი გაგზავნა.

უნდა აღინიშნოს, რომ სპარსელთა სარდალმა ნაბედემ, აბაზგების ერთგულების უზრუნველსაყოფის მიზნით, აქაურ დიდებულებს მძევლებად შვილები გამოართვა, სულ 60 ბავშვი. მან ხელთ იგდო გუბაზის ბიძის, ყოფილი ლაზთა მეფის, ოფსიტეს მეუღლე თეოდორა და სპარსეთში გააგზავნა.

იოანემ და ულიგაგემ გაიგეს, რომ აბაზგები მათი ერთი მთავრის – ოფსიტეს მეთაურობით ტრაქეას* ციხე-სიმაგრეში გამაგრებულიყვნენ და თვითონაც იქით გაეშურნენ.

ტრაქეას რომ მიუახლოვდნენ იოანემ და ულიგაგემ ჯარი ხომალდებიდან გადმოსხეს და ფეხით გასწიეს ციხისაკენ. მიახლოებულებმა დაინახეს, რომ აბაზგებს ის ერთადერთი გზა, რომელიც ციხეში შედიოდა, საიმედოდ გაემაგრებინათ. ასეთ პირობებში ბრძოლა თავდამსხმელისაგან დიდ მსხვერპლს მოითხოვდა.

---

* ტრაქეა თანამედროვე გაგრის მახლობლად მდებარეობდა.

მაშინ ბიზანტიელმა სარდლებმა ასეთ ხერხს მიმართეს: ჯარის ერთი ნაწილი, ულიგაგეს მეთაურობით, ადგილზე დარჩა, მეორე კი იოანემ ხომალდებზე განალაგა, ზღვას გაჰყვა და მტერს ზურგში მოექცა. ამის შემდეგ ჯარის ორივე ნაწილმა მტრისკენ გასწია. აბაზგები ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ, რადგან წინიდან ულიგაგე უტევდა, ზურგიდან კი იოანე თომას ძე.

აბაზგები შეკრთნენ, უკან დაიხიეს და გაიქცნენ. რომაელები მათ ორივე მხრიდან დაედევნენ და მრავალი სიცოცხლესაც გამოასალმეს. ბევრიც შეიპყრეს. უკან დახეულ აბაზგებთან ერთად ბიზანტიელები ღია კარიბჭეში შეიჭრნენ. ისე, რომ გადარჩენილი აბაზგებიცა და მათი მდევრებით ციხე-სიმაგრეში აღმოჩნდნენ.

აბაზგები სახლების სახურავებზე აცვივდნენ და იქიდან იბრძოდნენ, მაგრამ ბიზანტიელებმა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს და მრავალი აბაზგი შიგ ჩაწვეს. ზოგი მტერს ჩაუვარდა ხელთ. ოფსიტემ, აბაზგთა მთავარმა, ჰუნებში გაქცევა მოასწრო. პროკოპი გვაუწყებს, რომ გამარჯვებულმა ბიზანტიელებმა ციხის გალავანი მიწასთან გაასწორეს, ხოლო აბაზგთა მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციესო (2. 159-161).

სად არის ამ დროს გუბაზ მეფე? პროკოპი კესარიელი არც მას ასახელებს და არც ლაზებს. თითქოს აბაზგიის ლაშქრის დამარცხებაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ აბაზგია ლაზეთის მეფის ყმადგაფიცი ქვეყანა იყო და ახლა, მათი განდგომა ბიზანტიელთაგან, გუბაზის მოკავშირეებისაგან, არც თვითონ გუბაზს გაეხარდებოდა. ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ ტრაქეას ციხე-სიმაგრის აღებაში ლაზების მეფეს თუ არა, მის სამხედრო ნაწილებს მაინც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. სხვა საქმეა ლაზები და ბიზანტიელები ამ დროს ნაჩხუბებულები რომ ყოფილიყვნენ, როგორც ეს გვიან მოხდა, მაგრამ ჯერ მოკავშირეებს შორის უკმაყოფილება არ ჩანს.

პროკოპი კესარიელი არაერთგან განმარტავს, რომ აფშილები ძველთაგან ლაზების ქვეშევრდომები არიანო. თავისთავად ცხადია, რომ გუბაზის მოუცლელობა და ლაზეთში ჯერ ბიზანტიელების, შემდეგ კი სპარსელების წინააღმდეგ წამოწყებული მძიმე ბრძოლები, მათ დამოუკიდებლობისაკენ უბიძგებდა. მით უმეტეს, რომ სპარსელების დიპლომატია ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი მხარის გადმობირებაზე უარს არ იტყოდა. აფშილების ძლიერი ციხე წიბილე, ალბათ, მათი ყურადღების გარეშე არ დარჩებოდა. სწორედ ამაზე მიუთითებს გუბაზის ორგული ლაზი მაგისტროსის ტერდეტის მოქმედება. იმის გამო, რომ გუბაზთან ნაჩხუბარი იყო, მან მოტყუებით გააღებინა მცველებს კარი, შეიყვანა შიგ სპარსელები და ციხე მათ დააპყრობინა. ეტყობა სანამ ეს მოხდებოდა, ციხე ჯერ კიდევ გუბაზის ერთგულების ხელში იყო. პროკოპი წერს, რომ ციხის მცველები ლაზ ტერდეტეს და მის მხლებლებს ენდვნენ და სპარსელებიც შიგნით შეუშვესო.

წიბილეს ციხის დაკარგვა გუბაზისა და მისი მოკავშირისათვის დიდი დანაკლისი იყო. ციხე-სიმაგრე პეტრას ჯერ კიდევ სპარსელების ხელში იყო და წიბილეს დასაბრუნებლად დრო აღარ რჩებოდა.

მაგრამ აფშილებმა ისევ თვითონ უშველეს თავს. ცოტა ხნის შემდეგ ციხეში შესულები მთლიანად გაჟლიტეს. მეციხოვნეებს განრისხების საბაბი ციხეში შესულმა სპარსელთა მეთაურმა მისცა. მან ძალით მოინდომა ციხის მცველთა რაზმის უფროსის ცოლის დამორჩილება და მას ეს მექალთანობა არ აპატიეს. როგორც ითქვა, ისიცა და დანარჩენი სპარსელები გაჟლიტეს (2. 162-164).

აბშილებმა ამით კოლხებსაც უნდობლობა გამოუცხადეს. ისინი ამბობდნენ, რომ „კოლხებმა არ ისურვეს დახმარება აღმოეჩინათ მათთვის, როდესაც ისინი სპარსელების მხრივ განსაცდელში იყვნენ ჩაყენებული".

მეფე გუბაზს არ უნდოდა, რომ ისედაც რთულ ვითარე-

ბაში, ზღვისპირეთში კიდევ ეთრი ცხელი წერტილი გაჩენილიყო. ამიტომ მან აფშილების წინააღმდეგ იოანე თომას ძის ძელმძღვანელობით ათასი ბიზანტიელი ჯარისკაცი გაგზავნა. იოანემ აფშილების დაწყნარება მშვიდობიანად მოახერხა, რის შემდეგაც მათ კვლავ გუბაზ მეფის მორჩილება იკისრეს.

***

ბიზანტიის ახალმა სარდალმა ბესამ, ლაზეთში მოსვლისთანავე, მთელი ჯარით პეტრას შემოარტყა ალყა. ქ. პეტრა აქამდეც ძლიერი ციხე-სიმაგრე იყო, მაგრამ ბოლო ხანებში სპარსელებმა კიდევ უფრო მეტად გაამაგრეს იგი. კერძოდ, ააგეს წყლის მიმწოდებელი ახალი, თანაც შესანიშნავად შენიღბული სისტემა*, გაამაგრეს დანგრეული ნაწილები, რაც მთავარია ციხე-სიმაგრე დიდძალი საჭმელ-სასმელითა და იარაღით მოამარაგეს. პროკოპი აღნიშნავს, რომ როდესაც პეტრა დაეცა, ბიზანტიელებმა იმდენი სპარსული იარაღი იგდეს ხელთ, რომ „თითოეულ ჯარისკაცს ხუთი კაცის საჭურველი შეხვდა"-ო. ამას გარდა დიდძალი იარაღიც ცეცხლმა შთანთქაო. ავტორის სიტყვითვე ციხეში პურიც და სხვა საკვებიც ბლომად ჰქონდათ. „პური, დამარილებული ხორცი და სხვა სურსათი" ალყაშემორტყმულთ ხუთი წლის განმავლობაში ეყოფოდათ. ღვინოც და ლობიოც საკმაოდ მოემარაგებინათ (2. 178).

---

* ქალაქში შემავალი წყალი სამ ნაწილად გაუშვეს. პირველი, ქვემოთ, თხრილის ძირში მოათავსეს და ნეხვითა და ქვებით დაფარეს. ზედ მეორე მილი დადეს და დამალეს. მესამე მილი ზედ დააშენეს. იგი მინის ზემოთ იყო მოთავსებული და ყველა კარგად ხედავდა. ამრიგად, არხი სამ სართულიანი იყო. ალყა რომ შემოარტყეს, ბიზანტიელებმა ზედა მილი გადაჭრეს და ეგონათ ამით წყლის მიწოდება შეწყდებაო, მაგრამ შემდეგ გაიგეს, რომ სპარსელები წყალს კვლავ ღებულობდნენ. არხი ისევ გათხარეს და მეორე მილიც აღმოაჩინეს. ისიც გადაჭრეს, რაც შეეხება მესამე მილს, მისი არსებობის შესახებ მხოლოდ ქალაქის აღების შემდეგ გაიგეს (იხ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 179-180).

სპარსელებს პეტრაში საგანგებოდ შერჩეული გულადი ვაჟკაცები ეყენათ. ყოველივე აღნიშნული ქალაქის აღების საქმეს მეტისმეტად ართულებდა. იყო შემთხვევა, როდესაც რომაელები „სასოწარკვეთილებას მიეცნენ", რადგან არც „გამოთხრა შეეძლოთ... არც კედლის მანქანის გამოყენება..."

რომაელები ამ გაჭირვებიდან მათ ბანაკში შემთხვევით მოხვედრილმა საბირებმა (ჰუნების ტომია) გამოიყვანეს. საბირებმა „გამოიგონეს რაღაც მანქანა, რის მსგავსიც არც რომაელთაგან და არც სპარსელთაგანს... აზრად არ მოსვლოდა". ეს მანქანა მოქმედებდა სრულიად ახალი წესით*. ამის შემდეგ ბიზანტიელებმა გააფრთებული ბრძოლა დაიწყეს, მაგრამ არც სპარსელები რჩებოდნენ ვალში. „მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტით და ერთი საწამლავით, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახდნენ, ელინნი კი მედეას ზეთს, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ ზღუდის მანქანებს, რომლებიც – ცოტა დააკლდა, თითქმის ყველა გადაიწვა" (2. 171). ამან საქმე ძალიან გაართულა.

მაგრამ, ბიზანტიელებს თვითონ სარდალმა ბესამ მისცა გმირობის მაგალითი. მან ჯერ აღმაფრთოვანებელი სიტყვებით მიმართა ჯაისკაცებს, შემდეგ კედელზე მიდგმულ საალყო კიბეს მივარდა და პირველი შეუდგა მასზე ავლას. პეტრას ბრძოლის დროს იგი უკვე სამოცდაათ წელს გადაცილებული და დაძაბუნებული კაცი იყო, მაგრამ მაინც ასეთი მამაცობა ჩაიდინა.

პროკოპი კესარიელის სიტყვით ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის „გაიმართა ისეთი ბრძოლა და ვაჟკაცობის გამომჟღავნება, რომლის მსგავსსაც ამ ჩვენს დროში, ვფიქრობ არ ჰქონია ადგილი".

მემატიანის სიტყვები სინამდვილეს შეესაბამება. ერთმანეთს ებრძოდნენ ორი ათას სამასი კბილებამდე შეიარაღე-

---

* მანქანის აღწერა იხ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 169-170.

ბული სპარსელი და ექვსი ათასი ბიზანტიელი, გურგურებდა ცეცხლი, ისმოდა ხმლების ჩახა-ჩუხი, დაჭრილების კვნესა და ცოცხლების ყიჟინა. ბრძოლა იმდენად მძიმე იყო, რომ სპარსელთაგან უმრავლესობა გაწყდა. რომაელებს შორის კი ძალიან ცოტა იყო, ვისაც ჭრილობა არ მიეღო.

საალყო კიბეებზე ასვლისას მრავალი ბიზანტიელი დაიღუპა. თვითონ მთავარსარდალი ბესა კიბიდან ძირს ჩამოაგდეს. სპარსელებმა ძირს დანარცხებული ბესა რომ დაინახეს, მოსაკლავად ეცნენ, მაგრამ მძიმედ შეიარაღებულებმა შუბოსნებმა თრევით გაარიდეს საშიშროებას. ბესა სიკვდილს გადარჩა და მეომრების გასამხნევებლად კვლავ საალყო კიბეს შეუყვა. მართლაც აღმაფრთოვანებელი ვაჟკაცობაა!

პროკოპის სიტყვით, იგი დაძაბუნებული მოხუცი იყო, თანაც სიმსუქნე მორეოდა და საჭურველი ამძიმებდა*, მაგრამ ასეთი სიკისკასე გამოიჩინა.

ბოლოს ბიზანტიელები ციხე-სიმაგრეში შეიჭრნენ და ბრძოლის სიმძაფრემ კიდევ უფრო იმატა. ბიზანტიელებს ჭარბი ძალები ჰყავდათ, რამაც თავისი შედეგი გამოიღო – პეტრა აღებულ იქნა.

ხუთასი სპარსელი მეომარი აკროპოლისში გამაგრდა და მოწინააღმდეგეს არ ბარდებოდა. მეორე დღეს ბიზანტიელთა სარდლობამ გაჯიუტებულ სპარსელებს წინადადება მისცა იარაღი დაეყარათ და აკროპოლისიც დაეტოვებინათ. თუ ჩაგ-

---

თრაკელი გუთი ბესა მრავალ ბრძოლებში მონაწილეობდა. ჯერ კიდევ ანასტასის დროს, 503 წელს, ქ. ამიდასთან იბრძოდა. 531 წელს, ბუზესთან ერთად მარტიროპოლისის მცველ რაზმებს ხელმძღვანელობდა. 531-550 წლებში იბრძოდა დასავლეთ ფრონტზე, იტალიაში და გუთების წინააღმდეგ.

კოლხეთში მოქმედი ბიზანტიის ლაშქრის ხელმძღვანელად დაგისთეს გადაყენების შემდეგ დაინიშნა, მოგვიანებით, კერძოდ, 554 წელს, მეფე გუბაზსა და ბესას შორის გაუგებრობა წარმოიშვა. გუბაზმა მას იმპერატორ იუსტინიანესთან უჩივლა, რის შედეგადაც ბესა გადააყენეს და აბაზგიაში გააგზავნეს (1. 44).

ვბარდებით, – უთვლიდნენ ბიზანტიელები, – უვნებლებს გაგიშვებთ, თანაც უსაფრთხოება უზრუნველყოფილი გექნებათო.

მაგრამ სპარსელებმა მათი წინადადება არ მიიღეს. მათ „გადაწყვიტილი ჰქონდათ ვაჟკაცურად მომკვდარიყვნენ". სტრატეგოსი ბესა შეეცადა მათთვის ეს გადაწყვეტილება გადაეთქმევინებინა. ამიტომ მან ერთ რომაელ ჯარისკაცს უბრძანა, რაც შეიძლება მიახლოვებოდა სპარსელებს, „მათთვის ქება შეესხა და გადაეცა რისი თქმაც ბესას სურდა..."

სპარსელებმა კი, ეს სიტყვები რომ არ მოესმინათ, ყურები დაიცვეს. მაშინ ბესამ ბრძოლის გაგრძელება ბრძანა. აკროპოლისი ცეცხლში გაეხვა და შიგ შეფარებულ მეომრებთან ერთად ჩაიწვა.

ორიათას სამასი სპარსელი მეომრებისაგან მხოლოდ შვიდას ოცდაათი კაცი გადაურჩა სიკვდილს. ისინი ბიზანტიელებმა იგდეს ხელთ, მაგრამ მათგან „მხოლოდ თვრამეტი იპოვეს საღი, დანარჩენი კი ყველანი დაჭრილნი აღმოჩნდნენ" (2. 176).

ასე დამთავრდა პეტრასათვის ბრძოლა. სტრატეგოსმა ბესამ პეტრას ზღუდე მიწასთან გაასწორა. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ შიში ჰქონდა: ვაითუ კვლავ სპარსელებმა იგდონ ხელთ და გაამაგრონო. იმპერატორმა იუსტინიანემ მას ეს ნაბიჯი გონივრულად ჩაუთვალა და დიდად შეაქო. რაც შეეხება სპარს ტყვეებს, ისინი იმპერატორს გაეგზავნა (2. 180).

551 წლიდან ბრძოლები კოლხეთში ახალი ძალით გაიშალა. ამ ბრძოლებს კვლავ სისხლისმღვრელი ხასიათი ჰქონდა და ჩვენს სამშობლოს დიდ ზარალს აყენებდა. ინგრეოდა დასახლებული ადგილები, ნადგურდებოდა ბაღ-ვენახები, მტრის ხელში ვარდებოდა პირუტყვი. მთელ სიმდიდრეს ხან ბიზანტიელები იტაცებდნენ, ხან სპარსელები.

ამდენი ხნის ბრძოლამ ადგილობრივი მოსახლეობა, ალბათ ძალიან დაღალა. მაგრამ ომს დასასრული ჯერ კიდევ არ

უჩანდა. ხოსრო შაჰი და იმპერატორი იუსტინიანე ძალიან კარგად იცნობდნენ კოლხეთს, გათვალისწინებული ჰქონდათ მისი სტრატეგიული მნიშვნელობა და გააფრთებით იბრძოდნენ მის დასაუფლებლად.

ციხე-სიმაგრე პეტრას აღების შემდეგ მთავარსარდალმა ბესამ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა, რითაც სპარსელებს დიდი უპირატესობა მისცა. ამ შეცდომის შესახებ პროკოპი კესარიელი შემდეგს წერს: „როგორც კი მან პეტრა აიღო, მეტი აღარ ისურვა ბრძოლა და ბონტოელებსა და არმენიელებში გაემართა და ცდილობდა რაც შეიძლება მეტი შემოსავალი აეღო აქაური მინა-წყლიდან"-ო.

ნიჭიერ ისტორიკოსს ბესას ეს მოქმედება დაუშვებლად მიაჩნია. მისი სიტყვით „ამ გაუმაძღრობით (ბესამ) რომაელთა საქმეები გააფუჭა. ის რომ მაშინვე, როდესაც გაიმარჯვა... და პეტრა აიღო, ლაზებისა და იბერების საზღვარზე მისულიყო და დაეცვა იქაური ძნელსავალი ადგილები, სპარსელთა ჯარი, ჩემი აზრით, ლაზიკეში ვეღარ შემოვიდოდა. ამის ნაცვლად კი სტრატეგოსმა დაუდევრობა გამოიჩინა ამ საქმისადმი და თითქმის საკუთარი ხელით ჩააბარა მტერს ლაზიკე და ნაკლებად იფიქრა რისხვაზე (2. 185).

ძალიან სამართლიანი საყვედურია! პეტრას ბრძოლის გმირს ბესას კარგად მოეხსენებოდა, რომ აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის ხელში იყო და აქედან ქართლში გადასვლა, თუ ვიწრობები გამაგრებული არ იყო, სპარსელებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. რაკი მან პეტრა აიღო და ეს დიდი პრობლემა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გადაჭრა, იმაზედაც უნდა ეფიქრა, რომ სპარსელები ლაზეთის სამეფოში ხელახლა არ შეჭრილიყვნენ. ხოსრო შაჰი თავს დამარცხებულად არ თვლიდა და იმ ქვეყნისათვის ბრძოლას, რომლის დაპყრობის საქმეს უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ფულადი სახსრები შესწირა, კვლავ გააგრძელებდა.

მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს, რომ სპარსეთის

სარდალი მერმეროე, პეტრას მომარაგებისა და ლაზეთში 5000 მოალაფე მეომრის დატოვების შემდეგ, საქართველოდან წავიდა და გამოსაზამთრებლად დვინთან შეჩერდა. მაგრამ ბიზანტია-ლაზეთის კავშირის ჯარმა სპარსელ მძარცველებს მუსრი გაავლო და პეტრაც ხელთ იგდო.

ეტყობა, ამ მომხდარი უბედურების შესახებ მერმეროემ ზამთარში, დვინთან ბანაკობისას, ვერაფერი გაიგო. მას ყველაფერი გაზაფხულზე „ზამთრის გასვლის შემდეგ", როდესაც იგი „მთელი თავისი ჯარით" კვლავ პეტრასკენ გაეშურა, გზაში აცნობეს (2. 181-182).

არ ვიცით, როგორ მიიღო მან ეს უბედურება, მაგრამ საფიქრელია, რომ თავს უკვე დაღუპულად თვლიდა. მისი მბრძანებელი ხოსრო ასეთ რამეს თავის სარდალს არ აპატიებდა. მოვიგონოთ რა მკაცრად დასაჯა სარდალი ანიაბედი, როდესაც მან ვერ შეამჩნია ბიზანტიელების მიერ მოწყობილი ხრიკი და „თავი მოატყვილებინა იოანეს" (იგულისხმება ბიზანტიელი სარდალი პეტრაზე ხოსროს უშუალო ლაშქრობის დროს)". ანიაბედი სარზე წამოაგეს*

პეტრასკენ მიმავალმა მერმეროემ მაშინვე გეზი იცვალა. იქ მისვლას რაღა აზრი ჰქონდა? ბიზანტიელებს მთელი ციხე-სიმაგრე დაენგრიათ. რაკი ზღვისპირი დაჰკარგა, ახლა, მიზნად, ლაზეთის შიდა მხარეების დაჭერა დაისახა. მან ხელთ იგდო ქართლიდან ლაზეთში გადასასვლელი ადგილები, შემდეგ გადავიდა ლაზეთში და ამ ქვეყნის დედაქალაქ არქეოპოლისისაკენ გაეშურა.

სპარსთა ლაშქარი თითქმის მთლიანად ცხენოსნებისაგან შესდგებოდა. ლაშქარს თან ახლდა აგრეთვე რვა საომარი სპილო. სპარსელებს მოკავშირეებად ჰყავდა 12 ათასი ჰუნი

---

* პროკოპი წერს: ზოგიერთები ამბობდნენ, რომ ხოსრომ ანიაბედი კი არა სხვა სარდალი ააგებინა სარზეო (იხ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 84); მაგრამ მერმეროესთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აშკარაა, რომ შაჰი მერმეროესაც არ დაინდობდა.

მეომარი*.

ამრიგად, ლაზეთის მიწა-წყალზე შევიდა სპარსელთა დასვენებული და კარგად შეიარაღებული დიდი ლაშქარი. ისტორიკოსი პროკოპი კესარიელის კრიტიკული დამოკიდებულება სტრატეგოს ბესასადმი კიდევ უფრო გასაგები გახდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთავარსარდლის გაუფრთხილებლობის გამო, სპარსელები სრულიად დაუბრკოლებლად მიადგნენ ქვეყნის დედაქალაქს.

როდესაც მერმეროე ხელმეორედ შეიჭრა ლაზეთში, ბიზანტიელების ლაშქარი სულ 12 ათასი კაცისაგან შესდგებოდა, მაგრამ იგი ლაზეთის სხვადასხვა ადგილებში იყო გაფანტული. არქეოპოლისში ანუ ახლანდელ ნოქალაქევში მხოლოდ სამი ათასი კაცი იდგა. მათ ცნობილი სარდლები ოდინაქე და ბაბა მეთაურობდნენ. დანარჩენი მეორმები კი „ფაზისის შესართავების აქეთ და იქით დაბანაკებულიყვნენ იმ ანგარიშით, რომ თუ სადმე მტრის ჯარი იერიშს მიიტანდა", ისინი თავისიანებს იქიდან მიეშველებოდნენ. მათ ვანილე და ულიგაგე მეთაურობდნენ. მათთან იყო აგრეთვე პერსამენიელი ვარაზი და რვაასი ჭანი მეომარი (2. 184).

ყოველივე ეს 551 წლის გაზაფხულზე ხდება.

მერმეროემ გაიგო, რომ ბიზანტიელები მდ. ფაზისის შესართავთან დაბანაკებულიყვნენ და გადაწყვიტა, სანამ არქეოპოლისს მიადგებოდა, ჯერ ისინი გაენადგურებინა. ასეთი დასკვნა სამართლიანი იყო, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიელების ლაშქარს საგანგებოდ ჰქონდა არჩეული ისეთი პოზიცია, რაც ბრძოლაში ჩაბმული სპარსელებისათვის ზურგიდან დარტყმას გულისხმობდა. სპარსი სარდალი ამის აღკვეთას ისახავდა მიზნად.

მაგრამ ბიზანტიელებმა მტრის მოახლოვება რომ გაი-

---

* მაგრამ, მერმეროეს შეეშინდა ვაი თუ ამდენმა საბირმა ურჩობა დამიწყოსო და რვა ათასი კაცი, დიდძალი საჩუქრებით, უკანვე გაისტუმრა.

გეს, ჩასხდნენ ნავებში და მდ. ფაზისის (ახლანდელი მდ. რიონი) მეორე მხარეს გადავიდნენ. მერმეროე მართალია მივიდა იმ ადგილზე, სადაც ცოტა ხნის წინ ბიზანტიელები იდგნენ, მაგრამ მტრის ბანაკი დაცარიელებული დახვდა. ამის შემდეგ იგიკვლავ ლაზეთის დედაქალაქისაკენ* გაეშურა** მაგრამ აქაც წარუმატებლობა ხვდა. გარნიზონის უფროსებმა ოდონაქემ და ბაბამ მტრის მიახლოვებისას ისეთი მოულოდნელი და მარჯვე მანევრი განახორციელეს, რომ მას სასტიკი მარცხი მიაყენეს (2. 190-194).

სპარსელებმა არქეოპოლისისთვის ბრძოლაში 4000 მეომარი დაჰკარგეს. მათ შორის – სამი სარდალი. ბიზანტიელებს ხელს ჩაუვარდა მტრის ოთხი დროშა.

მტერს სხვა დიდი ზარალიც მოუვიდა. პროკოპი კესარიელი წერს, რომ „როგორც ამბობენ – დაიღუპა სპარსელთა ცხენები არა ნაკლებ ოცი ათასისა, არა იმ მიზეზით, რომ მოწინააღმდეგეთა მიერ იქმნენ მოკლული ან დაჭრილი, არამედ

---

* ბიზანტიურ წყაროებში ნახსენები არქეოპოლისი იგივე ციხე-გოჯია, ორივე კი დღევანდელი სენაკის რაიონში მდებარე ნოქალაქევია.

1930 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაიწყეს ნოქალაქევის გათხრები. გათხრები სულ რამდენიმე თვე გრძელდებოდა. 1973 წელს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ ხელახლა დაიწყო ნოქალაქევის გათხრა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. დაიწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომიც. მათ შორის აღსანიშნავია ნ. ლომოურის ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. იხ. წიგნი „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", ნ. I. 1981 (100). განსაკუთრებით საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნეს პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ. ამ უკანასკნელ ნაშრომში (102) პირველად არის განხილული ეგრისის დედაქალაქის IV-VIII საუკუნეების ხუროთმოძღვრული ნაგებობები. წიგნში განხილულია აგრეთვე ნოქალაქევის „ქვეყნის" ხუროთმოძღვრება.

** მერმეროე ლაზეთში ხელმეორედ მოსვლისთანავე მიადგა არქეოპოლისს. მაგრამ ბრძოლა არ გაუმართავს. მას ფაზისზე დაბანაკებული ბიზანტიელების განადგურება ეწადა. ახლა უშედეგო ლაშქრობის შემდეგ კვლავ მიადგა ლაზეთის დედაქალაქს.

მათ შორი გზა გამოიარეს, რომლის განმავლობაშიაც ძალიან დაიღალნენ, თანაც, როდესაც ლაზიკეში იყვნენ, საკვები არც თუ ისე საყოფად ჰქონდათ და, ამრიგად, შიმშილითა და დაავადებებით შევიწროვებულნი, მთლათ დავარდნენ" (2. 194).

როდესაც მერმეროემ არქეოპოლისთან მარცხი განიცადა, მან მოხირისისაკენ დაიხია. ეს მხარეც ხელთ იგდო და თითქმის დანარჩენი ლაზიკეც დაიჭირა. მოხირისის მდებარეობას პროკოპი კესარიელი ასე განმარტავს: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც აქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზეც არ შეიძლება იგივე ითქვას" (2. 194).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ მუხურისი (იგივე მოხირისი) ეს არის იმერეთის ვაკე ტერიტორია, რომელიც ექცეოდა მდინარეებს რიონსა და ცხენისწყალს შორის (99. 232). ამ მხარის ცენტრს ციხე-ქალაქი მოხირისი წარმოადგენდა (102. 232).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ციხე-ქალაქი მოხირისი ახლანდელი დაბლაგომის (სამტრედიის რაიონი) მიდამოებში უნდა არსებულიყო (102. 232).

მოხირისის მხარეში ორი მნიშვნელოვანი ციხე – ქუთაისი და უქიმერიონი მდებარეობდა. პირველი – ქუთაისის ციხე, მერმეროეს მოხირისში გაბატონებისას, დანგრეული იყო, მაგრამ რაკი ზამთარი დადგა, მან სასწრაფოდ შეაკეთა ხის მასალით ციხის ის ნაწილები, რომლებიც დანგრეული იყო და იქ დაისადგურა. უქიმერიონის ციხე კი ლაზებს ეკავათ, მაგრამ რაკი „კოლხიდის საუკეთესო ნაწილი" სპარსელებს ეპყრათ, ბატონობდნენ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთისაკენ მიმავალ გზებზეც, ხელს უშლიდნენ უქიმერიონის ციხის სურსათ-საზოვაგით მომარაგების საქმეს (2. 196).

ასე გაილია 551 წელი. დაზამთრდა. მაგრამ ომს ბოლო

ჯერ კიდევ არ უჩანდა და არც არაფერი გარკვეულიყო. ხოსრო შაჰი და იმპერატორი იუსტინიანე დასახულ მიზნებს არ ღალატობდნენ და ჩვენი სამშობლოს დასავლეთი ნაწილისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას კვლავ აგრძელებდნენ.

§ 3. ახალი დროებითი ზავის დადება ბიზანტია-ირანს შორის და ბრძოლების მიმდინარეობა ეგრისში

მაგრამ ომმა მეომარი მხარეები მაინც დაღალა და როგორც პროკოპი გვაუწყებს, იუსტინიანე იმპერატორის მმართველობის ოცდამეხუთე, ე. ი. 552 წელს, (527+25+552) სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, ახალი დროებითი ზავი დაიდო. ისევე, როგორც პირველი, მეორე დროებითი ზავიც, ხუთი წლის შესვენებას ითვალისწინებდა.

ამ ზავის თანამედროვე ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერს, რომ ზავის პირობებით „მეტი წილი რომაელებისა უკმაყოფილო დარჩაო" და ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებიც, მისი აზრით, ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. კერძოდ:

ა) ეს ხელშეკრულება ბიზანტიელებისათვის შეუფერებელ დროს დაიდო („როდესაც ლაზიკე სპარსელებს ეჭირავთ მტკიცედ"). სპარსელებმა ეს ზავი „დადვეს იმ მიზნით, რომ ხუთი წლის განმავლობაში ისინი არავინ შეაწუხოს და ამასობაში უშიშრად და იოლად ჩაიგდონ ხელში კოლხიდის საუკეთესო ადგილები"

ბ) ბიზანტიელები კოლხეთიდან ვეღარასდროს გაძევებენ სპარსელებს და მტერს შეუძლია ამ მხრიდან ბიზანტიის დედაქალაქიც კი ადვილად დალაშქროს.

გ) ახლად დადებული დროებითი ზავის წყალობით „სპარსელებმა მტკიცედ მიაღწიეს იმას, რასაც იმთავითვე ეს-

წრაფოდნენ და რისი მიღწევაც ვერ შეძლეს" ვერაფრით, - სახელდობრ, რომ რომაელები მათი ხარკის გადამხდელნი გამხდარიყვნენ*

თავისთავად ცხადია, რომ ბიზანტიის შეგნებული საზოგადოება კარგად ხვდებოდა იმ წარუმატებლობას, რაც იუსტინიანეს მთავრობამ დასავლეთ საქართველოში განიცადა და მეტნაკლებად აღიქვამდა ამას. პროკოპი კესარიელი ამ საზოგადოების ერთი უნიჭიერესი წევრი იყო და მან საკუთარი შეხედულება თავის ისტორიულ თხზულებაში სამუდამოდაც დაფიქსირა.

ჩვენი წინაპრები როგორღა აღიქვამდნენ ამ გაჭიანურებულ ომს და მეორე დროებით ზავს? რას ფქრობდა პირადად მეფე გუბაზი?

საერთო მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ეგრისში, ისევე, როგორც ბიზანტიაში, ამ ზავის საწინააღმდეგო განწყობა უნდა შექმნილიყო. ადგილობრივ მოსახლეობას ომის დროებითი შეწყვეტა კი არა, სამუდამოდ დამთავრება უნდოდა. ათი წლის წინ დაწყებული ეს სისხლიანი ტრაგედია მეომარი მხარეებისაგან დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, მაგრამ იმ ზარალს არაფერი შეედრებოდა, რაც ეგრისის ქვეყანას მოსდიოდა. ომში იგი არა მარტო თავის მამაც შვილებს ჰკარგავდა, არამედ ქვეყნის დოვლათ-ბარაქასაც. მას ხან ბიზანტიელები „სჭამდნენ", ხან სპარსელები. ეს იყო გაუსაძლისი მდგომარეობა.

გუბაზ მეფის იმედი – სპარსელების მეშვეობით თავისი ქვეყნიდან ბიზანტიელები გაერეკა, არ გამართლდა. მან, თავისდა უნებურად, კოლხეთი ორი უზარმაზარი სახელმწიფოს ბრძოლების ასპარეზად აქცია.

ცხადია, რომ შექმნილი ვითარებით მეფე გუბაზი ხელ-

---

* აქ იგულისხმება სპარსელების მიერ დარუბანდის დაცვის საკომპენსაციოდ ბიზანტიელების მხრიდან მათ სასარგებლოდ გაღებული ყოველწლიური გადასახადი – ოთხი კენდინარი ფული (იხ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 199).

ფეხშეკრული იყო. მას არ ძალუძს რაიმე გავლენა იქონიოს ომის მიმდინარეობაზე. მეტიც, სამეფოში შექმნილია უწესრიგობა. კოლხეთში მებრძოლ ბიზანტიელებსა და სპარსელებს თავიანთი მომხრე ჯგუფები შეუქმნიათ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ სიტყვას ამბობენ გუბაზის მიერ ამა თუ იმ მომენტში არჩეული ორიენტაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ სპარსელთა ერთგული პირები აშკარად გამოირჩევიან და პროკოპი კესარიელის თუ სხვა ისტორიკოსთა თხზულებების ფურცელზეც ჩანან. ზოგიერთების შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, როდესაც გუბაზთან დაახლოებულ ადამიანებს ვეხებოდით. ახლა გავიხსენებ ორ მათგანს. ისინი ლაზები, ე. ი. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ისეთ დანაშაულს სჩადიან, რომ კაცს ახლაც გაღიზიანებს. პირველმა მათგანმა „თავი გამოიჩინა" ეგრისის დედაქალაქ არქეოპოლისის დაცვის დროს.

სანამ მერმეროე თავისი ჯარით ეგრისის დედაქალაქს მიადგებოდა, ერთმა არქეოპოლისელმა დიდებულმა ლაზმა მოლაპარაკება გამართა სპარსთა სარდალთან და აღუთქვა, რომ „თავის სამშობლო ქვეყანას გასცემდა". მერმეროემ დაავალა მას, რომ როდესაც სპარსელები არქეოპოლისზე იერიშს მიიტანდნენ, ჩუმად წაეკიდებინა ცეცხლი იმ სადგომისათვის, სადაც პური და სხვა სურსათი იყო მოთავსებული.

პროკოპი კესარიელი წერს: მერმეროემ ეს დავალება იმიტომ მისცა, რომ ფიქრობდა „რომაელები ან ამ ცეცხლს მოუვლიდნენ და ამაში გართულნი შესაძლებლობას მისცემდნენ სპარსელებს ასულიყვნენ ზღუდეზე, ან მოისურვებდნენ მოიერიშე სპარსელების მოგერიებას და ამ სადგომებს უყურადღებოდ დასტოვებდნენ. ასეთნაირად, რომ პური და დანარჩენი სურსათიც დაიწვებოდა, სპარსელები მოულე ხანში ადვილად შესძლებდნენ ალყის შემორტყმით არქეოპოლისის აღებას" (2. 192).

ეს მოღალატე ქართველი ეტყობა, არქეოპოლისის დამ-

ცველთა შორის იმყოფებოდა და უშუალოდ ბიზანტიელთა ბანაკში იყო. მართლაც, როდესაც სპარსელებმა იერიში წამოიწყეს, მოღალატემ, პირობისამებრ, დასახელებულ საწყობებს ცეცხლი წაუკიდა.

მთელი ლაშქარი იერიშის მოსაგერიებლად იყო წასული, მაგრამ ბედად, რამდენიმე კაცი ციხეში დარჩენილიყო და ისინი მაშინვე ცეცხლის ჩაქრობას შეუდგნენ. მართალია, საწყობის ნაწილი დაიწვა, მაგრამ ცეცხდი ჩაქრობილი იქნა (2. 192).

მეორე პირმა, ლაზმა თეოფობიმ, კიდევ უფრო დიდი ღალატი ჩაიდინა. მან მერმეროეს აღუთქვა, რომ აქამდე მოკავშირეების ხელში მყოფ უქიმერიონის* ძლიერ ციხეს ჩაგაგდებინებ ხელშიო. სამაგირეოდ სპარსი სარდალი მას ხოსროსაგან დიდ დაწინაურებას და სიმდიდრეს ჰპირდებოდა.

თეოფობიმ „ადვილად შესძლო მერმეროესათვის მიცემული დაპირება შეესრულებინა". მან ციხის მცველი ლაზი და ბიზანტიელი მეომრები მოატყუა, რომ სპარსელებმა მოკავშირეთა მთელი ჯარი გაანადგურეს, კოლხეთი დაიპყრეს და „გუბაზ მეფესა და მასთან მყოფ ყველა ლაზებს საქმეები ცუდად წაუვიდათ"-ო. ისიც დაამატა, რომ მერმეროემ კოლხეთში

---

* ციხე უქიმერიონის ადგიმლდებარეობის შესახებ მეცნიერებაში ერთნაირი აზრი არ არსებობს. აკად. ს. ყაუხჩიშვილს მიაჩნია, რომ პროკოპი კესარიელის თხზულებაში ნახსენებ „უქიმერიონი"-ს და აგათია სქოლასტიკოსის „ონოგურისი"-ს გაიგივება შესაძლებელია. ავტორს ჩამოთვლილი აქვს ის მოსაზრებებიც, რომლებიც მას ასეთი დაშვების საშუალებას აძლევენ (9. 62). მისი განცხადებით „მაშასადამე, აქ ჩვენ უნდა გვქონდეს საქმე ერთსა და იმავე სასიმაგრო პუნქტთან, რომელსაც ხან ციხის (უქიმერიონის) სახელწოდებით იხსენიებდნენ, ხან კი მთის (უნაგირას) სახელწოდების, სადაც ციხე იყო აგებული (9. 62).

უქიმერიონის მდებარეობას გადაჭრით ვერ საზღვრავს აკად. დ. მუსხელიშვილი (103.193). ს. ყაუხჩიშვილის შეხედულებასთან დაკავშირებით საინტერესო აზრი გამოთქვა პ. ზაქარაიამ. მისი განცხადეით ონოგურისის ციხე ეს არის აბედითის ციხე (101.130), რომელიც მდებარეობს აბაშის ხეობაში, ნოქალაქევიდან ჩრდილოაღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე (101. 128).

7000-ზე მეტი სპარსი მეომარი და უამრავი საბირი ჯარისკაცი მოიყვანაო. ამჟამად თვითონ ხოსრო შაჰიც დიდი ჯარით აქ მოვიდა და ამ ჯარს, ალბათ, „თვით კოლხეთის მთელი ქვეყანაც აღარ ეყოფაო".

უნდა აღინიშნოს, რომ უქიმერიონის ციხე სპარსელების მიერ აქამდეც გზამოკვეთილი იყო. მეტიც, მოკავშირე ლაზებსა და ბიზანტიელებს სურსათ-სანოვაგეც კი ვეღარ შეჰქონდათ შიგ. ამიტომ იყო, რომ ციხის მცველებმა, რომლებმაც ქვეყნის საერთო მდგომარეობის შესახება არაფერი იცოდნენ, თეოფობის მოგონილი ამბები სინამდვილედ მიიჩნიეს და ძლიერ შეშინდნენ. ისინი თხოვდნენ თეოფობის, მოეგვარებინა მათი ურთიერთობა სპარსელებთან. თეოფობიმ აღუთქვა, რომ თუკი მეციხოვნეები უქიმერიონის ციხეს დასტოვებდნენ იგი შაჰ ხოსროსაგან „ხელუხლებლობის პირობას" მოუტანდა (2. 201).

თეოფობიმ ყველაფერი სპარსეთის სარდალ მერმეროეს აცნობა, მან კი შაჰთან თავისი კაცები გაგზავნა და უქიმერიონის ამბები აუხსნა. ეტყობა შაჰმა უქიმერიონის დამცველთა პირობა დააკმაყოფილა, რადგან მათ მართლაც დატოვეს ციხე.

ამ ციხის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ პროკოპი მომხდარ ამბავს ასეთ კომენტარს უკეთებს: სპარსელები „მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს"-ო (2. 202).

საერთოდ, მერმეროეს მეორე ლაშქრობა ეგრისში დიდი შედეგებით აღინიშნა. მართალია, ბიზანტიელებმა პეტრა აიღეს და დაანგრიეს, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ლაზიკა, აგრეთვე სკვიმნიაცა და სვანეთიც სპარსელების ხელში გადავიდა (2. 202).

სპარსელების სამხედრო წარმატებებმა გუბაზ მეფეს მოქმედების საშუალება წაართვა. რაკი სპარსელებთან დამოუკიდებელი ბრძოლა არ ძალუძდა, იგი, მთლიანად, ბიზანტიელების ხელის შემყურე გახდა. ამ ეპოქის დასახასიათებლად

უცილობლად გამოგვადგება პროკოპის ერთი ცნობა. მაშინო, აღნიშნავს ისტორიკოსი, - „რომაელებსა და ლაზებს შორის არავითარი მისვლა-მოსლვა არ იყო: სპარსელები ყველგან სრულიად თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ ამ ადგილებში და ამიტომ რომაელთა და ლაზთაგან ერთნი მდინარე ფაზისის სანაპიროებზე დამალულიყვნენ, ხოლო სხვებს არქეოპოლისი ან სხვა რომელიმე იქაური სიმაგრე დაეჭირათ და იქ შეეფარებინათ თავი; თვით გუბაზიც, ლაზთა მეფე, მშვიდად ჩამჯდარიყო მთის წვერებზე" (2. 201).

ამას წერს საქმეში კარგად ჩახედული ბიზანტიელი ისტორიკოსი. სხვა ადგილას იგივე ავტორი იმაზეც მიუთითებს, რომ „რომაელებსა და ლაზთა მეფეს (ე. ი. გუბაზს - ჯ. ს.) მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან" „მტრის მოგერიება არ შეეძლოთ არც რომაელებსა და არც ლაზებს, რადგან ისინი ვერ ბედავდნენ ვერც მთებიდან ან სიმაგრეებიდან ჩამოსვლას და ვერც რამენაირად მტერთან შებმას" (2. 203).

მერმეროე მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა. მან ქუთაისში 3000-მდე მეომარი ჩააყენა, უქიმერიონის ციხეშიც ბლომად ხალხი დატოვა, ლაზეთის და ქართლის საზღვარზე მდებარე ციხე სარაპანისი – შორაპანი აღადგინა და 551 წლის ზამთარი იქ გაატარა. მაგრამ იქ უმოქმედოდ არ ყოფილა. იგი მოწინააღმდეგეების საბოლოო განადგურებას ცდილობდა და ამისათვის არაფერს იშურებდა.

მერმეროემ გაიგო, რომ ბიზანტიელებსა და ლაზებს თავი მოეყარათ მდინარე ფაზისის შესართავთან და ბანაკიც იქ მოეწყოთ. მეფე გუბაზიცა და ბიზანტიელი სარდლებიც იქ იმყოფებოდნენ. მერმეროე მთელი თავისი ჯარით იქით გაემართა.

ეს რომ გუბაზმა და მისმა მოკავშირე ბიზანტიელმა სარდლებმა გაიგეს „მტრის იერიშის მოგერიება კი არ სცადეს, არამედ გაიფანტნენ და თავს უშველეს, ვისაც როგორ შეეძ-

ლო" (2. 203).

გუბაზი თავისი ცოლით, შვილებით და მახლობლებით მიუვალ მთებში გახიზნულა და მთელი ზამთარი იქ გაუტარებია. იგი, ალბათ, მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. სიციევე, შესაფერისი პირობების უქონლობა და ავადმყოფობა დიდად შეანუხებდა მის ბანაკს. მართალია მთებში მტრის მახვილი ვეღარ წვდებოდა, მაგრამ „შიმშილმა, სიციევემ და სხვა უბედურებამ კი სიკვდილის პირამდე მიიყვანა ისინი (გუბაზი და მათთან ერთად გახიზნულნი – ჯ. ს.)" (2. 203).

ერთგული ლაზები, გუბაზის გვერდით ცხოვრობდნენ და, ალბათ, როგორც შეეძლოთ მდგომარეობას უმსუბუქებდნენ, მაგრამ ყველამ ვერ გაუძლო ამ გასაჭირს და ბევრი სპარსელთა მხარეს გადავიდა. მერმეროემ მის მხარეს გადასული ლაზები მთებში დაგზავნა და ხელშეუხებლობის პირობის აღთქმით გუბაზის ერთგულთაგან „მრავალის გადაბირება შესძლო" (2. 205).

მერმეროემ თვითონ გუბაზ მეფესაც წერილი მისწერა და დამორჩილებისაკენ მოუწოდა. ეს წერილი მშვენივრად გამოხატავს იმდროინდელ კოლხეთში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, რის გმოც მას მთლიანად მოვიტანთ.

„ორი რამ აწესრიგებს ადამიანის ცნობიერებას – ძალა და გონიერება. ერთნი, რომელნიც ძლიერებით სჯობიან მეზობლებს, თვითონაც ცხოვრობენ ნებისამებრ და მათზე უფრო სუსტებსაც ამოქმედებენ ისე, როგორც სურთ; ხოლო მეორენი, რომელნიც თავიანთი სისუსტის გამო მათზე უფრო ძლიერთ ემონებიან და უძლურობას გონიერებით სწამლობენ, მლიქვნელობით ელოლიავებიან მბრძანებელთ და მშვენივრად ახერხებენ ცხოვრებას თავიანთ მამულში და მლიქვნელობის წყალობით იგემებენ ხოლმე ყველაფერს იმას, რასაც უძლურობის გამო მოკლებულნი არიან. ზოგიერთ ერებთან ასე და სხვებთან რაღაც სხვანაირად კი არ უხდებათ მათ მოქცევა, არამედ ყველა ადამიანს, შეიძლება ითქვას, ყველგან

დედამიწის ზურგზე, ეს ბუნებით აქვს თანდაყოლილი ისევე, როგორც ზოგი რამ სხვაც. და აი, ძვირფასო გუბაზ, თუ გრძნობ, რომ სპარსელებს აჯობებ ომში, ნუღარ აყოვნებ და ნურც რამე დაგიდგება წინა. ლაზიკის რომელსამე ნაწილში გვიპოვი ჩვენ, თუ გინდა, შენს შემოტევასაც დავუხვდებით და ამ კუთხისათვის საბრძოლველად განვეწყობით, რაც ძალა შეგვწევს.

ამგვარად, შემთხვევა მოგეცემა შეგვებრძოლო და შენი სივაჟკაცე დაამტკიცო ჩვენს წინაშე. თუკი თვითონ გრძნობ, რომ უძლური ხარ სპარსელთა ძალას წინაღუდგე, მაშინ, ჩემო კარგო, აირჩიე მეორე გზა, შეიცან შენი თავი და ეთაყვანე შენს მბრძანებელს ხოსროს, ვითარცა მეფეს, გამარჯვებულსა და ბატონს. შეევედრე გაპატიოს შეცოდებანი, რათა ამიერიდან მაინც შესძლო აირიდო შეცოდებანი, რომლებიც მძიმე ტვირთად გაწვებიან. მეც, ჩემი მხრით, გარწმუნებ, რომ ხოსრო მეფე შეგიწყალებს, ხელს არ გახლებს და მძვლებად მოგგვრის სპარსეთის წარჩინებულ მთავართა შვილებს. შენც ყოველმხრივ იქნები უზრუნველი და შენი სამეფოც გექნება სამუდამოდ დაცული, ხოლო თუ შენ არც ერთი ეს გზა არ მოგწონს, წადი რომელსამე სხვა ქვეყანაში და ამით საშუალება მიეცი შენი უგუნურობის წყალობით გაწამებულ ლაზებს, ერთხელაც არის, ამოისუნთქონ და განთავისუფლდნენ მოწოლილ სიძნელეთაგან, მაგრამ გულში არ გაივლო მათთვის უსაზღვრო უბედურების მინიჭება და მაცთუნებელ იმედს არ მიეცე: ვგულისხმობ რომაელების მოშველიებას. ისინი ხომ ვერასდროს ვერ შესძლებენ დაგეხმარონ თქვენ, ისე როგორც დღემდე ვერ შეძლეს ეს" (2. 206-207).

მერმეროეს წერილი მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მისი ავტორის პირდაპირობა და დაუფარველობა. მერმეროე არ მალავს, რომ სახელმწიფოებსა და პიროვნებებს შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპი – ძალმომრეობაა. თუ სხვას ვერ იმორჩილებ, – მოძღვ-

რავს იგი გუბაზს, - შენ უნდა დაემორჩილო სხვასო. რაკი, მისი აზრით, ურთიერთობის მთავარი პრინციპი გაარკვია, მერმეროემ გუბაზს მოუწოდა: თუ მორჩილება არ გინდა, შეგვებრძოლე და შენი ძალა დაგვიმტკიცე. თუ ეს არ შეგიძლია თავი მოუხარე ხოსრო შაჰს, შეევედრე გაპატიოს ძველი შეცდომები, ხოსრო აუცილებლად შეგინყალებს და ხელშეუხებლობის გარანტიასაც მოგცემს. მაშინ შენი სამეფოც ხელშეუხებელი გახდება. თუ არც მორჩილება გინდა და არც ჩვენთან ბრძოლის თავი გაქვს, გაეცალე ლაზეთს, რომ შენს მიერ ატეხილი გაჭიანეურებული ომებით განამებული ხალხი დამშვიდდეს. მაგრამ გულში არ გაივლო მათი კიდევ უფრო მეტი გაუბედურება და რომაელების მიმხრობით ომის კვლავ გაგრძელება. ისინი ვერც აქამდე დაგეხმარნენ რამეში და ვერც ახლა დაგეხმარებიანო.

ნერილის ბოლო სტროფები, რომლებშიც ლაზების ომით განამებაზეა ლაპარაკი, გუბაზ მეფეს, ალბათ, კიდევ ერთხელ დააფიქრებდა შექმნილ მდგომარეობაზე. ხალხი მართლაც განამებული იქნებოდა. თვით გუბაზის ოჯახიც გაჭირვებით ცხოვრობდა და დაბალ საზოგადოებას რაღა დაემართებოდა?

მაგრამ ვერც მერმეროეს წერილმა დაარწმუნა გუბაზი ხოსროსთან შერიგების აუცილებლობაში და, ბიზანტიელების მხრიდან დახმარების მომლოდინე, კვლავ მთებში დარჩა.

რაკი გუბაზმა სპარსელებთან შერიგებაზე უარი თქვა, ზამთრის გასვლის შემდეგ, ე. ი. 552 წლის გაზაფხულიდან ლაზეთში მდგომარეობა კვლავ გამწვავდა. მერმეროემ მთელი რიგი ბრძოლები ჩაატარა. მართალია ბევრი მათგანი წარუმატებელი იყო, მაგრამ ქვეყანას ამით დიდი შეღავათი არ ჰქონდა. დამარცხებული სპარსელები გაცილებით მეტი დაუნდობლობით მუსრავდნენ კოლხეთის მოსახლეობას თუ დოვლათბარაქას.

სპარსელთა გააქტიურებას ხელი შეუწყო ერთმა ფაქტმა. 552 წელს, ზამთრის გასვლის შემდეგ, სპარსეთის ელჩი

იზდიგუსნა ბიზანტიიდან (სადაც იგი დროებითი ზავის მოსაგვარებლად იყო წასული) ირანში დაბრუნდა და ხოსროს ბიზანტიელებისაგან აღებული დიდძალი ფულიც მოუტანა. თან თავის პატრონს ზავის პირობები გააცნო.

ხოსრომ პირობები დაამტკიცა, ფულიც ჩაიბარა, მაგრამ ლაზეთის დაბრუნებაზე კი უარი განაცხადა. მან მიღებული ფულით საბირის ჰუნები დაიქირავა და, სპარსელებთან ერთად, მერმეროეს დასახმარებლად გაგზავნა. ამას გარდა, თავის სარდალს საბრძოლო სპილოებიც ბლომად გაუგზავნა. ამის შემდეგ მერმეროემ მოხირისი დატოვა და ჯერ კიდევ ლაზ-ბიზანტიელთა ხელში მყოფი ციხეებისაკენ გაემართა*.

ამრიგად, 552 წელს ლაზეთის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი. ხოსრო შაჰი ლაზეთის დათმობას არ აპირებდა, მაგრამ ვერც იმპერატორი იუსტინიანე ელეოდა მას. აგათიას აზრით იმპერატორს აშინებდა, რომ თუ სპარსელები ომში გაიმარჯვებდნენ და მთელ ლაზეთს ხელში ჩაიგდებდნენ, მათ ევქსინის პონტოში (შავ ზღვაში) შეცურებას და ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში ღრმად შეჭრას ვეღარავინ დაუშლიდა.

---

* მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ.) სამართლიანად აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეებმა დროებითი ზავი იმიტომ კი არ შეკრეს, რომ საბოლოო ზავი ჩამოეგდოთ. „არც იმიტომ, რომ ყველგან შეეწყვიტათ საომარი მოქმედება, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ერთმანეთს დროებით დაზავებოდნენ აღმოსავლეთით და არმენიის საზღვრებზე; კოლხიდის ქვეყანაში კი ომს განაგრძობდნენ"-ო (იხ. გეორგიკა, III, თბ., 1936 წ. გვ. 27). მისივე სიტყვით, მართალია ხოსრო შაჰს კოლხეთის მრავალი მნიშვნელოვანი ადგილი დამორჩილებული ჰქონდა, მაგრამ მას „განზრახვა ჰქონდა დანარჩენი ადგილებიც ჩაეგდო ხელში" (გეორგიკა, III, გვ. 28). პროკოპი კესარიელიც მიუთითებდა, რომ სპარსელებმა ზავი იმიტომ დადვეს, რომ ზავით გათვალისწინებული ხუთი წლის განმავლობაში „უშიშრად და იოლად ჩაეგდო ხელში კოლხიდის საუკეთესო ადგილები" (იხ. გეორგიკა, II, გვ. 166-167). ზავის შემდგომ მერმეროეს მოქმედება კარგად ადასტურებს ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობებს.

როგორც აღვნიშნეთ ლაზეთის ამ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, თავის დროზე (541 წ.), თვითონ გუბაზ მეფის ელჩებმა გაუმახვილეს ხოსროს ყურადღება. პროკოპი კესარიელის სიტყვით მეორე დროებითი ზავის დადების დროს (ე. ი. 552 წ.), ბიზანტიის საზოგადოება კარგად გრძნობდა ამ საშიშროებას. რაკი საზოგადოებაცა და თვით იმპერატორიც ლაზეთს დიდ სტრატეგიულ მნივშნელობას აძლევდა, იუსტინიანემ „ძლიერი და მამაცი ჯარი გაგზავნა იქ და საუკეთესო სტრატეგოსებიც დაუყენა სათავეში" (9. 29).

ეს სტრატეგოსები იყვნენ ბესა, მარტინე და ბუზე. შემდეგ აქვე გააგზავნეს ისუტინიანეს ძმის გერმანეს შვილიშვილი იუსტინეც*.

ასე რომ, 553 წელი ლაზეთში ახალი ბრძოლებით აღინიშნა.

როგორც ითქვა, 552 წელს, მერმეროემ წარუმატებლად სცადა ლაზეთის დედაქალაქის, არქეოპოლისის აღება და შემდეგ კვლავ მოხირისში და ქუთაისის ციხეში დაბრუნდა. 553 წელს კი მან ტელეფისის ციხის** ხელში ჩაგდება მოინდომა. ამას გარდა განიზრახა მდ. ფაზისამდე მიღწევა და ბიზანტიელების ბანაკზე თავდასხმა. ჩაფიქრებული ჰქონდა ჯერ კიდევ მოწინააღმდეგეების ხელში მყოფი შედარებით პატარა ქალაქების დაპყრობაც 99. 30).

ტელეფისი ლაზებსა და რომაელებს ძალიან გაემაგრებინათ. ესეც არ იყოს თვითონ ციხეც მეტისმეტად მიუდგომელ ადგილზე მდებარეობდა (9. 31). სარდალი მარტინე ამ ციხეში იდგა და „დიდის გულმოდგინებით იცავდა შესასვლებს".

---

* იუსტინეს ჯერ კიდევ ბავშვს, 540 წ. კონსულობა მისცეს. ამის შემდეგ იგი მრავალ ბრძოლაში მონაწილეობდა. მოკლეს 566 წელს ალექსანდრიაში დედოფალ სოფიოს მოგზავნილმა მკვლელებმა.

** ტელეფისის ციხე მდებარეობდა სოფ. ტოლებში (სამტრედიის რაიონში). იხ. ს. ყაუხჩიშვილი. ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში (გეორგიკა. III, გვ. 311-315).

სპარსელმა სარდალმა მერმეროემ ამ ციხის აღების ძალზე საყურადღებო ხერხი მოიგონა.

აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემს: მტრის ყურადღების მოდუნების მიზნით, რაც ციხეზე თავდასასმხელად ესაჭიროებოდა, მერმეროემ ხმა გაავრცელა რაღაც უკურნებელი სენი შემეყარაო. ლოგინშიც ჩაწვა და გარეთ აღარ გამოდიოდა. საკუთარმა თანამოლაშქრეებმაც კი დაიჯერეს, რომ მთავარსარდალი მართლაც მძიმედ არის ავად და სადაცაა მოკვდებაო (9. 32). ეს ხმა მართალს ჰგავდა, რადგან მერმეროე „მოხუცებული იყო და კარგა ხანია ორიე ფეხი დასახიჩრებული ჰქონდა, ისე რომ, ცხენზეც არ შეეძლო ჯდომა, მაგრამ საქმიანობას ისე იტანდა თითქოს ღონიერი ყმაწვილი ყოფილიყოს და არ ერიდებოდა არავითარ შრომას. საკაცით დაჰქონდათ და ისე ჩამოუვლიდა ხოლმე რაზმებს და ამ გზით შიშის ზარსა სცემდა მოწინააღმდეგეებს, თავისიანებს კი აქეზებდა და ამხნევებდა, და საქმის სწორედ წაყვანის მეოხებით მან ბევრი გამარჯვება მოიპოვა" (9. 42. შენ. 2).

შემდეგ ხმა გავარდა მერმეროე გარდაიცვალაო. ყოველივე ეს ისე ჰგავდა სინამდვილეს, რომ ბიზანტიის დაზვერვა კი არა, თვითონ მთავარსარდლის „საუკეთესო მეგობრებიც", ვერ ჩასნვდნენ მერმეროეს ხრიკებს.

რაკი ბიზანტიელებმა მერმეროე მართლა გარდაცვლილად მიიჩნიეს, სიფხიზლე დაჰკარგეს.

იმათ ზღუდეებიც კი უზრუნველად დასტოვეს და იქ საჭირო სამუშაოების შესრულების მაგიერ უდარდელ ცხოვრებას მიეცნენ. მთელი ღამეები ეძინათ და სოფლის კარ-მიდამოებში ატარებდნენ დროს. არც მზვერავებს გზავნიდნენ და არც სხვა საჭირო ზომებს ღებულობდნენო, – წერს აგათია სქოლასტიკოსი. „ისინი ფიქრობდნენ, - აგრძელებს იგივე ავტორი, – რომ უსარდლოდ დარჩენილი სპარსელები ვეღარ წავიდოდნენ იმათ წინააღმდეგ და, რასაკვირველია, ეცდებოდნენ რაც შეიძლებოდა უფრო შორს გაქცეულიყვნენ (9. 330).

როდესაც მერმეროემ შეატყო, რომ მისმა ხრიკმა გასჭრა, მან „ფარდა ახადა თავის ეშმაკობას და გამოეცხადა სპარსელებს ისეთივე, როგორიც წინათ იყო", ამასთან ერთად ჯარი დასძრა და თავს წაადგა უზრუნველად მდგომ ბიზანტიელებს. უკანასკნელნი დაფრთხნენ და სარდალმა მარტინემ სამხედრო თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი სოფელი დატოვა.

პოზიციიდან ლტოლვილი მარტინეცა და მისი რაზმიც დანარჩენ ჯარს შეუერთდნენ. ახლა ბესა, იუსტინე და მარტინე ჯართან ერთად ტელეფისიდან სულ შვიდი სტადიონის* დაშორებით მდებარე სოფელში** შეჩერდნენ.

ამ დროს საძარცვავად მოსახლეობაში გასულ ბიზანტიელებს სპარსელები თავს წაადგნენ და ბევრი გაჟლიტეს. გადარჩენილები ბესას ბანაკში შეცვივდნენ ყვირილითა და ხმაურით. ამან მთელ ბანაკში არევდარევა შეიტანა. მაშინ სტრატეგოსებმა „თან წაასხეს მთელი ჯარი ლაჩრულად და უმწყობროდ გაემართნენ და მანამ არ შეუწყვეტიათ სირბილი სანამ ნესოსს*** არ მიაღწიეს. ნესოსი „სულ დიდი ხუთი ფარსანგით**** არის დაშორებული ტელეფისს (9. 36).

მეორე ადგილზე აგათია განმარტავს, რომ ნესოსი

---

* სტადიონი – ძველი ბერძნული მანძილის საზომი ერთეული იყო და 175 მეტრს უდრიდა. 30 სტადიონი 1 ფარსანგს შეადგენდა, რაც 5, 25 კმ-ს ტოლია.

** ამ სოფელს ლათინურად ოლლარია ერქვა, ბერძნულად კი „ქიტროპოლია". აქ ქოთნების სავაჭროაო, წერს აგათია (იხ. გეორგიკა, ტ. III, გვ. 34).

*** მდ. ნესოსი – ახლანდელი „ისულა", ვახუშტის მიხედვით ისულეთი (ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა. იხ. გეორგიკა. ტ. III, გვ. 41).

**** ფარსანგის შესახებ აგათია წერს: „ფარსანგი, როგორც ჰეროდოტე და ქსეხოფონტე ფიქრობენ, ოცდაათ სტადიონს უდრის, ხოლო ამჟამად იბერები და სპარსელები მხოლოდ ოცდაერთ სტადიონად თვლიან. ასე ფიქრობენ თვითონ ლაზებიც, ხოლო ამ სახელს კი არ უწოდებენ, არამედ „ანაპავლას" (შესასვენებელს) ეძახიან და ვფიქრობ, სრულიად სამართლიანადაც (გეორგია, ტ. III, გვ. 36-37).

ასორმოცდაათი სტადიონით არის დაცილებული ტელეფისის ციხესო (9. 37).

რაკი ხუთი ფარსანგი ასორმოცდაათი სტადიონია, მაშასადამე თითო ფარსანგი 5 კილმოეტრს უდრის. ს. ყაუხჩიშვილის აზრით 5, 25 კილომეტრს შეადგენს (9. 38-41).

ამრიგად, ტელეფისიდან და სხვა ადგილებიდან გაქცეულმა ბიზანტიელებმა დაახლოებით 25 კილომეტრი ირბინეს. ისინი შეჩერდნენ ერთ ადგილზე, რომელსაც აგათია სქოლასტიკოსი ასე აღწერს: „ფასისი და დოკონოსი* ცალ-ცალკე ჩამომდინარეობენ კავკასიის მთებიდან და თავში ძალიან არიან ერთმანეთს დაშორებული; აქ კი ადგილის მდებარეობით იძულებლნი ცოტ-ცოტა უახლოვდებიან ერთმანეთს და უკვე აღარ მოედინებიან დაშორებით. რომაელებს ერთი თხრილი გაუკეთებიათ და ფასის ნაკადი დოკონისში გადაუშვიათ, ასე რომ ეს ორივე მდინარე ერთდება ნესოის იმ ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მოქცეული, და ისინი გარს ერტყმიან იმ ადგილს. აქიდან ისინი კვლავ უხვევენ და დაბლობის მცირეოდენ ნაწილს იმწყვდევენ შუაში. შემდეგ, დასავლეთისაკენ რომ მიდიან წინ თავის თავად ერთვიან და, ბოლოს, ერთმანეთს შეერთვიან, ასე რომ მათ შუა მართლაც რომ კუნძული იქმნება"

როგორც ვხედავთ ლტოლვილმა ბიზანტიელმა მეომრებმა თავიანთ გამაგრებულ ბანაკს მიაღწიეს და იქ შეჩერდნენ (9. 38).

ბიზანტიელებს მეორე ბანაკიც ჰქონდათ. იგი მდებარეობდა მდ. ფაზისის შესართავთან. პროკოპი კესარიელი რამდენჯერმე ახსენებს ამ ბანაკს. შორაპნის ციხე რომ გაამაგრა, - წერს იგი, - მერმეროემ გაიგო, რომ „რომაელებსა და ლაზებს კვლავ თავი მოუყრიათ და მდ. ფაზისის შესართავთნ დაბანა-

---

* ს. ყაუხჩიშვილის აზრით დოკონოსი ტეხურას მეგრული სახელი უნდა იყოს. ტეხურა ქართულია (გეორგიკა, ტ. III, გვ. 37-36. 3).

კებულან" (2. 187-188).

აქ იყო აგრეთვე თავშეფარებული ლაზთა მეფე გუბაზიც. მერმეროემ ამ ბანაკზე გაილაშქრა და მოკავშირეები გაფანტა. გუბაზი მთებში გაიქცა (2. 204-205). პროკოპი სხვაგანაც ახსენებს ამ ბანაკს. კერძოდ, როდესაც ხოსროსგან დამხმარე ძალით გამაგრებულ მერმეროეს ლაზთა სიმაგრეების წინააღმდეგ გალაშქრებაზე საუბრობს, პროკოპი აღნიშნავს: მერმეროეს რომაელები არსად შეხვედრია, იმათ „მარტინეს მეთაურობით, მდინარე ფაზისის შესართავის მახლობლად რაც შეიძლებოდა მტკიცე პირობები შეექმნათ თავისთვის ადგილობრივი მდებარეობის წყალობით და იქ იდგნენ მშვიდად"-ო (2. 209).

ამრიგად, რომაელები თავიანთ ბანაკებში გამაგრდნენ და, ალბათ, თავდაცვისათვის დაიწყეს მზადება.

მაგრამ მერმეროემ მათ ბანაკებზე იერიში არ მიიტანა. იგი ჭკვიანი სარდალი იყო და მიხვდა, რომ ნესოსზე ლაშქრობაცა და, საერთოდ, წინსვლაც მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. გასაზიარებელია მერმეროეს თავშეკავების აგათიასეული ახსნა. „მან გადაწყვიტა არ განეგრძო წინსვლა და არც ნესოსზე მიეტანა იერიში, ვინაიდან არც სურსათის შოვნა იყო შესაძლებელი მტრის შუაგულ ქვეყანაში ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარისათვის და არც სხვა მხრივ ალყის შემორტყმისათვის მომზადება" (9. 38).

ამიტომ, მან, მთელ ჯართან ერთად ფაზისი გადალახა (9. 39-40), ონოგურის ციხეში დამატებითი რაზმები დატოვა, იქაურობა გაამაგრა და ქუთათისისა და მუხურისისკენ გაბრუნდა. ჩქარა ავად გახდა და ქართლში, კერძოდ, მცხეთაში, გარდაიცვალა*

---

* სპარსელებმა, თავიანთი წესის თანახმად, მერმეროეს გვამი ქალაქგარეთ გაიტანეს და შიშველი დააგდეს ნადირისა და ფრინველების საჯიჯგნად.

მეხუთე თავი
საბოლოო განხეთქილება ბიზანტია-ეგრისს შორის და გუბაზ მეფის დაღუპვა

§ 1. შეთქმულება გუბაზ მეფის წინააღმდეგ და მისი სიკვდილი

553 წლის ბრძოლებმა დასავლეთ საქართველოში სპარსელების უპირატესობა აშკარა გახდა. მოკავშირეებს – ბიზანტიელებს და ეგრისელებს, თითზე ჩამოსათვლელი გამაგრებული ადგილებიღა შერჩათ. მეტიც, დამარცხებული ჯარის უმრავლესობა, სარდლები და თვით მთავარსარდალი – პირველი სტრატეგოსი ბესა, ბანაკში ჩაიკეტნენ და ინიციატივა მთლიანად სპარსელებს დაუთმეს.

გუბაზ მეფე თავისი მოკავშირე ბიზანტიის ლაშქრის ამ მარცხს საკუთარი თვალით ხედავდა და, ეტყობა, ძალიან განიცდიდა. ეს გასაგებიც იყო. წარუმატებლობა პირადად მას, მის ოჯახს და, რა თქმა უნდა, ლაზეთსაც წელში წყვეტდა. გუბაზის პოლიტიკა აშკარად ჩიხში მოექცა. სპარსელების ძალით ბიზანტიელების განდევნის სურვილმა, რაც მან „დიდი ომიანობის" დასაწყისში მიზნად დაისახა, არ გამართლდა. მაგრამ არც ამის საწინააღმდეგო ნაბიჯმა მოიტანა შედეგი. ბიზანტიელების მხარეზე გადასულმა გუბაზმა თავის სამშობლოს სიმშვიდე ვერ აღირსა. ახლა, სპარსელებისთვისაც და ბიზანტიელებისთვისაც „მოღალატე" და „არასანდო კაცი" იყო, რადგან თითოჯერ ორივე მათგანს გადაუდგა.

მთებში გახიზნულ, შემდეგ კი ბიზანტიელების ბანაკში მჯდომ გუბაზს მდგომარეობაში გასარკვევად დიდი დრო ჰქონდა. ანდა, რა გარკვევა უნდოდა, როდესაც მისი მოკავშირე ბიზანტიელები გამაგრებულ ადგილებს ერთი-მეორის მიყოლებით უთმობდნენ მოწინააღმდეგეს. ვისთვის დაებრალებინა ყოველივე ეს? მაშ ვისზე გადაეტეხა ჯოხი?

გუბაზ მეფე ერთობ პირში მთქმელი კაცი ჩანს. როდესაც საქმე სამშობლოს დაცვას, მის ინტერესებს ეხება, იგი დაუნდობელია. ბიზანტიელ სტრატეგოსებს, ანუ სარდლებს არა მარტო პირში ახლის სიმართლეს, მათი უგერგილობის შესახებ ბიზანტიის საიმპერატორო კარსაც ატყობინებს. მან თავის დროზე იუსტინიანეს მთავარსარდლობიდან გადააყენებინა დაგისთე. იმპერატორმა იგი ციხეშიც კი ჩააგდო (1. 154-155). ახლაც, როდესაც მერმეროეს შემოტევების გამო, ბიზანტიელები სამარცხვინოდ გაიქცნენ და თავიანთი ბარგის ერთი ნაწილიც მტერს მიუტოვეს, აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით „ლაზთა მეფემ გუბაზმა, რომელსაც ასეთი სასირცხო საქმე შეუფერებლად მიაჩნდა და რომელსაც ეშინოდა ვაი თუ მის მეტი კიდევ რამე შეუფერებელი მოხდესო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი, ბრალს სდებდა სტრატეგოსებს და ყველაფერს რაც მოხდა, მათ უგუნურობას მიაწერდა, განსაკუთრებით ამტყუნებდა ბესას, მას შემდეგ მარტინესა და რუსტიკეს"(9. 43).

იუსტინიანე იმპერტორი გუბაზ მეფეს უჯერებდა. ამიტომ იყო, რომ მისი შეტყობინება სარწმუნოდ მიაჩნია და ბესა თანამდებობიდან გადააყენა. ამას გარდა მას მთელი ქონებაც ჩამოართვა და აბაზგიაში გაგზავნა საცხოვრებლად „სანამ მისთვის სხვა რამეს მოიფიქრებდნენ" (9. 44).

ბესამ იმპერატორის უკმაყოფილება მაშინ დაიმსახურა, როდესაც პეტრას აღების შემდეგ, თავის ხელქვეით ქალაქებში გაემგზავრა, რათა ხარკი აეკრიფა იქ. პროკოპი კესარიელის სიტყვით მან ამით დიდი შეცდომა დაუშვა: მას პირველ რიგში უნდა ჩაეკეტა იბერიიდან დასავლეთ საქართველოში გადასასვლელი გზები, რაც მერმეროეს ხელს შეუშლიდა ლაშქარი შეეყვანა იქ, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და მერმეროეც დიდი ძალებით შევიდა ლაზეთში (1. 184-185).

იმპერატორმა იუსტინიანემ ხანში შესულ მთავარსარდალს ეს შეცდომა გაუხსენა და თანამდებობიდან გადააყენა.

იმპერატორმა პირველ სტრატეგოსად ახლა მარტინე დანიშნა, მეორე სტრატეგოსად ისუტინე, ხოლო მესამედ – ბუზე (9. 44-45).

მარტინე, რომელსაც ლაზეთის ტერიტორიაზე მყოფი ბიზანტიის ლაშქრის მეთაურობა ჩააბეს, სამხედრო ასპარეზზე 531 წლიდან გვხვდება. იბრძვის სპარსეთისა და დასავლეთის ფრონტებზე. 540 წელს იგი კვლავ სპარსეთის ფრონტზე გაგზავეს და მონაწილეობა მიიღო დარას დაცვაში. 552 წელს კი ლაზეთშია და ბესასთან ერთად აწარმოებს ბრძოლას სპარსელებთან. 553 წლიდან ის უკვე მთავარსარდალია (9. 45. შენ. 1).

სამწუხაროდ გუბაზმა ვერც ახალ მთავარსარდალთან დაამყარა კარგი ურთიერთობა. აგათია სქოლასტიკოსი მიუთითებს, რომ გუბაზსა და ბიზანტიის ახალ სარდლობას შორის ურთიერთობა არასასურველი იყოო.

„წინათაც მუდამ ისე იყო, რომ გუბაზს მარტინესთან და რუსტიკესთან* კარგი ურთიერთობა კი არ ჰქონდა, არამედ მტრობა ღვივდებოდა მათ შორის, მძიმე და საშინელი, მაგრამ ის ჯერ დაფარული იყო. ეს მტრული ურთიერთობა ჯერ დაიწყო შურითა და ცილისწამებით, ხოლო შემდეგ უფრო და უფრო გაიზარდა განუწყვეტელ და უგუნურ იჭვნეულობად" – წერს იგი (9. 45).

როგორც ითქვა, მარტინე 552 წლიდან არის ეგრისში

---

* რუსტიკე წარმოშობით ელინოგალი იყო და ეკავა „მეფის საგანძურის იმ თანხების გამგებლის ადგილი, რომელიც ომის საგანგებო ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ გვხვდება მხოლოდ ომის დროს" (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 43 შენ. 1). იგი მთავარ შტაბშია და არც ფინანსთა მინისტრს ემორჩილება და არც მთავარსადალს. იგი პირდაპირ კეისარს ემორჩილება და მის წარმომადეგნლად ითვლებოდა. აგათია წერს: „არც ისე უმნიშვნელო იყო ეს კაცი, პირიქით, ფრიად შემძლებელიც და საიდუმლო საქმეებშიც ჩახედული. მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა არქონტთა განკარგულებებს, როდესაც იგი ეთანხმებოდა" (12. 43-44).

მყოფ ბიზანტიის ლაშქარში. ამიტომ ცხადია, რომ გუბაზსა და მას შორის ურთიერთობა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. აგათიას ცნობით ეს მტრობა ჯერ დაფარული იყო, მაგრამ შემდეგ თანდათან „განუწყვეტელ და უგუნურ" იჭვნეულობაში გადაიზარდა (9. 45).

აგათია სქოლასტიკოსი გულწრფელად აღნიშნავს, რომ დასახელებული პირები – მარტინე და რუსტიკე, თითოეულ მის ე. ი. გუბაზის ჩადენილ საქმეს უყურებდნენ დაჭრილი გულით და სრულიად მტრულად, აღვივებდნენ ბოღმას და აძლიერებდნენ" (12. 45).

ამრიგად, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ განხეთქილებისათვის სათავე ბიზანტიელებს დაუდვიათ. ეს აზრი კიდევ უფრო გვიმტკიცდება, როდესაც აგათიას შემდეგ ცნობასაც გავითვალისწინებთ: „როდესაც მან (გუბაზმა) შენიშნა მისდამი მათი სიძულვილი, რასაკვირველია სამაგიეროდ მიზღვევის საფუძველი მიეცა" (9. 45). ე. ი. გამოდის, რომ გუბაზმა მოგვიანებით შენიშნა „მათი სიძულვილი". ამრიგად, მას ჯერ მარტინეს და რუსტიკეს მხრიდან სიძულვილი უგვრძნია და „სამაგიეროს მიზღვევის საფუძველიც" შემდეგ გასჩენია. სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ გუბაზი – როგორც აგათია აღნიშნავს, მათ ხშირად აძაგებდა როგორც ლაჩრებსა და გაიძვერებს, რომ მათ ხელიდან არაფერი საქმე არ გამოდის. ნადიმებზე და კრებებზე მუდამ ზიზღით ეპყრობოდა და როდესაც შემთხვევით მეზობელი ტომების ელჩები მოვიდოდნენ, მაშინაც კი არც ცხრებოდა და არ ეშვებოდა (9. 45).

სამწუხაროდ, ორივე მხარე მხოლოდ საქმის გართულებისაკენ მიისწრაფოდა და ავიწყდებოდათ, რომ ერთმანეთში კინკლაობა სპარსელების წისქვილზე ასხამდა წყალს.

რა საფუძველი ჰქონდა ამ განხეთქილებას? 553 წელს, გუბაზის დაბეზღების საფუძველზე, იუსტინიანემ თანამდებობა და ქონება ჩამოართვა მთავარსარდალ ბესას. უფრო ადრე კი, როგორც ითქვა, იმპერატორმა, იმავე გუბაზის თხოვ-

ნით, თანამდებობიდან გადააყენა და ციხეში გამოამწყვდია მთავარსარდალი დაგისთე. გუბაზმა იგი ირანელების მიერ მოსყიდულ ადამიანად წარუდგინა იუსტინიანეს. ცხადია, მარტინე, ახალი მთავარსარდალი, გულდამშვიდებული ვერ იქნებოდა. გამორიცხული არ იყო, რომ გუბაზს მარტინეს მოქმედებაც არ მოწონებოდა და იუსტინიანესთან მის შესახებაც ეჩივლა. აგათია წერს: „მათ განსაკუთრებით აბრაზებდათ მათ მეფესთან (ე. ი. იუსტინიანესთან – ჯ. ს.) დაბეზღება და რადგან იცოდნენ, რომ კვლავ გააგზავნიდა საჩივარს, თუ ისინი კიდევ რამეში შესცდებოდნენ, ამიტომ განიზრახეს თავიდან მოეშორებინათ გუბაზი, რათა ერთი მხრით მისთვის სამაგიერო გადაეხადათ, ხოლო მეორე მხრივ, აღარ ჰქონოდათ ამიერიდან მისი შიში" (9. 46).

გუბაზზე განაწყენებულმა ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა კონსტანტინეპოლში რუსტიკეს ძმა იოანე გაგზავნეს და დაავალეს, რომ იმპერატორთან ენა მიეტანა, თითქოს გუბაზი სპარსელებს ემხრობა („სპარსელების მომხრეობას იჩენდა").

იოანე იმპერატორთან გამოცხადდა და განუცხადა: გუბაზი გადაგვიდგა, სპარსელებს მიუძღვება და საცაა მთელ ქვეყანას მათ გადასცემს თუ სასწრაფოდ რაიმე ზომას არ მოვიღებთ მის შესაკავებლადო (9. 46).

აგათია გვატყობინებს, რომ ამ ამბავმა იმპარატორი ძალზე შეაშფოთა („გაშტერებული დარჩა ამ დაუჯერებელი ამბით"-ო). მართალია საბოლოოდ არ დაიჯერა, მაგრამ „რაღაც საშუალო აზრს დაადგა"-ო.

საბედნიეროდ ისტორიკოსს იმპერატორისა და იოანეს საუბარი ჩაწერილი აქვს და ჩვენც მთლიანად მოვიტანთ მას.

> მაშ, მიიღეთ ზომები, რომ ის (ე. ი. გუბაზი – ჯ. ს.) აქ მოვიდეს. – (უთხრა იუსტინიანემ იოანეს – ჯ. ს.). იოანეს შეეშინდა, ვაი თუ, ის რომ აქ მოვიდეს, ჩვენი სიცერაგე გამომჟღავნდესო და მოახსენა:
>
> როგორ მოვიქცეთ, ბატონო, რომ თავისი ნებით არ ირ-

ჩიოს აქ გამოცხადება?

ძალა დაატანეთ, - უპასუხა მეფემ – ქვეშევრდომია. ყოველი ღონე იხმარეთ და გამოგზავნეთ.

იოანემ მაშინვე ჩამოართვა სიტყვა:

ძალას დავატანთ, მაგრამ წინააღმდეგობა რომ გაგვიწიოს, რა ვუყოთ?

სხვა რა უნდა უყოთ, - უპასუხა მეფემ, - ტირანული საქციელი უნდა დაისაჯოს, სასტიკად უნდა მოისრას.

მაშ, - თქვა იოანემ – არავითარი შიში არ უნდა ჰქონდეს იმას, ვინც მას მოკლავს?

რა საკვირველია არა, - უთხრა მეფემ, - თუ ის წინააღმდეგობას გასწევს და ურჩობას დაიწყებს, უნდა მოისპოს როგორც მტერი (9. 46-47).

ასე, რომ მარტინემ და რუსტიკემ თავის მიზანს მიაღწიეს – გუბაზის მოკვლის შესახებ იმპერტორისაგან თითქმის აშკარა დასტური მიიღეს. თითქმის აშკარაო, იმიტომ ვამბობთ, რომ იუსტინიანემ საბოლოოდ არ გამოააშკარავა გუბაზის მკაცრად დასჯის სურვილი. თუ ის წინააღმდეგობას გასწევს და ურჩობას დაიწყებს, უნდა მოისპოს როგორც მტერიო – შეფარვით ბრძანებს იგი.

იუსტინიანე თვალს ხუჭავს იმაზე, რომ იოანემ მას გუბაზი უკვე მოღალატედ წარუდგინა. „გადაგვიდგა და სპარსელებს მოუძღვება და საცაა მთელ ქვეყანას (ე. ი. ლაზეთს – ჯ. ს.) მას გადასცემს"-ო, - განაცხადა მან. იმპერატორის მიერ ასეთი კაცისათვის იმის თქმა, რომ თუ გუბაზი აქ წამოსვლაზე უარს იტყვის, უნდა მოისპოს, როგორც მტერი და იმას, ვინც მას მოკლავს, არავითარი შიში არ უნდა ჰქონდეს (რომ მე დავსჯიო), გუბაზის განწირვას ნიშნავდა. მით უმეტეს, რომ მან თავისი შეფარული თანხმობა წერილითაც დაადასტურა.

ცნობილია, რომ იმპერატორმა სტრატეგოსებს საგანგებო წერილიც გაუგზავნა იოანეს ხელით, სადაც დაახლოებით

იგივე აზრი გაიმეორა, რაც იოანეს პირადად უთხრა. აი, ეს წერილიც: „დაუჯერებელი და უცნაურია ის; რაც თქვენ მაცნობეთ, სახელდობრ, თითქოს გუბაზს სურდეს გადაუდგეს მამა-პაპის ადათს და თავის ძველ, ყველაფერში ერთაზროვნე წინამძღოლებს, ესე იგი რომაელებს და გადავიდეს მისდამი მტრულად განწყობილ, სრულიად უცხო და სხვა სარწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე. და ეს ჩაიდინოს იმ დროს, როდესაც მას ჩვენგან უსიამოვნო არაფერი შემთხვევია. მიუხედავად ამისა, რადგან ვიცით, რომ ადამიანს სჩვევია ცვალებადობა და მერყეობა და გარემოებათა ნაირნაირობასთან ერთად თვითონაც სხვადასხვაინარად იქცევა ხოლმე, ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ ვცანით სრული უნდობლობით მოვპყრობოდით იმ ამბავს (გუბაზის განდგომის შესახებ) და არ გვეზრუნა თავის დაცვაზე მის მიერ განზრახული თუ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ: ხოლო ჩვენ თვითონ მეტად გვაწუხებს და ყოველმხრივ გვაფიქრებს ეს საქმე, ვინაიდან არ არის ნათელი, თუ რით გათავდება ის. თუმცა შემაძრწუნებული და ამაღელვებელია ის, რომ მტკიცედ ვერავის დაეყრდნობი და მუდამ ეჭვითა და შიშით უნდა იყო აღვსილი თვით ძალიან კარგი მახლობლის მიმართაც კი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მივყვებით ბუნების კანონს (და ეს არის რომ ყველაფერში იმარჯვებს) და უნდობლობას ვიჩენთ, მაგრამ რათა გუბაზის მიმართ აჩქარებულად არ გადავდგათ მკაცრი და სასტიკი ნაბიჯი და არც სირბილე გამოვიჩინოთ რაიმე შეუფერებელ გარემოებათა გავლენით, ამიტომ, ორივე შემთხვევაში სინანულის თავიდან ასაცდენათ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შუა გზა აგვერჩია და ის კაცი (გუბაზი) აქ დაგვებარებინა, ამიტომ გავალებთ გამოგზავნოთ ის რაც შეიძლება მალე, ნებით ან ძალით. მაგრამ თუკი ის განზრახვას მიგიხვდებათ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაზე უარს განაცხადებს, შეიპყარით და წამოათრიეთ (ამის ნებას გაძლევთ მე თქვენ ამ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისხლტებათ და თქვენზე

იერიშს მიიტანს და, მაშასადამე ამა თუ იმ სახით ხელებს აღმართავს თქვენს წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ აშკარა საბუთები გვექნება მის განზრახვათა შესახებ და ამიერიდან შეგვიძლია ჩავთვალოთ მტრად, ისე რომ, თუ მას, ასე გათავხედებულს ვინმე კიდევაც მოჰკლავს, იმას უკანონო საქციელად არ ჩავუთვლით; ამ საქმისათვის არა თუ დასჯილი არ იქნება ის, როგორც მკვლელობის ჩამდენი, არამედ ქების ღირსიც იქნება, როგორც ტირანის მომსპობი" (9. 127-129).

ამრიგად, კონსტანტინოპოლში მეფე გუბაზს უკვე განაჩენი გამოუტანეს. ლაზეთში მდგომი ბიზანტიის ლაშქრის მთავარსარდალმა მარტინემ, იუსტინიანეს პირადმა წარმომადგენელმა რუსტიკემ და მისმა ძმამ – იოანემ თავიანთი განაზრახი, ფაქტობრივად, იმპერატორს შეუთანხმეს და ამის შესახებ მისგან საგანგებო დოკუმენტიც კი მიიღეს.

იუსტინიანე განათლებული კაცი იყო. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა იურისპუდენციას და ხატოვანი აზროვნებაც შეეძლო. გუბაზის მკვლელებთან საუბარში ცდილობს თავი ისე დაიჭიროს, ვითომ, სიმართლის გამორკვევის გარდა, არაფერი აინტერესებს. მაგრამ ამ საუბრიდან და მის მიერ გუბაზის დაპატიმრების ან მოკვლის წერილობითი დასტურიდან აშკარად ჩანს, რომ მან ლაზეთის მეფე გუბაზი სასიკვდილოდ განირა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ცოტა ხნის შემდეგ მან, ასევე, ვითომ სიმართლის დაცვის მიზნით, სიკვდილით დაასჯევინა გუბაზის მკვლელები რუსტიკე და მის ძმა იოანე.

გუბაზი მოთმინებით იტანდა სპარსელების მიერ მიყენებულ ყოველ შეურაცხყოფას, შიმშილს, სიცივეს და ბიზანტიელებთან კავშირს ინარჩუნებდა. მაშინაც კი, როდესაც არჩეული გზის შეცვლის მორალური უფლება ჰქონდა, - ცივ ზამთარში მთაში გახიზნულმა, უარი უთხრა სპარსეთის სარდალ მერმეროეს ხოსროსთან შერიგებაზე და ბიზანტიელებთან დარჩენა ამჯობინა.

მაგრამ, გუბაზის ერთგულებასაც თავისი საზღვარი

ჰქონდა. მისი ქვეყნის უდიდესი ნაწილი სპარსელებს ეკავათ ხელთ. ისედაც ღარიბი ქვეყანა კიდევ უფრო გაღატაკებული იყო. იმ მხარეში, სადაც შედარებით კარგი მოსავალი მოდიოდა – მუხურისში, სპარსელები იდგნენ. ბიზანტიელები კი, ვის იმედზეც იყო გუბაზი და, რომლებსაც ლაზეთში საკმაოდ დიდი ლაშქარი ჰყავდათ, ბრძოლას ბრძოლაზე აგებდნენ. ასეთ ვითარებაში მათთან მშვიდი ურთიერთობის შენარჩუნება გუბაზს არ შეეძლო. მის სამშობლოში სიწყნარე არ სუფევდა. ვერ ისვენებდა ვერც მისი ხალხი - ჩვენი შორეული წინაპრები. გუბაზი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა და რაკი უშუალოდ იმპერატორს ხელს ვერ ადებდა, ყველაფერს მის სარდლებს აბრალებდა. აი, ბიზანტიელ სარდლებთან უკმაყოფილების ჩამოვარდნის მთავარი მიზეზი. ასე იყო დაგისთესთან, ბესასთან და, ახლა, მარტინესთან.

როდესაც იუსტინიანესაგან სიტყვიერად და წერილობით ნაქეზებული იოანე ეგრისში დაბრუნდა და მარტინესა და რუსტიკეს ხელმწიფის ბეჭდით დამშვენებული ბრძანება მოუტანა, მათ წერილის წაკითხვის შემდეგ, საქმე მოგვარებულად ჩათვალეს და გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. მათ იხმეს იუსტინე და ბუზე და განუცხადეს, რომ საჭიროა გუბაზთან წასვლა, რათა ონოგურისში მყოფ სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობაზე მოვეთათბიროთო.

იუსტინემ და ბუზემ გუბაზს კაცები გაუგზავნეს და შეუთვალეს შენთან შეხვედრა გვსურსო. გუბაზმა რომ სტრატეგოსების სურვილი შეიტყო, მათთან შესახვედრად ხობის წყალთან წავიდა.

აგათია სქოლასტიკოსი გვაუწყებს, რომ იუსტინე და ბუზე შეხვედრაზე მცირე ამალის თანხლებით მოვიდნენ. ამალაში იყო რუსტიკეს ძმა იოანეც. რაც შეეხება გუბაზს, რაკი ბიზანტიელების მხრიდან ღალატს არ მოელოდა, იგი მცირე, თანაც უიარაღო და საბრძოლველად მოუმზადებელი თანმხლებლებით გამოცხადდა. მემატიანე სწორედ აღნიშნავს, რომ

„სხვანაირად როგორ მიეგებებოდა ის მეგობრებსა და მოკეთეებს, ამ ქვეყნის მცველებს არა მტრებს, არამედ პირიქით - უცხო ტომთა გამდევნელებს" (9. 47-48). მაგრამ ვაი, რომ ასე არ იყო.

აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, გუბაზი და ბიზანტიელები ერთმანეთს ხობის წყალთან შეხვდნენ. სამწუხაროდ, მას კონკრეტული ადგილი დასახელებული არ აქვს და მხოლოდ ზოგადად აცხადებს: „გუბაზი წავიდა ხობის წყალთან. აქ შეეგება ის უბედური მათ (ე. ი. სტრატეგოსებს - ჯ. ს.)*

ხობის წყალთან მოსული ლაზეთის მეფე გუბაზიცა და ბიზანტიელი სტრატეგოსებიც „ყველანი ცხენებზე ისხდნენ და ისე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, – გვაუწყებს აგათია სქოლასტიკოსი, მაშინ რუსტიკემ მეფეს მიმართა: „აბა, გუბაზ, სპარსელების წინააღმდეგ მივდივართ, რომლებიც ინოგურისში ჩამჯდარან; გამოგვყევი და ჩვენთან ერთად მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. სირცხვილი იქნება თუ ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის შუა გულში, მით უმეტეს, რომ ისინი მცირერიცხოვანნი არიან და ბრძოლის უნარითაც ვერ შეგვედრებიან"

„ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო თქვენ გეხებათ, - მიუგო გუბაზმა, - რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძღვით ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენს წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ქუდმოგლეჯილი გაიქცეოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან. ახლა კი, ძვირფასნო, თუ თქვენ ამბობთ, რომ დიდება გიყვართ და სარდლის ღირსების სიმაღლეზე დგახართ, თქვენი შეცდომა უნდა გამოასწოროთ. რაც

* ხობის მცხოვრებთა შორის შემორჩენილი გადმოცემით, მეფე გუბაზის მკვლელობა, დღევანდელი სარაიონო ცენტრ ხობის ფოსტა-ტელეგრაფის შენობის ახლო-მახლო ტერიტორიაზე მომხდარა.

შემეხება მე, არ გამოგყვებით და არც ომში ჩავებმები, სანამ თქვენს მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას არ უწამლებთ" (9. 48-49).

მეტისმეტად ცხარე და გამაღიზიანებელი პასუხია. გუბაზმა სასტიკად გამოლანძღა ბიზანტიელი სარდლები: უგუნურები, დაუდევრები, უსირცხვილოები, მშიშრები და კიდევ რა არ უწოდა. რაც მთავარია ლაშქრობაში დახმარებაზეც უარი უთხრა. რა იცოდა საწყალმა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე წამიღა რჩებოდა, თორემ იქნებ ტონი შეეცვალა და სიცოცხლე შეენარჩუნებინა. ის ხომ ჯერ კიდევ 30-31 წლის იყო.

გუბაზის სიტყვის პასუხად იოანემ, რუსტიკეს ძმამ, ხანჯალი იშიშვლა და მას მკერდში ჩასცა. ცხენიდან ძირს გადმოვარდნილმა მეფემ მიწაზე ფოფხვა დაიწყო და ცდილობდა ამდგარიყო, მაგრამ ამ დროს „ზედ წაადგა რუსტიკეს მეშუბე, რომელსაც ეს დავალებული ჰქონდა, მახვილით გაუჩეხა თავი და ბოლო მოუღო მის სიცოცხლეს" (9. 49-50; 37ᵇ.).

აი, ასე დაიღუპა მეფე გუბაზი. დიახ, დაიღუპა! ჩვენ შეგვეძლო აქ წერტილი დაგვესვა და შემდგომი მსჯელობა გაგვეგრძელებინა, მაგრამ როგორ შეიძლება მკვლევარი ისტორიკოსი აღელვების გარეშე გასცდეს ამ შემთხვევას. ჩვენს სამშობლოს ხომ მეფე მოუკლეს გადამთიელმა ბიზანტიელებმა? თანაც, როგორი წამებით მოჰკლეს! თითქოს სამსხვერპლოზე მიგდებული ზვარაკი ყოფილიყოს.

რამდენჯერაც ამ საკითხს ვეხები, იმდენჯერ წინ შემომეფეთება ხოლმე ცხენიდან ძირს ჩავარდნილი მეფე გუბაზის დათრგუნული სახე და, რაც მთავარია, გაოცებული თვალები, რომლებიც ერთდროულად გამოხატავდნენ მოახლოებული სიკვდილის შიშსაც და მოკავშირეთა საზიზღარი ღალატისაგან გამოწვეულ გაოცებასაც.

საწყალი! მიწაზე დაფოფხავდა, რომ თავი გადაერჩინა, მაგრამ აღარ აცალეს და პირზე მომდგარი სალანძღავი სიტყვები აღარ ათქმევინეს. მახვილით თავი გაუჩეხეს და სამუ-

დამოდ დაადუმეს.

ბედმა მაინც უმუხთლა. სპარსელთა მახვილს გადარჩენილი ბიზანტიურს ვეღარ გაუსხლტა და ხობის წყალთან სული დალია. ეს იყო 554 წელს.

იმ დღიდან, ალბათ ბევრმა ქართველმა ჩაიცვა შავები გლოვის ნიშნად, ბევრმა ქართველმა ჩაიკრა მკერდში მუშტი და დაიფიცა, ჩვენი მეფის სისხლს ავიღებთო და თავიანთი მრისხანება ბიზანტიელებისაგან განდგომით გამოხატეს. მაგრამ მერე და მერე ყველაფერი ჩაცხრა. მოკლული გუბაზი მისმა უმცროსმა ძმამ, ნათემ შეცვალა, ხოლო მეფის სისხლში ხელგასვრილი რუსტიკე და იოანე სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ ეს იყო მოგვიანებით. მანამ კი მეფე გუბაზის მოკვლის ამბავი ეგრისის (ლაზეთის) ყველა კუთხე-კუნჭულს ედებოდა და დიდსა თუ პატარას ბიზატიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობდა.

აგათია აღნიშნავს, რომ იუსტინეს და ბუზეს გუბაზის დაღუპვა ძალიან ეწყინათ, მაგრამ ისინი ხმას არ იღებდნენ, რადგან ეგონათ, რომ ყველაფერი იმპერატორ იუსტინიანეს დავალებით მოხდა. მათ საქმის ვითარება არ იცოდნენ. რუსტიკემ და იოანემ იუსტინეს და ბუზეს თავიანთი განაზრახი არ შეატყობინეს და ეს უკანასკნელნი იმიტომაც ვერ გარკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში (9. 49-50).

ეს იმდენად ამაზრზენი მკვლელობა იყო, რომ თანამემამულეების ქცევით განაწყენებული ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი გუბაზის მკვლელ იოანეს „ვერაგთა შიკრიკს უწოდებს (9. 49), ხოლო 554 წელს, ბიზანტიელების სასტიკ დამარცხებას ონოგურისთან მომხდარ ბრძოლაში, უსამართლოდ დაღვრილი გუბაზის სისხლის გამო მათ თავზე მოწეულ ღმერთის რისხვით ხსნის (9. 61).

555 წელს, როდესაც გუბაზის მკვლელებს ასამართლებდნენ, თავს რომ იცავდა, რუსტიკე აცხადებდა, რომ გუბაზის მოკვლით ჩვენს სამშობლოს, რომს დიდი სარგებლობა მოვუ-

ტანეთ, რადგან მოვკალით მოღალატე და ტირანი ლაზეთის მეფეო (9. 150-152). მაგრამ მან, ისევე როგორც მისმა ძმამ, იოანემ, ვერ გაითვალისწინა, რომ გუბაზის უკან მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იდგა და, მათი მეფის მოკვლის გამო, არავინ იცოდა ეს მოსახლეობა რას მოიმოქმედებდა. გამორიცხული არ იყო, რომ ამ მკვლელობას ლაზეთის სახელმწიფოს ბიზანტიისაგან განდგომა ან სხვა გართულება მოჰყოლოდა.

მართლაც ასე მოხდა. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, ამ მკვლელობამ ლაზთა ლაშქარი ისე ააღლევა, რომ მან გადაწყვიტა აღარ შეერთებოდა რომაელებს და აღარც მათთან ერთად ეომა. აგათია სქოლასტიკოსი წერს: „როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა" (9. 50).

განაწყენებული ეგრისელები თავს მეტისმეტად დამცირებულად თვლიდნენ და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდნენ.

§ 2. ეგრისის მოსახლეობის ანტიბიზანტიური განწყობის გაღრმავება და ახალი პოლიტიკური მიმართულების ძიება

აშკარაა, რომ მეფე გუბაზის დაღუპვა მთელ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას დაწყვეტდა გულს. მეტიც, ალბათ, აღმოსავლეთ საქართთველოს მრავალ პატრიოტ ქართველსაც ააცრემლებდა. არც არის გასაკვირი. დაიღუპა დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის მეთაური და მთელი ქართული მოდგმის სიამაყე. მწუხარებას ის უფრო აღრმავებდა, რომ იგი მოკლეს საკუთარმა მოკავში-

რე ბიზანტიელებმა, თანაც საგანგებოდ ხაზგასმული ცინიზმითა და უხეშობით.

იმდროინდელ ეგრისში სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების სახელმწიფო მოღვაწეები ჩანან, მაგრამ მეფის ასე ვერაგულად დაღუპვამ, ყველას ერთნაირად ატკინა გული. შურისძიების გრძნობამ ყველა გააერთიანა. ეგრისელი პატრიოტები სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ მათი მეფის მოკვლამ თვითონ ისინიც შეურაცხჰყო, ხოლო სამშობლოს დიდება ძირს დასცა და დაამდაბლა. ქვეყნის მესვეურები, ალბათ, ყველა საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლების სურვილს უწევდნენ ანგარიშს, როდესაც შექმნილ ვითარებაში გარკვევის მიზნით, ხალხს თავი მოუყარეს და სახელმწიფოს მომავალზე გამართეს მსჯელობა.

ამ თავყრილობის შესახებ ცნობები მხოლოდ ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს შემოუნახავს და, რაკი იგი ერთადერთი წყაროა, მისი დამოწმება ხშირად მოგვიწევს.

აგათია სქოლასტიკოსი გვაუწყებს, რომ გუბაზის მკვლელობით აღშფოთებულმა მოსახლეობის მესვეურებმა, ბიზანტიელებისაგან ფარულად, ხალხი კავკასიის ერთ ხეობაში შეკრიბეს და გამართეს მსჯელობა, თუ როგორ წარემართათ ამის შემდეგ ქვეყნის ბედი – შეენარჩუნებინათ კავშირი ბიზანტიასთან თუ ზურგი ექციათ მისთვის და ირანს მიმხრობოდნენ (9. 63).

ეტყობა ლაზ დიდებულებს კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გახმაურება არ სურდათ და ამიტომაც შეკრიბეს ხალხი საიდუმლოდ. მათი ქცევა ადვილი ასახსნელია. ჩანს, მათ შიში ჰქონდათ, რომ იმ შემთხვევაში თუ ყრილობა ბიზანტიისათვის ზურგის შექცევის და ირანთან დაკავშირების გადაწყვეტილებას მიიღებდა, ეგრისში მდგომი იმპერიის ლაშქარი დაუყოვნებლივ დამსჯელ ღონისძიებას გაატარებდა.

სამწუხაროდ, თავყრილობის საიდუმლოდ ჩატარება ვერ მოუხერხებიათ. ეტყობა ბიზანტიის ჯაშუშები მაინც მოხ-

ვდნენ კრებაზე და მისი მიმდინარეობაც საკმაოდ დაწვრილებით დააფიქსირეს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომის სახელმწიფოში, საკმაოდ განვითარებული იყო ე. წ. სტენოგრაფია* ანუ მალემწერლობა (104. 127-128).

ბიზანტიის მთავრობა უაღრესად ნაყიფიერად იყენებდა თავის „მალემწერლებს" ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ გუბაზის მკვლელთა გასამართლებაზე მონაწილეობდნენ კაცნი, „რომლებმაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპასხუპით". ეს ცნობა აგათია სქოლასტიკოსს ეკუთვნის (9. 125) და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მალემწერლებს არა მარტო შედარებით გვიან შემდგარი დასახელებული სასამართლოს მიმდინარეობა ჩაუწერიათ, ლაზთა საიდუმლო ყრილობის მსვლელობაც ზედმიწევნით ზუსტად აღუნუსხავთ და იმპერიის ცენტრისათვის გაუგზავნიათ. ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი წორედ ამ სტენოგრაფიული ჩანაწერებით სარგებლობდა, როდესაც თავის „ისტორიას" წერდა. ეს ჩანაწერები სახელმწიფო არქივში უნდა ყოფილიყო დაცული (106. 56-57).

როგორც ითქვა თავმოყრილ ლაზებს ერთი უმთავრესი საკითხის გადაჭრა ეწადათ. კერძოდ, უნდა გაერკვიათ გუბაზის დაღუპვის შემდეგ, რა გზას დადგომოდნენ – შეენარჩუნებინათ პოლიტიკური კავშირი ბიზანტიასთან თუ ირანის მხარეზე გადასულიყვნენ.

ეს ურთულესი საკითხი იყო. თვითონ გუბაზმა, თავისი

---

* დიონისე თრაკიელის „...გრამატიკის" ნაწყვეტის ძველი ქართული თარგმანის საფუძველზე, რომლეიც სათანადო განმარტებებით გამოაქვეყნა სიმ. ყაუხჩიშვილმა (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი. „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე", III, 1923, გვ. 184), აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ძველ ქართულ ენაში მალემწერლის ანუ სტენოგრაფის აღსანიშნავად საგანგებო ტერმინი „სიმიათა მწერალი" გამოიყენებოდა (105. 130).

მეფობის მთელ მანძილზე, რამდენჯერმე იცვალა პოლიტიკური ორიენტაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ვერც ბიზანტია მოიცილა თავიდან და ვეღარც მის გასადევნად მოწვეულ ირანს ამოაკვეთინა ფეხი ეგრისიდან. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მან მთლიანად დაჰკარგა კონტროლი მშობლიურ მიწა-წყალზე და ამ მიწა-წყლისთვის მებრძოლი ორი გარეშე ძალის პასიური მეთვალყურე შეიქმნა. რა გზას აირჩევდნენ ახლა უგუბაზოდ დარჩენილი ლაზები? ალბათ, ირანიცა და ბიზანტიაც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ლაზეთში მიმდინარე მოვლენების განვითარებას. რაკი ამ თავყრილობის გადაწყვეტილებას ეგრისის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა შეიძლება მოყოლოდა, საფიქრელია, რომ ორივე მხარე – ბიზანტიაც და ირანიც, ამ კრების შედეგებს ინტერესით ელოდნენ.

თავყრილობა დაძაბულად მიმდინარეობდა. მრავალი მონაწილე გამოვიდა სიტყვით და ურთიერთგამომრიცხავი წინადადებები წამოაყენა. ზოგი ირანთან კავშირის დამყარებას უჭერდა მხარს, ზოგი კი ბიზანტიასთან მეგობრულ მდგომარეობის გაგრძელებას ითხოვდა. აყალ-მაყალი და ყიჟინა როგორც იქნა აღიკვეთა. დიდებულებმა ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდეს, რათა ყველა გამომსვლელს მშვიდად და გასაგებად გამოეთქვა თავისი აზრი.

იმ მრავალრიცხოვან გამომსვლელთაგან, რომელთაც იმ დღეს ლაპარაკი მოუწიათ, აგათია ორ პიროვნებას გამოჰყოფს. ესენია აიეტი, რომელიც ცნობილი იყო როგორც „რომაელთა მოძულე და მუდამ სპარსელების მომხრე" და ფარტაძი.

პირველად აიეტს მოუწია გამოსვლა. სანამ იგი ლაპარაკს დაიწყებდა, ადგილიდან განაცხადა, რომ აქ საკამათო სრულიად არაფერია, ახლავე სპარსელების მხარეზე უნდა გადავიდეთო. მას უპასუხეს, რომ „არ გვმართებს ეგრე უცბად ცხოვრების გეზი შევცვალოთ, სანამ ზედმინევნით არ მოვი-

თათბირებთ, თუ რა იქნება უფრო უმჯობესიო".

მაშინ აღელვებული აიეტი წამოდგა, შუაში გავიდა და ლაპარაკი დაიწყო. ბიზანტიელი სიტორიკოსი, რომელიც მისი გამოსვლის ტექსტს კარგად იცნობს, მოხიბლულია კოლხი დიდებულის მსჯელობის სიღრმით. „ის მშვენივრად ლაპარაკობდა, - წერს აგათია სქოლასტიკოსი, - უფრო უკეთ, ვიდრე ბარბაროსებს სჩვევიათ. მის აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც" (9. 64).

აიეტის სიტყვით ბიზანტიელებმა თავისი უხამსი ქცევით ჩვენს ქვეყანაში ბევრჯერ დაამტკიცეს, რომ ვერაგები არიან. ამის საჩვენებლად საბუთების მოგონება საჭირო არ არის. მათგან უმთავრესი კი მეფე გუბაზის მკვლელობაა. ამ მკვლელობამ კოლხეთის ძველი ღირსება გააქრო და ქვეყნის საერთო მდგომარეობა გააუარესა: სულ არ არის გასაკვირი რომ ახლა იმითაც კი დაგვჩაგრონ ვიზეც აქამდე ჩვენ ვბრძანებლობდით. ასეთ ვითარებაში, - აღნიშნა აიეტმა, - უგუნურობაა იმაზე მსჯელობა გუბაზის მკვლელი ხალხი მტრებად ჩავთვალოთ თუ მეგობრებად.

აიეტმა სრულიად სამართლიანად მიუთითა გუბაზის მკვლელობაში იმპერატორ იუსტინიანეს მონაწილეობაზე. მისი აზრით სწორედ იმპერატორმა წააქეზა და ხელი შეუწყო ამ დიდ ბოროტებას. ჩვენსა და ბიზანტიელებს შორის მტრობა არ ყოფილა, ჩვენ არც რაიმე უსამართლობა ჩაგვიდენია, და მათთვის გაბრაზების საბაბი არ მიგვიცია, მაგრამ მათ „რა ჩვეულებაც ჰქონდათ, იმასვე მისდევენ, თითქოს ერთბაშად შეებყრას ისინი სიმხეცეს, სიგიჟეს, სიძულვილს და ყველა სხვა ამგვარ მოვლენას".

აიეტის სიტყვით, სულ სხვა ხასიათისა არიან სპარსელები. თუ მათ ვინმე მეგობრად გაიხადეს, ცდილობენ მათთან ურთიერთობაში უთუოდ დაიცვან სიყვარული. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „სჯობდა კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდეს მისი ძველი ძლიერება", რათა არავის დახმა-

რება არ დასჭირდეს, მაგრამ რაკი სხვათა კეთილისმსურველია, ურყევად იცავს კეთილგანწყობას თავისიანებისა და მოკავშირეების მიმართ.

აიეტის აზრით ფლიდ, მშიშარა, ცუდი ზნის ბიზანტიელების მხარეზე დგომა გაუმართლებელია. ლაზები სპარსელებს უნდა მიემხრონ და მათთან კავშირში დაამარცხონ ბიზანტიელები.

ბიზანტიელებს ადრეც არაერთხელ მიუყენებიათ შეურაცხყოფა, მაგრამ ვიტანდით. გუბაზის მკვლელობა კი ისეთი უბედურებაა, რომლის უყურადღებოდ დატოვება სამარცხვინო იქნება. საჭიროა, რომ ჩვენ დაღუპული მეფის სისხლი ავიღოთ. ეს კი სპარსელების მხარეზე გადასვლით მოხერხდება (9. 64-70; 31. 25-32).

აიეტის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავყრილობის მონაწილეებზე. აგათიას ცნობით „მთელი ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის ყვირილი მორთო. იმ დღესვე აპირებდნენ სპარსელების მხარეზე გადასვლას".

ამ ვითარებაში სიტყვა ითხოვა ფარტაძმა, რომელიც კოლხებს შორის გავლენიან და გონიერ ადამიანად ითვლებოდა. ფარტაძმა თავშეყრილთ მიმართა, რომ თავისი ლამაზი სიტყვებით აიეტმა ისინი მოატყუა და არასწორი გადაწყვეტილება მიაღებინა. მეც მეზიზღებიან გუბაზის მკვლელები და სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლას არ გირჩევთ.

აიეტი დიდი ხანია სპარსელების მომხრეობას იჩენს და სურს ჩვენც მათ მხარეზე გადაგვიყვანოს. მან თავისი სიტყვით კრება ისე წაიყვანა, რომ სპარსელების სასარგებლოდ განგაწყოთ. სინამდვილეში კი არც რომაულ რაზმებს, არც სტრატეგოსებს, მით უმეტეს, არც იმპერატორს არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ. ამიტომ სწორი არ იქნებოდა, თუ ერთი-ორი კაცის დანაშაულის გამო შემოვწყრებით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვაც გვაკის-

რია.

შემდეგ ფარტაძმა ყურადღება გაამახვილა ეგრისელებსა და სპარსელებს შორის არსებულ რელიგიურ განსხვავებულობაზე. მისი სიტყვით სპარსელების მხარეზე გადასვლა მართლმორწმუნეობის შებღალვა იქნება. თუ მათ დავემორჩილებით, ისინი ჩვენს რელიგიურ ყოფაში ჩაერევიან. იმის გამო, რომ სპარსელები სხვა სარწმუნოებას აღიარებენ, ჩვენი მეგობრები ვერასოდეს იქნებიან. ამას გარდა, სპარსელების მხარეზე გადასვლას რომ ვაპირებთ, ბიზანტიელებისაგან თავს როგორღა დავიცავთ. იბერიაში ჩამჯდარი სპარსელები როგორ დაგვიფარავენ მათგან, როდესაც ბიზანტიელები მთელ ჩვენს ქვეყანას და ქალაქებს ფლობენ?

ფარტაძმა ეჭვი შეიტანა აიეტის იმ განცხადების სიმართლეშიც, თითქოს შესაძელებელი იყოს ბიზანტიელების ადვილი დამარცხება. რაკი ცოტა ხნის წინ მათ სპარსელებთან მნიშვნელოვანი ბრძოლა წააგეს, ეს არ ნიშნავს, რომ მუდამ დათმობენ ბრძოლას. მისი სიტყვით ბრძოლის შედეგები ყოველთვის ერთინაირი არ არის. ხშირად დამარცხებულებიც იმარჯვებენ. ამიტომ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაკი ბიზანტიელებმა ერთხელ იწვნიეს მარცხი, ახლაც დავამარცხებთ (9. 70-81; 31. 33-42).

ფარტაძმა თავისი შეხედულების გასამტკიცებლად გუბაზის ავტორიტეტიც მოიშველია. გუბაზი რომ ახლა ცოცხალი იყოს, განაცხადა მან, - იგი აუცილებლად მოგვიწოდებდა, რომ არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით. ჩემი აზრით, - დააგვირგვინა თავისი მსჯელობა მან, - საჭიროა მომხდარი ამბავი ბიზანტიის იმპერატორს ვაუწყოთ, რათა მან ჩვენი მეფის მკვლელები დასაჯოს. თუ იგი ამას იზამს მათთან უთანხმოებასაც ბოლო მოეღება. მაგრამ თუკი იგი ჩვენს წინადადებას არ მიიღებს, მაშინ უნდა მოვითათბიროთ მეორე გზის ე. ი. მათთან კავშირის გაწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ.

ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა.

მაშინ ლაზთა მესვეურებმა იმპერატორ იუსტინიანეს წარმომადგენლები გაუგზავნეს, რომლებმაც მას დანვრილებით აუხსნეს თუ რატომ ჩაიდინეს მარტინემ და რუსტიკემ მეფე გუბაზის მკვლელობა. ისიც განუმარტეს, რომ გუბაზი არასოდეს ყოფილა სპარსელების მომხრე. გუბაზი ხშირად მიუთითებდა ხოლმე მარტინეს და რუსტიკეს მათ მიერ ჩადენილ შეცდომებზე, რის გამოც, ეს უკანასკნელნი მას ავი თვალით უყურებდნენ. სწორედ „მათ შეთითხნეს მის წინააღმდეგ ბრალდებები და დააბეზღეს ის და კიდეც მოკლეს სრულიად უდანაშაულო კაცი" (9. 81-82).

ლაზთა წარმომადგენლებმა ორი რამ თხოვეს იმპერატორს. 1) გუბაზის მკვლელების დასჯა და 2) ლაზეთის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის, წათეს გაგზავნა.

წათე იმ დროს ბიზანტიაში ცხოვრობდა.

იუსტინიანე იმპერატორი, ალბათ, უზომოდ კმაყოფილი დარჩა, რომ ლაზებმა ბიზანტიასთან ურთიერთობა არ გაწყვიტეს და მასთან კავშირი შეინარჩუნეს. ამიტომ, როგორც აგათია წერს, მან „სასწრაფოდ შეუსრულა ეს თხოვნა (ვინაიდან სრულიად სამართლიანად თვლიდა მას) და გააგზავნა ლაზეთში ათანასი, რომელსაც დაავალა ზედმიწევნით გამოეკვლია მომხდარი ამბავი და რომაული კანონების მიხედვით გაერჩია საქმე"

ლაზეთში ჩასულმა ათანასიმ რუსტიკე ქალაქ აფსარუნტში გაგზავნა და იქ, სატუსაღოში გამოამწყვდია. ცოტა მოგვიანებით აქვე ჩაიყვანეს მისი ძმა იოანეც. ათანასემ დაიწყო გუბაზის მკვლელობის საქმის გამოძიება.

555 წლის გაზაფხულზე, სტრატეგოს სოტერიქესთან ერთად, ლაზეთში მოვიდა ამ ქვეყნის ახალი მეფე წათე II. ქვეყნის საზღვარზე მას ღირსეული შეხვედრა მოუწყეს ლაზებმა აგრეთვე ეგრისში მყოფმა ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა და მეომრებმა. „ზეიმი იყო მეტად ბრწყინვალე და აღზე-

ვებული და უფრო მეტად გაზვიადებული, ვიდრე ეს ლაზთა სამეფოს შეეფერებოდა"-ო, - წერს აგათია (9. 84-85).

ამრიგად, 555 წლის გაზაფხულიდან დაიწყო ლაზეთის ახალი მეფის, წათე II-ის მმართველობის ხანა.

§ 3. გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება და დასჯა

ბიზანტიასა და სპარსეთს შორის კოლხეთში გაბატონებისათვის მიმდინარე ომი არც გუბაზის დაღუპვის შემდეგ შეწყვეტილა. მიუხედავად იმისა, რომ დაღუპული მეფე საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბრძოლების მსვლელობაში, საერთო ვითარება მშვიდობის ჩამოგდების საფუძველს არ იძლეოდა. ბიზანტიისა და სპარსეთის პოზიციები ძალიან კარგად გამოჩნდა ამ ქვეყნების მხედართმთავრების – სპარსელი ნახორანგისა და ბიზანტიელი მარტინეს პირისპირ შეხვედრის დროს.

თუ გინდა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორი ზავი ჩამოვარდეს – ურჩევდა ნახორანგი მარტინეს, - დატოვე ეს ადგილები და შენი ჯარით ტრაპეზუნტში გადადი. ჩვენ, სპარსელები კი, აქ დავრჩებით (9. 96).

საპასუხოდ მარტინემ მას იბერიაში გადასვლა ურჩია, თვითონ კი მუხურისში დარჩენის სურვილი გამოთქვა (9. 96). ასეთ ვითარებაში ომის დამთავრების შესახებ ლაპარაკი გამორიცხული იყო და სისხვლისღვრა ძველებურად გრძელდებოდა.

ცნობილია, რომ იგი საკმაოდ მოგვიანებით, 562 წელს დამთავრდა.

გუბაზის გარდაცვალების შემდგომი ხანის ბიზანტია-სპარსეთის ომის აღწერას ჩვენ აღარ გავაგრძელებთ. მოვლენები, რომელშიც გუბაზი არ მონაწილეობს ჩვენ ამჟამად არ

გვაინტერესებს. 555 წლიდან ლაზეთს ნათე II განაგებს და ეს ეპოქა ცალკე კვლევის საგანია. ახლა, მკითხველს, იმაზე მოვუთხრობთ თუ რა დაემართათ მეფე გუბაზის უშუალო მკვლელებს – რუსტიკეს და იოანეს.

მთელ 555 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის გაცხარებული ომი მიმდინარეობდა და უკანასკნელთათვის წარუმატებლად დამთავრდა. ფოთთან განცდილი მარცხის გამო, რომლის დროსაც ირანელებმა ათიათასზე მეტი მეომარი დაჰკარგეს, ხოსრო შაჰმა სარდალ ნახორანგს ცოცხლად გააძრო ტყავი.

555 წლის ზამთრის დასაწყისში ბრძოლები ჩვეულებრივ შეწყდა და მაშინ, ჯერ კიდევ ცოცხალი ნახორაგანი ქართლში გადავიდა გამოსაზამთრებლად*

რაკი ბრძოლა დროებით შეწყდა, ბიზანტიის სამეფო ხელისუფლებამ მოინდომა გუბაზის მკვლელთა გასამართლების საქმე აღარ გაეჭიანურებინა და ლაზეთის მოსახლეობისათვის მიცემული ეს მეორე პირობაც სისრულეში მოიყვანა. როგორც ითქვა, ბიზანტია-სპარსეთის ომს დასასრული ჯერ კიდევ არ უჩანდა და ბიზანტიელების მხარეზე ლაზების მონაწილეობის ხასიათი სახალხო კრების მიერ წამოყენებული იმ ორი პირობის დროულად და პატიოსნად შესრულებაზე იყო დამოკიდებული, რომლებიც გუბაზის სიკვდილის შემდეგ პირადად იუსტინიანეს მიერთვა. იუსტინიანემაც ყველაფერი გააკეთა ლაზების გულის მოსაგებად და 555 წელს „რომაელებმა რომ ომში გაიმარჯვეს და საომარი მოქმედება შეწყდა და უმალვე მინყნარდა იარაღის ჟღარუნი" იუსტინიანემ სასამართლო დანიშნა. იმპერატორმა ლაზეთში სასამართლოს უკეთ წარმართვის მიზნით დედაქალაქიდან საგანგებოდ გაგზავნა სწრაფმწერლები (სტენოგრაფები), ბოხხმიანი მაუწყებლები და გამ-

---

* ფოთისთვის ბრძოლის სრული აღწერა იხ. აგათია სქოლასტიკოსთან წიგნში „გეორგიკა", ტ. III, გვ. 98-124.

მათრახებელნი. ბიზანტიელებს თან მოეტანათ საწამებელი იარაღებიც.

სასამართლო რომაული ტრადიციების სრული დაცვით მიმდინარეობდა. ქლამიდაში გამოწყობილი ათანასი - იმპერატორის სასამართლო წარმომადგენელი, ერთ მაღალ სავარძელში ჩაჯდა. მარცხნივ ბრალდებულები რუსტიკე და იოანე დააყენეს, მარჯვნივ კი ბრალმდებლები – დარბაისელი კოლხები.

კოლხების მოთხოვნით, პირველ რიგში, იუსტინიანე იმპერატორის ის წერილი წაიკითხეს, რომელიც იოანემ სტრატეგოსებს კონსტანტინოპოლიდან ჩამოუტანა.

ზემოთ ჩვენ ეს წერილი მთლიანად მოვიტანეთ. როგორც მკითხველს ახსოვს მასში ლაპარაკი იყო დაბეზღებული გუბაზის იმპერიის ცენტრში ჩაყვანის აუცილებლობაზე. ეს უნდა მომხდარიყო ნებით ან ძალით. თუკი გუბაზი წასვლაზე უარს განაცხადებდა იმპერატორი თავის სტრატეგოსებს ნებას რთავდა შეეპყროთ იგი და ძალით წაეყვანათ იმპერიაში. მაგრამ თუკი იგი გაუსხლტებოდათ და მათ წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, ამით თავის მტრობას დაამტკიცებდა, რის შემდეგაც მისი მოკვლაც შეიძლებოდა. მკვლელი კი არ დაისჯებოდა, პირიქით, როგორც ტირანის მომსპობი, ქებასაც კი დაიმსახურებდა.

ამის შემდეგ სიტყვა კოლხ მბრალდებელს მიეცა. უნდა აღინიშნოს, რომ ბრალმდებლები ბერძნულ ენაზე გამოდიოდნენ, მაგრამ მათმა წარმომადგენელმა ისეთი ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, რომ კაცი აღტაცების გარეშე ვერ წაიკითხავს*

რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომლებმაც

---

* სრულიად სამართლიანად იქცევა პროფ. ნ კანდელაკი, როდესაც კოლხი ბრალმდებლის სიტყვას მჭერმეტყველების მაგალითად თვლის და აიეტისა და ფარტაძის სიტყვების გვერდით ათავსებს (იხ. ნ. კანდელაკი, ქართული მჭერმეტყველება, I, გვ. 43-46).

ასე შეუპოვრად მოჰკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე გუბაზი? – აღშფოთებით კითხულობს იგი. – ამით მათ, თქვენს მტრებს, სამსახური გაუწიეს. იგი ხომ მეფე იყო, მაღალი გვარისა და ვაჟკაცობით განთქმული. რომაელთა საქმეებისათვის მუდამ მკვლელზე უფრო ერთგული.

ორატორი თანდათან ააშკარავებს მკვლელთა მაცდურობას, ორპირობას და ვერაგობას. მას ბოროტმოქმედებად მიაჩნია დამნაშავეთა განცხადება, თითქოს თავიანთი ქვეყნის სასარგებლო საქმე ჩაიდინეს, როცა გუბაზი მიჰკლეს. მისი აზრით მკვლელთა ამ განცხადებაში შეურიგებელი წინააღმდეგობაა.

ორატორი აღშფოთებულია იმით, რომ მკვლელები გუბაზს მედიზმს – მიდიელთა მხარეზე გადასვლას აბრალებენ. ეს ჯერ განაჩენის გამოტანას და მერე კი ბრალდების წაყენებას ნიშნავსო, – აღნიშნავს იგი.

ამის შემდეგ კოლხი ორატორი აღწერს მკვლელთა მოტივებს, მიუთითებს მათ უსაფუძვლობაზე.

– ვინ იყო, რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენი კეთილი განწყობილება? ვინ იყო, რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და იმ დროს, როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? – აცხადებს იგი.

გუბაზისაგან ჩადენილ კიდევ ბევრ სიკეთეს მოაგონებს ორატორი რომაელებს (9. 138). გუბაზი რომ მართლაც დამნაშავე ყოფილიყო, აცხადებს იგი, მისი საქმე დინჯად უნდა გაერჩია იმპერატორს და დაენიშნა სათანადო სასჯელი, მაგრამ მკვლელებს არ ჰქონდათ მისი მოკვლისათვის არავითარი კანონიერი საბუთი და უფრო შურიანობით გაღიზიანებულებმა ჩაიდინეს ის ბოროტება. მათ იმით დიდი თავნებობა ჩაიდინეს. მათ არ გაითვალისწინეს არსებული ვითარება. მძიმე ომში

გონიერი კაცი უცხო და ჯერ კიდევ უცნობ ერებსაც კი კარგად მოეპყრობოდა და თავისკენ მიიზიდავდა. ამათ კი რა გააკეთეს? სულ მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით. ამიტომ მათ ისეთი ღირსეული სასჯელი უნდა მივუყენოთ, რომლის გამოძებნასაც შევძლებთ.

კოლხი ორატორის შემდეგ, სიტყვა რუსტიკეს და მის ძმას იოანეს მიეცათ. ორივეს ნაცვლად თავის დასაცავი სიტყვა რუსტიკემ წარმოსთქვა. მან გულახდილად აღიარა, რომ გუბაზი წინასწარ განზრახვით მოჰკლეს, რადგან ბიზანტიის მტერი იყო.

რუსტიკეს სიტყვით გუბაზის მოღალატეობა შემდეგ ფაქტებში ჩანს: ჩვენ რომ წვალებაში ვიყავით და ყოველგვარ ხიფათში ვებმოდით, რათა მტერს თავისი გულისნადები არ ასრულებოდა, გუბაზი თვისტომებთან ერთად შინ იჯდა და საწვალებელ საქმეს თავს არიდებდა. ამას გარდა ყურადღებით ადევნებდა თვალს ბრძოლების მიმდინარეობას და თუ რომაელები ბრძოლაში გაიმარჯვებდნენ, ის ამ წარმატებას სასაცილოდ იგდებდა. ამით იგი მიღწეულის გაბათილებას ცდილობდა. თვით საქმესაც და შედეგსაც უმნიშვნელოდ თვლიდა. ჩვენს წარმატებასაც ბედს მიაწერდა. თუ კი ფეხი დაგვიცდებოდა, მაშინ ბედს დაივიწყებდა და ყველაფერს ჩვენს სულიერ სილაჩრეს, მარჯვენის სისუსტეს და გეგმის უვარგისობას აწერდა. ჩვენს წარუმატებლობას იგი ხმამაღლა აცხადებდა და აცნობებდა ხოლმე სპარსელებს. ამას გარდა, შიკრიკებს აგზავნიდა იბერიაში, სვანეთში და კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ტომებთანაც და მათაც აუწყებდა ჩვენი მარცხის შესახებ. ამით მას სურდა ბარბაროსთა შორის ჩვენი მეფის უძლეველობის აზრი შეერყია. ვინაიდან გუბაზი ჭმუნვას ეძლეოდა, როდესაც ჩვენ ვიმარჯვებდით და ხარობდა, როდესაც მარცხი მოგვდიოდა, იგი დასასჯელი იყო.

გუბაზი აშკარად გაგვიდგა. ონოგურისის ციხეზე სალაშქროდ რომ მივდიოდით ვთხოვეთ გვერდში ამოგვდგომო-

და და ჩვენთან ერთად ებრძოლა მასში მდგომი სპარსელთა ჯარის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენთან ერთად ლაშქრობაზე მან უარი თქვა. იგი არც კი მოვიდა ჩვენთან და თავშეკავების მიზეზიც კი არ დაასახელა.

გუბაზი სიძულვილით უცქერდა ჩვენს სტრატეგოსებს და მტრობდა მათ. იგი მათ საქმიანობას საქვეყნოდ დასცინოდა. ჩვენ აღარ დავუცადეთ მისი მოღალატური ხასიათის დამადასტურებელ სხვა საბუთებს. გუბაზი მოვკალით, რითაც ბოლო მოვუღეთ მის და მისი ხალხის მიერ წამოწყებულ სხვადასხვა გართულებებს.

ჩვენ არ ვღებულობთ სხვადასხვა საყვედურებს, მსაჯული რომ გვეუბნება გუბაზისათვის იმპერატორის წერილის არ ჩვენების გამო. იგი ჩვენს მცირე მოთხოვნასაც არ ასრულებდა და ბიზანტიაში როგორ გამოგვყვებოდა?

ჩვენ იძულებული გავხდით იმ უკიდურესი საშუალებისათვის მიგვემართა, რაც ჩავიდინეთ დაცდის საშუალებას სპარსელები არ იძლეოდნენ, რომლებიც გუბაზის დახმარებით მთელი კოლხეთის ხელთ გდებას ცდილობდნენ. ჩვენ იმპერატორისა და რომის სახელმწიფოს ერთგულნი ვართ. ჭეშმარიტად კარგი და სამართლიანი საქმე ჩავიდინეთ და თანაც დროული (9. 141-152).

ბიზანტიის იმპერიის სენატის წარმომადგენელი ათანასი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გუბაზის მკვლელობის საქმის გამოკვლევა და რომაული კანონების მიხედვით გარჩევა, ხედავდა, რომ, გუბაზის საქციელში მოღალატური არაფერი იყო. გაირკვა, რომ მან ბიზანტიელებთან ერთად ლაშქრობაზე მიდიელების (ე. ი. სპარსელების) ერთგულების გამო კი არ თქვა უარი, არამედ იმიტომ, რომ ნაწყენი იყო სტრატეგოსებზე, რომლებმაც უგუნურობისა და დაუდევრობის გამო დაკარგეს ციხე ონოგურისი (9. 152-153).

მაგრამ, ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსტიკეს მიერ გუბაზისადმი წაყენებული ზოგიერთი ბრალდება

ნამდვილი იყო.

გუბაზ მეფე თავიდანვე ვერ იტანდა ბიზანტიელებს და, როგორც ცნობილია, მათ წინააღმდეგ საბრძოლეველად ხოსრო შაჰიც მოიწვია. მართალია ხოსროს ვერაგული გეგმების გამომჟღავნების შემდეგ მან ზურგი აქცია სპარსელებს და ბიზანტიელების მხარეზე გადასული ახლა მათ წინააღმდეგ იქნევს მახვილს, მაგრამ ეტყობა, რომ თავისი ძველი განწყობა ბოლომდე ვერ დაივიწყა. ბიზანტიელებს არ ერთგულებდა. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ სპარსელებთან თანამშრომლობდაო. ეს რასაიდან არ ჩანს. გუბაზს ჰქონდა საშუალება კვლავ შერიგებოდა ხოსრო შაჰს. სპარსეთის სარდალი მას ირანის მბრძაენბელთან შუამდგომლობას თავაზობდა, მაგრამ ეს არ გააკეთა. რაც შეეხება მის ამპარტავნულ დამოკიდებულებას ბიზანტიის სარდლების მიმართ, ეს ბიზანტიელ ისტორიკოსს აშკარად აქვს დადასტურებული. შეიძლება ბიზანტიელების მარცხს მართლაც აგებინებდა თავის ძმებს იბერიელებს, სვანებს და ზოგიერთ ჩრდილოკავკასიელ მოკავშირეს. ისიც საფიქრებელია, რომ შეიძლება მან იმპერტორის წერილიც უგულებელჰყო, რომელიც მას კონსტანინოპოლში წასვლას და იუსტინიანეს წინაშე თავის მართლებას ავალებდა. გუბაზი თავს კოლხეთის სრულუფლებიან პატრონად თვლიდა და საკუთარი ღირსების შეგნების გამო, თავს არავის უმდაბლებდა. მან იცოდა, რომ როგორც ბიზანტია, ისე სპარსეთი ლაზეთის საკუთარ კლანჭებში მოხვედრისათვის იბრძოდნენ და ბოლომდე არცერთს არ ენდობოდა. მას თავისი ქვეყნის თავისუფლება და ლაზთა ლაშქრის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება სურდა. ტყუილად უკიჟინებდნენ ბიზანტიელი სტრატეგოსები ჩვენთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობას არ ღებულობსო. უკთე თოთხმეტი წელი იყო ლაზეთის მიწაზე ცეცხლი ბრიალებდა და ყველაფერს დაუნდობლად ანადგურებდა. რამდენი ბრძოლა შეეძლო პატარა ლეზეთის ლაშქარს?

ბიზანტიის იმპერიის დიდკაცი ათანასი გულში, ალბათ იწონებდა რუსტიკეს მგზნებარე სიტყვებს ორჭოფი გუბაზის, როგორც ბიზანტიის სახელმწიფოს არასაიმედო მოკავშირის, მოკვლის აუცილებლობის შესახებ. აგათია გვაუწყებს, რომ რუსტიკემ რომ სიტყვა დაასრულა „ათანასი ჯერ კარგად შეხვდა რუსტიკეს სიტყვებს", მაგრამ გუბაზის მკვლელობის საქმე პოლიტიკას იყო გადაჯაჭვული. საჭირო იყო კოლხების გულის მოგება. ეს როგორც იმპერიის ისე იმპერატორის ინტერესებში შედიოდა. რაკი კოლხები მათ დანაშავეებად თვლიდნენ, გუბაზის მკვლელთა დაუსჯელობა არ შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეეძლოთ ბიზანტიელების მხარეზე არ დამდგარიყვნენ, რითაც სპარსელების წისქვილზე დაასხამდა წყალს.

რაკი მკვლელთა გასამართლება რომაული წესის მქონე სასამართლოზე ხდებოდა, შეიძლება ძმებს თავიც კი ემართლათ. მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზოგიერთმა გარემოებამ მოახდინა გავლენა. პირვლი იყო იმპერატორ იუსტინანეს წერილობითი განაჩენი, „რომელშიც მეფე ბრძანებდა რაც შეიძლება მალე დაესაჯათ ისინი და სასამართლოს მახვილით თავი მოეკვეთათ" (9. 152-153).

რატომ ჩქარობდა იმპერატორი რუსტიკეს და იოანეს სიკვდილით დასჯას? ალბათ, ისევ და ისევ კოლხების დაშოშმინების მიზნით. იუსტინიანემ სასამართლომდე გაცილებით ადრე მისცა პირობა კოლხეთის წარმომადგენელს, რომ გუბაზის მკვლელობის მომწყობებს დაუსჯელს არ დატოვებდა*.

როგორც ჩანს იმპერატორის ეს წერილობითი განაჩენი უშუალოდ ათანასის გაეგზავნა. ეტყობა სწორედ მასში იყო მითითებული მკვლელთა სიკვდილით დასჯის აუცილებლო-

---

* როგორც უკვე ითქვა კოლხეთის წარმომადგენლებმა იმპერატორს ორი რამე სთხოვეს: დაუსჯელი არ დაეტოვა ეს ბოროტმოქმედება (გუბაზის მკვლელების საქმე) და ლაზეთის მეფედ გუბაზის ძმა წათე დაესვა.

ბის შესახებ.

მეორე, რამაც რუსტიკესა და იოანეს საქმე სიკვდილით დასჯამდე მიიყვანა, სასამართლოს მიმდინარეობაზე კოლხების საკმაოდ აქტიური ზეწოლა იყო. აგათიას ცნობით სასამართლოს მიმდინარეობისას კოლხთა ლაშქარი იქვე იდგა და მის წევრებს უაღრესად აგრესიულად ეჭირათ თავი. მართალია მათ „არც ნათქვამი სიტყვები ესმოდათ კარგად და არც აზრების მნიშვნელობის გაგებაც შეეძლოთ, მაგრამ იმას კი ხვდებოდნენ ისინი, თუ რის შესახებ იყო თითოეული მათგანი გამოთქმული. და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდნენ და მათთან ერთად მიხვრა-მოხვრასაც იცვლიდნენ: ისინი იცვლიდნენ გუნებას იმისდა მიხედვით იმედს ამჩნევდნენ ბრალმდებელს (კოლხს – ჯ. ს.) თუ სასოწარკვეთას. შემდეგ, როცა მათ ლაპარაკი დაამთავრეს და მსაჯული ცოტა ხნით შეჩერდა დაფიქრებული, იმათ ჩუმად დაიწყეს ბუზღუნი და უკმაყოფილების გამოცხადება, რატომ ახლავე არ მიჰყავთ მტრები დასასჯელადო. ხოლო როდესაც მსაჯულმა მოუწოდა ბრალდებულებს ეთქვათ რისი თქმაც სურდათ, მაშინ ხალხმა (ე. ი. კოლხმა) აშკარად იწყო ყვირილი და ბუზღუნი და ეს ხმები კიდევ უფრო ნათდალ ისმოდა" (9. 140-141).

ცხადია, რომ მკვლელთა სიკვდილით დაუსჯელობის შემთხვევაში ეს ლაშქარი არაფერს მოერიდებოდა და თავისი მეფის სისხლს აიღებდა. რაც მთავარია, თვითონ იუსტინიანე იმპერატორსაც ცრუდ და სიტყვის გამტეხად ჩათვლიდა. ეს კი ლაზეთის ახალ განდგომას ნიშნავდა. ჭკვიანი იუსტინიანე კარგად გრძნობდა ამ საშიშროებას და, დროულად გამოგზავნილი წერილობითი განაჩენით, ათანასის სასურველი გეზი მისცა.

დამნაშავედ მიჩნეული ძმები რუსტიკე და იოანე ჯორებზე შესვეს და ქალაქის ქუჩებში აატარ-ჩამოატარეს. დასასჯელებს გვერდით გზირი მისდევდათ და ხმამაღლა გაჰყვიროდა:

გეშინოდეთ კანონების და თავი შეიკავეთ უსამართლო მკვლელობისაგანო.

შემდეგ ორივე ძმას ყელები გამოჭრეს (9. 53).

ასე დაისაჯნენ მეფე გუბაზის მკვლელები!

მეტი რაღა გითხრათ? დიახ, გუბაზის მკვლელებიც დაისაჯნენ, მაგრამ დაღუპულ მეფეს რა მიემატა? მისი სიცოცხლე მაშინ დასრულდა, როდესაც იოანეს მიერ ნაძგერებმა მახვილმა ცხენიდან ძირს დასცა, ხოლო რუსტიკეს მეშუბემ ხანჯლით თავი გაუჩეხა. მაშინ დასრულდა მისი მეფობაც. მაგრამ კარგია, რომ სამართალმა მაინც პური ჭამა.

***

და აი, ჩვენი წიგნიც დასრულდა. ვინც მას ბოლომდე გულდასმით წაიკითხავს, არ შეიძლება თვალწინ არ დაუდგეს ამ დიდებული კაცის დაძაბული, მოუსვენარი ცხოვრება. არ შეიძლება გულში არ ჩარჩეს მისი ქიშპობა იმდროინდელი მსოფლის ყველაზე დიდ იმპერიებთან და ხელმწიფეებთან, მისი გამარჯვებებისა და დასანანი მარცხების რიგი.

მთელი ცამეტი წელი იტრიალა მან მთელი მსოფლიოს თვალწინ. მასზე წერდნენ მაშინდელი ისტორიკოსები, მასზე დაწვრილებით ცნობებს აგროვებდნენ ირანისა თუ ბიზანტიის დიპლომატები.

საოცარი ბედი ჰქონდა. მოკავშირეები მტრულად ექცეოდნენ, თუმცა მტრების შერიგების ნიჭიც გააჩნდა. სულ დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ თავისი სამშობლო სისუსტის გამო, შესამჩნევ წარმატებას ვერ აღწევდა.

რაკი მისი მოკავშირეები (ჯერ ირანი, მერე კი ბიზანტია) უშუალოდ ლაზეთის (ეგრისის) მიწა-წყალზე ტრიალებდნენ, მოწინააღმდეგესაც იმავე ტერიტორიაზე უსწორებდნენ ანგარიშს, დროთა განმავლობაში მის საძულველ ძალებად იქცეოდნენ და მათსა და გუბაზს შორის მტრული ურთიერთობა ჩნდებოდა. სპარსეთის შაჰმა ხოსრომ, ლაზეთიდან ბიზანტიის

გასადევნად თვით გუბაზის მიერ მოწვეულმა ხელმწიფემ, მას მკვლელები მიუგზავნა და ისიც ბეწვზე გადარჩა სიკვდილს. ბიზანტიის იმპერატორმა კი, რომელიც მას ლაზეთიდან სპარსეთის განდევნაში „ეხმარებოდა", იგი პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვისა და ახალი მფარველის ძიებისათვის მოაკვლევინა.

იგი ნამდვილი წმინდანივით დაიღუპა და სამშობლოსათვის დატანჯული დანარჩენი ქართველი მოღვაწეების რიგში ჩადგა.

***

ახლა, რაკი ჩვენი წიგნი დამთავრდა, შეიძლება თავს ვკითხოთ: მივაღწიეთ იმ მიზანს, რაც ნაშრომის შესავალში დავისახეთ, ანუ წარმოვაჩინეთ გუბაზის სახე, დავხატეთ ის ეპოქა, რომელშიც იგი მოღვაწეობდა და ბოლოს, ვაჩვენეთ საკუთარი სამშობლოს მდგომარეობიდან გამომდინარე გუბაზის ფიზიკური და სულიერი ტანჯვა?

ცხადია, მთელი წინამდებარე ნაშრომი ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდაა. მაგრამ თუ როგორი პასუხი გამოგვივიდა, ეს მკითხველმა უნდა შეაფასოს.

მე კი, წიგნის ავტორი, თავს ბედნიერად ჩავთვლი თუ ეს შეფასება დადებითი იქნება.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფ. 1934.
2. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1965 წ.
3. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I, თბ., 1979 წ.
4. Прокопий Кесарийский. История войн с гомами. Перевод С. Кондратиева. М., 1950.
5. Зарубежная прокопиана 80-х годов. Византийский временник, том 48. М., 1987.
6. Procopii Caessariensis, viri illustris Avelnboia Arcana histoiria. Gui est liber nonus historiarum. Ex biblioteca Vaticana Nicolaus Alltmanus protulit, latine reddidit, notis illustrautt. Lugduni 1623.
7. Svidae. Lexicon. v. II, A. 1853.
8. პროკოპი კესარიელი. საიდუმლო ისტორია. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემაძემ. თბ., 1989 წ.
9. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფ. 1936 წ.
10. დიუბუა დე მონპერე. კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამდინ საქართველოში ყეენის ქასრესი. თარგმანი ი. მოსიძის. ჟურნ. „ცისკარი". 1864 წ. ივნისის-ივლისის და აგვისტოს ნომრები.
11. Dubois de Montpereux, Voyage Autour du Caucase, cher les

Tcherkess et les Abkases, en Colchide, en Ceorgie, en Armenie et en Crime. v. 1-6, 1839-45.
12. Dubois de Montpereux, Fr. Reise um dem Kaukasus, zu den Tscherkessen und Abchasen, nach Kolchis, Georgien, Armenien und in die Krim von Fr. Dubois de Montpereux. Nach dem Fränzösichen. Bd. II. Mit sieben Abbindulgen und 1 Charte. Darmstadt. Druck und verlag von C. W. Leske. 1843.
13. Путешествия по южным областиям России Дюбуа де Монпере. Демидов...
14. Фредерик Дюбуа де Монперэ «Путешествие вокруг Кавказа у Черкесов и Абхазов в Колхиде, в Грузии, в Армении и в Крыму. том. I. Перевод с Французского Н. А. Данкевич-Пушиной. Сухуми. 1937 г.
15. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I, თბ., 1960 წ.
16. ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941 წ.
17. გ. გოზალიშვილი. ბიზანტია-ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში. თსუ შრომები. 1944 წ. ტ. 26.
18. ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. წიგნში: ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I, თბ., 1949 წ.
19. ვ. გუჩუა. გადავხედოთ წარსულს. თბ., 1967 წ.
20. ა. ბოგვერაძე. ბრძოლა ირანელი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ეგრისში. წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. II, თბ., 1973 წ.
21. ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები. წ. I. თბ., 1976 წ.
22. ლ. სანიკიძე. დედა ისტორია. ნაკვ. პირველი. ოქროს საწმისიდან ბაზალეთამდე. თბ., 1992 წ.
23. გ. სანიკიძე, ლ. სანიკიძე. უბის ისტორია. I. ქართული ბიბლიოგრაფია (მეფეთა ნუსხა) თბ., 1992 წ.
24. შ. ბადრიძე. საქართველოს ისტორია (მოკლე სალექციო

კურსი) ნ. I, თბ., 1994 წ.
25. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. I (უძველესი დროიდან XIX ს-ის დასასრულამდე). დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 1958 წ.
26. Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, М. К. Думбадзе, Г. А. Меликишвили, Ш. А. Месхиа, Историа Грузии. I. С. древнейших времен до 60-х годов XIX вска. Учебное пособие. Тб., 1962 г.
27. ნ. ასათიანი, ვ. გუჩუა და სხვ. საქართველოს ისტორია. VIII-IX კლასების სახელმძღვანელო. თბ., 1988.
28. საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი. შედგენილი აკად. ს. ჯანაშიას და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყენებული სახელმძღვანელოების მიხედვით. თბ., 1990 წ.
29. მ. ზაქარაია. ეგრისის დიდი ომი. ჟურნ. „აია", თბ., 1977 წ. №2, 1998 წ. №2.
30. ნ. კანდელაკი. ქართული მჭერმეტყველება. თბ., 1958 წ.
31. ნ. კანდელაკი. ქართული მჭერმეტყველება. I. ქართველი ორატორები. თბ., 1975.
32. დ. ლეთოდიანი. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება VI ს-ის პირველ ნახევარში. „ქართული დიპლომატია" წელიწდეული. 3. თბ., 1966 წ.
33. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I ნაწილი. თბ., 1998 წ.
34. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. ტ. I. ა-ლ. თბ., 1997 წ.
35. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I-II ნაწ. 1998 წ.
36. ნ. ლომოური. დიდი ომიანობა ეგრისში VI ს-ში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ., 1998 წ.
37. დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის (აბაზგიის) საკითხი ბიზან-

ტია-ეგრისის ურთიერთობაში (VI-VIII საუკუნეებში). ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბ., 1998 წ.
37ᵃ. საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან დღემდე. დამხმარე კურსი საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლებისათვის. ილია ანთელავას რედაქციით. თბ., 1996 წ.
37ᵇ. სამეგრელო. კოლხეთი. ოდიში. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრების და ეთნოლოგიის ნარკვევები. ილია ანთელავას საერთო რედაქციით. თბილისი-ზუგდიდი. 1999 წ.
38. ჯ. სტეფნაძე. ეგრისის (ლაზეთის) მეფე გუბაზ II-ის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1999.
39. ჯ. სტეფნაძე. მეფე გუბაზ II ორი ცივილიზაციის ჭიდილში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XIII. თბ., 2002 წ.
40. ჯ. სამუშია. გუბაზ II. კრ. „საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის". საკითხავი ყმაწვილთათვის. თბ., 2002 წ.
40ᵃ. ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968 წ.
40ᵇ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა IV-V საუკუნეებში. წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. II, თბ., 1973 წ.
41. თეოფანე ჟამთააღმწერელი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1941 წ.
42. ნ. ლომოური. წათე I. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ., 1987 წ.
43. Dr. Felix Dahn. Procopus von Casarea. Ein Beitrag zur Volkerwanderung des Sinkenden Romerthums. Berlin. 1865.
44. დ. გოგოლაძე. ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII ს.ს.). თბ., 1992 წ.

45. რ. თოფჩიშვილი. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ., 1997 წ.
46. ი. აფხაზავა. გუბაზეული. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III., თბ., 1978 წ.
47 დ. მუსხელიშვილი. ლაზიკა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III. თბ., 1978 წ.
48. ნ. ლომოური. ეგრისის სამეფო. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. თბ., 1979 წ.
49. ი. მაისურაძე. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები). თბ., 1994 წ.
50. ი. ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის. I. თბ., 1994 წ.
51. ნ. ჯომიდავა. კოლხური (მეგრული) გვარსახელები. თბ., 1996 წ.
52. ა. შონია. გვარები მეტყველებენ („აფხაზური" გვარების ისტორიისათვის). თბ., 1997 წ.
53. მ. ბროსე. საქართველოს ისტორია ორ ნაწილად. მეფეთა და მთავართა გენეალოგიითა და ქრონოლოგიით. ბათუმი. 1989 წ.
54. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭელმაძისა. თბ., 1961 წ.
55. გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ. წ. I-II საუკუნეებში. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. I. თბ., 1970 წ.
56. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955 წ.
57 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. I. ტფ., 1928 წ.
58. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II. ტფ., 1929 წ.

59. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია. გადმობეჭდილი „ცნობის ფურცლიდან" (ტფ., 1905 წ.) რედაქტორ-გამომცემელი ბ. კუდავა. თბ., 1993 წ.

59ᵃ. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955 წ.

59ᵇ. „მოქცევაᲲ ქართლისაᲲ" წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, თბ., 1963.

59ᶜ. დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003.

60. ს. ჯანაშია. შრომები. თბ., 1949 წ.

61. Б. Н. Заходер. Иран при Сасанидах. Исторический журнал №12, 1938.

62. A. Christensen. L' Iran sous les Sassanides, Copenhagen, 1944.

63. A. Christensen. Le roi Kawadh et le comunisme masdakite, 1925.

64. Н. В. Пигулевская. Маздакитское движение. Изв. АН СССР. Отд. истории и философии №4.

65. Н. В. Пигулевская. Идея равенства в учении маздакитов. Сб. «Из истории социально-политических идей. К семидесятилетию академика В. И. Волгиина. М., 1955.

66. В. В. Бартольд. К истории крестьянских движении в Персии. Сборник в часть Н. И. Кареева. М., 1923.

67 ვ. გაბაშვილი. მაზდაკელთა აჯანყება. წიგნში: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან". თბ., 1957.

68. ლ. ჯანაშია, ბრძოლა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ქართლში IV ს. II ნახევარსა და V ს-ის პირველ ნახევარში. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" ტ. II.

69. ვ. გოილაძე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბ., 1990 წ.

70. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ., 1973 წ.

71. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ., 1960 წ.

72. გიორგი კედრენე. იხ. „გეორგიკა". ტ. 5. თბ., 1963 წ.
73. გეორგიკა. ტ. IV. ნაკვ. 1. თბ., 1941 წ.
74. გეორგიკა. ტ. V. თბ., 1963 წ.
75. ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ., 1979.
76. ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ., 1991 წ.
77. В. Гоиладзе. Политические развитие Картли с начала VI в. до конца 30 гг. VI в. (Автореферат). Тб., 1979 г.
78. ვ. გოილაძე. VI ს-ში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის. მაცნე. ისტორიის... სერია. 1979 წ. №1.
78[ა]. გ. საბინინი, საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინინის მიერ. პეტერბურღი. 1882 წ.
78[ბ].ასურელ მამათა ცხოვრების ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1955 წ.
78[ბ]. Анчабадзе Г. З. Поход Картлииского царя в Прикубанье в середине VI в., вымысел или факт. Сборн.: «Вопросы истории народов Кавказа». Тб., 1988 г.
79. Н. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения. Часть I. Тб., 1981 г.
80. ნ. ლომოური. ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის. „მაცნე", ისტორიის... სერია. თბ., 1965 წ. №5.
81. Г А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959.
82. მენანდრე პროტიქტორი. იხ. გეორგიკა. ტ. III. თბ., 1936 წ.
83. იოანე მალალა. იხ. „გეორგიკა". ტ. III. 1936 წ.
84. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი I. თბ., 1979 წ.

85. ა. ბოგვერაძე ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ., 1973.
86. ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953.
87. იოანე ზონარა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მიხეილ კახაძემ. გეორგიკა. ტ. 6. თბ., 1966 წ.
88. Г Ф. Герцберг. История Византии. Перевод, примечания и приложения П. В. Безобразова. М., 1896.
89. М. В. Левченко. История Византии. Краткии очерк. М.-Л., 1940.
90. ს. ყაუხჩიშვილი. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. თბ., 1948 წ.
91. Г Л. Курбатов. История Византии (от античности к феодализму) М.. 1984.
92. შარლ დილი. ბიზანტიის იმპერიის ისტორია. ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. თბ., 1998 წ.
93. ვ. გოილაძე. ფირან გუშნაპსის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. „მაცნე"... ისტორიის სერია. თბ., 1988 წ. №2.
94. გ. გრიგოლია. ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1994 წ.
95. დ. მუსხელიშვილი. პეტრა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8. თბ., 1984.
96. იუსტინიანეს ნოველები. გეორგიკა. ტ. II. თბ., 1965 წ.
97 პრისკე პანინონელი. იხ. „გეორგიკა"... ტ. I. თბ., 1961 წ.
98. ს. ყაუხჩიშვილი. რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ., 1964.
99. დ. მუსხელიშვილი. მუხურისი. ქსე. 7. თბ., 1984.
100. ნ. ლომოური. ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. – ნოქალაქევი-არქეოპოლისი, წ. I. თბ., 1981 წ.

101. პ. ზაქარაია., თ. კაპანაძე. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991 წ.
102. თ. ბერაძე. მუხურისი. ქსე., ტ. 7. თბ., 1984 წ.
103. დ. მუსხელიშვილი. უქიმერიონი. ქსე. ტ. 10. თბ., 1986 წ.
104. ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ., 1926 წ.
105. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949 წ.
106. გეორგიკა. ტ. I. ტექსტები ქართული ტექსტებითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961 წ.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....3

პირველი თავი. გუბაზ მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

§ 1. წყაროები.....8

§ 2. ლიტერატურა.....14

მეორე თავი. გუბაზ მეფის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

§ 1. გუბაზ მეფის ადგილი ეგრისის (ლაზეთის) მეფეთა სიაში.....34

§ 2. ძიებანი გუბაზ მეფის გვარის შესახებ.....45

§ 3. გუბაზის მახლობლების წრე.....55

მესამე თავი. ჩვენი სამშობლო VI ს-ის პირველ მესამედში (მოკლე პოლიტიკური მიმოხილვა)

§ 1. ქართლის (იბერიის) სამეფო VI ს-ის პირველ მესამედში.....62

§ 2. ლაზეთის (ეგრისის) სამეფო VI ს-ის პირველ მესამედში.....78

მეოთხე თავი. გუბაზის ბრძოლა ეგრისის დამოუკიდებლობისათვის

§ 1. ირან-ეგრისის სამხედრო კავშირის ჩამოყალიბება და ბრძოლა დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიის იმპერიის განსადევნად.....98

§ 2. ძალთა ხელახალი გადანაწილება. ბიზანტია-ეგრისის კავშირის ბრძოლა ირანელების დასავლეთ საქართველოდან განსადევნად.....122

§ 3. ახალი დროებითი ზავის დადება ბიზანტია-ირანის შორის და ბრძოლების მიმდინარეობა ეგრისში..... 147

მეხუთე თავი. საბოლოო განხეთქილება ბიზანტია-ეგრისს შორის და გუბაზ მეფის დაღუპვა

§ 1. შეთქმულება გუბაზ მეფის წინააღმდეგ და მისი სიკვდილი..... 162

§ 2. ეგრისის მოსახლეობის ანტიბიზანტიური განწყობის კიდევ უფრო გაღრმავება და ახალი პოლიტიკური მიმართულებების ძიება..... 174

§ 3. გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება და დასჯა.... 182

დამოწმებული ლიტერატურა..... 193